

**ქურნაღისტის
სტილისტიკური
ცნობარი**

თბილისი
2002

● Georgian Journalism Stylebook

TBILISI 2002

სარედაქციო კოლეგია:

შუქია აფრიდონიძე, ნოდარ ებრალიძე,
თამარ ზურაბიშვილი, ვიოლა კალანდაძე,
გურჯა კვარაცხელია, ვაჟა შენგელია

ტექნიკური რედაქტორი – ლევან ვაშაკიძე

გამოცემა დააფინანსა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტომ (USAID) ჟურნალისტთა საერთაშორისო ცენტრის (ICFJ) პროგრამა პრომედია II-სთან არსებული ხელშეკრულების ფარგლებში. პრომედიას მცირე გრანტების პროგრამას ახორციელებს ევრაზიის ფონდი, რომელმაც ღია ტენდერი გამოაცხადა ჟურნალისტის სტილისტიკური ცნობარის მომზადებასა და გამოცემაზე. გრანტი მოიპოვა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფმა, რომელმაც ჩაატარა სათანადო კვლევითი სამუშაოები, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ცნობარი ჟურნალისტთა საერთაშორისო ცენტრსა და ევრაზიის ფონდთან თანამშრომლობით.

- გამოსაცემად მომზადდა არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში
- დაიბეჭდა "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობაში"
- © ჟურნალისტთა საერთაშორისო ცენტრი (ICFJ)

წინათქმა

ჟურნალისტთა საერთაშორისო ცენტრის (ICFJ) პროგრამა პრომედია II-ის სახელით სიამოვნებით წარმოგიდგენთ პირველ ქართულენოვან სტილისტიკურ ცნობარს, რომელიც საგანგებოდ ჟურნალისტებისათვის შეიქმნა.

პროგრამა პრომედია II, რომელიც დაფინანსებულია USAID-ის მიერ, ხელს უწყობს ქართული პრესის დამოუკიდებლობისა და პროფესიული დონის ამაღლებას. გვჯერა, რომ პროფესიონალი, ეთიკური და დამოუკიდებელი ჟურნალისტები სასიცოცხლო როლს ასრულებენ საქართველოს ჭეშმარიტად დემოკრატიულ ქვეყნად ჩამოყალიბებაში. ჩვენ გვქონდა პატივი გვემუშავა იმ ქართველ ჟურნალისტებთან, რომლებიც ძალას არ იშურებენ, რათა მიაღწიონ უმაღლეს პროფესიულ სტანდარტებს, წერონ სიმართლე, მკითხველებს მიაწოდონ სამართლიანი და დაბალანსებული ინფორმაცია და გაახშირანონ იმ ადამიანთა სათქმელი, რომლებიც მოკლებულნი არიან ამის შესაძლებლობას.

მაგრამ ჟურნალისტები და მედია ვერ ახერხებენ მათი მკითხველებისა თუ მაყურებლების ნდობის მოპოვებას, როდესაც მათი ნაწერი ბუნდოვანია, შეიცავს გრამატიკულ თუ კორექტურულ შეცდომებს, გაუგებარ სათაურებს, არასწორ ტერმინოლოგიას და ა.შ. საქართველოს მასშტაბით ჩატარებული სოციოლოგიური კვლევების დროს სხვადასხვა ასაკისა და სოციალური ფენის წარმომადგენლები ჩიოდნენ, რომ ასეთი სახის შეცდომები ხშირია და საკმაოდ გავრცელებული და რომ სტატიები მეტად ბუნდოვანი და ძნელად აღსაქმელია.

მთელ ევროპაში, ამერიკაში თუ სხვაგან, საუკეთესო ჟურნალისტებს ჩვევად აქვთ მიმართონ სტილისტიკურ ცნობარებს, რათა თავი აარიდონ გავრცელებულ შეცდომებს და თავიანთი წერილები უფრო ნათელი და გასაგები გახადონ მკითხველისათვის. გვინდა გვჯეროდეს, რომ ეს ცნობარი ასეთსავე როლს შეასრულებს ქართველი ჟურნალისტებისა და მკითხველებისათვის.

კვლევითი სამუშაოები შეასრულა და ცნობარი გამოსაცემად მოამზადა არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტი-

ტუტმა, ICFJ-ის გრანტის საშუალებით, რომლის ტენდერიც განახორციელა ევრაზიის ფონდმა. გრანტი დააფინანსა ამერიკის განვითარების სააგენტომ (USAID).

გვინდა განსაკუთრებული მადლობა ვუთხრათ **შუქია აფრიდონიძეს, გუჩა კვარაცხელიას, ვაჟა შენგელიას** და ენათმეცნიერების ინსტიტუტის სხვა მკვლევართა ჯგუფს მათი დაუღალავი მუშაობისათვის.

საგანგებო მადლობას მოვახსენებთ **მარინა ვაშაყმაძეს**, ჟურნალისტთა საერთაშორისო ცენტრის ასოციირებულ დირექტორს, რომელიც უშუალოდ უძღვებოდა ცნობარის მომზადებასა და გამოცემას.

მადლობა ეკუთვნის **დავით პაიჭაძეს, ანა ჟვანიასა და რობ ო'დონოვანს** ევრაზიის ფონდიდან, რომლებიც გრანტის მომპოვებელთა შესარჩევ პროცესში დაგვეხმარნენ, ასევე – **მაიკლ ფარბმანს, კეიტ ჯონსონს** და USAID-ის დემოკრატიისა და მმართველობის განყოფილების თანამშრომლებს საქართველოში ჟურნალისტიკის განვითარების ხელშეწყობისათვის.

შევეცადეთ ეს ცნობარი შეძლებისდაგვარად სრული ყოფილიყო. მაგრამ სამუშაო ამით არ დასრულებულა და მომავალში ცნობარი კიდევ უფრო დაიხვეწება. იმედი გვაქვს, ჟურნალისტები მოგვაწოდებენ დამატებით მასალას მომავალი გამოცემებისათვის. ჩვენი სურვილია, რომ ეს ცნობარი საინტერესო, პრაქტიკული და გამოსადეგი იყოს თქვენთვის.

ბობ ორტეგა

პროგრამის დირექტორი

ჟურნალისტთა საერთაშორისო ცენტრი

სარჩევი

წინასიტყვაობა	7
შემოკლებანი	14
ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი	15
დანართი	215
⇒ ზოგიერთი აბრევიატურა	217
⇒ პუნქტუაციის წესები	222
⇒ უცხო ენათა ბგერების ქართულად გადმოცემის (ტრანსლიტერაციის) ძირითადი წესები	232
⇒ ტიპობრივი ენობრივ-სტილისტიკური შეცდომები თანამედროვე ქართულ პრესაში	237
⇒ ცნობები გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შემავალი ქვეყნების შესახებ	243
⇒ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ჟურნალისტურ პრაქტიკაში	258
⇒ ლექსიკოგრაფიული წყაროები და ნორმატიული ცნობარები	269

სწყდება (გული; ღილი) მას; **გადასცდება** (საზღვარს), მაგრამ **გადაცდება** (ჭკუაზე); **ფენს** (ქალი სარეცხს), მაგრამ **ჭფენს** (მზე სხივებს არემარეს) და ა.შ.

გარკვეულ სიძნელეს ქმნის ძველი (აღ-, გან-, წარ) ზმნისწინების ხმარებაც. მხედველობაში გვაქვს უზმნისწინო ფორმებში (აწმყოში, ნამყო უსრულში) ამ ზმნისწინთა ბოლოკიდური თანხმოვნის უმართებულო ხმარების შემთხვევები (ანსხვავებს, ანვითარებს; ღზრდის, გირდგენტო). ლექსიკონში ეს სიძნელეც სათანადოდაა დაძლეული.

ზმნების სემანტიკური და ფორმობრივი სიციხადისათვის, ანდა ომოფორმების გასამიჯნავად მოწოდებული დამხმარე სიტყვები ფრჩხილებშია მოთავსებული (მაგ., -ავ და -ამ სუფიქსიანი (დაუხატავს, დაუხხამს ტიპის) ზმნების მყოფადისაგან თურმეობითი იმიჯნება *თურმე* ნაწილაკით: შდრ.: დაუხხამს (ხვალ) და: დაუხხამს (თურმე); აქვე მიწერილია უმართებულო ფორმებიც: [და არა დაუხატა], [და არა დაუხხია] და ა.შ.

ლექსიკონში ყურადღება გამახვილებულია რიცხვმონაცვლე ზმნებზედაც, რომლებიც მედიაში ხშირად უგულვებელყოფილია. ეს ზმნებია: **სხედან** (= ზის ბევრი), **ასხია** (= აზია ბევრი), **ყრია** (= გდია ბევრი), **ცვივა** (= ვარდება ბევრი), **იმტვრევა** (= ტყდება ბევრი), **ხოცავს** (= კლავს ბევრს), **დასხამს** (= დასვამს ბევრს)...



ხშირად შეცდომის წყაროა ბგერობრივად თითქმის თანხვედნილი ისეთი სიტყვების – ე. წ. პარონიმების არსებობა, რომელთა მნიშვნელობებიც ან სრულიად განსხვავებულია, ანდა განსხვავება ნიუანსობრივია. პარონიმია გვაქვს როგორც საკუთრივ ქართულ, ისე უცხოური წარმოშობის სიტყვებშიც. მაგ., **სწორად** და **სწორედ**, **ცნება** და **მცნება**, **განწყობა** და **განწყობილება**, **უებარი** და **უებრო**, **უნებლიე** და **უნებური**..., **კამპანია** და **კომპანია**, **ადრესატი** და **ადრესანტი**, **ემიგრანტი** და **იმიგრანტი**, **კანფეტი** და **კონფეტი** და მრავალი სხვა. ამ შემთხვევაში სათანადო ერთეულებს ახლავს სპეციალური განმარტება. შდრ.: **ადრესატი** (= ვისაც სწერენ) და **ადრესანტი** (= ვინც წერს წერილს, წერილის ავტორი). ამგვარ სიტყვებს, თუ ისინი უშუალოდ არ ემეზობლებიან ერთმანეთს, ბოლოს მიწერილი აქვთ აღნიშვნა შდრ. სათანადო "მეწყვილის" დასახელებით. მაგ.: **მცნება**... შდრ. **ცნება**, ანდა **ცნება**... შდრ. **მცნება**; ასევე: **კამპანია**... შდრ. **კომპანია**, ან **კომპანია**... შდრ. **კამპანია** და ა.შ.

პირობითი ნიშნები

[... კი არა]: სალექსიკონო ერთეულად გატანილი მიუღებელი ვარიანტი. მაგ.: [ქვორუმი კი არა] კვორუმი; [ვტირივარ კი არა] ვტირი

[და არა ...]: სწორი ფორმის მომდევნო მიუღებელი ვარიანტი. მაგ.: ჰიპნოზი [და არა გიპნოზი]; თანაუგრძნობს [და არა უთანაგრძნობს]

... // ... : სალიტერატურო ენაში თანაბარი მნიშვნელობისა თუ ფუნქციის მქონე სიტყვები ან ფორმები. მაგ.: მომსახურება // სერვისი; ზევით // ზემოთ

(... //) ან (//...): ნორმატიული თვალსაზრისით დასაშვები ფორმები: (გიორგობისთვე //) ნოემბერი; ქვითკირი (// ქვითკირი)

[... //] ან (// ...): სალიტერატურო ენაში გაქრობის გზაზე მდგომი, მაგ.: [ჰავბუკი //] ნახევარმცველი

/ (= წილადის ხაზი): ამ ხაზით გამიჯნულია ორწევრა სიტყვათშეხამების ცვალებადი წევრები. მაგ.: ბატონ დავითს / დავითად, ბატონი დავითის / დავითით; შენ გამო / გარდა / მიერ.



ლექსიკონს დანართების სახით ახლავს დამატებითი ინფორმაციები, რომლებიც უშუალოდ ამ სახით ლექსიკონში ვერ შევიდოდა. ესენია: *ზოგიერთი აბრევიატურა; პუნქტუაციის წესები; უცხო ენათა ბგერების ქართულად გადმოცემის (ტრანსლიტერაციის) ძირითადი წესები; ტიპობრივი ენობრივ-სტილისტიკური შეცდომები თანამედროვე ქართულ პრესაში; ცნობები გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შემავალი ქვეყნების შესახებ (ოფიციალური სახელწოდებები, დედაქალაქები, ოფიციალური ენები, ფულის ერთეულები). ამ დანართში ფუძისეული ი ხმოვანი ხაზგასმითაა წარმოდგენილი სახელობითი ბრუნვის ნიშნისაგან გასამიჯნავად.*

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ცნობარის შინაარსი მხოლოდ წმინდა ლინგვისტური ცნობებით არ ამოიწურება: ცნობარს ბოლოში ერთვის *საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ეურნალისტურ პრაქტიკაში.*

გულითად მადლობას მოვახსენებთ ICFJ-ის ასოცირებულ დირექტორს მარინა ვაშაყმაძეს მეტად საყურადღებო შენიშვნებისა და სურვილებისათვის, რომელთა გათვალისწინებამ საგრძნობლად შეუწყო ხელი ცნობარის სრულყოფას როგორც შინაარსობრივი, ისე ტექნიკური თვალსაზრისით. საგანგებო აღნიშვნის ღირსია მისი მუდმივი მზადყოფნა დახმარებისათვის მუშაობის ყველა ეტაპზე და ზედმიწევნით კვალიფიციური მიდგომა საქმისადმი, რაც დიდად აჭარბებს მის უშუალო ფორმალურ მოვალეობას.

სარედაქციო კოლეგიას თავის სასიამოვნო მოვალეობად მიაჩნია მადლიერებით აღნიშნოს კავკასიის ბიზნესის სკოლის მასწავლებლის, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის ოთარ ჭედას კვალიფიციური კონსულტაციები ეკონომიკისა და ბიზნესის ტერმინების შეტანა-განმარტებასთან დაკავშირებით.

მადლობა ეთქმის აგრეთვე ოფიციალურ რეცენზენტს, ჟურნალისტ დავით ზაიჭაძეს ცნობარზე მუშაობის ორსავე ეტაპზე მოწოდებული საგულისხმო შენიშვნებისათვის.

დასასრულ, განსაკუთრებული მადლიერების გრძნობით უნდა მოვიხსენიოთ ცნობარის ტექნიკური რედაქტორის ლევან ვაშაკიძის დამსახურება, რომლის პროფესიონალიზმისა და ჭემმარიტად თავდადება შრომის გარეშე ამ საერთო საქმის წარმატებით დაგვირგვინება უაღრესად შემჭიდროებულ ვადებში სრულიად წარმოუდგენელი იქნებოდა.

"ცნობილია, რომ ლექსიკონის ყოველი ნაკლი ავ თვალს ახარებს, მაგრამ ლექსიკონში კეთილი თვალის ჩაიხედავს ხოლმე და თავისი შენიშვნებით ნაკლის გამოსწორებას, ხარვეზის ამოვსებას ხელს შეუწყობს".

ეს სიტყვები, რომლებიც ეკუთვნის დიდ ქართველ მეცნიერს, აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას, მთლიანად ეხმიანება ამ წიგნის შემდგენელთა განწყობილებას.

შემოკლებანი

- აგრ.—აგრეთვე
არაბ. — არაბული
ახ. — ახალი
ახ. წ. — ახალი წელთაღრიცხვით
ბერძნ. — ბერძნული
ბიბლ. — ბიბლია, ბიბლიური
ბოტ. — ბოტანიკა
ბრ., ბრ-ის — ბრუნვა, ბრუნვის
გადატ. — გადატანითად, ხატოვნად)
გამოც. — გამოცემა
განსაკ. — განსაკუთრებით
გერმ. — გერმანული
და ა.შ. — და ასე შემდეგ
დაბ. — დაბადება (ბიბლია)
და მისთ. — და მისთანანი
და სხვ. — და სხვა(ნი)
ებრ. — ებრაული
ე. ი.— ესე იგი
ეკონ. — ეკონომიკა
ესპ. — ესპანური
ე. წ. — ეგრეთწოდებული
ვით. — ვითარებითი ბრუნვა
თარგმ. — თარგმანი
თბ. — თბილისი
თეატრ. — თეატრალური
თურქ. — თურქული
ი — იოანე (სახარება)
ინგლ. — ინგლისური
ისტ. — ისტორია
იტალ. — იტალიური
იურ. — იურისპრუდენცია
იხ.— იხილე
ლ — ლუკა (სახარება)
ლათ. — ლათინური
ლინგვ. — ლინგვისტიკა
მ — მათე (სახარება)
მაგ. — მაგალითად
მათემ. — მათემატიკა
მდ.— მდინარე
მედ. — მედიცინა
მიც. — მიცემითი ბრუნვა
მლწ. — მილიონი
მოთხრ. — მოთხრობითი ბრუნვა
მოქმ. — მოქმედებითი ბრუნვა
მრ. — მრავლობითი რიცხვი
მრკ — მარკოზ (სახარება)
მუს. — მუსიკა
ნათ. — ნათესაობითი ბრუნვა
ნ.-კ. — ნახევარკუნძული
რედ. — რედაქტორ(ებ)ი
რომ. — რომაელი; რომაული
რუს. — რუსული
რჯ. — რჯულის კანონი
სამხ. — სამხედრო საქმე
საუბ. — საუბრული, სასაუბრო
სახ. — სახელობითი ბრუნვა
სიტყვ. — სიტყვასიტყვით
სომხ. — სომხური
სოფ. — სოფელი
ს(ს). — საუკუნე(ები)
ფილოს. — ფილოსოფიური
ფრანგ. — ფრანგული
ქ. — ქალაქი
შდრ. — შეადარე
შემოკლ. — შემოკლებით
ჩვეულ. — ჩვეულებრივად
ჩინ. — ჩინური
ძვ. — ძველი
ძვ. წ. — ძველი წელთაღრიცხვით
წ. — წელი;
წწ. — წლები, წლებში
წმ. — წმი(ნ)და
წოდ. — წოდებითი ბრუნვა

**ორთობრაფიულ-
სტილისტიკური
ლექსიკონი**



-ა: 1. ა რ ი ს ზმნის ნაშთი, რომელიც დაერთვის სხვადასხვა სახელს (ექიშია, მთებია, კარგია, ორია, ასეთია...) ან ზმნიზედას (ავადაა, აქაა). უმართებულოდ იხმარება სულიერი საგნის სახელთა მრავლობითი რიცხვის ფორმასთან: [ისინი მუსიკოსებია, სცენაზე ვირტუოზებია *კი არა*] ისინი მუსიკოსები არიან, სცენაზე ვირტუოზები არიან

2. სავრცობი ნაწილაკი, რომელიც სიტყვებს სტილისტიკური დანიშნულებითაც დაერთვის: ა) ნათესაობითში დასმულ მსაზღვრელს საზღვრულის მომდევნოდ (აკაკის ლექსი, *მაგრამ* ლექსი აკაკისა); ბ) თანხმოვანზე გათავებულ ფორმებს სათანადო რიტმიკულ პირობებში (*მაგ.*, მოკლე ზმნის წინ: სადა ხარ? არა მყავს); გ) სახელებს და, თუ კავშირების წინ (ქალსა და კაცს, მთისა თუ ბარის, სულითა და გულით); დ) *ნათ. ბრ.* -გან, -კენ, -თვის თანდებულთა წინ კლასიკური მწერლობა უპირატესობას ანიჭებს გავრცობილ -ა-დართულ ფორმებს (კაცისაგან, შინისაკენ, სამშობლოსათვის).

აკინძვინებს, აკინძვინა, აუკინძვინებია [და არა აკინძვინებს, აკინძვინა, აუკინძვინებია]

ამუშავებს, ამუშავა, *მაგრამ* ამუშავოს [და არა ამუშავოს]

აატკივებს, აატკივა, აატკივოს [და არა აატკიოს] (თავი)

ააძრობს, ააძრო (ავაძვრე, ააძვრე) [და არა ავაძრე, ააძრე]

ააწყობს, ააწყო (ავაწყვე, ააწყვე) [და არა ავაწყე, ააწყე]

აახლოებს, აახლოებდა [და არა აახლოვებს, აახლოვებდა] (დააახლოებს)

აბადია: იხმარება უარყოფით ა რ ნაწილაკსა და უარყოფით ნაცვალსახელებთან (არაფერი (არ) აბადია, არა აბადია რა) ან რიტორიკულ კითხვებში (მე რა მაბადია!)

აბაზა, აბაზები *მრ.* [და არა აბაზინები]: აფხაზთა მონათესავე ხალხი; აბაზური (ენა)

აბამს [და არა აბავს]

აბეჭდვინებს [და არა აბეჭდინებს] (დააბეჭდვინებს)

აბია, ება (ერთი), *მაგრამ* ასხია, ესხა (ბევრი. *მაგ.*, ხეს კარგად ასხია)

აბიტურიენტი [და არა აბითურიენტი]

აბოლიცია (= კანონის, გადაწყვეტილების შეცვლა); აბოლიციონიზმი; აბოლიციონისტი

აბოლოებს [და არა აბოლოვებს] (დააბოლოებს)

აბონემენტი [და არა აბონიმენტი]

აბონენტი: სააბონენტო

აბორიგენი: ადგილობრივი მცხოვრები, მკვიდრი მოსახლე. ადგილობრივი აბორიგენი, მკვიდრი აბორიგენი ტავტოლოგიური შესიტყვებია

აბრაკადაბრა (აბრაკადაბრისა): უაზრო სიტყვები, აბდაუბდა

აბრევიატურა (აბრევიატურისა): აბრევიატურული

აბრევიაცია // **აბრევირება**: აბრევირებული

აბრეშუმის (დიდი) გზა: ისტ. კავკასიაზე გამავალი დიდი საქარავნო გზა

აბსენტი (*ფრანგ.* absinthe) [და არა აბსენტი]: ალკოჰოლიანი სასმელი

აბსენტეიზმი (*ლათ.* absens, absentis): სამსახურისათვის თავის არიდება (გაცდენა ან დაგვიანება) არასაპატიო მიზეზით; აგრ. ამომრჩეველთა მხრივ სახელისუფლებო არჩევნებისათვის მასობრივად თავის არიდება

აბსოლუტური; აბსოლუტუ-

რად [და არა აბსოლიტური, აბსოლიტურად]

აბსტრაქცია // **აბსტრაქირება**; აბსტრაქტული

აბსტრაქციონიზმი: მიმართულება XX ს. სახვით ხელოვნებაში; აბსტრაქციონისტი: აბსტრაქციონისტიული

აბსტრაქირება: აბსტრაქირებული [და არა აბსტრაგირება, აბსტრაგირებული]

აბსურდი: აბსურდული [და არა აფსურდი, აფსურდული]

✓ **აბსურდის თეატრი** / **ლიტერატურა**: (*ლათ.* absurdus= უაზრობა, შეუსაბამობა). ეს გამოთქმები XX ს. შუა წლებიდან გავრცელდა თეატრსა და ლიტერატურაში. აღნიშნავს მხატვრულ მეთოდს, რომელიც ლიტერატურულ-დრამატულ პერსონაჟთა უსიუჟეტო, ალოგიკური ქმედებებითა და ტექსტით ცდილობს გამოსახოს მსოფლიოში დამკვიდრებული უსასოობა, უაზრობა, ქაოსურობა. უკავშირდება სარტრის, ბეკეტის, იონესკოსა და სხვათა სახელებს

[აბზაზი, აბზაზეთი, აბზაზური კი არა] აფზაზი: აფზაზეთი; აფზაზური

აგდია, **ეგდო** (ერთი. *მაგ.*, გზაზე ქვა), *მაგრამ* ყრია, ეყარა (ბევრი. *მაგ.*, ნავავი, ხრეში)

აგენტურა: აგენტების ერთობლიობა; აგენტთა ქსელი

ავვისტო (// მარიამობისთვე)

[აგიოგრაფია, აგიოგრაფიული
კი არა] ჰაგიოგრაფია: ჰაგიოგ-
რაფიული

აგიტაცია: სააგიტაციო; აგიტა-
ცია-პროპაგანდა

აგონია: აგონიური (იხმარება
გადატანითაც (მაგ., გარკვეული
რეჟიმის, იმპერიის კვდომის
პროცესის დასახასიათებლად)

აგორა (აგორისა) (*ბერძნ.* agora
მოედანი): სახალხო კრება ძველ
საბერძნეთში ან თვით მოედან-
ნი, სადაც ასეთი კრება იმართე-
ბოდა. ამჟამად იხმარება დიდი
სჯა-ზაასის, აზრთა გაცვლა-გა-
მოცვლის აღსანიშნავადაც

აგორაფობია (= სივრცის შიში):
აგორაფობიური

აგრარიები *მრ.*: მსხვილი მი-
წათმფლობელები ან მათი ინ-
ტერესების გამომხატველი პარ-
ტიები; აგრარული; აგრარიზა-
ცია

აგრე; აგრერიგად.

აგრეგაცია: პოლიტიკური მო-
თხოვნების ალტერნატიულ კა-
ლაპოტში მიშვება, რაც ხშირად
შეიმჩნევა პოლიტიკურ პარტია-
თა მოღვაწეობაში

აგრესია: აგრესიული

აგრესორი: აგრესორული

აგროტექნიკა: აგრონომიული,
სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა:
აგროტექნიკური [და არა აგრო-
ტეხნიკა, აგროტეხნიკური]

აგუძერა: აგუძერიდან, სოფ.

აგუძერის [და არა აგუძერადან,
აგუძერას] მოსახლეობა

ადათ-წესები *მრ.*

ადამიანი // **კაცი:** თუმცა ეს სი-
ტყვები სინონიმებია, მათი გა-
მოყენების არე შემოსაზღვრუ-
ლია (*შდრ.*: ადამიანის სხეული;
ადამიანი გონიერი არსებაა; კე-
თილი ნების ადამიანები... და:
სიტყვის კაცი; მიწისძვრამ ასამ-
დე კაცი იმსხვერპლა; 100-კაცი-
ანი სუფრა). ამიტომ ტრადიცი-
ის დარღვევად აღიქმება ინდი-
ვიდთა რიცხვის, რაოდენობის
მითითებისას კ ა ც ი ს (რო-
გორც ერთეულის, სულის) ნა-
ცვლად ა დ ა მ ი ა ნ ი ს ხმა-
რება (*მაგ.*, დაიღუპა ოცი ადა-
მიანი). ამასთან, მიზანშეუწო-
ნელია სიტყვა ა დ ა მ ი ა ნ ი ს
ხმარება ეთნიკურ სახელებთან:
[ქართველი ადამიანი კი არა]
ქართველი (ან ქართველი კაცი)

ადამისდროინდელი (= ძალიან
ძველი), *მაგრამ* ადამის დროი-
სა, ადამის ხნისა

ადაპტაცია: 1. ორგანიზმისა
თუ ცალკეული ორგანოს შეგუ-
ება გარემოსთან, საარსებო პი-
რობებთან; 2. ნაბეჭდი ტექსტის
გამარტივება; მეტწილად გამო-
იყენება უცხო ენათა სწავლების
გაადვილების მიზნით

ადაპტირება: ადაპტირებულ
(ტექსტი)

ადგას [და არა ადგია], ადგა-
ხარ, ვადგავარ [და არა ადგე-
ხარ, ადგიხარ; ვადგევარ, ვად-
გვივარ] (თავზე)

ადგილ-ადგილ // ალაგ-ალაგ // აქა-იქ

ადგილი: ... **ადგილიანი:** ხუთასადგილიანი, *მაგრამ* 500-ადგილიანი (დარბაზი)

ადგილი აქვს (=გვხვდება; ხდება): კალკია, რუსულის გზით შემოსული; ეს გამოთქმა პრესაში არცთუ იშვიათად ეხამება მოქმედების სახელს (*მაგ.*: ადგილი აქვს ადამიანის უფლებათა დარღვევას / შრომის ნაყოფიერების ზრდას) და უმართებულოდ ენაცვლება ბუნებრივ გამოთქმებს (*მაგ.*: ირღვევა ადამიანის უფლებები, იზრდება შრომის ნაყოფიერება)

ადგილის დედა

ადგილ-მამული

ადგილმდებარეობა; ადგილმონაცვლეობა; ადგილნაცვალი (პირი)

ადექვატი: ადეკვატური [და არა ადექვატი, ადექვატური]

ადექტი: რაიმე მოძღვრების, იდეის თავგამოდებული მიმდევარი

ადვენტისტები *მრ.*: ქრისტიანულ-პროტესტანტული მიმდინარეობის მიმდევრები

ადვილაალებადი, *მაგრამ* ადვილად აალებადი

ადიუტანტი: ადიუტანტობა

ადილე [და არა ადილეა]: ადილელი; ადილეური

ადილეო, ადილელები *მრ.* [და

არა ადილეელ(ებ)ი, ადილეველ(ებ)ი]: ჩრდილოკავკასიელი ხალხი ჩერქეზთა მოდემისა

ადილეური ენა, *მაგრამ* ადილეური (აფხაზურ-ადილეური) ენები

ადმინისტრატორი: ადმინისტრატორული (ნიჭი)

ადმინისტრაცია: ადმინისტრაციული [და არა ადმინისტრაციული]; ადმინისტრაციულტერიტორიული (დაყოფა; ერთეული; მოწყობა)

ადმინისტრირება

ადმირალი (ადმირალისა) : ადმირალიტეტი

ადოპტაცია: მცირეწლოვანი ბავშვის შვილად აყვანა. *შდრ.* ადაპტაცია

ადრეგაზაფხულისა, *მაგრამ* ადრე გაზაფხულზე

ადრე თუ გვიან (= როდისმე, ოდესმე)

ადრესანტი: ვინც გზავნის წერილს, დეკემას, ფულს... *შდრ.* ადრესატი

ადრესატი: ვისაც ეგზავნება საფოსტო გზავნილი; აგრეთვე პირი, რომელსაც მიმართავენ (წერილობით თუ ზეპირად). *შდრ.* ადრესანტი

ადრესი: წერილობითი მისასალმებელი (*განსაკ.* საიუბილეო) მიმართვა ცნობილი მოღვაწისა თუ ორგანიზაციისადმი

ადრეგეოდალური

ადრექრისტიანული

ადრეშემოდგომისა, მაგრამ
ადრე შემოდგომაზე

**ადღეგრძელებს [და არა ადღე-
გძელებს]**

**აეკვრება, აეკრა, აჰკვრია [და
არა აეკრობა, აეკრო, აჰკრობია]**

**აემუშავებინა [და არა აემუშა-
ვებია]**

აერობიკა (აერობიკისა)

**აეროვაგზალი (აეროვაგზლი-
სა) [და არა აეროვაკზალი, აე-
როვოგზალი]**

**აეროზოლი [და არა აიროზო-
ლი]**

**აერონავტი; აერონავტიკა; აე-
რონავიგაცია**

**აეროსტატი [და არა ჰაეროს-
ტატი]**

[აელზარდა, აელნიშნა, აელწერა
კი არა] ალეზარდა, ალენიშნა,
ალეწერა

**აელორძინებინა [და არა აე-
ლორძინებია]**

აემენებინა [და არა აემენებია]

აეწონ-დაეწონა

ავად მოსაგონარი

**ავადმყოფი; ავადმყოფური;
ავადმყოფობა**

**ავადმყოფობს (ვავადმყოფობ),
იავადმყოფა (ვიავადმყოფე),
უავადმყოფია (მიავადმყოფია)**

ავად სახსენებელი

ავანგარდი; ავანგარდული

**ავანგარდიზმი: XX ს-ის ხე-
ლოვნების სხვადასხვა მიმდი-
ნარეობის საერთო პირობითი
სახელწოდება; ავანგარდისტი;
ავანგარდისტული**

**ავანტიურა; ავანტიურული
(რომანი)**

**ავანტიურიზმი; ავანტიურის-
ტი; ავანტიურისტული (საქციე-
ლი); ავანტიურისტობა**

[ავარი, ავარ(ი)ელი *კი არა*]
ხუნძი

**ავარია; ავარიული; საავარიო
(მდგომარეობა, სიტუაცია)**

**ავგიას თავლა: მომდინარეობს
ბერძნ. მითოლოგიიდან. მეფე
ავგიას თავლა, რომელიც არ იწ-
მინდებოდა 30 წლის განმავ-
ლობაში, ერთ დღეში გაწმინდა
ჰერაკლემ. გამოთქმა იქცა სი-
ბინძურის, თავმინებებული სა-
ქმის სიმბოლოდ**

**ავგუსტინე (ნათ. ავგუსტინეს);
ნეტარი ავგუსტინე**

**ავენიუ (ინგლ.): ხეივანიანი
ფართო ქუჩა, პროსპექტი**

**ავესტა (ავესტისა): აღმოსავლე-
თის ზოგიერთი ხალხის (მაგ.,
ირანელთა) წმინდა წიგნების
კრებული**

**ავთენტკური [და არა აუთენ-
ტიკური]: დედნის, პირველწყა-
როს შესაბამისი; სანდო, სარ-
წმუნო, ნამდვილი**

ავთვისებიანი (სიმსივნე)

ავია...[*და არა ავიო...*]: ავიაბაზა, ავიაბილეთი, ავიაკატასტროფა, ავიაკონსტრუქტორი, ავიამშენებლობა, ავიაფოსტა, ავიაქარხანა...

ავითარებს, ავითარებდა [*და არა ანვითარებს*, ანვითარებდა] (განავითარებს)

ავიცენა (*ნათ.* ავიცენას)

ავიწროებს, ავიწროებდა [*და არა ავიწროვებს*, ავიწროვებდა] (დაავიწროებს; შეავიწროებს)

ავ-კარგი, *მაგრამ* ავკარგიანი; ავკარგიანობა

ავმდგარვარ, ავმდგარიყავი [*და არა ამდგარვარ*, ამდგარვყავი]

ავტარკია [*და არა ავტარქია*]: დახშული, ჩაკეტილი ეკონომიკის კურსი

ავტობიოგრაფია (= თავისი, საკუთარი ბიოგრაფია. ტავტოლოგიურია შესიტყვება თ ა ვ ი ს ი ა ვ ტ ო ბ ი ო გ რ ა ფ ი ა. *უნდა იყოს*: ავტობიოგრაფია ან თავისი ბიოგრაფია დაწერა): ავტობიოგრაფიული

ავტოგრაფი: ავტოგრაფული

ავტოვაგზალი(ავტოვაგზლისა) [*და არა ავტოვაკზალი*, ავტოვოგზალი]

ავტოკეფალია: ავტოკეფალიური [*და არა ავტოკეფალური*] (ეკლესია)

ავტოკრატია (= თვითმპყრობელობა): ავტოკრატიული

ავტომატიზაცია // **ავტომატიზება**: ავტომატიზებული [*და არა ავტომატიზირებული*]

ავტომატური; ავტომატურად

ავტომოყვარული: ავტორალი; ავტოსტრადა

ავტონომია: ავტონომიური; ავტონომიურობა

ავტოპორტრეტი; ავტორეფერატი

ავტორი: საავტორო (უფლება); ავტორიზებული (თარგმანი)

ავტორიტარიზმი: მმართველობის სისტემა, რომლის დროსაც ხელისუფალი მოითხოვს აბსოლუტურ მორჩილებას (ხშირად იხმარება დ ე ს კ ო ტ ი ზ მ ი ს მნიშვნელობითაც); ავტორიტარული (რეჟიმი)

ავტორიტეტი: ავტორიტეტული // ავტორიტეტიანი (პირი), *მაგრამ* ავტორიტეტული (= სახნდო, საიმედო) დასკვნა

ავტოფსია [*და არა ავტოპსია*]: გვამის გაკვეთა სიკვდილის მიზეზის დასადგენად

ავტოქთონები [*და არა ავტოხტონები*] *მრ.*: ამა თუ იმ ქვეყნის მკვიდრი მოსახლეობა, აბორიგენები; ავტოქთონური

ავუვედი [*და არა აუვედი*] მე (საქმეს ვერ აუუვედი)

[ავღზრდი, ავღნიშნავ, ავღნუსხავ, ავღრიცხავ, ავღწერ... *კი არა*] აღვზრდი, აღვნიშნავ, აღვ-

ნუსხავ, აღვრიცხავ, აღვწერ...

აზერბაიჯანი: აზერბაიჯანელი, აზერბაიჯანელები *მრ.*;
აზერბაიჯანული (ენა)

აზოგადებს, აზოგადებდა [და არა ანზოგადებს, ანზოგადებდა] (განაზოგადებს)

აზრით: ჩემი (შენი...) აზრით [და არა ჩემის (შენის...) აზრით]

ათადან-ბაბადან: ძველთაგან, უხსოვარი დროიდან

ათავისუფლებს, ათავისუფლებდა [და არა ანთავისუფლებს, ანთავისუფლებდა] (გათავისუფლებს)

ათ-ათი

ათეიზმი; ათეისტი: ათეისტური

ათენა [და არა ათინა] (*ნათ.* ათენას): ბერძნულ მითოლოგიაში მეცნიერებისა და ხელოვნების ქალღმერთი (რომაულ მითოლოგიაში – მინერვა)

ათენი: საბერძნეთის დედაქალაქი

ათვალიერებს, დაათვალიერა, დაუთვალიერებია

ათლეტი [და არა ატლეტი]: ათლეტური; ათლეტიზმი; ათლეტიკა: ათლეტიკური

ათხოვნიებს, ათხოვნიდა, უთხოვნიებია [და არა ათხოვნიებს, ათხოვნიდა, უთხოვნიებია]

აიაზმა (აიაზმისა): ნაკურთხი წყალი

აიათოლა: უმაღლესი სასულიერო პირის ტიტული ირანში

აიდაჰო [და არა აიდახო]: აიდაჰოს შტატი (აშშ-ში)

აივლის, აუვლია, *მაგრამ* აიარა

აინშტაინი [და არა ეინშტეინი]

აიოვა: აიოვიდან, აიოვის [და არა აიოვადან, აიოვას] შტატი

აირევ-დაირევა, აირ-დაირია, არეულ-დარეულა

აიტკივებს [და არა აიტკიებს] (თავს)

აკადემია: აკადემიური

აკადემიზმი: გადატ. იხმარება მუშაობის დახვეწილი სტილისა და დარბაისლური ქცევის დასახასიათებლად

[აკადური კი არა] აქადური (ენა)

აკვამარინი [და არა აქვამარინი]: ძვირფასი ქვა

აკვარიუმი [და არა აქვარიუმი]

აკლია // უკლია; აკლდა // უკლდა, *მაგრამ* დააკლდა

აკლიმატიზაცია // აკლიმატიზება: აკლიმატიზებული

აკომპანემენტი [და არა აკომპანიმენტი], *მაგრამ* აკომპანირება, აკომპანიატორი

აკორდეონი [და არა აკარდეონი]; აკორდეონისტი

აკრებილი (გადასახადი), *მაგრამ* აკრეფილი (ხილი)

აკრედიტაცია // აკრედიტება:
აკრედიტებული [და არა აკრე-
დიტირება, აკრედიტირებული]

აკროპოლი // აკროპოლისი

აკუმულაცია // აკუმულირება:
აკუმულირებული

აკურატული: აკურატულობა

ალაბამა: ალაბამიდან, ალაბა-
მის [და არა ალაბამადან, ალა-
ბამას] შტატი

ალაღბედად // ალაღბედზე

ალალ-მართალი

ალასკა: ალასკის [და არა ალი-
ასკა, ალიასკას] ნახევარკუნძუ-
ლი

(ა-ლა-ფურშეტი //) ფურშეტი

ალაქავენს [და არა ალაქიანენს]
(დაალაქავენს)

ალაჰი [და არა ალახი]: მაჰმა-
დიანთა ღმერთი

ალბათ [და არა ალბად]: ალბა-
თობა (ალბათობის თეორია)

ალბიონი: ბრიტანეთის კუნძუ-
ლების ძველი სახელწოდება

ალეგორია: ალეგორიული

ალერგია: ალერგიული; ალერ-
გენი

**ალექსანდრეს [და არა ალექ-
სანდროვის] ზაღი (თბილისში)**

ალვის ხე // ალვა

ალთაი: ალთაის [და არა ალ-
ტაი, ალტაის] მთები

ალთინგი (ისლ. Althing) [და

არა ალტინგი]: ისლანდიის
პარლამენტი

ალიანსი (ალიანსს)

ალილუია (ებრ. ჰალელუია =
აქებდეთ ღმერთსა / უფალსა):
ქრისტიანულ ღვთისმსახურე-
ბაში საზეიმო საგალობელი ან
მისი მისამღერი

ალკოჰოლი: ალკოჰოლიანი;
ალკოჰოლიკი [და არა ალკოგო-
ლი, ალკოგოლიანი, ალკოგო-
ლიკი]

ალმა-ათა: ქ. ალმა-ათიდან,
ალმა-ათის უნივერსიტეტი

**ალმა-მატერი (ლათ. alma ma-
ter= მემუშური დედა):** ასე უწო-
დებდნენ ძველად სტუდენტები
უნივერსიტეტს, რომელიც მათ
სულიერ საზრდოს აძლევდა

ალფა და ომეგა: გადატ. თავი
და ბოლო, ძირითადი რამ; არ-
სი. ამ გამოთქმის ქართული
კალკია "ანი და ჰოე"

**ამა და ამ (ყველა ბრუნვაში, გა-
რდა სახელობითისა):** ამა და ამ
კაცმა; ამა და ამ გაზეთის...;
მდრ. ესა და ეს (კაცი, გაზეთი)

**ამათ [და არა ამათმა] გადაწყ-
ვიტეს, მაგრამ ამათმა ამხანა-
გებმა გადაწყვიტეს**

ამათთან; ამათთვის

**ამა თუ იმ (ყველა ბრუნვაში,
გარდა სახელობითისა):** ამა თუ
იმ პირს, ამა თუ იმ ენაზე, მაგ-
რამ ესა თუ ის (პირი, ენა)

**ამას გარდა // ამის გარდა, მაგ-
რამ გარდა ამისა**

ამაღამ [და არა ამელამ]

ამაღლება: ქრისტიანული დღესასწაული

ამბავი (ამბისა, ამბით, ამბად), ამბები *მრ.*

ამბივალენტური: ერთმანეთის საპირისპირო გრძნობების (სიყვარული – სიძულვილი...) შემცველი, გაორებული

ამბიონი: ამაღლებული ადგილი ეკლესიაში საკურთხეველის წინ

ამბიცია: ამბიციური

ამბულატორიული; ამბულატორიულად

ამდენი (ხალხი), *მაგრამ* ამოდენა (სახლი)

ამდენი ხანია; ამდენ ხანს

ამდენნაირი

ამ დილას // ამ დილით

ამ დროიდან, *მაგრამ* ამდროინდელი

ამერ-იმერი

ამინი (< *ებრ.*, *ბერძნ.* ამენ = ჭემმარიტია, ჭემმარიტად!). ქრისტიანულ ღვთისმსახურებაში წარმოთქვამენ ლოცვა-გალობის, ქადაგების დროს (გარკვეული მონაკვეთების ბოლოს), ანდა საზეიმო ფიცისათუ ალთქმის დადებისას. მოგვიანებით შეიძინა ზოგადი დასტურის მნიშვნელობაც

ამისდა...: ამისდა კვალად, ამისდა მიხედვით, ამისდა მიუხედავად

ამ მიმართულებით (=ამ მხრივ, ამ თვალსაზრისით): ზოგჯერ ამ გამოთქმის ნაცვლად უმართებულოდ ხმარობენ გამოთქმას ამ მიმართებით

ამ მხრივ(აც)

ამნაირი(ვე); ამნაირად(ვე)

ამნისტია [და არა ამინისტია]; ამნისტირება: ამნისტირებული

ამოაბეჭდვინებს, ამოაბეჭდვინა, ამოუბეჭდვინებია

ამოასუფთავებს, ამოასუფთავა, *მაგრამ* ამოასუფთავოს [და არა ამოასუფთავოს]

ამოაცარიელებს [და არა ამოაცალიერებს]

ამოაძრობს, ამოაძრო (ამოვაძვრე, ამოაძვრე) [და არა ამოვაძვრე, ამოაძვრე]

ამოაწყობს, ამოაწყო (ამოვაწყვე, ამოაწყვე) [და არა ამოვაწყვე, ამოაწყვე]

ამოაბეჭდავს, ამოაბეჭდა, ამოუბეჭდავს [და არა ამოუბეჭდია] (თურმე)

ამოაბეჭდვა: ამოაბეჭდილი; ამოსაბეჭდი

ამობრწყინდება, ამობრწყინდა, ამობრწყინებულა

ამოდის (მზე), *მაგრამ* ამოდის (მზე ვინმეზე; სული) მას

ამოისუნთქავს [და არა ამოისუნთქებს]

ამოკვეთს (წარწერას ქვაზე), *მაგრამ* ამოკვეთს (სიმსივნეს) მას

ამოჟლეტს [და არა ამოჟლი-
ტავს]

ამორტიზაცია // **ამორტიზება**:
ამორტიზებული [და არა ამორ-
ტიზირება, ამორტიზირებული]

ამოსწევს, ამოსწია [და არა ამო-
წევს, ამოწია]

ამოსწურვია, *მაგრამ* ამოსწუ-
როდა [და არა ამოსწურვოდა]
(დრო) მას

ამოსჭამს, ამოსჭამა (ტვინი)
მას, *მაგრამ* ამოჭამა (ქვეყანა)

ამოუბეჭდავს (თურმე) [და არა
ამოუბეჭდია]

ამოურეცხავს (თურმე) [და არა
ამოურეცხია]

ამოუქარგავს (თურმე) [და არა
ამოუქარგია]

ამოუძღვება, ამოუძღვა (ამო-
ვუძეხი მე, ამოუძეხი შენ), ამო-
სძლოლია მას

ამოუწვავს (თურმე) [და არა
ამოუწვია]

ამოცვივდება (აგურები), *მაგ-
რამ* ამოსცვივდება (კბილები)
მას

ამომძვრება, ამომძვრა (ამოვძვე-
რი, ამომძვერი, ამომძვრალა,
მაგრამ ამოსძვრება მას (სუ-
ლი)

ამოჰკაწრავს, ამოჰკაწრა (თვა-
ლები) მას, *მაგრამ* ამოკაწრავს,
ამოკაწრა (წარწერა)

ამოჰქონდა [და არა ამოქონდა]
მას

ამოჰყავს, ამოჰყავდა [და არა
ამოყავს, ამოყავდა] მას

ამოჰყვება, ამოჰყვა, ამოჰყო-
ლია [და არა ამოყვება, ამოყვა,
ამოყოლია] მას

ამპლიტუდა (ამპლიტუდისა)

ამპლუა (ამპლუისა)

ამპუტაცია // **ამპუტირება**: ამ-
პუტირებული

ამჟამად: ამჟამინდელი

ამრგვალებს (დაამრგვალებს)

ამტანობა [და არა ამტანიანობა]

ამულეტი // **ავგაროზი**

ამური // **კუპიდონი**: სიყვარუ-
ლის ღმერთი რომაულ მითო-
ლოგიაში, ვენერას ვაჟი, რომე-
ლიც წარმოდგენილი ჰყავდათ
მშვილდისრიანი ფრთოსანი
ყმაწვილის სახით; ბერძნულ
მითოლოგიაში – ე რ ო ს ი //
ე რ ო ტ ი. *გადატ.* იხმარება
სიყვარულის მნიშვნელობით

ამფითეატრი

ამხანაგობა // კომპანია

ანაგრამა (ანაგრამისა): სიტყვა-
ში ასოების ან მარცვლების ისე-
თი გადასმა, რომლის დროსაც
ახალი სიტყვა მიიღება (*მაგ.*,
თავი – თივა, ქალა – ლაქა)

ანაზღაურება: ანაზღაურებუ-
ლი; აუნაზღაურებელი; ასანაზ-
ღაურებელი

ანათემა: ეკლესიიდან ვისიმე
განდევნა, მოკვეთა, შეჩვენება

ანალიზი: ანალიზური (ქიმია);
ანალიზატორი (ხელსაწყო)

ანალიტიკოსი; ანალიტიკური
(ჭკუა)

ანალოგი; ანალოგია: ანალოგი-
ური

ანარქია: ანარქიული

ანარქიზმი; ანარქისტი: ანარ-
ქისტული [და არა ანარხიზმი,
ანარხისტი, ანარხისტული]

ანაქრონიზმი: ანაქრონისტუ-
ლი

ანახვებს, ანახვა [და არა ანა-
ხებს, ანახა]

ანგაჟემენტი: მსახიობის მიწვე-
ვა სპექტაკლებში ან კონცერ-
ტებში მონაწილეობის მისაღე-
ზად გარკვეული ვადითა და პი-
რობებით

ანგაჟირება: პოლიტიკური მო-
ღვაწეების, მედიის წარმომად-
გენელთა მოსყიდვა, დაქირავე-
ბა (ამ მნიშვნელობით ტერმინი
იხმარება XX ს. მეორე ნახევრი-
დან); ანგაჟირებული

ანგარიშგება: ანგარიშსწორება;
ანგარიშწარმოება

ანგარიშვალდებული

ანგლომანი: ანგლომანია (გა-
დაჭარბებული სიყვარული ყო-
ველივე ინგლისურისადმი)

ანგლოსაქსები *მრ., ეთნ.:* ანგ-
ლოსაქსური

ანგლოფილი: ინგლისისა და
ყოველივე ინგლისურის მოყვა-
რული

ანგლოფობი: ყოველივე ინგ-
ლისურის მოძულე

ანეკდოტი [და არა ანეგდოტი]

ანესტეზია: საანესტეზიო; ანე-
სთეზირება [და არა ანესტეზია,
ანესტეზირება]

ანექსია; ანექსირება: ანექსირე-
ბული

[ანვითარებს, ანზოგადებს, ან-
თავისუფლებს *კი არა*] ავითა-
რებს, აზოგადებს, ათავისუფ-
ლებს

[ანთეოსი *კი არა*] ანტეოსი

ანთოლოგია: ანთოლოგიური

ანთრაციტი [და არა ანტრაცი-
ტი]

ანთროპოლოგი; ანთროპოლო-
გია: ანთროპოლოგიური [და
არა ანტროპოლოგი, ანტროპო-
ლოგია, ანტროპოლოგიური]

ანთროპომორფიზმი: 1. რწმე-
ნა, წარმოდგენა, რომლის მიხე-
დვითაც ბუნების მოვლენებს,
ცხოველებს, მცენარეებს ადამი-
ანის თვისებები (აზრები,
გრძნობები...) მიეწერება; 2.
ღვთაების წარმოდგენა ადამიან-
ის სახით

ანთროპოსოფია (*ბერძნ. anthro-*
pos ადამიანი, *sophia* სიბრძნე):
თეოსოფიური მოძღვრება ადა-
მიანზე, როგორც ფარული სუ-
ლიერი ძალის მქონე არსებაზე

ანთროპოფაგი (კაციჭამია, კა-
ნიბალი); ანთროპოფაგია (კა-
ციჭამიობა, კანიბალიზმი)

ანი და ჰოე [და არა ჰაე] *ბერძნ.*
ა ლ ფ ა და ო მ ე გ ა ს ქარ-
თული კალკია – ძველი ქარ-
თული ანბანური ტრადიციის
მიხედვით

ანიმაცია: ანიმაციური (ფილ-
მი); ანიმატორი

ანიმიზმი (*ლათ.* anima = სუ-
ლი): რწმენა, წარმოდგენა, რომ-
ლის მიხედვითაც ყველა საგანს
აქვს სული

ანკლავი (*ფრანგ.* enclave): სა-
ხელმწიფოს სახმელეთო ტერი-
ტორიის განცალკევებული ნა-
წილი, რომელსაც გარშემო სხვა
სახელმწიფოს ტერიტორია აკ-
რავს

ანომალია: ანომალიური

ანონიმი (ავტორი): ანონიმური
(წერილი)

ანოტაცია; ანოტირება: ანოტი-
რებული

[ანრისხებს, ანსახიერებს, ანსხ-
ვავენს *კი არა*] არისხებს, ასახი-
ერებს, ასხვავენს (განარისხებს,
განასახიერებს, განასხვავენს)

ანსამბლი: ანსამბლური; ანსამ-
ბლურობა

ანტაგონიზმი; ანტაგონისტი:
ანტაგონისტური

ანტარქტიდა: დედამიწის სამ-
ხრეთ პოლუსის ირგვლივ მდე-
ბარე კონტინენტი

ანტარქტიკა: სამხრეთ-პოლა-
რული მხარე, რომელიც ანტარ-
ქტიდასთან ერთად მოიცავს
ატლანტის, ინდოეთისა და

წყნარ ოკეანეთა სამხრეთ ნა-
წილს ზოგიერთი ზღვითა და
კუნძულით

ანტეოსი [და არა ანთეოსი]: ბე-
რძნული მითოლოგიის გმირი,
პოსეიდონისა და გეას (მიწის
ღმერთის) ვაჟი, რომელიც უძ-
ლეველი იყო, ვიდრე მიწას ეხე-
ბოდა. დაამარცხა მხოლოდ
ჰერაკლემ, რომელმაც ანტეოსი
მიწას მოსწყვიტა, ხელში აიტა-
ცა და ისე დაახრჩო. ანტეოსი
იქცა მიწაზე მყარად მდგომი
ადამიანის ძალის განსახიერე-
ბად

ანტი...: (*ბერძნ.* anti = საპირის-
პირო, საწინააღმდეგო): რთუ-
ლი სიტყვის პირველი ნაწილი,
იწერება მომდევნო სიტყვასთან
ერთად: ანტიმეცნიერული, ან-
ტისაზოგადოებრივი, ანტისა-
ხელმწიფოებრივი, ანტიხალხუ-
რი... ანტიკორუფციული, ანტი-
ნარკოტიკული, ანტიტერორის-
ტული...

ანტიგლობალისტი: გლობა-
ლიზაციის მოწინააღმდეგე; ან-
ტიგლობალური

ანტიგონე [და არა ანტიგონა]
(*ნათ.* ანტიგონეს): თებეს მეფის,
ოიდიპოსის ქალიშვილი. მისმა
გამორჩეულმა პიროვნულმა
თვისებებმა – პრინციპულობამ
და მაღალმა ზნეობამ იგი ცნო-
ბილ ლიტერატურულ გმირად
აქცია

ანტიერაყული (სანქციები)

ანტიკვარი: ანტიკვარული; ან-
ტიკვარიატი

ანტიკონსტიტუციური

ანტიპათია: ანტიპათიური [და არა ანტიპატია, ანტიპატიური]

ანტიპარლამენტარიზმი

ანტიპოდები *მრ.* (*ბერძნ.* antipodes = ერთმანეთთან ფეხშეეცევიტ მყოფნი): დედამიწის ორ მოპირდაპირე წერტილში მცხოვრებნი ერთმანეთის მიმართ. *გადატ.* იხმარება ხასიათით ან თვისებებით დაპირისპირებულ ადამიანთა აღსანიშნავად

ანტისაზოგადოებრივი // ანტისოციალური

ანტისანიტარია: ანტისანიტარიული

ანტისემიტიზმი: ანტისემიტური

ანტიფაშისტი: ანტიფაშისტური

ანტიქრისტე: ქრისტეს მთავარი და უკანასკნელი მოწინააღმდეგე, რომელიც მეორედ მოსვლისას მოევლინება ქვეყანას და რომელსაც ქრისტე დაამარცხებს

[ანტროპოლოგი(ა), ანტროპოლოგიური, ანტროპომორფიზმი, ანტროპოსოფია, ანტროპოფაგი(ა) *კი არა*] ანტროპოლოგი(ა): ანტროპოლოგიური; ანტროპომორფიზმი; ანტროპოსოფია; ანტროპოფაგი(ა)

ანულირება: ანულირებული // **გაუქმება:** გაუქმებული

[ანცალკეეებს, ანცვიფრებს, ანხორციელებს *კი არა*] აცალკე-

ეებს, აცვიფრებს, ახორციელებს

აპარატურა: ხელსაწყოების ერთობლიობა. *ზოგჯერ* სამეცნიერო აპარატურას შეცდომით ხმარობენ ტერმინ სამეცნიერო აპარატის (ცხრილების, ლიტერატურის, ინდექსის...) ნაცვლად

აპარტამენტები *მრ.* (= დიდი და მდიდრულად მორთული ბინა, სახლი)

აპარტჰეიდი (*ინგლ.* apart+heid) (// აპართეიდი): რასობრივი დისკრიმინაციის უკიდურესი ფორმა

აპელანტი: პირი, რომელიც მიმართავს სააპელაციო სასამართლოს

აპელაცია: პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება უფრო მაღალ ინსტანციაში

აპლოდისმენტი [და არა აპლოდისმენტები]: ტაში მისალმების ან მხარდაჭერის ნიშნად. საბჭოური ხანის პრესაში რუსულის გავლენით ეს სიტყვა *ზოგჯერ* მრავლობითში იხმარებოდა

(აპნისი *ძვ.* //) იანვარი

აპრილი (// იგრიკა *ძვ.*)

არ, არა: არ(ა) ვარ /ხარ, მაგრამ არ არის; არ(ა) წევს, მაგრამ არ იწვა (ზმნისწინიანი ან ხმოვანპრეფიქსიანი ზმნების წინ არ ნაწილაკი მავრცობა-ს არ დაირთავს)

არა...: უარყოფითი ნაწილაკი, მომდევნო სიტყვასთან (*ჩვეულ*. ზედსართავთან) შერწყმულად იწერება: არაინფორმირებული, არაკომუნიკაბელური, არაკონსტიტუციური, არაკონტროლირებადი, არაკორექტული, არამართლზომიერი...; აგრ. არაკაცი, არავინ, არაერთი

არაადეკვატური [და არა არაადეკვატური]

არა არს დაფარული, რომელი არა გამოცხადნეს (*ახ. თარგმ.*: არ არსებობს დაფარული, რომ არ გამოჩნდეს): ერთ-ერთი ძირითადი სახარებისეული შეგონებაა (მრკ 4, 22; ლ 8,17)

არა არს ჰურიანება, არცა წარმართება... (*ახ. თარგმ.*: აღარ არის იუდეველი, აღარც წარმართი...): პავლე მოციქულის ეპისტოლედან გალატელთა მიმართ. აღნიშნავს ყველა ადამიანის თანასწორობას ღვთის წინაშე (ეროვნების, საცხოვრისის მიუხედავად)

არადა: მიღებული უნდა იყოს გამოთქმის (ის კი არა და) შემჭიდროების გზით და დაახლოებით ნიშნავს: თუმცა; ნათქვამის მიუხედავად. გარეგნულად ემსგავსება სხვა შინაარსის გამომხატველ გამოთქმას – არა და (< თუ არა და = თორემ, წინააღმდეგ შემთხვევაში). მომდევნო სიტყვებისაგან მძიმით გამოიყოფა (*მაგ.*, საჰმელზე უარი ვუთხარი. არადა, ძალიან მშოიდა)

არავითარი: მოითხოვს ზმნას-

თან უარყოფით არ ნაწილაკს (*მაგ.*: არავითარ ექიმს არ ცნობს), ე. ი. ქმნის ორმაგ უარყოფას

არათუ: რთული წინადადების კავშირი. მოითხოვს ზმნის წინ უარყოფითი ნაწილაკის ხმარებას, წინადადების მეორე ნაწილში კი – უმეტესად არა მ ე დ კავშირს (*მაგ.*: ეს წიგნი არათუ არ წაუკითხავს, (არამედ) არც კი გადაუთვალიერებია)

არაინფორმირებული

არაკომუნიკაბელური

არაკონსტიტუციური

არაკორექტული (ნათქვამი, საქციელი)

არამართლზომიერი

არამც და არამც: ითხოვს ზმნასთან უარყოფითი არ ნაწილაკის ხმარებას (*მაგ.*: არამც და არამც არ გეტყვი), ე.ი. ქმნის ორმაგ უარყოფას

არამცთუ: იხმარება რთულ წინადადებაში და მოითხოვს ზმნის წინ უარყოფით არ ნაწილაკს, ხოლო რთული წინადადების მეორე ნაწილში – არა მ ე დ კავშირს (*მაგ.*: ჩვენს ფეხბურთელებს არამცთუ არ მოუგიათ, არა მ ე დ დიდი ანგარიშითაც წააგეს)

არანყირება მუს.

არაორაზროვანი; არაორაზროვნად (= ერთმნიშვნელოვანი; ერთმნიშვნელოვნად)

არაორდინარული; არაორდინარულად [და არა არაორდინარული, არაორდინარულად]

არა პურითა ხოლო ცხოვნდების კაცი (ახ. თარგმ.: მხოლოდ პურით არ ცოცხლობს კაცი). მომდინარეობს ძვ. აღთქმიდან (II რჯ. 8, 3). შეგონება ადამიანს მოუწოდებს, ახსოვდეს სულიერი ფასეულობანიც, მხოლოდ ხორციელი მოთხოვნილებებით არ შემოიფარგლოს

არასამხედროვალდებული

არასგზით: მოითხოვს ზმნის წინ უარყოფითი არ ნაწილაკის ხმარებას (მაგ.: არასგზით არ წავიდა), ე.ი. ორმაგ უარყოფას

არა უშავს (რა)

არა უჭირს (რა)

არაფრით: მოითხოვს ზმნასთან უარყოფითი არ ნაწილაკის ხმარებას (მაგ.: არაფრით არ დაანება თავი სმას), ე.ი. ქმნის ორმაგ უარყოფას

არაფრის დიდებით: ქმნის ორმაგ უარყოფას – მოითხოვს არ ნაწილაკის ხმარებას ზმნის წინ (მაგ.: სტუმარმა არაფრის დიდებით არ გააცილებინა თავი მასპინძელს)

არაფრის მთქმელი (სიტყვები)

არაფულადი შესატანი: ამა თუ იმ საწარმოს დაფუძნებისას ფულის ნაცვლად ბინის, მანქანის ან სხვა უძრავ-მოძრავი ქონების გამოყენება

არ ახალთა, ძველია (მომდინარეობს "ვეფხისტყაოსნიდან")

არა ხედავ პირსა კაცისასა (ახ. თარგმ.: არ უყურებ სახეს კაცისას): სახარებისეული სიტყვებია (მ 22, 16; მრკ 12, 14). გამოხატავს მიუკერძოებლობას ადამიანთა მიმართ. მომდინარეობს ძველი აღთქმიდან (II რჯ. 1, 17)

არბიტრაჟი: სამედიატორო სამართლო

არბიტრი (1. სპორტში; 2. სასამართლოში)

ართრიტი; ართროზი [და არა არტრიტი, არტროზი]

არიადნეს [და არა არიადნას] **ძაფი:** ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, არიადნე (კრეტის მეფის მინოსის ასული) დაეხმარა ათენელ გმირს – თესევსს ლაბირინთიდან თავის დაღწევაში: მისცა ძაფის გორგალი, რომლითაც თესევსმა მოინიშნა უკან დასაბრუნებელი გზა

არიზონა: არიზონიდან, არიზონის [და არა არიზონადან, არიზონას] შტატი

არითმია: არითმიული [და არა არიტმია, არიტმიული]

არისხებს, არისხებდა [და არა ანრისხებს, ანრისხებდა] (განარისხებს); *შდრ.* დაარისხებს ზარებს

არსთა გამრიგე (= ღმერთი)

არტყამს, არტყამდა [და არა არტყავს, არტყავდა]

[არჩატარება *კი არა*] ჩაუტარებლობა

არჩევანი; არჩევან-არადანი

არჩევნები *მრ.*; საარჩევნო (კანონი, კამპანია)

არც არაფერი დავიწყებით და არც არაფერი უსწავლიათ: გამოთქმა ეკუთვნის ფრანგ ადმირალ დე პანას, რომელმაც 1796 წელს ასე შეაფასა როიალისტთა მცდელობა და იმედები სამეფო ხელისუფლების რესტავრაციისა. გამოხატავს დრომოჭმული იდეების ჯიუტ ერთგულებას, პოლიტიკური აზროვნების მოუქნელობას, ახალი რეალობის შეფასების უუნარობას

არც ერთი; არც ერთხელ: ორივე შეხამება დამატებით მოითხოვს უარყოფით არ ნაწილავს ზმნის წინ (*მაგ.*: არც ერთ თქვენგანს არც ერთხელ არ უნახავს ჩემნაირი გასაჭირი!). ორმაგი უარყოფაა

არც ერთი დღე უსტრიქონოდ (*ლათ.* Nulla dies sine linea = არც ერთი დღე უხაზოდ). პლინიუსის მიხედვით, ძველი ბერძენი ფერმწერის ნათქვამია. განზოგადდა და იქცა საერთოდ მწერლის, მხატვრის, მეცნიერის, თუნდაც ყურნალისტის პროფესიული კეთილსინდისიერების, გარჯის, დახელოვნების აუცილებელი პირობის გამომხატველად

არცთუ

არც კი

არც საკუთარ თავს (არგია), არც – სხვებს (*ლათ.* Nec sibi, nec alteri): გამოთქმა ციცერონს ეკუთვნის (ქართულად იხმარება სხვადასხვა ვარიანტით)

ასაზრდოებს, უსაზრდოებია [და არა ასაზრდოებს, უსაზრდოებია], *მაგრამ* ასაზრდოვა, ასაზრდოვეს

ასახიერებს, ასახიერებდა [და არა ანსახიერებს, ანსახიერებდა] (განასახიერებს)

ასე, ასევე [და არა ესე, ესევე]: ასე შემდეგ

ასეთი, ასეთივე [და არა ესეთი, ესეთივე]

ასეთნაირი; ასეთნაირად [და არა ესეთნაირი, ესეთნაირად]

ასე ქრება ამქვეყნიური დიდება (*ლათ.* Sic transit gloria mundi). ეს ფრაზა წარმოითქმის კათოლიკურ ეკლესიაში რომის პაპის აღსაყდრებისას. მიეწერება თომას კემპენელს. იხმარება განზოგადებული სახით სხვადასხვა სიტუაციაში, ხშირად – ირონიულადაც; მიმართავენ სპორტული ჟურნალისტებიც, როდესაც სურთ გამოხატონ სპორტული სახელისა და მიღწევების ეფემერულობა

ასე შემდეგ (*შემოკლ.*: ა. შ.)

ასტენია: ასტენიური; ასტენიკი [და არა ასტენია, ასტენიური, ასტენიკი]

ასიგნაცია, ასიგნაციები *მრ.*: ქალაქის ფული

ასიგნება: ასიგნებული [და არა ასიგნირება, ასიგნირებული]

ასოშიეტიდ-პრესი (*ინგლ.* Associated Press): აშშ-ის საინფორმაციო სააგენტო

ასოციაცია: ასოციაციური

ასოციირება: ასოციირებული (წევრი) [და არა ასოცირება, ასოცირებული]

ასტრონავიგაცია; ასტრონავტი; ასტრონავტიკა

ასტროფიზიკა: ასტროფიზიკური; ასტროფიზიკოსი

ასცდება, ასცდა, ასცდენია [და არა აცდება, აცდა, აცდენია] მას

ასწევს, ასწია [და არა აწევს, აწია]

ასხამს, ასხამდა [და არა ასხავს, ასხავდა]

ასხვავებს, ასხვავებდა [და არა ანსხვავებს, ანსხვავებდა] (განასხვავებს)

ასხია (ბევრი), *მაგრამ* ახია (ერთი)

ატაშე (*ნათ.* ატაშეს): დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელი, რომელიც ამა თუ იმ სპეციალური განხრით მუშაობს

ატაშე-კეისი: დიპლომატის ჩანთა (პორტფელი)

ატეხა [და არა ატეხვა] (განგაშისა)

ატიკური მარილი (*ლათ.* Sal atlicum). ასე უწოდებდნენ ძვ.

რომაელები ნატიფ ხუმრობას, გონებამახვილობას. შედარება ეფუძნება ატიკაში (საბერძნეთის პროვინცია) ზღვის წყლის აორთქლებით მიღებული მარილის სიწმინდეს. გამოთქმის გავრცელება მიეწერება ციცერონს (ძვ. წ. II-I სს.), რომელიც ასე ახასიათებდა ატიკელთა მჭევრმეტყველებასა და მახვილსიტყვაობას

ატლანტის ოკეანე [და არა ატლანტიკის ოკეანე]

ატორნი (// ატორნი) (ატორნი(ე)იმ, *მიც./ნათ.* ატორნი(ე)ის): რწმუნებული (ინგლისურენოვან ქვეყნებში), რომელიც იურიდიულ სამსახურს უწევს კერძო პირსა თუ კომპანიას; ითავსებს ბრალმდებლისა და დამცველის ფუნქციებსაც

აუდიენცია [და არა აუდენცია]

აუდიოლოგია (მედიცინის დარგი): აუდიოლოგიური

აუდიტი: აღრიცხვიანობის შემოწმება, რევიზია, სამეურნეო საქმიანობის ანალიზი

აუდიტორი: რევიზორი – პირი ან საბუღალტრო ფირმა, რომელიც ამოწმებს კომპანიას, ასოციაციას, ანდა კერძო მეწარმის აღრიცხვიანობას მისი სისრულის, სათანადო დოკუმენტაციასთან შესაბამისობისა და სხვა თვალსაზრისით

აუთოებს [და არა აუთოვებს], *მაგრამ* გააუთოვა (გავაუთოვე)

აუტეხია [და არა აუტეხავს]

აუქციონი: აუქციონური (ვაჭრობა)

[აულზრდია, აულნიშნავს, აულნუსხავს, აულრიცხავს, აულწერია კი არა] ალზრდია, ალუნიშნავს, ალუნუსხავს, ალურიცხავს, ალუწერია

აუწერია // **ალუწერია** [და არა აუწერნია ან აულწერია]

აფთარი [და არა გიენა, ჰიენა]

აფროდიტე [და არა აფროდიტა] (*ნათ. აფროდიტეს*):

ბერძნულ მითოლოგიაში ქალის სილამაზისა და სიყვარულის ქალღმერთი. იგივეა, რაც რომაელთა ვენერა

აფსუა: აფხაზთა თვითწოდება; ქართულ პოლიტიკურ პუბლიცისტიკაში ეს სიტყვა თავისი ვარიაციებით (აფსუა, აფსუები; აფსუური; გააფსუებული) ზოგჯერ შეუფერებლად იხმარება ეთნონიმ ა ფ ხ ა ზ (ე ბ) ი ს ა და ა ფ ხ ა ზ უ რ ი ს ნაცვლად

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა

აფხაზი, აფხაზები *მრ.:* აფხაზური (ენა) [და არა აბხაზი, აბხაზები, აბხაზური]

აქადური [და არა აკადური] ენა

აქეთ, აქეთკენ; აქედან [და არა აქით, აქითკენ, აქიდან]

აქილევსის ქუსლი: ბერძენთა უმამაცეს გმირს, ტროის ომის მონაწილეს – აქილევსს ჰქონდა

ერთადერთი სუსტი ადგილი – ქუსლი. პარისმა იგი სწორედ ქუსლში დაჭრა სასიკვდილოდ. გამოთქმა იქცა ამა თუ იმ ადამიანური სისუსტის სიმბოლოდ

აქსელერაცია (ბავშვების, მოზარდების სიმალღეში ზრდის ან სქესობრივი მომწიფების აჩქარება); აქსელერატი [და არა აქსელერანტი]

აქტივები *მრ.:* ღირებულების მქონე საკუთრება, ქონება; იგულისხმება რეალური და ფინანსური აქტივები (მიწა, შენობა, მანქანა, აღჭურვილობა...)

აქცენტირება (რისამე): აქცენტის გაკეთება (რამეზე); აქცენტირებული

აქციზი: არაპირდაპირი გადასახადი გარკვეული საქონლის მოხმარებისათვის; სააქციზო

აღდგება, აღდგა [და არა აღსდგება, აღსდგა] (ტრადიცია), *მაგრამ* ქრისტე აღსდგა!

აღდგომა: ქრისტიანული დღესასწაული (ზრწყინვალე აღდგომა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი)

აღვზრდი, აღვზარდე, აღმიზრდია, აღმეზარდა

აღვნიშნავ, აღვნიშნე, აღმინიშნავს, აღმენიშნა

აღვნუსხავ, აღვნუსხე, აღმინუსხავს, აღმენუსხა

აღვრიცხავ, აღვრიცხე, აღმირიცხავს, აღმერიცხა

აღწერ // **ავწერ**, აღწერე // ავწერე, აღმიწერია // ამიწერია, აღმეწერა // ამეწერა

აღზრდა: აღზრდილი; აღმზრდელი; აღსაზრდელი

აღთქმა: დაპირება; აღთქმის დადება. *შდრ.* აღქმა

აღთქმული (= დანაპირები) მიწა / ქვეყანა (*გადატ.*: საოცნებო, სანეტარო ქვეყანა). *შდრ.* აღქმული

აღიგავა პირისაგან მიწისა [და არა მიწისაგან პირისა]

აღიქვამს, აღიქვა, აღუქვამს (თურმე) (= შეიგრძნობს, გაიაზრებს, გააცნობიერებს)

აღიძვრება, აღიძვრებოდა [და არა აღიძრება, აღიძრებოდა], *მაგრამ* აღიძრა, აღძრულა

აღმასრულებელი ხელისუფლება (*იხ.* სამინისტროები)

აღმოსავლეთი საქართველო, აღმოსავლეთმა საქართველომ, *მაგრამ* აღმოსავლეთ საქართველოს სოფლები

აღნიშვნა: აღნიშნული, აღმნიშვნელი, აღსანიშნავი, აღუნიშნავი // აღუნიშვნელი

აღნუსხვა: აღნუსხული, აღმნუსხველი, აღსანუსხავი, აღუნუსხავი // აღუნუსხველი

აღრიცხვა: აღრიცხული, აღმრიცხველი, აღსარიცხავი, აღურიცხავი // აღურიცხველი

აღუთქვამს (= დაჰპირდება), აღუთქვა, აღუთქვამს (თურმე)

[და არა აღუთქვია]

აღუნიშნავს (თურმე), აღუნიშნა

აღუნუსხავს (თურმე), აღუნუსხა

აღურიცხავს (თურმე), აღურიცხა

აღუქვამს (თურმე), აღუქვა

აღუწერია // **აუწერია**, აღუწერა // აეწერა

აღქმა: გაცნობიერება, წვდომა (მოვლენათა აღქმა, მტკივნეულად აღქმა). *შდრ.* აღთქმა

აღქმული: გაგებული, გაცნობიერებული. *შდრ.* აღთქმული

აღწერა: აღწერილი, აღმწერი, აღსაწერი, აღუწერელი // აუწერელი

აჩენს: ბადებს, წარმოშობს. *შდრ.* აჩნევს

აჩვენებს // **უჩვენებს**, *მაგრამ* უჩვენებს სეირს (მე შენ გიჩვენებ სეირს!)

აჩიგვარა: აჩიგვარიდან, სოფ. აჩიგვარის [და არა აჩიგვარადან, აჩიგვარას] მოსახლეობა

აჩნევს: კვალს ასვამს, ატყობს. *შდრ.* აჩენს

აცალკევებს, აცალკევებდა [და არა ანცალკევებს, ანცალკევებდა], *მაგრამ* განაცალკევებს

აცდუნებს, აცდუნა, უცდუნებია [და არა აცთუნებს, აცთუნა, უცთუნებია]

აცვიფრებს, აცვიფრებდა [და არა ანცვიფრებს, ანცვიფრებდა], *მაგრამ* განაცვიფრებს

აცილება: იურ. მდგომარეობა, როდესაც მოსამართლე ჩამოშორებულია საქმის განხილვას იმ მოტივებით, რომელთა ჩამონათვალიც მოცემულია სათანადო კანონმდებლობაში

აწყვა (აწყავს): საწყაოთი აწონა, რისამე (სითხის, მარცვლეულის) ოდენობის გაგება

აწყობს (= დებს ბევრს)

აწყობს მას ის; *გოძს:* ხელს აძლევს მას; ხელსაყრელია მისთვის

ახალდაბადებული // ახალშობილი

ახალწვეული, *მაგრამ* ახლად // ახალი გაწვეული

ახლა, ახლაც, ახლაცე [და არა ეხლა, ეხლაც, ეხლაცე]

ახლანდელი [და არა ეხლანდელი]

ახლახან [და არა ახლახანს, ელახან, ელახანს]

"ახლები" "ახალი მემარჯვენეების" პარტიის წევრები

ახლომხედველი: ახლომხედველობა

ახორციელებს, ახორციელებდა [და არა ანხორციელებს, ანხორციელებდა], *მაგრამ* განახორციელებს

ახოცვინებს [და არა ახოცინებს] (= აკვლევინებს ბევრს)

აჯილდოებს, აჯილდოებდა [და არა აჯილდოვებს, აჯილ-

დოვებდა], *მაგრამ* დააჯილდოვა

აჭიონდა [და არა აქიონდა] მას

აყავს, აყავდა [და არა აყავს, აყავდა] მას

აყვება, აყვეა, აყვოლია [და არა აყვება, აყვა, აყოლია] მას

ბ

ბაბილონის გოდოლი: ითქმის დიდ არეულობაზე. განზოგადებულია ბიბლიური გადმოცემა (დაბ. 11, 1-9), რომლის მიხედვითაც მსოფლიო წარდგენის შემდეგ ადამიანებმა სცადეს ბაბილონში ცათამბჯენი კოშკის აშენება. განრისხებულმა ღმერთმა დასაჯა ისინი და ენები აურია. ერთმანეთს რომ ვეღარ გაუგეს, გაიფანტნენ და მოედგნენ მთელ დედამიწას

ბადმინტონი [და არა ბადმინტონი]: სპორტული თამაში

ბადრაგა [და არა ბადრაგი] (ბადრაგისა)

ბავარია: ბავარიელი, ბავარიელები *მრ.*; ბავარიული

ბავშვი: ბავშვური; საბავშვო; ბავშვობა [და არა ბავშური, საბავშო, ბავშობა]

ბაზისი: საზოგადოების ეკონომიკური საფუძველი. *შდრ.* ზედნაშენი

ბათუმელები [და არა ბათუმლები]

ბაიადერა [და არა ბაიადერკა] (*ნათ.* ბაიადერას): მოცეკვავე ქალი

ბაირალი (= დროშა), *მაგრამ* ბაირახტარი [და არა მებაირახტრე] // მებაირალე

ბაკალეა (ბაკალეისა) [და არა ბაკალეია]

[ბაკალი კი არა] ბოკალი

ბაკქანალია [და არა ბაკხანალია ან ვაკხანალია], *მაგრამ* ბახუსი (< ბაკქუსი)

ბალავარი (// ბალავერი) (ბალავერისა)

ბალანსირება ომის ზღვარზე *პოლიტ., ანუ* "ცივი ომი"

ბალახტარა (*ნათ.* ბალახტარას): "მეხალტურე", საქმის მიმფუჭეჩებელი

ბალი: 1. (ბლისა: ხილი); 2. (ბალისა: ქულა, ნიშანი; მეჯლისი; ქარის, მიწისძვრის, ზღვის დღე-ღვის ინტენსივობის მაჩვენებელი)

ბალი: ...ბალიანი; ათბალიანი, *მაგრამ* 10-ბალიანი

ბალისტიკა: თეორიული მექანიკის დარგი; ჭურვის მოძრაობის შემსწავლელი მეცნიერება; ბალისტიკური (რაკეტა)

ბალ-მასკარადი

ბალტიისპირა (რესპუბლიკები: ლატვია, ლიტვა, ესტონეთი)

ბალტიისპირეთი [და არა პრი-ბალტიკა]

ბანალური: გაცვეთილი; სიახლეს, ორიგინალობას მოკლებული; ბანალურობა

ბანკნოტი, ბანკნოტები *მრ.*

ბანკროტი: ვალაუფალი, გაკოტრებული პირი

ბაპტიზმი; ბაპტიისტი; ბაპტისტური (ეკლესია)

ბარბარობა [და არა ბარბალოზა]: წმ. ბარბარეს დღესასწაული

ბარონესა (*ნათ.* ბარონესას)

ბარსელონა: ქ. ბარსელონიდან, ბარსელონის [და არა ბარსელონადან, ბარსელონას] ფესტივალი

ბარტერი: ნატურალური გაცვლა, ერთი სახის საქონლის გაცვლა მეორეზე ფულის გარეშე

[ბასეინი *კი არა*] აუზი (ხმელთაშუა ზღვის აუზი)

ბასკი, ბასკები *მრ.*; ბასკეთი; ბასკური (ენა)

ბატალა, ბატალიები *მრ.*, *მაგრამ* ბატალური (სცენა)

ბატარეა [და არა ბატარია ან ბატარეია]

ბატერფლაი: სპორტული ცურვის სტილი

ბატონი: საკუთარ სახელთან ხმარებისას ასე იბრუნვის: ბატონი დავითი, ბატონმა დავითმა, ბატონ დავითს / დავითთად, ბატონი დავითის / დავითით [და არა ბატონ დავითმა / დავითის / დავითით], ბატონო დავით!

ბატონკაცური; ბატონკაცურად

ბატონყმობა; ბატონყმური (წყობილება)

ბაფთა (ბაფთისა)

ბაქანი (ბაქნისა), ბაქნები *მრ.*

ბაქიბუქი: ბაქიბუქობა (ბაქიბუქობს)

ბაქტერია: ბაქტერიული [და არა ბაქტერიალური]

ბაღდადი: ერაყის დედაქალაქი

ბაღდათი: ქალაქი და რაიონული ცენტრი საქართველოში

ბაშკირი, ბაშკირები *მრ.*; ბაშკირეთი; ბაშკირული (ენა)

ბახთიარები *მრ.* [და არა ბახტიარები]

ბახუსი, *მაგრამ* ბაკქანალია

ბებერა (*ნათ.* ბებერას)

ბებერი (ბებრისა), ბებრები *მრ.*

ბებია (ბებიისა; შინაურულად - *ნათ.* ბებიას, *მაგ.*, ბებიას სათვალები) // დიდდედა

ბებიაქალი

ბებია-შვილიშვილი (= ბებია და შვილიშვილი)

ბებიაჩემი (ბებიაშენი, ბებიაში-
სი...)

ბედად // ბედზე (= საბედნიე-
როდ)

ბედი ეწია [და არა ბედი ეწვია]

ბედის ვარსკვლავი

ბედისწერა

ბევრად მეტი; ბევრად ნაკლები

ბევრ-ბევრი (= ძალიან ბევრი),
მაგრამ ბევრი-ბევრი (= მაქსი-
მუმ ამდენი, ამაზე მეტი არა)

ბევრი წიგნი (წერილი, სტუმა-
რი...) [და არა ბევრი წიგნები /
წერილები / სტუმრები...]

[ბევრხანს *კი არა*] დიდხანს

[ბევრჯელ *კი არა*] ბევრჯერ

[ბევსტროგან(ოვ)ი, ბეფსტრო-
განი *კი არა*] ბეფსტროგანოვი
კულინ.

ბეთჰოვენი [და არა ბეთხოვე-
ნი]

ბელორუსი (= ბელორუსიის
მოქალაქე), ბელორუსები *მრ.*:
ბელორუსული (ენა); ბელორუ-
სია

ბენეფისი; ბენეფიციანტი

ბენილუქსი, ბენილუქსის ქვეყ-
ნები: ბელგიის, ნიდერლანდისა
და ლუქსემბურგის ეკონომიკუ-
რი კავშირი (შეიქმნა 1948 წ.)

ბერლინის კედელი: აიგო 1961
წ. დასავლეთ და აღმოსავლეთ
ბერლინს შორის (გერმანიის
დემოკრატიული რესპუბლიკის
მიერ) სსრკ-იდან და აღმოსავ-

ლეთ გერმანიიდან დასავლე-
თისაკენ ლტოლვილთა ნაკა-
დის შესაჩერებლად. იქცა ორ
ბანაკს შორის "ცივი ომის" სიმ-
ბოლოდ. მისი დემონტაჟი მო-
ხდა 1989 წ.

ბერმონაზონი (ბერმონაზენი-
სა), ბერმონაზენები *მრ.*; ბერმო-
ნაზენობა: ბერმონაზენური

ბერნშტაინი: ბერნშტაინელი,
ბერნშტაინელობა [და არა ბერ-
ნშტეინი, ბერნშტეინელი, ბერნ-
შტეინელობა]

ბესტსელერი (*ინგლ.*): წიგნი,
რომელიც (პოპულარობის გა-
მო) ყველაზე კარგად იყიდება

ბექთარი [და არა ბეგთარი]: *ძვ.*
მეომრის ჯაჭვის პერანგი

ბეწვის ხიდი (ბეწვის ხიდზე
გავლა)

ბზობა: ქრისტიანული დღესას-
წაული აღდგომის წინა კვირა-
დღეს (დიდებით შესვლა იერუ-
სალიმად უფლისა ჩვენისა იე-
სო ქრისტესი)

ბიათლონი; ბიათლონისტი [და
არა ბიატლონი, ბიატლონის-
ტი]

ბიბლია (*ბერძნ.* biblia = წიგნე-
ბი): "საღმრთო წერილი" - ძვე-
ლი და ახალი აღთქმის წიგნე-
ბი; ბიბლიური (გადმოცემა; სა-
ზოგადოება)

ბიზნესი; ბიზნესმენი [და არა
ბიზმესმენი]

ბიზნესკლასი; ბიზნესნომერი;
ბიზნესშოუ

ბიზნესტექნოლოგია (= ბიზნესში გამოყენებული ტექნოლოგია)

ბიტლზი (= ბიტლების ანსამბლი); აქედან: ბიტლომანია

ბიულეტენი [და არა ბიულეტინი]

ბიუროკრატია; ბიუროკრატია: ბიუროკრატიული

ბლანმანჟე (*ნათ.* ბლანმანჟეს) [და არა ბლამანჟე, ბლომანჟე]

ბლეგი

ბლოკირება [// დაბლოკვა]: ბლოკირებული

ბობსლეი (ბობსლეიმ, ბობსლეიში) *სპორტ.*

ბოდიში: ბოდიშს მოუხდის, ბოდიშის მოხდა

"ბოევიკი" (*რუს.* боевик = მეომარი, მებრძოლი): 1. უკანონო შეიარაღებული ფორმირების მეომარი; 2. სათავეგადასავლო მძაფრსიუჟეტისანი ფილმი

ბოიკოტი: ბოიკოტირება

ბოილერი (*ინგლ.*): საქვაბე

ბოიფრენდი (*ინგლ.* boyfriend = მეგობარი ვაჟი)

ბოკალი [და არა ბაკალი]

ბოლო დროს (ამ ბოლო დროს) // ბოლო ხანს, ბოლო ხანებში

ბოლოს და ბოლოს [და არა ბოლობოლო]

ბოლო წამს; ბოლო წამებში

ბოლო წუთ(ა)ს; ბოლო წუთზე; ბოლო წუთებში

ბოლო ხანს // ბოლო ხანებში // ბოლო დროს

ბოულინგი: კეგლის სპორტული ნაირსახეობა

ბრეოლინი [და არა ბრიოლინი]

ბრეხტი [და არა ბრეჰტი]: გერმანელი მწერალი

ბრინჯაოს მედლის მფლობელი [და არა ბრინჯაოსანი]

ბრიტიშ-პეტროლიუმი [და არა ბრიტიშ პეტროლიუმი]: დიდი ბრიტანეთის ნავთობის კომპანია

ბრიფინგი (*ინგლ.* brief = ხანმოკლე + -ing): ხანმოკლე თათბირი ან პრესკონფერენცია

ბროდვეი: ნიუ-იორკის კულტურული ცენტრი); ბროდვეიზე

ბროკერაჟი: საბროკერო (საკომისიო) გადასახადი, რომელსაც უხდიან ბროკერს გარიგების მომსახურებაში; *ჩვეულ.* გამოიხატება გარიგების თანხის გარკვეული პროცენტით

ბროკერი: შუამავალი პირი მყიდველსა და გამყიდველს შორის

ბროსე (*ნათ.* ბროსეს): ფრანგი ქართველოლოგი (მარი ბროსე)

ბრუკლინი [და არა ბრუქლინი]: ბრუკლინის ხიდი

ბრუტო: საქონლის საერთო წონა (ჭურჭლიანად, შეფუთვითანად). *მდრ.* ნეტო

ბრუტუსი [და არა ბრუტოსი]

ბუკმეკერი: დოლსა და სხვა საცხენოსნო ასპარეზობებზე ტოტალიზატორის მოთამაშეთა მიერ სანაძლეოდ დადებული თანხის შემგროვებელი და ჩამწერი

ბულიმია [და არა ბულემია]: ქრონიკული შიმშილის გრძობა და ამის ნიადაგზე გადაჭარბებული ჭამა (დაავადება)

ბუნდესბანკი, დოიჩე ბუნდესბანკი: გერმანიის ცენტრალური ბანკი, რომლის შტაბ-ბინაც მაინის ფრანკფურტშია

ბუნდესვერი: გერმანიის შეიარაღებული ძალების ოფიციალური სახელწოდება

ბუნდესრატი: გერმანიის, აგრ. ავსტრიის პარლამენტის ზედა პალატა, შვეიცარიაში – აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო

ბუნდესტაგი: გერმანიის პარლამენტის ქვედა პალატა

ბუცეფალი (// ბუკეფალი) (*ბერძნ.* Bucephalos "ხარისთავა"): ალექსანდრე მაკედონელის ცხენი, რომელიც ჭაბუკმა ალექსანდრემ დაიურვა; ღრმა სიბერემდე ერთგულად ემსახურა თავის პატრონს. იხმარება ირონიულადაც (ცხენის სიბერეზე აქცენტირებით) და სიყვარულითაც (ერთგული და თავდადებული პირუტყვის მისანიშნებლად)

ბ

გაანალიზებს, გაანალიზა
გააქტიურებს, გააქტიურა,
გაუაქტიურებია

გათავისუფლებს, გაათავისუფლა [და არა გაანთავისუფლებს, გაანთავისუფლა]

გამწვავოს [და არა გამწვაოს]

გასხვისებს (= სხვას გადასცემს საკუთრების უფლებას),
გაასხვისა, გაუსხვისებია

გააუვნებლებს // უვნებელყოფს, გააუვნებლა // უვნებელყო, გაუუვნებლებია // უვნებელუყვია

გააუმჯობესებს, გააუმჯობესა,
გაუუმჯობესებია

გააქვს ბურთი [და არა იტანს ბურთს], *მაგრამ* გაიტანს, გაიტანა, გაუტანია ბურთი

გააყიდვინებს, გააყიდვინა, გაუყიდვინებია [და არა გააყიდინებს, გააყიდინა, გაუყიდინებია]

გააჩნია: 1. (= აქვს, ჰქონდა): იმარება უარყოფით ა რ ნაწილაკსა და უარყოფით ნაცვალსახელებთან (არ გააჩნია; არა გააჩნია რა; არაფერი გააჩნდა);

გვხვდება რიტორიკულ კითხვაშიც (რა გამაჩნია?!); 2. (= დამოკიდებულია ამა თუ იმ გარემოებაზე): – ხომ წამოხვალ კონცერტზე? – გააჩნია, ვინ იმღერებს!

გააცალკეოს // განაცალკეოს [და არა გააცალკევოს, განაცალკევოს]

გაგზავნის, გაგზავნა [და არა გააგზავნის, გააგზავნა]

გაგიდა: გაგიდიდან, სოფ. გაგიდის [და არა გაგიდადან, გაგიდას] მოსახლეობა

გადადებს, გადადო (სხდომა ხვალისთვის), *მაგრამ* გადასდებს, გადასდო (სხვას გრიპი)

გადავვარდები, გადავვარდი, გადავვარდნილვარ მე

გადაკვეთს, გადაკვეთდა [და არა გადაჰკვეთავს, გადაჰკვეთავდა]

გადაკიდებს, გადაკიდა (სარეცხი თოკზე), *მაგრამ* გადაჰკიდებს, გადაჰკიდა (მეზობლები ერთმანეთს)

გადასდებს, გადასდო მას (გრიპი), *მაგრამ* გადადებს,

გადადო (შეხვედრა)

გადასცდება, გადასცდა, გადასცდენია მას (კურკა); იგი (საზღვარს), *მაგრამ* გადაცდება, გადაცდა, გადამცდარა (ჭკუაზე)

გადასცემია, გადასცემოდა [და არა გადაცემია, გადაცემოდა] (სიგელი) მას

გადასცემს, გადასცა [და არა გადაცემს, გადაცა] მას

გადასწევს, გადასწია [და არა გადაწევს, გადაწია]

გადასხამს (= გადასვამს ბევრს)

[გადაყავს, გადაყავდა *კი არა*] გადაჰყავს, გადაჰყავდა მას

გადაყრის, (= გადააგდებს ბევრს)

გადაწონის, გადაწონა [და არა გადასწონის, გადასწონა]

გადაწყვეტს [და არა გადასწყვეტს, გადასწყვეტავს]

[გადაჰკვეთავს, გადაჰკვეთავდა *კი არა*] გადაჰკვეთს, გადაჰკვეთდა

გადაჰკიდებს, გადაჰკიდა (მეგობრები ერთმანეთს), (ჩანთა მხარზე) მას, *მაგრამ* გადაჰკიდებს, გადაკიდა (კაბა თოკზე)

გადაჰყავს, გადაჰყავდა [და არა გადაყავს, გადაყავდა]

გადაჰყვება, გადაჰყვა, გადაჰყოლია მას

გადმოკვეთს, გადმოკვეთდა [და არა გადმოჰკვეთავს, გადმოჰკვეთავდა]

გაენალიზებინა [და არა გაენალიზებია]

გაეთავისუფლებინა [და არა გაენთავისუფლებინა, გაეთავისუფლებია]

გაეყრება, გაეყარა, გაჰყრია ცოლი ქმარს, *მაგრამ* გაიყრებიან, გაიყარნენ, გაყრილან ცოლი და ქმარი

[გაეხარდება, გაეხარდა *კი არა*] გაუხარდება, გაუხარდა

გაეხვია ის, გაეხვივნენ ისინი [და არა გაეხვა, გაეხვიენ]

გაეხმაურებინა [და არა გაეხმაურებია]

გავმხდარვარ, გავმხდარიყავი [და არა გამხდარვარ, გამხდარიყავი]

[გავს, გავდა, გვანებია *კი არა*] ჰგავს, ჰგავდა, ჰგვანებია მას

გავყვირი [და არა გავყვირივარ]

[გავხარ, (ჰ)გევხარ *კი არა*] ჰგავხარ მას

გაზაფხული; გაზაფხულზე, *მაგრამ* ზაფხულში

გათავისუფლდება // განთავისუფლდება, გათავისუფლდა // განთავისუფლდა, გათავისუფლებულა // განთავისუფლებულა

გათავისუფლება // განთავისუფლება: გათავისუფლებული // განთავისუფლებული

"გათეთრება" ფულისა: ლეგიტიმაცია უკანონო ("შავი", ე. წ.

"ჭუჭყიანი") ფულისა

გათიშე და იბატონე (ლათ. Divide et impera!): იმპერიალისტური პოლიტიკის პრინციპი

[გაიდ-პარკი კი არა] ჰაიდ-პარკი (ლონდონში)

გაითავისუფლებს [და არა გაითავისუფლებს] (თავს), გაითავისუფლა, გაუთავისუფლებია (თავი)

[გაიმორიტი კი არა] ჰაიმორიტი

გაისარჯა, გაისარჯნენ [და არა გაირჯა, გაირჯნენ]

გაიტანს ბურთს, *მაგრამ* გააქვს ბურთი [და არა იტანს ბურთს]

გაიყრებიან, გაიყარნენ, გაყრილან ცოლი და ქმარი, *მაგრამ* გაეყრება, გაეყარა, გაჰყრია ცოლი ქმარს

გაკვივის (= გაბმით კვივის), გაკვიოდა იგი, *მაგრამ* გაჰკვივის (მეზობელს)

გალა (გალისა) (*ფრანგ.*): დიდი საზეიმო სანახაობა. იხმარება სხვა სახელთან შერწყმითაც: გალა-კონცერტი – დიდი საზეიმო კონცერტი; *ჩვეულ.* გამოიყენება დამაგვირგვინებელი კონცერტის აღსანიშნავად (*მაგ.*, კონკურსის ან ფესტივალის დასასრულს)

გალური / გალიის მამალი: ასე უწოდებენ სალაღობოდ საფრანგეთსა და ფრანგებს. მამლის გამოსახულება საუკუნეების მანძილზე შედიოდა ამ

ქვეყნის ჰერალდიკაში

გამარჯვებული შეჯიბრებაში (ტურნირში, მატჩში) [და არა შეჯიბრების (ტურნირის, მატჩის) გამარჯვებული]; მომდინარეობს შესიტყვებისაგან: შეჯიბრებაში (ტურნირში, მატჩში) გაიმარჯვა

გამარჯობა, *მაგრამ* გაგიმარჯოს შენ, გაგიმარჯოთ თქვენ (პასუხად)

გამიჯნავს, *მაგრამ* გამიჯვნა [და არა გამიჯვნა]

გამოაცხობს, გამოაცხო (გამოვაცხვე, გამოვაცხვე) [და არა გამოვაცხე, გამოვაცხე], გამოუცხვია

გამოვლენა [და არა გამოვლინება]

გამოკვეთს, გამოკვეთდა [და არა გამოჰკვეთავს, გამოჰკვეთავდა]

გამოსდგომია, გამოსდგომოდა [და არა გამოდგომია, გამოდგომოდა] მას

გამოსჩენია, გამოსჩენოდა [და არა გამოჩენია, გამოჩენოდა] მას

გამოსცემს, გამოსცა [და არა გამოცემს, გამოცა]

გამოუკვეთია (თურმე) [და არა გამოუკვეთავს]

...**გამოუძიებელ არიან განკითხვანი მისნი და გამოუკვლეველ არიან გზანი მისნი** (*ახ. თარგმ.*... გონებაში უწვდომელ-

ნი არიან მისი მსჯავრნი და გამოუკვლეველნი – მისი გზანი). მედიაში ხშირად იხმარება რუსული ტექსტის პერიფრაზის "საკუთარი" თარგმანი (ზეპირ მეტყველებაში უთარგმნელადაც ხმარობენ). ქართული პერიფრაზიც კანონიკურ ტექსტს უნდა ემყარებოდეს (პავლეს ეპისტოლე. რომაელთა მიმართ 11, 33)

გამოყოფს, გამოყო [და არა გამოჰყოფს, გამოჰყო]

გამოცხადდება, გამოცხადდა, გამოცხადდეს

გამოჰკითხავს, გამოჰკითხა მან მას ის [და არა გამოკითხავს, გამოკითხა მან ის]

გამოჰპარვია, გამოჰპაროდა [და არა გამოპარვია, გამოპარვოდა] მას

გამოჰქონდა, გამოჰქონდეს [და არა გამოოქონდა, გამოოქონდეს] მას

გამოჰყავს, გამოჰყავდა [და არა გამოოყავს, გამოოყავდა] მას

-გან [და არა -დან] თანდებულის, ერთვის სახელის ნათესაობითი ბრუნვის (როგორც გავრცობილ, ისე გაუვრცობელ) ფორმას (წერილი მიიღო დედისაგან; ჯგუფი შედგება 5 კაცისაგან; გამოაქანდაკა მარმარილოსგან)

განავითარებს (განავითარა, განუვითარებია), *მაგრამ* ავითარებს

განაზოგადებს (განაზოგადა,

განუზოგადებია), *მაგრამ* აზოგადებს

განასახიერებს (განასახიერა, განუსახიერებია), *მაგრამ* ასახიერებს

განასხვავებს (განასხვავა, განასხვაოს, განუსხვავებია), *მაგრამ* ასხვავებს

განაცალკევებს (განაცალკევა, განუცალკევებია), *მაგრამ* აცალკევებს

განაცვიფრებს (განაცვიფრა, განუცვიფრებია), *მაგრამ* აცვიფრებს

განაცხადი: წერილობითი მოთხოვნა რისამე. *შდრ.* განცხადება

განაწილვადება: *იურ.* სასამართლოს მიერ ბაჟის გადამხდელისათვის ნების დართვა, გადაიხადოს ბაჟის ნაწილი იმ პირობით, რომ დარჩენილ ნაწილს მოგვიანებით დაფარავს

განახორციელებს (განახორციელა, განუხორციელებია), *მაგრამ* ახორციელებს

განზოგადება: განზოგადებული [და არა განზოგადოება, განზოგადოებული]

განთავისუფლდება // გათავისუფლდება, განთავისუფლდა // გათავისუფლდა, განთავისუფლებულა // გათავისუფლებულა

განთავისუფლება // გათავისუფლება; განთავისუფლებული // გათავისუფლებული

განიყარეთ მტუერი ფერხთა თქუენტამ (*ახ. თარგმ.*: ჩამოიბერტყეთ ფეხიდან მტვერი): მომდინარეობს სახარებიდან (მ 10, 14; მრკ 6, 11; ლ 9,5). საფუძვლად უდევს ძველი ებრაული ჩვეულება: პალესტინაში დაბრუნებული მგზავრი ფეხიდან ჩამოიბერტყავდა წარმართთა ქვეყნებში დადებულ მტვერს. გამოხატავს ვინმესთან კავშირის გაწყვეტას, ძველი სიახლოვის უარყოფას

განნალმვა (განნალმვას): ნაღმი-საგან გაწმენდა

განსაზღვრა: დეფინიცია, განმარტება

განსაზღვრება: *გრამ.* წინადადების წევრი

განტევების ვაცი: მომდინარეობს ძველი აღთქმიდან (ლევიტელთა 16, 21-22). ძველი ებრაელები ვაცს (რომელიც სამსხვერპლო პირუტყვი იყო) რჯულისამებრ უდაბნოში ატანდნენ ყველა ცოდვას. მეტაფორულად აღნიშნავს ისეთ ვაცს (შესაძლოა, ქვეყანასაც), რომელსაც ჰბრალდება სხვათა ცოდვები

განჩინება: სასამართლოს მიერ მიღებული დოკუმენტი, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება და წარმოდგენს რაიმე პროცესობრივი მოქმედების ან სხვა კანონმდებლობით გათვალისწინებული მოქმედების ნებართვას

განცხადება: ოფიციალური ინდივიდუალური ან ჯგუფური

მიმართვა. *შდრ.* განაცხადი

განწყობა *ფსიქ.*: განწყობის თეორია

განწყობილება: გუნება, ხასიათი (*მაგ.*: მხიარული / ნაღვლიანი / პანიკური... განწყობილება [და არა განწყობა])

გარდა: ჩემ / შენ / ჩვენ / თქვენ გარდა [და არა ჩემს / შენს / ჩვენს / თქვენს გარდა]

გარდაცვალება // სიკვდილი (სიკვდილამდე ერთად ყოფნა, სიკვდილ-სიცოცხლე, *მაგრამ* გარდაცვალების მოწმობა, დაბადება-გარდაცვალების თარიღები)

გარდაცვლილი: აწ გარდაცვლილი // აწ განსვენებული (ახლად გარდაცვლილი პირის ხსენებისას)

გარეთ [და არა გარედ]

გასავალი *ეკონ.* (გასავლისა)

გასრესს [და არა გასრისავს]

გასტროლი, **გასტროლები** *მრ.*

გასულ წელს (= შარშან); *იხ.* (...) წელს

გაცდება, **გაცდა**, **გაცდენია** მას (სახლს), *მაგრამ* **გაცდება**, **გაცდა**, **გამცდარა** (გაკვეთილი)

გაცლია, **გაცლოდა** [და არა **გაცლია**, **გაცლოდა**] მას

გასწევს, **გასწია** [და არა **გაწევს**, **გაწია**]

[**გასწირავს**, **გასწირა** *კი არა*] **გაწირავს**, **გაწირა** (თავი)

გასჭირვებია, გასჭირვებოდა
[და არა გაჭირვებია, გაჭირვე-
ბოდა] მას

გასჯავრებია, გასჯავრებოდა
[და არა გაჯავრებია, გაჯავრე-
ბოდა] მას

გატეხა (გატეხს) [და არა გატეხ-
ვა, გატეხავს], *მაგრამ* დაამტვ-
რევს, დაამტვრია (ბევრი)

გატყდება, გატყდა (ერთი),
მაგრამ დაიმტვრევა, დაიმ-
ტვრა (ბევრი)

გაუნალიზებია, გაეუნალიზე-
ბინა

გაუაქტიურებია, გაეაქტიურე-
ბინა

გაუთავისუფლებია, გაეთავი-
სუფლებინა [და არა გაუნთავი-
სუფლებია, გაენთავისუფლე-
ბი(ნ)ა]

გაუკვალავს // **გაუკვლევს**, გა-
უკვალა // **გაუკვლია**, გაუკვა-
ლავს // **გაუკვლევია** (მას გზა)

გაულანძღავს (თურმე) [და არა
გაულანძღია]

გაუმარჯვია, გაემარჯვა [და
არა გაუმარჯვნია, გაემარჯვნა]

გაუხარდება, გაუხარდა [და
არა გაეხარდება, გაეხარდა]

გაყვირი [და არა გაყვირიხარ],
მაგრამ გაჰყვირი (მეზობელს)

[გაყიდვაშია კი არა] იყიდება

გაყიდის, გაყიდდა [და არა გა-
ჰყიდის, გაჰყიდიდა]

გაყოფს, გაყო, გაუყვია (ორად),

მაგრამ დაყოფს, დაყო, დაუყ-
ვია (ორზე მეტ ნაწილად)

გაყრის, გაყარა ისინი, *მაგრამ*
გაჰყრის, გაჰყარა იგი მას

გამიფვრა [და არა გამიფრვა]
(გამიფრავს)

გაწვრთნა; გაწვრთნის; გაწვრ-
თნილი [და არა გაწრთვნა, გა-
წრთვნის, გაწრთვნილი]

გაწირავს, გაწირა [და არა გას-
წირავს, გასწირა] (თავი სამშობ-
ლოსათვის), *მაგრამ* შესწი-
რავს, შესწირა (თავი შვილს)

გაწყდება, გაწყდა, გამწყდარა //
გაწყვეტილა (საქონელი), *მაგ-
რამ* მოკვდება, მოკვდა, მომკვ-
დარა (ძროხა)

გაჭრის, გაჭრა, გაუჭრია (პური
შუაზე), *მაგრამ* დაჭრის, დაჭ-
რა, დაუჭრია (პური ნაჭრებად)

გაჰკვირვებია, გაჰკვირვებოდა
[და არა გაკვირვებია, გაკვირ-
ვებოდა] მას

გაჰფუჭებია, გაჰფუჭებოდა [და
არა გაფუჭებია, გაფუჭებოდა]
მას

გაჰქონდა, გაჰქონდეს [და არა
გაქონდა, გაქონდეს] მას

გაჰქცევია, გაჰქცეოდა [და არა
გაქცევია, გაქცეოდა] მას

გაჰყავს, გაჰყავდა [და არა გა-
ყავს, გაყავდა] მას

გაჰყვება, გაჰყვა, გაჰყოლია [და
არა გაყვება, გაყვა, გაყოლია]
მას

გგავარ [და არა გგევარ]

გდია, ეგდო (ერთი), მაგრამ ყრია, ეყარა (ზევრი)

[გებულობს, გებულობდა კი არა] იგებს, იგებდა

[გევხარ, გავხარ კი არა] ჰგავხარ

გეიზერი [და არა ჰეიზერი]

გელაპის გამოკითხვები:

უკავშირდება ამერიკელი სოციოლოგის – ჯორჯ გელაპის სახელს. მან პირველმა შეიმუშავა (1930-იან წლებში) საპრეზიდენტო არჩევნებისათვის საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მეტ-ნაკლებად გამართული მოდელი, რომელსაც ამჟამადც წარმატებით იყენებენ არჩევნების შედეგების პროგნოზირებისას

[გემოგლობინი კი არა] ჰემოგლობინი

[გემოფილია კი არა] ჰემოფილია

გენეალოგია: გენეალოგიური [და არა გენიალოგია, გენიალოგიური]

გენერალი (გენერლის, გენერლით, გენერლები მრ.); გენერალო!

გენერალი ლესელიძე, გენერალმა ლესელიძემ, გენერალ ლესელიძეს / ლესელიძედ / ლესელიძის / ლესელიძით [და არა გენერალ ლესელიძემ, გენერალი ლესელიძის / ლესელიძით], გენერალო ლესელიძე(ვ)!

გეოგრაფიული ცნება: პოლი-

ტიკური გამონათქვამია, ეკუთვნის XIX საუკ. ავსტრიის კანცლერს, მეტერნიხს, რომელსაც იტალიის დასამცირებლად უთქვამს: "იტალია გეოგრაფიული ცნებაა". გამონათქვამი ნიშნავს, რომ ესა თუ სახელმწიფო მხოლოდ ნომინალურად არსებობს და არ შეესატყვისება თავის პოლიტიკურ სტატუსს

გეოპოლიტიკური (მიზნები; მდებარეობა; სივრცე)

გეოსტრატეგიული (ინტერესები, მიზნები)

გერბი [და არა ღერბი]

გვატემალა: გვატემალიდან, გვატემალის [და არა გვატემალადან, გვატემალას] მოსახლეობა

გზავნის, გზავნიდა [და არა აგზავნის, აგზავნიდა] (წერილს, შიკრიკს)

გინეკოლოგი; გინეკოლოგია: გინეკოლოგიური [და არა გენიკოლოგი(ა), გენიკოლოგიური, გინიკოლოგი(ა), გინიკოლოგიური]

გიორგობა: წმ. გიორგისადმი მიძღვნილი ქრისტიანული დღესასწაული

(გიორგობისთვე //) ნოემბერი

[გიპერტონია, გიპოტონია კი არა] ჰიპერტონია, ჰიპოტონია

[გიპნოზი კი არა] ჰიპნოზი

გირაოდ მიცემა: გირაოდ მიცემული // დაგირავება: დაგირავებული

[გირდგენტ *კი არა*] წარმო-
გირდგენტ (დისერტაციას, საბუ-
თებს)

[გიტი *კი არა*] ჰიტი (*მნიშვნ.* 2)

გლეჯა [და *არა* გლეჯვა]

გლეჯს, გლეჯდა [და *არა* გლი-
ჯავს, გლიჯავდა]

გლობალიზაცია: საყოველთაო
და სრული ეკონომიკური ინტე-
გრაცია

გლობალიზმი; გლობალისტი;
გლობალური

გოგი და მაგოგი: უსასტიკესი
მეფე გოგი და მისი ხალხი მა-
გოგი მოიხსენიებიან ბიბლია-
ში (ეზეკიელი 38-39; იოანეს
გამოცხადება 20,7). ეს ქვეყანა
ეგულებოდათ შორეულ ჩრდი-
ლოეთში. XIX ს. ქართულ პრე-
სასა და მწერლობაში გოგი და
მაგოგი გამოხატავდა ჩრდილო-
ეთის ველურ დამპყრობლებს

გოდოს მოლოდინ(შ): გამო-
ჩენილი თანამედროვე ავან-
გარდისტის ს. ბეკეტის გახმაუ-
რებული პიესის სათაურია, რო-
მელიც 1960-იანი წლებიდან
ლიტერატურასა და პრესაში ხა-
ტოვან გამოთქმად იქცა. ასახავს
აბსურდულ ყოფაში მოქცეუ-
ლი სასოწარკვეთილი ადამიან-
ების ამაო, გაუცნობიერებელ
და უსასრულო მოლოდინს,
მათს მარტოსულობასა და
უნუგემობას

გოლგოთა (*არამ.* *სიტყვ.* = თა-
ვის ქალა): ბორცვი იერუსალი-
მის მიდამოებში, სადაც ჯვარს

აცვეს იესო ქრისტე. *გადატ.* აღ-
ნიშნავს ვინმეს ფიზიკურსა და
სულიერ ტანჯვას, მოწამეობას

გოლიზმი: ფრანგული პოლი-
ტიკური მოძრაობა. იგი მხარს
უჭერს მტკიცე ხელისუფლებას,
რომელსაც ჰყავს ძლიერი ლი-
დერი (მომდინარეობს შარლ დე
გოლის გვარისგან)

[გომეოპათია, გომეოპატია *კი
არა*] ჰომეოპათია

[გომოსექსუალიზმი, გომოსექ-
სუალისტი *კი არა*] ჰომოსექსუ-
ალიზმი; ჰომოსექსუალისტი]

გონებამახვილი: გონებამახვი-
ლობა

[გონია, გონებია, გონებოდა *კი
არა*] ჰგონია, ჰგონებია, ჰგონე-
ბოდა მას

გონიერი (ადამიანი), *მაგრამ*
გონიერული (გადაწყვეტილება)

[გონკონგი *კი არა*] ჰონკონგი

გორდიას კვანძი: ძველი ბერძ-
ნული ლეგენდის მიხედვით,
ასე ერქვა ჩახლართულ კვანძს,
რომლითაც ფრიგიის მეფე გო-
რდიამ უღელი ურმის ხელნას
ჩააბა. წინასწარმეტყველების
თანახმად, ამ კვანძის გამხსნე-
ლი მსოფლიო ბატონობას მოი-
პოვებდა. ალექსანდრე მაკედო-
ნელმა ეს კვანძი ხმლით გაკვე-
თა. გამოთქმა ხატოვნად ასა-
ხავს ჩახლართულ, აბსურდულ
ვითარებას, ხოლო მისი გაკვე-
თა – რთული პრობლემის
სწრაფ, თამამ, უყოყმანო, თავ-
დაჯერებულ გადაწყვეტას

[გორიზონტი, გორიზონტალური კი არა]: ჰორიზონტი: ჰორიზონტალური

გრანდი, გრანდები *მრ.*: დიდებულიების მემკვიდრეობითი წოდება ესპანეთში; *გადატ.* ითქმის საუკეთესო სპორტსმენებზე, *განსაკ.* გუნდებზე (ფეხბურთელებზე, მოჭადრაკეებზე...)

გრან-პრი (*ფრანგ.* grand prix): მთავარი პრიზი

გრანტი (*ინგლ.* grant = საჩუქარი); გამოიყენება ამა თუ იმ დარგში მნიშვნელოვანი პროექტის დასაფინანსებლად

გრებს, გრებსდა [და არა გრიხავს, გრიხავდა]

"გრინპისი" (*ინგლ.* Greenpeace = "მწვანე მშვიდობა"): საზოგადოებრივი მოძრაობა. იგი წამოიწიეს 1971 წ. ჩრდილოამერიკელმა აქტივისტებმა, რომლებიც პატარა გემით შევიდნენ ამერიკული ატომური ბომბების გამოცდის ზონაში ალასკის ნაპირებთან. ამჟამად "გ." გარემოს დაცვისადმი მიძღვნილი კამპანიების უდიდესი ორგანიზატორია. მოძრაობაში აღრიცხულია 4,5 მლნ. მომხრე მსოფლიოს 158 ქვეყანაში. საერთაშორისო ცენტრები აქვს 31 ქვეყანაში

გუდამაყარი (გუდამაყრისა): გუდამაყრელი, გუდამაყრული

გულისყური; გულისყურით; უგულისყურო; უგულისყუროდ

გულისხმიერი: გულისხმიერება

გულშემატკივარი (გულშემატკივრები *მრ.*)

[გუმანიზაცია, გუმანიზება კი არა] ჰუმანიზაცია; ჰუმანიზება

[გუმანიტარული, გუმანური კი არა] ჰუმანიტარული; ჰუმანური

[გუმანოიდი კი არა] ჰუმანოიდი

გუმისთა: *მდ.*, *სოფ.* გუმისთიდან, გუმისთის [და არა გუმისთადან, გუმისთას] ხეობა

გყავარ [და არა გყევარ]

დ

დააარსებს, დააარსა, დაუარსებია

დააბეჭდვინებს, დააბეჭდვინა, დაუბეჭდვინებია [და არა დააბეჭდინებს, დააბეჭდინა, დაუბეჭდინებია]

დააგვიანდება, დააგვიანდა, დაჰგვიანებია მას

დააგვიანებს, დააგვიანა, დაუგვიანებია მას ის

[დააგზავნის, დააგზავნა კი არა] **დაგზავნის, დაგზავნა**

დაადებს, დაადო (დავადე, დაადე), დაუდვია

დააზრობს, დააზრო (ყინვამ ვენახი)

დააზღვევს, დააზღვია, დაუზღვევია

დაათესვინებს, დაათესვინა, დაუთესვინებია [და არა დაათესინებს, დაათესინა, დაუთესინებია]

დაათვალიერებს, დაათვალიერა, დაუთვალიერებია

დაათრობს, დაათრო (დავათვრე, დაათვრე [და არა დავათვრე, დაათვრე], დაუთვრია

დააკარგვინებს, დააკარგვინა, დაუკარგვინებია [და არა დააკარგინებს, დააკარგინა, დაუკარგინებია]

დააკლებს, დააკლო (დავაკელი, დააკელი) [და არა დავაკლე, დააკლე]

დაალაშქვრინებს, დაალაშქვრინა, დაულაშქვრინებია [და არა დაალაშქრინებს, დაალაშქრინა, დაულაშქრინებია]

დაალეწვინებს, დაალეწვინა, დაულეწვინებია [და არა დაალეწინებს, დაალეწინა, დაულეწინებია]

დაამახსოვრდება [და არა დაამახსოვდება, დაამახსოვდება]

დაამსგავსებს [და არა დაამგვანებს]

(დაამჩნევს, დაამჩნია, დაუმჩნევია //) **დააჩნევს, დააჩნია, დაუჩნევია (კვალი)**

დაამწნილებს [და არა დააწნილებს]

დაანალმვინებს, დაანალმვინა, დაუნალმვინებია [და არა დაანალმინებს, დაანალმინა, დაუნალმინებია]

დაანახვებს, დაანახვა, დაუნახ-
ვებია [და არა დაანახებს, დაა-
 ნახა, დაუნახებია]

დაანიშვნილებს, დაანიშვნიდა,
დაუნიშვნიებია [და არა დაა-
 ნიშნიებს, დაანიშნიდა, დაუნი-
 შნიებია]

დაანომვრინებს, დაანომვრინა,
დაუნომვრინებია [და არა დაა-
 ნომრინებს, დაანომრინა, დაუ-
 ნომრინებია]

დააპკურებს [და არა დააპკუ-
 რებს]

დაარეგულირებს, დაარეგუ-
ლირა, დაურეგულირებია [და
 არა მოარეგულირებს, მოარე-
 გულირა, მოურეგულირებია]
 (ზოგჯერ ჯობს: მოაწესრიგებს,
 მოაგვარებს)

დაარტყამს [და არა დაარ-
 ტყავს]

დაასწრებს, დაასწრო (დავას-
 წარი, დაასწარი) [და არა
 დავასწრე, დაასწრე]

დაატყობს, დაატყო (დავატყვე,
 დაატყვე) [და არა დავატყე, და-
 ატყე], დაუტყვია

დააუთოებს, მაგრამ დააუთოვა

დააუშნოებს, მაგრამ დააუშ-
ნოვა

დააფიქსირებს, დააფიქსირა,
დაუფიქსირებია (ზოგჯერ უმ-
 ჯობესია: აღნიშნავს, აღნუს-
 ხავს)

დააფრთხობს [და არა დააფ-
 თხობს]

დააქორწინებს [და არა დააქო-
 რწილებს]

დააღწევს [და არა დაახწევს]

და ა. შ. (შემოკლ. = და ასე შემ-
 დებ) [და არა: და ესე შემდებ]

დააჩნევს, დააჩნია, დაუჩნევია
 (კვალი) (// დაამჩნევს, დაამჩ-
 ნია, დაუმჩნევია)

დააცალკეოს [და არა დააცალ-
 კეოს]

დააცდევინებს, დააცდევინა,
დაუცდევინებია

დააცდენინებს, დააცდენინა,
დაუცდენინებია (სიტყვა)

დააცხობს, დააცხო (დავაცხვე,
 დააცხვე) [და არა დავაცხე, და-
 აცხე], დაუცხვია

[დააწნილებს კი არა] დაამწნი-
 ლებს

დააწყობს (= დადებს ბევრს),
დააწყო (დავაწყვე, დააწყვე) [და
 არა დავაწყე, დააწყე], დაუწყ-
 ვია

დაახლოებულან, დაახლოებუ-
ლიყვნენ [და არა დაახლოვებუ-
 ლან, დაახლოვებულიყვნენ]

დაახრჩობს, დაახრჩო (დავახრ-
 ჩვე, დაახრჩვე) [და არა დავახრ-
 ჩე, დაახრჩე], დაუხრჩვია

[დაახსოვდება, დაახსომდება
 კი არა] დაამახსოვრდება

დაახრჩობს, დაახრჩო

დაახუჭვინებს, დაახუჭვინა
 [და არა დაახუჭინებს, დაახუ-
 ჭინა]

დაბანა [და არა დაბანვა]
დაბეგვრა [და არა დაბეგრვა]
დაბზუის იგი, *მაგრამ* დაპბ-
 ზუის იგი მას
 [დაბოლოს //] დასასრულ (მომ-
 დევნო ტექსტს მძიმით ემიჯნება)
 [დაბრალდება, დაბრალდა, და-
 ბრალუბია *კი არა*] დაპბრალდე-
 ბა, დაპბრალდა, დაპბრალუბია
 მას
 [დაბრუნებია, დაბრუნებოდა
კი არა] დაპბრუნებია, დაპბრუ-
 ნებოდა მას
დაგდევს [და არა დაგსდევს] ის
 შენ
დაგზავნის, დაგზავნა [და არა
 დააგზავნის, დააგზავნა]
დაგლეჯს [და არა დაგლიჯავს]
დაგრებს [და არა დაგრიხავს]
დადგამს, დადგამდა [და არა
 დადგავს, დადგავდა]
დადებს, დადო, დაუდვია (ერ-
 თი), *მაგრამ* დააწყობს, დაა-
 წყო, დაუწყვია (ზევერი)
დადებს (წიგნს; ფიცს; თავს),
მაგრამ დასდებს (პატივს) მას
დაეკარგება, დაეკარგა, დაპკა-
 რგვია: ეს ფორმები მოქმედე-
 ბის უნებლილობას გამოხატავს.
 ამიტომ ზარალის აღსანიშნა-
 ვად სწორედ მათი გამოყენე-
 ბაა უფრო შესაფერისი, ვიდ-
 რე დაკარგავს, დაკარ-
 გა, დაუკარგავს ფორმე-
 ბისა (*მდრ.*: ფული დაეკარგა,

მაგრამ სინდისი სულ დაკარ-
 გა)
დაეკვრება, დაეკრა [და არა და-
 ეკრობა, დაეკრო]
დაემსგავსება [და არა დაემგვა-
 ნება]
დაენახვება, დაენახვა, დანახ-
 ვებია [და არა დაენახება,
 დაენახა, დანახებია]
დაესხმება // *ძვ.* დაესხმის
დაეყენებინა, დაეყენებინოს
 [და არა დაეყენებია, დაეყენე-
 ბიოს]
დაეჩვია ის, *მაგრამ* დაეჩვიე-
 ნენ [და არა დაეჩვიენ] ისინი
დაეწება // *ძვ.* დაეწვის
დაეწია ის, *მაგრამ* დაეწივნენ
 [და არა დაეწიენ] ისინი
დაეწყება, დაეწყო, დასწყებია]
 (მეცადინეობა)
დავიწყებია [და არა დავიწყ-
 ნია]
დავიწყეთ იმით [და არა იქი-
 დან], რომ...
 [დავობს *კი არა*] დაობს, დაობ-
 და, *მაგრამ* იღავა, უღავია
დათვრება [და არა დაითვრება,
 დაითრობა]
დაიგვიანებს, დაიგვიანა, დაუ-
 გვიანია [და არა დაუგვიანებია]
დაიკვებნის, დაიკვებნიდა, *მა-
 გრამ* დაიკვება, დაიკვებოს,
 დაუკვებია // დაუკვებნია
დაიმარტოებს [და არა დაიმარ-

ტოვებს], *მაგრამ* დაიმართოვა
დაინთქმება, დაინთქა, დაინთქ-
მულა

დაიპყრობს, დაიპყრო (დავიპყ-
ყარი, დაიპყარი) [და არა და-
ვიპყრე, დაიპყრე], დაუპყრია

დაირქმევს [და არა დაირქვამს]
(სახელს)

დაისმება, დაისმებოდა [და არა
დაისმევა, დაისმეოდა] // ძვ.
დაისმის, დაისმოდა (საკითხი)

დაიცადე! // დაიცა! საუბ.

დაიძვრება, დაიძვრებოდა //
ძვ. დაიძვრის, დაიძვროდა

დაიხოცა (= მოკვდა ბევრი)

დაიხსომებს, დაიხსომა, დაუხ-
სომებია

დაიხშობა [// დაიხშევა] (ხმა)

დაკარგავს, დაკარგა, დაუკარ-
გავს [და არა დაჰკარგავს, დაჰ-
კარგა, დაუკარგია]: ეს ფორმები
ნიუანსობრივად ემიჯნება უნე-
ბლიობის გამომხატველ ფორ-
მებს (*შდრ.*: სად დაკარგე სინ-
დისი? *მაგრამ* სად დაგეკარგა
საფულე?)

[დაკარგვია, დაკარგ(ვ)ოდა კი
არა] დაჰკარგვია, დაჰკარგოდა
მას

დაკეცავს, დაკეცა, დაუკეცავს
(თურმე) [და არა დაუკეცია]

[დაკვირვებია, დაკვირვებოდა
კი არა] დაჰკვირვებია, დაჰკ-
ვირვებოდა მას

დაკითხავს, დაკითხა, დაუკი-

თხავს (თურმე) იგი [და არა და-
ჰკითხავს, დაჰკითხა, დაუკით-
ხია]

დაკრული [დაკრობილი კი არა]

დალაი-ლამა (*ნათ.* დალაი-ლა-
მას): ტიბეტის უმაღლესი
ხელისუფალი და სულიერი
წინამძღოლი

დალეწავს, დალეწა, დაულე-
წავს (თურმე) [და არა დაულე-
წია]

დალეწვია, *მაგრამ* დალეწოდა
[და არა დალეწვოდა]

დამავალი // დადმავალი (ტო-
ნი)

და მაინც: იწყებს წინამავალ
მსჯელობასთან დაპირისპირე-
ბულ ფრაზას და მიიმეს დაირ-
თავს (*მაგ.*: და მაინც, ამას არა-
ნაირი შედეგი არ მოჰყოლია)

დამარწმუნებელი (არგუმენ-
ტი), *მაგრამ* სარწმუნო (წყარო)

დამაქცეველი // დამქცევი

[დამგვანება კი არა] დამსგავსე-
ბა

დამზრალი [და არა დამძრა-
ლი] (ყინვისაგან)

დამთავრდა, დასრულდა [და
არა მორჩა] სხდომა (ფილმი,
გაკვეთილი), *მაგრამ* გათავდა
და მორჩა!

და მისთ. (*შემოკლ.* = და მი-
სთანანი, და მისთანათა –
კონტექსტის მიხედვით)

დამოკლეს მახვილი: მომდინა-

რეობს ძველი ბერძნული თქმულებიდან: სირაკუსელმა ტირანმა დიონისე უფროსმა (ძვ. წ. V-IV სს.) ერთი ნადიმის დროს თავის სკამზე დასვა დაახლოებული პირი დამოკლე, რომელიც შურით დიონისეს უბედნიერეს ადამიანად მიიჩნევდა. ზევით რომ აიხედა, დამოკლემ დაინახა ზედ მის თავზე ცხენის ძუით დაკიდებული ბასრი მახვილი, როგორც სიმბოლო იმ საფრთხისა, რომელიც ნიადაგ ემუქრება გარეშე თვალისათვის ბედნიერ და მორკმულ მბრძანებელს. გამოთქმა გამოხატავს ისეთ რეალურ საფრთხეს, რომელიც ყოველ წამს ემუქრება რაიმე წამოწყებას, გადაწყვეტილებას ან თვით ადამიანს

დამსგავსება [და არა დამგვანება]

დამყნობილი (ამყნობს) // **დამყნილი** (ამყნის)

დამწვარ-დადაგული

დამხვდომი // **დამხვედრი** // **დამხვდური**

[-დან კი არა] - გან თანდებული: მასალის აღმნიშვნელი სახელი (თიხა, ქსოვილი, მარმარილო...), რომლისგანაც რაიმეს აკეთებენ, - გან თანდებულიან ნათესაობითში დაისმის (თიხისაგან გამოძერწა, ტილოსაგან შეკერა, მარმარილოსაგან გამოაქანდაკა...). - დ ა ნ ელემენტიან ფორმათა ხმარება ამ შემთხვევაში შეუფერებელია

დანაბარები [და არა დანაბარევი]

დანასკვი ლოგ. (= დასკვნა): წანამძღვარი და დანასკვი

დანადლევება (დანადლევებიანი) [და არა დანიძლავება, დანიძლავებია]

დანთქავს, **დანთქა**, **დაუნთქავს** (თურმე), **მაგრამ** **დანთქმა**

დანიშნავს, **დანიშნა**, **დაუნიშნავს** (თურმე) [და არა დაუნიშნია]

დანომერა: **დანომრილი**, **მაგრამ** **ნუმერაცია**

დანომრავს, **დანომრა**, **დაუნიომრავს** (თურმე) [და არა დაუნიომრია]

დაობს, **დაობდა** [და არა დავობს, დავობდა], **მაგრამ** **იდავა**

[დაპირდება, დაპირდა მან კი არა] **დაპირდება**, **დაპირდა**, **დაპირებია** იგი მას

დარეგულირება: **დარეგულირებული** [და არა მორეგულირება, მორეგულირებული] (*ზოგჯერ უმჯობესია*: **მოწესრიგება**; **მოწესრიგებული** // **მოგვარება**; **მოგვარებული**)

დასავლეთი: **აღნიშნავს დასავლეთ ევროპას**, **აშშ-სა და სხვა**, **ევროპელებით დასახლებულ ქვეყნებს**

დასავლეთი საქართველო [და არა დასავლეთ საქართველო], **მაგრამ** **დასავლეთ საქართველოს სოფლები**

დასასრულ [და არა დასასრულს] (= ბოლოს): ჩართული სიტყვაა და მომდევნო ტექსტისაგან მძიმით გამოიყოფა (მაგ.: დასასრულ, შევაჯამოთ ყოველივე ზემოთქმული, მაგრამ მოხსენების / კონცერტის... დასასრულს)

დასდგომია, დასდგომოდა [და არა დადგომია, დადგომოდა] (თავზე) მას

დასდებს (პატივს) მას, *მაგრამ* დადებს (წიგნს; ფიცს; თავს)

დასთანხმდება (= დაეთანხმება), დასთანხმდა, დასთანხმებია მას, *მაგრამ* დათანხმდება (= თანხმობას განაცხადებს), დათანხმდა, დათანხმებულა (წინადადებაზე)

დასუნა მან იგი [და არა მან მას], *მაგრამ* უსუნა მან მას

დასძენს, დასძინა

[დასძრავს, დასძრა *კი არა*] დაძრავს, დაძრა (მანქანა)

დასწურავთ კურნაქსა და აქლემსა შთანთქამთ (*ახ. თარგმ.*: გადაწურავთ ქინქლს და აქლემს *კი* შთანთქავთ): მომდინარეობს სახარებიდან (მ 23, 24). ითქმის ისეთ ადამიანებზე, რომლებიც წვრილმანებში პრინციპულობას იჩენენ, მნიშვნელოვან, დიდ საქმეებში *კი* – უპრინციპონი და უსინდისონი არიან

დასწყდება, დასწყდა, დასწყდომია // დასწყვეტია მას (გული), *მაგრამ* დაწყდება, დაწყ-

და, დამწყდარა (წყალი)

დასწყვეტს, დასწყვიტა (გული), მას, *მაგრამ* დაწყვეტს, დაწყვიტა (ყვავილები)

დასჭირდება, დასჭირდა, დასჭირვებია [და არა დაჭირდება, დაჭირდა, დაჭირვებია] მას

დასხამს (= დასვამს ბევრს)

დასხდებიან, დასხდნენ, დამსხდარან ისინი, *მაგრამ* დაჯდება, დაჯდა, დამჯდარა ის

და სხვ. (*შემოკლ.* = და სხვა, აგრ. და სხვები / სხვანი / სხვათა – კონტექსტის მიხედვით)

დასჯერდება, დასჯერდა, დასჯერებია [და არა დაჯერდება, დაჯერდა, დაჯერებია] მას

დატოვებს, დატოვა [და არა დასტოვებს, დასტოვა]

დაუბეჭდავს (თურმე) [და არა დაუბეჭდია]

დაუბომბავს (თურმე) [და არა დაუბომბია]

დაუგვიანდება, დაუგვიანდა, დაჰგვიანებია მას

დაუგვიანებს, დაუგვიანა, დაუგვიანებია მისთვის

დაუკითხავს (თურმე) [და არა დაუკითხია]

დაურტყამს (თურმე) [და არა დაურტყია]

დაუტუქსავს (თურმე) [და არა დაუტუქსია]

დაუხატავს (თურმე) [და არა დაუხატია]

დაუხედავს (თურმე) [და არა დაუხედაია]

დაფინანსება (//ფინანსირება)

დაფიქსირება: დაფიქსირებული

დაფლეთს, დაფლეთდა [და არა დაფლითავს, დაფლითავდა]

დაფრანკვის პრივილეგია:

კონგრესმენის ერთ-ერთი პრივილეგია წერილების უფასოდ გაგზავნისა. ასეთი წერილებით ამომრჩევლებს ეცნობება კანონმდებელთა ვინაობა, საქმიანობა, მიღწევები და პერიოდულად მიეწოდება სხვადასხვა სახის ინფორმაცია მიმდინარე მოვლენების შესახებ

დაქრის, დაქროდა [და არა დაჰქრის, დაჰქროდა]

დაღმავალი // **დამავალი** (ინტონაცია)

დაყნოსა მან ის [და არა მან მას], *მაგრამ* უყნოსა მან მას

დაყოფს, დაყო [და არა დაჰყოფს, დაჰყო] (რამდენიმე ნაწილად), *მაგრამ* გაყოფს, გაყო (ორად)

დაყრის, დაყარა, დაუყრია (ბევრი, *მაგ.*: ნაგავი, ხრეში), *მაგრამ* დააგდებს, დააგდო, დაუგდია (ერთი)

დაშიფრავს, მაგრამ დაშიფვრა [და არა დაშიფრავა]

დაძვრა [და არა დაძვრა] (მანქანისა)

დაძვრენა თავისა (დაიძვრენს თავს)

დაძლევს, დაძლია [და არა დასძლევს, დასძლია] (სიძნელე), *მაგრამ* სძლია (მტერს)

დაძრავს, დაძრა [და არა დასძრავს, დასძრა] (მანქანა)

დაძრობა (კბილებისა) *ეულგ.* (დააძრობს, დაიძრობს)

დაწმენდს, დაწმენდა [და არა დაწმინდავს, დაწმინდავდა]

დაწურავს, დაწურა (ყურძენი)

დაწყდება, დაწყდა, დამწყდარა (წყალი), *მაგრამ* დასწყდება, დასწყდა, დასწყდომია // დასწყვეტია (გული) მას

დახვრეტს [და არა დახვრეტავს]

დახოცავს (= მოკლავს ბევრს) დახოცა, დაუხოცავს

დაჯდება, დაჯდა, დამჯდარა ის, *მაგრამ* დასხდებიან, დასხდნენ, დამსხდარან ისინი

[დაჯერდება, დაჯერდა, დაჯერებია *კი არა*] დასჯერდება, დასჯერდა, დასჯერებია მას

დაჯილდოება (დააჯილდოებს, *მაგრამ* დაჯილდოვდება): დაჯილდოებული

დაჯღაბნის, დაჯღაბნა [და არა დაბლაჯნის, დაბლაჯნა]

დაჰბრალდება, დაჰბრალდა, დაჰბრალებია [და არა დაბ-

რალდება, დაბრალდა,
დაბრალდებია] (ქურდობა) მას

დაპბრუნებია, დაპბრუნებოდა
[და არა დაპბრუნებია, დაპბრუნებოდა] მას

დაპკარგვია, დაპკარგოდა [და
არა დაპკარგვია, დაპკარგოდა]
მას

დაპკვირვებია, დაპკვირვებო-
და [და არა დაპკვირვებია, დაპ-
კვირვებოდა] მას

დაპპირდება, დაპპირდა იგი
[და არა დაპპირდება, დაპპირდა
მან] მას

დაპქონდა, დაპქონდეს [და არა
დაქონდა, დაქონდეს] მას

[დაპქრის, დაპქროდა კი არა]
დაქრის, დაქროდა

დაპყავს, დაპყავდა [და არა
დაყავს, დაყავდა] მას

დაპყვება, დაპყვა, დაპყოლია
[და არა დაყვება, დაყვა, დაყო-
ლია] მას

დგამს, დგამდა [და არა დგავს,
დგავდა]

დგახარ [და არა დგეხარ]

დეგუსტაცია (= დაჭაშნიკება);
დეგუსტატორი

დედაბოძი

დედაბუღიანად

დედაენა (დედაენისა)

დედა-შვილი (დედა და შვი-
ლი), მაგრამ დედაშვილობა;
დედაშვილური

დედაციხე

"დედის [და არა დედების]
დედა"

დედისერთა (ნათ. დედისერ-
თას)

დევნის, დევნიდა [და არა სდე-
ვნის, სდევნინდა]

დეზინფექცია [და არა დიზინ-
ფექცია]

დეზინფორმაცია

დე იურე (ლათ. de jure): იური-
დიულად, ფორმალურად (დო-
კუმენტურად)

დეკემბერი (დეკემბრისა) (//
ქრისტეშობისთვე)

დეკლარაცია: დეკლარაციული

დეკლარირება: დეკლარირებუ-
ლი

დელეგირება: დელეგირებული

დემარქია: ტერმინი შემოიღო
ჟ. ბერნჰაიმმა 1985 წელს. ამით
იგი ახასიათებს ისეთ დემოკრა-
ტიას, რომელიც ხორციელდება
კენჭისყრით არჩეული ლიდერ-
ებისა და პოლიტიკური კურ-
სის შედეგად, და არა ჩვეულებ-
რივი (პირდაპირი) არჩევნების
გზით

დემილიტარიზაცია // დემი-
ლიტარიზება (განთავსება):
დემილიტარიზებული

დემობილიზაცია // დემობი-
ლიზება: დემობილიზებული

დემოკრატია: დემოკრატიული

დემოკრატიზაცია: დემოკრატიის დამყარება; ხალხის ძალაუფლების აღიარებაზე დამყარებული საზოგადოების სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მოწყობის ფორმის დამკვიდრება

დემონსტრაციულად [და არა დემონსტრატიულად]

დეპოზიტი; დეპონენტი; დეპონირება

დეპორტაცია // **დეპორტირება** (იძულებითი გასახლება ქვეყნიდან): დეპორტირებული

დეპორტი: სპეკულაციური გარიგება ბირჟაზე საკურსო განსხვავების მისაღებად

დესტაბილიზაცია // **დესტაბილიზება:** დესტაბილიზებული [და არა დესტაბილიზირება, დესტაბილიზირებული]

დესტრუქცია (= დაშლა, დარღვევა): დესტრუქციული.

დე ფაქტო (ლათ. de facto): ფაქტობრივად, რეალურად, სინამდვილეში

დეფლაცია: ფასების დონის დაწვევის (კლების) მყარი ტენდენცია. *მდრ.* ინფლაცია

დეფოლტი: უარის თქმა ვალის გადახდაზე

დეცენტრალიზაცია // **დეცენტრალიზება:** დეცენტრალიზებული

დიდ-დიდი (= მოზრდილი, დიდრონი), *მაგრამ* დიდი-დიდი (= სულ ბევრი; მაქსიმუმ)

დიდხანს (= ხანგრძლივად): *მაგ.*, დიდხანს ეძებდა, *მაგრამ* დიდ ხანს (= დიდ, ბევრ დროს) ანდომებდა ძებნას

დიზენტერია [და არა დიზინტერია, დეზინტერია]

დილაადრიან // **დილაადრიანად**

დილა მშვიდობისა!

დინამიკა: დინამიკური [და არა დინამიური]

დირიჟიზმი (*ფრანგ.* diriger = მართვა): აღნიშნავს ეკონომიკის სფეროში სახელმწიფოს ძალისხმევას. ტერმინი გამოიყენება, როდესაც ლაპარაკია საფრანგეთის იმპერიულ და რესპუბლიკურ მთავრობათა საქმიანობაზე

დისკანტი: ბავშვის (ბიჭის) მაღალი ხმა

დისკოთეკა [და არა დისკოტეკა]

დისკონტი: თამასუქის განადღება

დისკრედიტაცია // **დისკრედიტირება** (ვისიმე ავტორიტეტის შელახვა): დისკრედიტირებული

დისპეტჩერი [და არა დისპეჩერი]

დისციპლინა: დისციპლინირებული (ადამიანი), *მაგრამ* (ფიფას) დისციპლინარული კომიტეტი

[დიუბაჟი კი არა] ტიუბაჟი *მედ.*

დიფთერია // **დიფთერიტი** [და არა დიფტერია, დიფთირიტი]

დიქტოფონი [და არა დიქტა-ფონი]

დოიჩე-ბანკი (= გერმანიის ბანკი)

დოლარი: ...დოლარიანი; ას-დოლარიანი, მაგრამ 100-დოლარიანი

დონორი: პირი, რომელიც თავის სისხლს იძლევა ავადმყოფისათვის გადასასხმელად; გა-დატ. ვინც ფინანსური ან სხვა სახის დახმარებას უწევს ვინმეს (მაგ., დონორი ქვეყნები განვითარებად ქვეყნებს)

დოპინგი (*ინგლ.*): ნივთიერება, რომელიც დროებით სიმხნევებს მატებს ორგანიზმს. მისი სინონიმია **სტიმულატორი**. სპორტში მისი გამოყენება აკრძალულია

დოპინგ-კონტროლი

დრაკონული კანონები: ძვ. წ. VII ს-ში ათენის რესპუბლიკაში შემუშავდა სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც სისასტიკით გამოირჩეოდა. მცირე გადაცდომაც კი, რომელიც დანაშაულად შეირაცხებოდა, სიკვდილით ისჯებოდა. ამ კოდექსის ერთ-ერთი შემდგენელი იყო დრაკონი (დრაკონტი). გამოთქმა გულისხმობს უსასტიკეს კანონებს, დასჯის უმკაცრეს ზომებს

დრეკს, დრეკდა [და არა დრიკავს, დრიკავდა]

დუმს [და არა სდუმს]

დუშანბე: ქ. დუშანბედან, დუშანბეს [და არა დუშანზიდან, დუშანზის] მოსახლეობა

დღეგამოშვებით

დღეგრძელი; **დღეგრძელობა**

დღედაღამ (= დღისით და ღამით), მაგრამ **დღე და ღამე**

დღე-ღამე (= დღე და ღამე), მაგრამ **სადღელამისო**

დღითი დღე

დღისით-მზისით

ე

ეამება, ეამა [და არა იამება, იამა]

ეგებ(ა) // ეგების

ეგზალტაცია // ეგზალტირება (უკიდურესად აღზნებული მდგომარეობა): ეგზალტირებული

ეგზემა (ეგზემისა) [და არა ეკზემა]

ეგზემპლარი [და არა ეგზემპლიარი, ეკზემპლარი]

ეგზისტენციალიზმი (მიმდინარეობა XX ს. ფილოსოფიასა და ლიტერატურაში); ეგზისტენციალისტი [და არა ექსისტენციალიზმი; ექსისტენციალისტი]; ეგზისტენციალური

ეგოტერიკული: რაც საიდუმლოებას არ წარმოადგენს და განკუთვნილია ყველასათვის (ითქმის რელიგიური წესების შესახებ). *შდრ.*: ეგოტერიკული

ეგოტიკა [და არა ეკოტიკა]: ეგოტიკური

ეგოცენტრიზმი: ინდივიდუალიზმისა და ეგოიზმის უკიდურესი ფორმა

ეგრე; ეგრერიგად

ეგრეთწოდებული (*შემოკლ.*: ე. წ.)

ეგულება [და არა ეგულვება] // *ძვ.* ეგულვის

ედგმება // ედგმის, ედგმებოდა // ედგმოდა

ევანგელისტი (1. სახარების ავტორი, მახარებელი; 2. ევანგელიკური თემის წევრი); ევანგელისტები *მრ.*; ევანგელისტური

✓ **ევთანაზია**: ადვილი, უწვალეზი სიკვდილი; მტანჯველი, უკურნებელი ავადმყოფობის დროს კვდომის, სიკვდილის პროცესის შემსუბუქება, დაჩქარება სხვადასხვა საშუალების გამოყენებით

ევოლუცია: ევოლუციური [და არა ევოლუციონური]

ევრაზია (*შემოკლ.* = ევროპა და აზია, ევროპა-აზია)

ევრიკა! (*ბერძნ.* heurēka! = ვიპოვე!); შეძახილი აღნიშნავს მოულოდნელი მიგნებით მიღწეული აღმოჩენის სიხარულს. უკავშირდება დიდი მეცნიერის არქიმედე სირაკუსელის ბიოგრაფიას

ევრო: ახალი საერთაშორისო (საერთო-ევროპული) სავალუტო ერთეული. მიმოქცევაში 2001 წლიდან

ევრობანკი (*შემოკლ.* = ევროპის ბანკი)

ევროკავშირი (*შემოკლ.* = ევროპის კავშირი)

ევროკომუნიზმი: 1975 წ. იტალიის, ესპანეთისა და საფრანგეთის კომპარტიებში გაჩენილი იდეური მიმდინარეობა

ევროპა: ევროპელი; ევროპული

ევროპეიზაცია; ევროპეიზმი;
ევროპეისტიკა

ევროპეოიდი: ევროპეოიდული
ანთროპ.

ევროსაბჭო (*შემოკლ.* = ევროპის საბჭო)

ეზოპეს // ესოპეს ენა (= იგავური თხრობა)

ეზოტერიკული: რაც განკუთვნილია მხოლოდ იმათთვის, ვისაც გაენდვნენ; საიდუმლო, დაფარული (ითქმის რელიგიური წესების შესახებ). *შდრ.* ეგზოტერიკული

ეთერის გამოყენების შესაძლებლობა: აშშ-ის "კავშირგაბმულობის ფედერალური აქტის" (1934) პირობა: ეთერი უნდა დაეთმოს ყველა სახის საპირისპირო მოსაზრებებს ამა თუ იმ საკითხზე (დღესაც ძალაშია)

[ეთიკეტი *კი არა*] ეტიკეტი

ეთნიკური (ერთეული, ჯგუფ-

ფი): ეთნიკური ალბანელი, თურქი... ამ მნიშვნელობით ზოგჯერ შეცდომით იხმარება სიტყვა **ეროვნული**

ეთნოგენეზი: ხალხის წარმოშობა

ეთნოგრაფი; ეთნოგრაფია: ეთნოგრაფიული

ეთნოლოგი; ეთნოლოგია: ეთნოლოგიური

ეთნონიმი (ხალხის, ტომის სახელწოდება); ეთნონიმია

ეიზენშტეინი (საბჭოთა კინორეჟისორი)

[ეინშტეინი *კი არა*] აინშტაინი

ეიფორია [// ევფორია]

ეკალბარდი

ეკვივალენტი: ეკვივალენტური [და არა ექვივალენტი, ექვივალენტური]

ეკვრება // ეკვრის [და არა ევრობა]

[ეკზალტაცია; ეკზალტაციური *კი არა*] ეგზალტაცია: ეგზალტაციური

[ეკზემა *კი არა*] ეგზემა

[ეკზემპლარი, ეგზემპლიარი *კი არა*] ეგზემპლარი

[ეკზოტიკა *კი არა*] ეგზოტიკა

ეკიპირება (= მომარაგება, აღჭურვა საჭირო ნივთებით): ეკიპირებული

ეკონომია (= მომჭირნეობა): ეკონომიური (= მომჭირნე. *მაგ.*

ეკონომიური ხარჯვა)

ეკონომიკა (= დარგი): ეკონომიკური (პოლიტიკა)

[ევრობა კი არა] ეკვრება // ეკვრის

ელასტიკა: ელასტიკური [და არა ელასტიური]

ელდანაცემი

ელემენტარული [და არა ელემენტალური]

ელექტორატი: ამომრჩეველთა წრე, რომელიც ამა თუ იმ პარტიას (ან მის წარმომადგენელს) აძლევს ხმას

ელექტრიფიკაცია [და არა ელექტროფიკაცია] // ელექტრიფიცირება: ელექტრიფიცირებული

ელექტროფოსტა (// ი-მეილი)

ელიტა (ელიტისა); ელიტარული // ელიტური

ემბარგო: 1. ამა თუ იმ ქვეყანასთან ვაჭრობის სრული ან ნაწილობრივი აკრძალვა; 2. გარკვეული ვადით ზოგიერთი პუბლიკაციის გამოქვეყნების ან ციტირების აკრძალვა

ემიგრანტი: ემიგრაციაში მყოფი პირი. შდრ. იმიგრანტი

ემიგრაცია: სამშობლოდან უცხოეთში გადახვეწა, გადასახლება სხვადასხვა (პოლიტიკური, რელიგიური...) მიზეზით. შდრ. იმიგრაცია

ემისია (= ფულისა და ფასიანი

ქაღალდების მიმოქცევაში გამწვება); ემიტენტი (= ემისიის განმახორციელებელი ორგანიზაცია)

ემიჯნავება (= ესაზღვრება, მომიჯნავეა), ემიჯნავებოდა

ემიჯნება (= ეთიშება), ემიჯნებოდა

ემპირიზმი; ემპირიკოსი [და არა ემპირისტი]

ემსგავსება [და არა ე(მ)გვანება]

ენამახვილი: ენამახვილობა

[ენგიჩარი კი არა] იანიჩარი

ენდემი: მცენარეთა და ცხოველთა სახეობანი, რომლებიც გავრცელებულია მხოლოდ გარკვეულ გეოგრაფიულ არეალში; ენდემური

(ენკენისთვე //) სექტემბერი

ეპარქია: ეპარქიული [და არა ეპარქიალური]

ეპატაჟი: სკანდალური გამოხდომა, გამომწვევი საქციელი

ეპიკა: ეპიკური [და არა ეპიური]

ეპილაცია; ეპილატორი

ერევნელის [და არა ერევნის] მოედანი (თბილისში): დღევანდელი თავისუფლების მოედნის ძველი სახელწოდება, რომელიც მან მიიღო რუსი გენერლის პასკევიჩ-ერევნელის ზედწოდების მიხედვით (რუსეთ-თურქეთის ომში დიდი დამსახურებისათვის – ერევნის აღების გამო)

ერთაშორისი (მეგობრობა), *მაგრამ* საერთაშორისო (ხელშეკრულება; სამართალი)

ერთგულობს, უერთგულა მას

ერთვის, *მაგრამ* ერთოდა, ერთოდეს (დაერთვის)

ერთი და იგივე: მსაზღვრელად ხმარებისას ასე იბრუნვის: ერთი და იგივე (კაცი), ერთმა და იმავე (კაცმა), ერთ(სა) და იმავე (კაცს / კაცად), ერთი(სა) და იმავე (კაცის / კაცით) [და არა ერთ(ი) და იგივე (კაცმა / კაცს / კაცის / კაცით / კაცად)]

ერთი მხრივ // ერთი მხრით [და არა ერთის მხრივ, ერთის მხრით]

ერთმანეთი (// ერთურთი)

ერთმნიშვნელოვანი; ერთმნიშვნელოვნად (= არაორაზროვანი; არაორაზროვნად; ცალსახა; ცალსახად)

ერთმორწმუნე; ერთმორწმუნეობა

ერთპალატიანი (სისტემა პარლამენტში)

ერთპიროვნული; ერთპიროვნულად

[ერთხაზიანი *კი არა*] ცალხაზიანი (რვეული)

ერთხანს, *მაგრამ* ერთი ხანია, ერთი ხანობა

ერთხელ [და არა ერთჯერ], *მაგრამ* ერთჯერ ერთი უდრის ერთს

ერთროცითები *მრ.* [და არა

ერთროცითები]

ერისთავთერისთავი

ეროვნული: 1. ერისათვის, ხალხისათვის დამახასიათებელი; 2. ნაციონალური (სახელმწიფოს მნიშვნელობით): ეროვნული ბიუჯეტი, ეროვნული დროშა; 3. ამა თუ იმ ხალხის აღმნიშვნელ სიტყვასთან იქნეს ხალხურის მნიშვნელობას: ქართული ეროვნული (= ხალხური) ცეკვები; *მდრ.* ქართული ცეკვების ეროვნული (= სახელმწიფო) ანსამბლი

ერთყმება // ერთყმის, ერთყმებოდა // ერთყმოდა

ერთქვა, ერთქვას, რქმევია [და არა ჰქვიოდა, ჰქვიოდეს, ჰქვიებია]

ესა და ეს (სახ.), ამა და ამ (დანარჩენ ბრუნვებში. იხმარება მსაზღვრელად)

ესა თუ ის (სახ.), ამა თუ იმ (დანარჩენ ბრუნვებში. იხმარება მსაზღვრელად)

ესეი; ესეისტი; ესეისტიკა [და არა ესსე, ესსეისტი, ესსეისტიკა]

ესთეტიკა: ესთეტიკური [და არა ესთეტიური]

ესოპეს // ეზოპეს ენა (= იგავური თხრობა)

ეტაჟერი // თაროედი

ეტიკეტი [და არა ეთიკეტი]

ეუბნება, ეუბნებოდა [და არა ეუბნევა, ეუბნეოდა]

[ექვივალენტი, ექვივალენტუ-

რი კი არა] ეკვივალენტი: ეკვივალენტური

ექიმი: საკუთარი სახელის მსაზღვრელად ხმარებისას ასე იბრუნვის: ექიმი გამრეველი, ექიმმა გამრეველმა, ექიმ გამრეველს / გამრეველის / გამრეველით [და არა ექიმი გამრეველის / გამრეველით], ექიმო გამრეველო!

ექინოკოკი, ექინოკოკები მრ.
[და არა ეხინოკოკები]

ექო [და არა ეხო]

ექოსკოპია [და არა ეხოსკოპია]

ექს- (= ყოფილი): შერწყმულად იწერება თანამდებობის აღმნიშვნელ საერთაშორისო სიტყვებთან, მაგ.: ექსპრემიერი, ექსმინისტრი, ექსპრეზიდენტი; ქართული წარმოშობის სახელებთან იხმარება სიტყვა
ე ყ ო ფ ი ლ ი

ექსკლუზიური: მედიაში ინგლისურის გზით გავრცელებული ეს სიტყვა, რომელიც ზოგადად გამოიყენება, განსაკუთრებულს ნიშნავს, მეტწილად სიტყვა ი ნ ტ ე რ ვ ი უ ს თ ა ნ გვხვდება და მიუთითებს მის საგანგებო დანიშნულებაზე: აღნიშნავს ამა თუ იმ ჟურნალ-გაზეთის, რადიო- თუ ტელეარხისათვის სპეციალურად გათვალისწინებულ ინტერვიუს

ექსლიბრისი: წიგნის მფლობელის მხატვრულად გაფორმებული ნიშანი

ექს ოფიცო (ლათ. ex officio =

თანამდებობრივად, მოვალეობის მიხედვით); ჩვეულ. იხმარება თანამდებობის პირის (უპირატესად – დაწესებულებათა ორგანიზაციის ხელმძღვანელის) იმ ფუნქციის მისანიშნებლად, რომელსაც ის ასრულებს თავისი ოფიციალური სტატუსის მიხედვით

ექსპერიმენტი: ექსპერიმენტული [და არა ექსპერიმენტალური]

ექსპორტი: ექსპორტიორი

ექსპრესია: ექსპრესიული; ექსპრესიულობა

ექსპრესინფორმაცია

ექსპრესიონიზმი: მიმართულება XX ს. ევროპის ხელოვნებასა და ლიტერატურაში; ექსპრესიონისტი: ექსპრესიონისტი

ექსტერიტორიულობა [და არა ექსტერიტორიალობა]: განსაკუთრებული უფლებები, რომლებსაც სახელმწიფოები ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ანიჭებენ დიპლომატიურ წარმომადგენლებს

ექსტრადიცია [და არა ექსტრადაცია]: უცხო სახელმწიფოსათვის იმ პირის გადაცემა, რომელმაც ამ სახელმწიფოს კანონი დაარღვია

ექსტრავაგანტური [და არა ექსტრავაგანტული]

ექსტრაორდინარული [და არა ექსტრაორდინალური]: არაჩვეულებრივი, უჩვეულო, განსაკუთრებული

ექსცენტრიკული [და არა ექსცენტრიული]: მეტისმეტად უცნაური (სანახაობა), ახირებული (ადამიანი)

ექსცესი: თავშეუკავებლობა, უკიდურესობის გამოვლენა

ექსპუმაცია [და არა ექსგუმაცია]: საფლავიდან გვამის ამოღება სასამართლო-სამედიცინო გამოკვლევის მიზნით

ემელონი (= მატარებელი, შემადგენლობა). გადატანითი მნიშვნელობით ხმარებისას (= წრე, დონე) მრავლობით რიცხვში დგება (მაგ.: ხელისუფლების ზედა ემელონებში)

ემერა: ეშერიდან, სოფ. ეშერის [და არა ეშერადან, ეშერას] მოსახლეობა

ეცალა [და არა სცალოდა]

ეძიებდით და ჰპოვოთ (ახ. თარგმ.: ეძებეთ და პოვებთ): სახარებისეული გამოთქმა (მ 7, 7; ლ 11, 9)

ეძინა [და არა სძინავდა]

ეჭმება // ეჭმევა

ეხება ვინმეს [და არა შეხებაშია ვინმესთან]

[ეხლა, ეხლაც, ეხლავე *კი არა*]
ახლა, ახლაც, ახლავე

[ეხლანდელი *კი არა*] ახლანდელი

[ეხინოკოკი *კი არა*] ექინოკოკი

[ეხო *კი არა*] ექო

[ეხოსკოპია *კი არა*] ექოსკოპია

პ

ვაგზალი(ვაგზლისა) [და არა
ვოგზალი, ვოკზალი]

ვაგონრესტორანი (ვაგონრეს-
ტორნისა)

ვავადმყოფობ [და არა ავად-
მყოფობ]

ვაზა (ვაზისა) // ლარნაკი

"ვაი დამარცხებულთ!" (*ლათ.*
Vae victis!): გამოთქმა უკავშირ-
დება რომაელთა სასტიკ მარცხს
გალებთან (ძვ. წ. 390 წელს)

ვაი-ვაგლახი; ვაი-ვაგლახით
(რის ვაი-ვაგლახით)

ვაითუ

ვაიმარი [და არა ვეიმარი]

ვაკანსია, *მაგრამ* ვაკანტური
(ადგილი)

[ვაკხანალია, ბაკხანალია *კი*
არა] ბაკქანალია

ვალაუვალი (= ვალის გადახ-
დის უუნარო)

....ვალენტნი (ორვალენტნი-
ნი); ვალენტობა

ვალუტა (ვალუტისა) [და არა
ვალიუტა]

ვაჟკაცი: ვაჟკაცობა; ვაჟკაცური

ვარგა ის, ვარგანან [და არა
ვარგიან] ისინი

[ვარდგენ *კი* არა] ვადგენ,
წარმოვადგენ

(ვარდობისთვე //) მაისი

ვარიირება [და არა ვარირება]
(ვარიირებს)

(ვარსკვლავთმრიცხველი //) ას-
ტრონომი

ვარსკვლავური (ომები)

ვაუჭერი: სერტიფიკატი, რომე-
ლიც გამოიყენება ფულის ნაცვ-
ლად გარკვეული მიზნით

ვაქცინა; ვაქცინაცია

ვაწებ [და არა ვაწობ]

ვახშამი (ვახშმისა); ვახშმად;
ნავახშმევს

ვაჰაბიზმი [და არა ვახაბიზმი]:
ისლამის ერთ-ერთი რელიგი-
ურ-პოლიტიკური მიმდინა-
რეობა

ვაჰაბიტი, ვაჰაბიტები *მრ.*: ვა-
ჰაბიტური [და არა ვახაბიტი,
ვახაბიტური]

ვგავარ [და არა ვგევარ]

ვდგავარ [და არა ვდგევარ]

ვეგეტარიანელი: ვეგეტარიანელობა [და არა ვეგეტარიანი, ვეგეტარიანობა]

ვეებერთელა [და არა ვებერთელა]

[ვეიშარი *კი არა*] ვაიშარი

(ვერა //) ვერის უბანი (უბანი თბილისში)

ვერა და ვერ

ვერავითარი; ვერავითარ შემთხვევაში (მოითხოვს უარყოფით ვ ე რ ნაწილაკს, ე.ი. იქმნება ორმაგი უარყოფა)

ვერასგზით [და არა ვერაგზით] (მოითხოვს უარყოფით ვ ე რ ნაწილაკს)

ვერასოდეს // ვერასდროს

ვერაფრით (მოითხოვს უარყოფით ვ ე რ ნაწილაკს)

ვერაფრის დიდებით (მოითხოვს უარყოფით ვ ე რ ნაწილაკს)

ვერე (// ვერა) (ვერისა), *მდ., უბ.* (თბილისში)

ვერნისაჟი: პირველი გამოფენა. ამიტომ შეუფერებელია ამ სიტყვის ხმარება ჩვეულებრივი გამოფენის აღსანიშნავად

ვერტმფრენი // შვეულმფრენი

ვერც ერთი; ვერც ერთხელ (მოითხოვს უარყოფით ვ ე რ ნაწილაკს)

ვესტერნი: ამერიკული კოვბოური ფილმი

ვესტერნ-იუნioni: ფულის

სწრაფი გაგზავნის საერთაშორისო სამსახური

ვესტიბიული [და არა ვესტიბული]

"**ვესტი**": რუსეთის საინფორმაციო პროგრამა ("ვესტიმ", *მიც.* "ვესტის")

"**ვესტნიკი**": საქართველოს რუსულენოვანი საინფორმაციო პროგრამა ("ვესტნიკმა", "ვესტნიკს")

[*ვზივართ კი არა*] ვსხედვართ ჩვენ

ვიზიტი: ვიზიტით (ოფიციალური ვიზიტით, ორდღიანი ვიზიტით)

ვიზიტორი [და არა ვიზიტორი]

-**ვით:** თანდებული, რომელიც სახელს ორ ბრუნვაში დაერთვის: სახელობითსა (ჩიტივით) და მიცემითში (მმასავით). შეცდომაა ნათესაობითის ფორმა (კაცისავით)

[*ვინტი კი არა*] ხრახნი

ვინც [და არა ვინაც]: მიემართება მთავარი წინადადების პირის ნაცვალსახელს ("ვინც ეძებს, ის პოულობს"). ზოგჯერ უმართებულოდ იხმარება რო მ ე ლ ი ც ნაცვალსახელის მაგივრად (*მაგ.*: არ მიყვარს კაცი, ვინც ბევრს ლაყბობს)

ვირა! (*იტალ.* = მოაბრუნე! ნიშნავს: ასწიე ზევით!); იხმარება პორტის მტვირთავთა, მეზღ-

ვაურთა და მშენებელთა ქარ-
გონში. შდრ. მაინა!

ვისადმი // ვისდამი

ვისზე (ვისზედაც); ვისში (ვის-
შიც)

ვილაცა (ვილაცისა), ვილაცები
მრ. [და არა ვილაცეები]

ვილაც-ვილაცები *მრ.* [და არა
ვილაც-ვილაცეები]

ვიცე-: რთული სიტყვის პირვე-
ლი ნაწილი. აღნიშნავს მოად-
გილეს. მომდევნო ნაწილს
შერთდება დეფისით

ვიცე-პრეზიდენტი

ვიცე-პრემიერი

[ვიჯექით *კი არა*] ვისხედით
ჩვენ

ვკივი [და არა ვკივივარ]

ვმღერი [და არა ვმღერივარ]

ვნებათაღელვა

ვნების კვირა რელიგ.

ვოიაჟი (მოგზაურობა, მგზავ-
რობა); ვოიაჟორი

ვორჭოფობ, ვორჭოფობდი

[ვსრულყოფ, ვსრულყავი *კი
არა*] სრულყოფ, სრულყავი

ვსხედვართ [და არა ვზივართ]
ჩვენ

ვტირი [და არა ვტირივარ]

ვტყუი [და არა ვტყუივარ]

[ვუარყოფ, ვუარყავი *კი არა*]
უარყოფ, უარყავი

[ვუგულ(ვ)ებელყოფ, ვუგუ-
ლ(ვ)ებელყავი *კი არა*] უგულე-
ბელყოფ, უგულებელყავი

ვუდგენ, წარვუდგენ [და არა
ვურდგენ] მას/ მათ (საბუთებს)

[ვუვნებელყოფ, ვუვნებელყავი
კი არა] უვნებელყოფ, უვნე-
ბელყოფი

[ვუზრუნველყოფ, ვუზრუნ-
ველყავი *კი არა*] უზრუნველ-
ყოფ, უზრუნველყოფი

ვუთხარი, ვუთხრა [და არა
უთხარი, უთხრა] მე

[ვუკუაგდებ, ვუკუაგდე, ვუკუ-
აგდო *კი არა*] უკუაგდებ, უკუ-
აგდე, უკუაგდო

ვუყვარვარ [და არა უყვარვარ]
მას მე

ვყავარ [და არა ვყევივარ]

ვყვირი [და არა ვყვირივარ]

ვჭივი [და არა ვჭივივარ]

ვწივი [და არა ვწივივარ]

[ვხელყოფ, ვხელყავი *კი არა*]
ხელყოფ, ხელყავი

ზ

ზამთარ-ზაფხულ

ზამთარი; ზამთარში (აგრ. ზაფხულში), *მაგრამ* გაზაფხულზე, შემოდგომაზე

ზანური ენა (ერთ-ერთი ქართველური ენა – მეგრულ-ჭანური)

ზარ-ზეიმი; ზარ-ზეიმით (გადაიხადეს ქორწილი)

ზაფხული; ზაფხულში (აგრ. ზამთარში), *მაგრამ* გაზაფხულზე, შემოდგომაზე

ზედა პალატა (პარლამენტში)

ზედაფენა (ზედაფენისა)

ზედნაშენი: ბაზისზე დაფუძნებული სოციალურ-იდეოლოგიური ურთიერთობები

ზედსიძე: ზედსიძეობა

ზევით // ზემოთ

ზევით-ზევით

ზევით-ქვევით

ზეთისხილის რტო: მომდინარეობს ძველი აღთქმიდან (დაბად. 8, 7-11), რომელშიც აღწერილია, როგორ მოზრუნდა წარღვნის შემდეგ ნოეს კიდობნი-

დან გამკვებული მტრედი და ნისკარტით ზეთისხილის რტო მოიტანა ნიშნად წარღვნის დამთავრებისა

ზელა (ზელს) [და არა ზელვა]

ზემოაღნიშნული, *მაგრამ* ზემოთ აღნიშნული

ზემოდასახელებული, *მაგრამ* ზემოთ დასახელებული

ზემოთ [და არა ზემოდ] // **ზევით:** ამ ვარიანტთაგან რაიმე ფაქტის, მოსაზრების დამოწმებისას ტრადიციულად იხმარება **ზ ე მ თ** (ზემოთ აღნიშნული, ზემოთ ხსენებული - მაგალითი, ციფრები). მათგან ბუნებრივად წარმოიქმნა რთული სახელებიც: ზემოაღნიშნული, ზემოხსენებული...

ზემოთქმული, *მაგრამ* ზემოთ თქმული

ზემომოყვანილი, *მაგრამ* ზემოთ მოყვანილი

ზემოჩამოთვლილი, *მაგრამ* ზემოთ ჩამოთვლილი

ზემოხსენებული, *მაგრამ* ზემოთ ხსენებული

ზეპირმეტყველება

ზეპირსიტყვიერება // ფოლ-
კლორი

ზესახელმწიფო [და არა სუ-
პერსახელმწიფო]

ზიარჭურჭელი [და არა ზია-
რი ჭურჭელი]

ზის ის, მაგრამ სხედან [და არა
ზიან] ისინი

ზიხარ შენ, სხედხართ თქვენ
(*მრ.*), *მაგრამ ზ ი ხ ა რ თ*
თქვენ (თავაზიანი მიმართვი-
სას)

ზმნისწინი // პრევერბი

ზნე-ჩვეულება, ზნე-ჩვეულე-
ბანი *მრ.* // ადათ-წესები

ზოგადსაგანმანათლებლო

ზოგადსაკაცობრიო

ზოგან (= ზოგ ადგილას)

ზოგიერთი // **ზოგი** საკითხი
(ადამიანი, ქვეყანა...) [და არა
ზოგიერთი, ზოგი საკითხები
(ადამიანები, ქვეყნები...)]

ზომაგადასული, მაგრამ ზო-
მას გადასული

ზონდაჟი // **ზონდირება**

ზრდის, ზრდიდა [და არა
ღზრდის, ღზრდიდა]

ზურგს უკან // პირს უკან

ზურგქარი // **ზურგის ქარი**

ზურგშექცევით; ზურგშექცეუ-
ლი

ზღვა ხალხი

ზღვისპირა (ქალაქი), *მაგრამ*
ზღვის პირად // **ზღვის პირას**

თ

თავად // თვითონ

თავად-აზნაურები *მრ., მაგრამ*
თავადაზნაურობა

თავბედის წყევლა (თავბედს
იწყევლის)

თავბრუ (ესხმის, ეხვევა)

თავბრუდამხვევი

**თავბრუდასხმული // თავბრუ-
დახვეული**

თავდაუსხმელობა (თავდაუს-
ხმელობის კაქტი)

თავდები: თავდებობა [*და არა*
თავმდები, თავმდებობა]

თავზევით // თავზემთ (თავ-
ზემთ ძალა არ არის), *მაგრამ*
თავს ზევით, თავს ზემოთ

თავ-თავიანთი; თავ-თავისი
(ყველანი თავ-თავიანთ სა-
ხლებში წავიდნენ; ყოველი
მათგანი თავ-თავისი საქმით
იყო დაკავებული)

თავისდა... (საბედნიეროდ, სა-
უბედუროდ...)

თავისდა უნებურად

თავის თავზე (ბრაზობს)

თავის თავს (ვნებს)

თავის თავში (დარწმუნებუ-
ლი)

თავისი: ზოგჯერ შეცდომით
იხმარება მისი ნაცვალსახე-
ლის მაგივრად (*მაგ.:* მანქანა
თავის [უნდა: მის] ეზოში იდგა)

თავის მართლება (თავს იმარ-
თლებს)

თავის მხრივ

თავისნება // თავნება

თავისუფალი ვაჭრობის ზონა:
იმ ქვეყნების ჯგუფი, რომლე-
ბიც ერთიანდებიან ერთმანეთ-
თან ვაჭრობაში დაბრკოლება-
თა თავიდან ასაცილებლად
(*მაგ.,* თავისუფალი ვაჭრობის
ჩრდილოამერიკულ ზონაში გა-
ერთიანებულნი არიან კანადა,
მექსიკა და აშშ)

თავის შეკავება // თავშეკავება:
თავშეკავებული

თავლაფდასხმული, *მაგრამ*
თავლაფის დასხმა

თავმდაბალი: თავმდაბლობა
[*და არა* თავდაბალი, თავდაბ-
ლობა]

თავმდგომი [*და არა* თავსმდ-
გომი]

პრესაში, ისევე როგორც სხვა საინფორმაციო საშუალებებში (ტელევიზია და რადიომაუწყებლობა), მრავლად გვხვდება აზრობრივად შეუფერებელი სიტყვათშეხამების ნიმუშები, რომელთა შესწავლაც ცხადყოფს, რომ გარკვეული სიტყვები, განსაკუთრებით კი – უცხოური ნასესხობები, უადგილოდაა გამოყენებული, რაც იმით აიხსნება, რომ მათი მნიშვნელობა მომხმარებელს სწორად არა აქვს გაგებულნი. ამგვარმა მასალამ (პოზიცია, ოფიციალი და სხვ.) დამატებითი კომენტარი მოითხოვა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი სიტყვის განმარტება, რომლებიც ლექსიკონშია წარმოდგენილი, მხოლოდ მათი მნიშვნელობის ხასიათისა და მიზნად ისახავს არა სიტყვის ყველა მნიშვნელობის, არამედ – მხოლოდ ძირითადის, ამჟამად გავრცელებულის მითითებას.

ვფიქრობთ, რომ ჩვენს ჟურნალისტებს საინტერესოდ და სასარგებლოდ მოეჩვენებათ აგრეთვე ზომიერი დოზით მიწოდებული ბიბლიური და ანტიკური სამყაროს წიაღში შექმნილი მაქსიმები თუ სხვა სახის გამონათქვამები (ცნობილიცა და შედარებით უცნობიც), თუმც ამ მასალას ფრთიან სიტყვა-თქმებზე მინიშნებისა და დაწერილობის საზუსტის გარდა, სხვა პრეტენზია არ გააჩნია (ქართული ბიბლიის ძველი რედაქციიდან დამოწმებული ტექსტი გადმოცემულია თანამედროვე ორთოგრაფიით, გარდა **ა** ასოსი). მათი გაცნობა, იმედა, რამდენადმე მაინც გაამდიდრებს ჟურნალისტების ახალი თაობის გამომსახველობით საშუალებებს

ლექსიკონის აგებულება და სარგებლობის წესები

სალიტერატურო ენის ნორმათა თვალსაზრისით მიუღებელი ორთოგრაფიულ-გრამატიკული, რიგ შემთხვევაში კი აშკარა სტილისტიკური შეცდომებიც გასწორებულია "ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში" გატარებული [და არა] და [კი არა] აღნიშვნათა სისტემის გამოყენებით.

აკრძალვათა აღნიშნული სისტემა საშუალებას აძლევს მკითხველს სიტყვა იპოვოს არა მარტო სწორი ფორმის მიხედვით, არამედ (რაც ზოგჯერ იქნებ უფრო სასარგებლოც იყოს) უმართებულო ფორმის მიხედვითაც. ეს განსაკუთრებით გამოსადეგია იმ შემთხვევაში, როდესაც სწორი და უმართებულო ფორმები სხვადასხვა ასოზე იწყება. შდრ., მაგალითად, **გ** ასოზე: [გავს კი არა] ჰგავს, [გიპნოზი კი არა] ჰიპნოზი და იგივე ერთეულები **ჰ** ასოზე: ჰგავს [და არა გავს], ჰიპნოზი [და არა გიპნოზი]. ასეთივე მაგალითებია აინშტაინი და ეინშტეინი, გერბი და [ღერბი] და სხვ. თუ სწორი და უმართებულო

წინასიტყვაობა

წინამდებარე "ჟურნალისტის სტილისტიკური ცნობარის" მიზანია დაეხმაროს ქართველ ჟურნალისტებს მათს პროფესიულ საქმიანობაში, კერძოდ, მედიის მთავარი სამაუწყებლო იარაღის – ენის სრულყოფა-დახვეწაში.

იმის გასარკვევად, თუ თანამედროვე ქართულ პრესაში ენის რომელ უბანს უჭირს ყველაზე მეტად, ანდა კონკრეტულად რომელი ენობრივ-სტილისტიკური შეცდომა თუ უზუსტობაა ყველაზე ტიპობრივი, საგანგებოდ იქნა შესწავლილი 15-მდე დამოუკიდებელი გაზეთის ენა (2001 წლის ნომრები).

აღნიშნული გაზეთები ენობრივი თვალსაზრისით შეისწავლა სპეციალისტთა დიდმა ჯგუფმა, რომელმაც მოიპოვა ჟურნალისტთა საერთაშორისო ცენტრის გრანტი. პროგრამა განახორციელა ევრაზიის ფონდმა.

პროექტზე მომუშავე ჯგუფის ძირითად ბირთვს შეადგენენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სპეციალისტები (მათ შორის – ქართული მეტყველების კულტურის განყოფილება მთლიანად):

პროფ. ავთანდილ არაბული, წამყვანი მეცნიერი თანამშრომლები: თამარ ზურაბიშვილი, დარეჯან ჩხუბიანიშვილი, უფრ. მეცნიერი თანამშრომლები: ვიოლა კალანდაძე, ასმათ პაპიძე, მანანა ტაბიძე, თინათინ ღვინაძე, მერი შინჯიაშვილი, ნელი ცქიტიშვილი, მეცნიერი თანამშრომლები მარინე კერესელიძე და ნინო ჯორბენაძე.

პროექტში მონაწილეობის მისაღებად საგანგებოდ იყვნენ მოწვეულნი ქართული ენციკლოპედიის კონსულტანტი, მთარგმნელი და ჟურნალისტი ნოდარ ებრალიძე; ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრის მასწავლებლები: პროფ. ინეზა კიკნაძე, დოცენტები: მელიტა კობალაძე, ელენე კოშორიძე, სალომე ოშიაძე (ექსპერტად – პროფ. ელენე ბაბუნაშვილი).

ცნობარზე მუშაობა მიმდინარეობდა ორ ეტაპად და თითოეული ეტაპისათვის ტენდერი ცალ-ცალკე გამოცხადდა.

პირველი ეტაპის სამუშაოები (დირექტორი – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გუჩა კვარაცხელია) გულისხმობდა თანამედროვე ქართული პრესის ენისა და სტილის მეცნიერულ შესწავლა-კვალიფიკაციას და ამის საფუძველზე სალექსიკონო ბაზის შექმნას. სათანადო მასალის მოპოვებისა და კლასიფიკაციის შედეგად დაიწერა მასალის ვრცელი და დეტალური ლინგვისტური მიმოხილვა.

მეორე ეტაპზე (დირექტორი – პროფესორი ვაჟა შენგელია) ივარაუდებოდა წმინდა სარედაქციო-საგამომცემლო სამუშაოების შესრულება, თუმცა სარედაქციო კოლეგიას ფაქტობრივ გაცილებით მეტი და თვისებრივად განსხვავებული სამუშაოების შესრულებაც მოუხდა – იქნებოდა ეს დამატებითი მასალის მოძიება თუ მისი სათანადო კვალიფიკაცია. საკოორდინაციო მუშაობა ორსავე ეტაპზე გასწია დოცენტმა შუქია აფრიდონიძემ.

ცნობარის სტრუქტურა. ნაშრომის ძირითად ნაწილს, წარმოადგენს *ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი*. თავიდანვე განსაზღვრული მოცულობა წიგნისა არჩევანს საგრძნობლად ზღუდავდა და, ვინაიდან ხელთა გვაქვს ამ ოთხიოდე წლის წინათ ხელახლა გამოცემული, დღესდღეობით ყველაზე ვრცელი ორთოგრაფიული ლექსიკონი ვარლამ თოფურიასი და ივანე გიგინეიშვილისა, სისრულის საკითხი ცნობარის შემდგენელთა წინაშე, ცხადია, არც დამდგარა.

ამ პირობებში ორიენტაცია უნდა აღებულიყო, ერთი მხრივ, ყველაზე ტიპობრივი შეცდომებისა თუ უზუსტობების შერჩევაზე, რომელთა გამოსავლენად ჩატარდა სათანადო (საკმაოდ შრომატევადი) სამუშაოები. ლექსიკონში ძირითადად სწორედ ამგვარად შერჩეული მასალა შევიდა და იგი გულისხმობს როგორც ცალკეულ სიტყვა-ფორმათა დაწერილობას, ისე შესიტყვევებსაც – მთელს სინტაქსურსა და სტილისტიკურ გარემოცვას.

მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ახალ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებაში საქართველოს გადასვლამ საბაზრო ეკონომიკაზე და მისმა ჩართვამ მსოფლიო ინტეგრაციის პროცესებში ამ ცვლილებების ამსახველი დიდძალი ახალი ლექსიკა შესძინა ქართულ ენას. ბუნებრივია, ვერც ეს ცნობარი აუვლიდა გვერდს ამ პროცესებს. აქედან გამომდინარე, ცნობარის ერთ-ერთ მთავარ მიზნად მის შემდგენლებს სწორედ ამგვარი ლექსიკის გეროვნად ათვისებისათვის ხელშეწყობაც ესახებოდათ.

ფორმების პირველი ასოები არ იცვლება და მათი შემცველი სიტყვები ლექსიკონში ერთმანეთის ახლოსაა, სათანადო ერთეული გატანილია მხოლოდ სწორ ვარიანტზე. მაგ.: ინსტინქტი და [ინსტიქტი], კონსენსუსი და [კონსესუსი] გატანილია პირველად დასახელებულ სწორ ვარიანტებზე.

სახელების კუმშვად და კვეცად ფორმებს მრგვალ ფრჩხილებში მიწერილი აქვთ ნათესაობითის (ზოგჯერ – მრავლობითის) ფორმები. მაგ.: თანამშრომელი (თანამშრომლისა); აბრაკადაბრა (აბრაკადაბრისა); უკვეცელ ფორმებთან, რომლებშიც ერთმანეთს ემთხვევა მიცემითისა და ნათესაობითის ფორმები, ფრჩხილებში საგანგებოდ იწერება შემოკლება (ნათ.). მაგ.: კატაბალახა (ნათ. კატაბალახას); კაშნე (ნათ. კაშნეს).

უკანასკნელი ათწლეულის პრესის (საერთოდ, მთელი მასმედიის) მიხედვით გამოიკვეთა ტენდენცია ა-ზე ფუძეგათავებული გეოგრაფიული სახელების – განსაკუთრებით, ფართო საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილი (როგორც საკუთრივ საქართველოს ზოგიერთი რეგიონის, ისე უცხოური) ტოპონიმების უკვეცელობისა. ამგვარ სახელთა კვეცადი ფორმები ტიპობრივ კონტექსტებშია წარმოდგენილი (მაგ.: გაგიდა: გაგიდიდან; სოფ. გაგიდის მოსახლეობა; ალაბამა: ალაბამიდან, ალაბამის შტატი).

o-ზე ფუძეგათავებული სახელები წარმოდგენილია მოთხრობითისა და მიცემითის ფორმებით (ამ უკანასკნელი ბრუნვის აღნიშვნით!), ვინაიდან ამგვარ სახელებში ერთმანეთს ემთხვევა მიც. და ნათ. ფორმები (მაგ.: ლობი, ლობიმ, მიც. ლობის; კაბუკი, კაბუკიმ, მიც. კაბუკის), რაც მკითხველს მათი ბრუნების თავისებურებაზე მიაჩნებებს.

ზმნები, როგორც წესი, მოცემულია საკვანძო ფორმებით (III პირის მხოლოობითი რიცხვი, აწმყო ან მყოფადი, ნამყო სრული და პირველი თურმეობითი); სხვა ფორმები შეტანილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ქმნიან გარკვეულ ორთოგრაფიულ ან გრამატიკულ სიძნელეს. მოცილე ფორმები გამიჯნულია სხვადასხვა საშუალებით, – იმის მიხედვით, თუ რა ფაქტორი ქმნის სირთულეს (იგულისხმება პირის ნიშნების დართვა-დაურთველობასთან, ძველი ზმნისწინებისა თუ ზმნური დაბოლოებების, ე.წ. თემის ნიშნების ხმარებასთან დაკავშირებული სირთულეები და სხვ.).

ერთი და იმავე ფუძის შემცველი ფორმები, რომლებსაც სხვადასხვა რაოდენობის პირები შეეწყობა, გამიჯნულია სათანადო (ჩვეულებრივ, III ობიექტური) პირის ნიშნებით, ნაცვალსახელებით ან კონტექსტში შეწყობილი სახელებით. მაგ.: წყდება (საკითხი), მაგრამ

თავმინებება // თავის მინებება

თავმჯდომარე (თავმჯდომარისა): თავმჯდომარეობა

თავ-პირის მტვრევით

თავური [და არა თავური] (დარტყმა)

თავ-ფეხი, მავრამ თავფეხიანად; თავფეხშექცევით

თავმესაფარი (თავშესაფრისა)

თავში საცემი

თათრეთი [და არა თათარსტანი]

[თაიმერი კი არა] ტაიმერი

["თაიმსი" კი არა] "ტაიმსი"

თალიბი, თალიბები მრ.

თალმუდიზმი (იუდაიზმის რელიგიური, საყოფაცხოვრებო და სამართლის კანონთა კრებული); თალმუდისტი

თამარობა [და არა თამარობა]: ქართული ქრისტიანული დღესასწაული – თამარ მეფის მოხსენიების დღე

თანაბარზომიერი; თანაბარზომიერება

თანაბარმნიშვნელოვანი

თანაბარ შესაძლებლობათა წესი: აშშ-ის "კავშირგაბმულობის ფედერალური აქტის" (1934) I პირობა: თუ რადიოსადგური დაუთმობს ან მიჰყიდის საეთერო დროს სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებ-

ლად დასახელებულ ამა თუ იმ კანდიდატს, რადიოსადგური ვალდებულია იმავე პირობებით ეთერი დაუთმოს სხვა კანდიდატებსაც (ეს პირობა დღესაც ძალაშია)

თანაგრძნობა (თანაუგრძნობს)

თანამდებობა: თანამდებობრივი; თანამდებობის პირი

თანამეგობრობა

თანამედროვე: თანამედროვეობა

თანამემამულე

თანამიგრძნობს, თანაგიგრძნობს [და არა მითანაგრძნობს, გითანაგრძნობს]

თანამოაზრე: თანამოაზრეობა

თანამიმდევრობა // თანმიმდევრობა; თანამიმდევრულად // თანმიმდევრულად

თანამოსახელე // სეხნია

თანამფლობელი: თანამფლობელობა

თანასწორუფლებიანი: თანასწორუფლებიანობა

თანაუგრძნობს, თანაუგრძნო, თანაუგრძნია [და არა უთანაგრძნობს, უთანაგრძნო, უთანაგრძნია]

თანდასწრებით (ვისიმე თანდასწრებით)

თანდაყოლილი (ნიჭი, ნაკლი)

თანმიყოლებით

თანშეზრდილი

თაოსანი // ინიციატორი

თაოსნობა // ინიციატივა

თაროედი // ეტაჟერი

თაფლობის თვე

თაყვანისცემა: თაყვანისმცემელი; თაყვან(ის)საცემი

თაყვანს სცემს, **თაყვანი სცამას**

თეატრალი: თეატრალობა; თეატრალური

თებერვალი (// სურწყუნისი ძვ.)

თევზჭერა // თევზის ჭერა

თეთრი: ...თეთრიანი; 5-თეთრიანი, 10-თეთრიანი, *მაგრამ* ხუთთეთრიანი, ათთეთრიანი

თემიდა (თემიდას სასწორი; თემიდას ტამარი; თემიდას ქურუმნი): თემიდა ბერძნულ მითოლოგიაში (ჰესიოდე, ჰომეროსი) მართლმსაჯულების ქალღმერთია. გამოსახავდნენ თვალახვეულს, ცალ ხელში ხმლითა და მეორეში – სასწორით. ეს გამოხატავდა მიუკერძოებლობას, ბრალისა და სიმართლის ზუსტად აწონას და დამნაშავეს მკაცრად დასჯას. მისი სახელი და გამოთქმა "თემიდას სასწორი" მართლმსაჯულების სინონიმია; "თემიდას ტამარი" იხმარება სასამართლოს, ხოლო "თემიდას ქურუმნი" – მოსამართლეების მნიშვნელობით

თვალეზაცვენილი // თვა-

ლეზაცვენილი

თვალი (თვალისა, თვალეზი): მხედველობის ორგანო; (თვალისა, თვალეზი): ძვირფასი ქვა (პატიოსანი თვალი); ბორბალი (ურმის / მანქანის თვალი).

თვალი თვალის წილ, **კბილი კბილის წილ**: ძვ. აღთქმიდანაა (ლევიტ. 24, 20; II რჯ. 19, 21). ამ გამოთქმას ხშირად აღიქვამენ როგორც შურისძიების მოწოდებას. სინამდვილეში ეს კანონი ზღუდავდა სისხლის აღების წესს და დანაშაულის საზღაურს მხოლოდ დამნაშავეს აკისრებდა. თანამედროვე გაგებით უგულვებელყოფილია ამ გამოთქმის ისტორიულ-იურიდიული მნიშვნელობა და იგი სამაგიეროს უმაღ მიზღვის მოწოდებადაა ქცეული

თვალისმომჭრელი

თვალისჩინდაკარგული

თვალ-მარგალიტი

თვალსა და ხელს შუა

თვალსაჩინო: თვალსაჩინოება

თვალტანადი: თვალტანადობა

თვალ-ყური (= თვალი და ყური), *მაგრამ* თვალყურის დევნება

თვალში საცემი

თვალწინ

თვე-ნახევარი (თვე-ნახევრისა), *მაგრამ* თვენახევრიანი (შვებულება)

თვითგამოცხადებული: აუღი-
არებელი; იურიდიული სტა-
ტუსის არმქონე (რესპუბლიკა)

თვითმარქვია

თვითმმართველობა

თვითნაკეთი

თვითონ [და არა თითონ]

თვისება: თვისებრივი; თვისებ-
რიობა

თვრება, თვრებოდა [და არა
ითვრება, ითვრებოდა]

(თიბათვე //) ივნისი

თითებს შორის, თითებს შუა,
მაგრამ თითებშუა.

თითის სიგრძე, მაგრამ თი-
თისტოლა

თითოეული [და არა თვითეუ-
ლი, თითეული]

[თითონ *კი არა*] თვითონ

[თინეიჯერი *კი არა*] ტინეიჯერი

თოფ-იარაღი, მაგრამ თოფია-
რაღიანი

თრთოლა [და არა თრთოლვა]

თრომბი; თრომბოზი [და არა
ტრომბი, ტრომბოზი]

თუგინდ (ნაწილაკი), *მაგრამ*
თუ გინდა, მოდი

თუ ვინიცობაა (= თუ, თუკი)

თქვენ გამო / გარდა / გვერდით
(თანდებულებიანი ფორმებია),
მაგრამ თქვენს ეზოში, თქვენს
მაგიდაზე (თ ქ ვ ე ნ ს მსაზღ-
ვრელია)

თქვენგანი [და არა თქვენთაგა-
ნი]: თითოეული თქვენგანი

თქვენდა უნებურად

თქვენკენ [და არა თქვენსკენ]

თქვენ მიერ / შესახებ / წინაშე
(თანდებულებიანი ფორმებია),
მაგრამ თქვენს ექიმთან / ფან-
ჯრებთან (თ ქ ვ ე ნ ს მსაზღვრე-
ლია)

-თქო [და არა - თ ქ ვ ა]: იხმა-
რება თხოვნა-ბრძანებისას, რო-
დესაც მეორე პირმა შესამეს უნ-
და გადასცეს პირველი პირის
დანაბარები (*მაგ.:* გადაეცი, მა-
ლე მოვალ-თქო!)

თხემით ტერფამდე (= თავი-
დან ბოლომდე, მთლიანად, ერ-
თიანად)

[თხოვს, თხოვდა, თხოვა, თხო-
ვეთ *კი არა*] სთხოვს, სთხოვდა,
სთხოვა, სთხოვეთ მას



იანვარი (// აპნისი ძე.)

იანიჩარი [და არა ენგიჩარი], იანიჩარები *მრ.*: პრივილეგიური ქვეითი ჯარი (ჯარისკაცი) ოსმალეთში (XIV-XIX სს.)

იაფფასიანი [და არა იაფიანი]

იბერიულ-კავკასიური ენები: ენათა ოჯახი, რომელშიც გამოიყოფა ოთხი ჯგუფი: ქართველური, აფხაზურ-ადიღური, ნახური, დაღესტნური

იგავ-არაკი, *მაგრამ* იგავარაკული (ყანრი)

იგავთმწერალი

იგებს, იგებდა [და არა გებულობს, გებულობდა]

იგივე (მხოლოდ სახელობითში): 1. (სახელის მსაზღვრელად): იგივე საკითხი, *მაგრამ* იმავე საკითხმა, იმავე საკითხს და სხვ.; 2. (ზმნასთან): იგივე თქვა (გააკეთა...), *მაგრამ* იმავეს // იმასვე ამბობს (აკეთებს...)

[იგივედ *კი არა*] იმავედ // იმაღვე

[იგივეთი *კი არა*] იმითვე

[იგივემ *კი არა*] იმანვე

[იგივეს *კი არა*] იმასვე // იმავეს

[იგივესი *კი არა*] იმისვე // იმავესი

(იგრიკა ძე. //) აპრილი

იგულისხმება [და არა იგულისხმევა]

[იდაბლებს *კი არა*] იმდაბლებს (თავს)

იდეა [და არა იდეია] (იდეისა)

იდეფიქსი (*ფრანგ.*): აკვიატებული აზრი, იდეა

იერემიას გოდება // **იერემია** // **იერემიადა**: მომდინარეობს ძველი აღთქმის წიგნიდან, რომელშიც გადმოცემულია იერემია წინასწარმეტყველის გოდება ისრაელის დაპყრობისა და იერუსალიმის აოხრების გამო. ამ წიგნში უღრმეს წუხილთან ერთად გამჟღავნებულია სასოება ღვთისადმი და მონანიების განცდაც.

იერიქონის საყვირი (ბუკი): ბიბლიური გამოთქმაა (ისუ ნავე, იესო ნავეს ძე, 6). ეგვიპტის ტყვეობიდან პალესტინაში ლტოვილ ებრაელებს გზად უნდა აეღოთ ქალაქი იერიქონი, რომელსაც მძლავრი, შეუჭ-

ლი კედლები იცავდა. ზეციური საყვირების ხმისაგან ეს კედლები თავად ჩამოიქცა. გამოთქმა იხმარება (ზოგჯერ ირონიულადაც) მძლავრი, საყვირისებრი ძახილის, ხმის აღსანიშნავად

ივლისი (// მკათათვე)

ივნიისი (// თიბათვე)

იზოლაციონიზმი: მიმართულება საგარეო პოლიტიკაში. ეფუძნება საერთაშორისო საქმეებში ჩაურევლობის იდეას

[ითვრება, ითვრებოდა *კი არა*] თვრება, თვრებოდა

იკვებნის [და არა კვებულობს]

იკონოგრაფია (გარკვეული – ისტორიული, მითოლოგიური – პირებისა და სიუჟეტების გამოსახულებათა აღწერა და სისტემატური შესწავლა): იკონოგრაფიული

იკრიბება (ხალხი), *მაგრამ* იკრიფება (ხილი)

ილუზია: ილუზიური (// ილუზორული)

ილუმინატორი

ილუმინაცია // **ილუმინირება**

ილუსტრაცია: საილუსტრაციო (მასალა); ილუსტრატორი

ილუსტრირება: ილუსტრირებული

იმავე (გარდა სახ. ბრუნვისა):
1. სახელის მსაზღვრელად: იმავე [და არა იგივე] ქალმა (ქალს, ქალის...), *მაგრამ* იგივე ქალი;

2. ზმნას ასე შეეწყობა სხვადასხვა ბრუნვაში : იმავემ // იმანვე [და არა იგივემ]; იმავეს // იმასვე [და არა იგივეს], იმავესი // იმის(ი)ვე [და არა იგივესი], იმავეთი // იმით(ი)ვე [და არა იგივეთი], იმავედ // იმადვე [და არა იგივედ]

იმათ გადაწყვიტეს [და არა იმათმა გადაწყვიტეს], *მაგრამ* იმათმა მეგობრებმა

იმათგანი [და არა იმათთაგანი]

იმანვე // იმავემ [და არა იგივემ], იმასვე // იმავეს [და არა იგივეს], იმითვე // იმავეთი [და არა იგივეთი]

იმდაბლებს [და არა იდაბლებს] (თავს)

იმდენი (ხალხი), *მაგრამ* იმოდენა (ტვირთი)

იმდროინდელი

იმიგრანტი: იმიგრაციაში მყოფი პირი. *შდრ.* ემიგრანტი

იმიგრაცია: უცხოელების (მასობრივი) შესვლა და დასახლება რომელიმე ქვეყანაში მუდმივ საცხოვრებლად. *შდრ.* ემიგრაცია

იმის(ა)თვის (მიზანი) – **იმის გამო** (მიზეზი). *შდრ.*: ასე იმისთვის (იმ მიზნით) მოიქცა, რათა (რომ) დაერწმუნებინა ისინი თავის სიმართლეში *და*: ასე იმის გამო (იმიტომ) მოიქცა, რომ სხვაგვარად არ შეეძლო. (მედიაში ზოგჯერ მიზანი ირევა მიზეზში)

- იმიტაცია**; იმიტატორი
- იმიჯი** (სახე, რეპუტაცია); იმიჯმეიკერი (იმიჯის შემქმნელი)
- იმ მხრივ**
- იმოდენა** (ტვირთი), *მაგრამ* იმდენი (ხალხი)
- იმოდრავა**, *მაგრამ* იმოდრავს
- იმპიჩმენტი**: პარლამენტის სასამართლო პროცედურა იმ მაღალი თანამდებობის პირთა მიმართ, რომელთაც მძიმე სახელმწიფო დანაშაული აქვთ ჩადენილი. ოფიციალური პირი რომ იმპიჩმენტს დაექვემდებაროს, მას ბრალად უნდა დაედოს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დანაშაულის ან სამართლებრივად დასჯადი გადაცდომების ჩადენა
- იმპოზანტური** (= შთამბეჭდავი, წარმოსადეგი, დიდებული)
- იმპორტი**: იმპორტული; იმპორტირება; იმპორტირებული
- იმჟამინდელი**
- იმუნიტეტი**; იმუნური
- იმუშავა**, *მაგრამ* იმუშაოს
- [იმფექცია *კი არა*] იმფექცია
- [იმფლაცია *კი არა*] იმფლაცია
- [იმფორმატიკა *კი არა*] იმფორმატიკა
- [იმფორმაცია *კი არა*] იმფორმაცია
- [იმფორმირება, იმფორმირებული *კი არა*] იმფორმირება: იმფორმირებული
- იმ ქვეყნად**, *მაგრამ* იმქვეყნური
- იმყოფება** (ითქმის ადამიანზე, ჩვეულებრივ, განსაზღვრულ დროსა და სივრცეში. *მაგ.*: გიორგი ამჟამად ქალაქში არ იმყოფება)
- იმწამს**; იმწუთას
- იმხანად**, *მაგრამ* იმ ხანებში
- ინაუგურაცია** [*და არა* ინაუგურაცია]: სახელმწიფოს მეთაურის ქვეყნის სათავეში ოფიციალურად ჩადგომის ცერემონია
- [ინგალატორი, ინგალაცია *კი არა*] ინჰალატორი; ინჰალაცია
- ინგილო** [*და არა* ინგილოელი], ინგილოები *მრ.*: ინგილოური (კილო); საინგილო
- ინდიანა**: ინდიანიდან, ინდიანის [*და არა* ინდიანადან, ინდიანას] შტატი
- ინდისხურმა** (ინდისხურმისა) // ფინიკი
- ინდიელი**, ინდიელები *მრ.*; ინდიური (ენები)
- ინდიფერენტიზმი**: გულგრილი, განურჩეველი დამოკიდებულება რაიმესადმი; ინდიფერენტული: ინდიფერენტულობა
- ინდოევროპული** [*და არა* ინდო-ევროპული]
- ინდოელი**, ინდოელები *მრ.*; ინდური (ენები)

ინდოლოგი; ინდოლოგია

ინდულგენცია: "ცოდვათა მიტევების სიგელი", რომელსაც კათოლიკური ეკლესია გასცემდა გარკვეულ საფასურად ან ეკლესიის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის

ინდუსტრია: ინდუსტრიული [და არა ინდუსტრიალური]

ინდუქცია: ინდუქციური [და არა ინდუქტიური]

ინვენტარი; ინვენტარიზაცია

ინვესტიცია // ინვესტირება (= კაპიტალის გრძელვადიანი დაბანდება): ინვესტირებული; ინვესტორი

ინტრონიზაცია [და არა ინტრონიზაცია] // აღსაყდრება: ახლად არჩეული პატრიარქის ან პაპის ტახტზე აყვანის ცერემონია

ინიექცია [და არა ინექცია]

ინიციალები მრ.

ინიციატივა // თაოსნობა; ინიციატორი // თაოსანი

ინიციაცია: ჭაბუკების განდობის, დალოცვის ცერემონია პირველყოფილ საზოგადოებაში

ინიცირება: ჯაჭვური რეაქციის გამოწვევა; რისამე წარმოქმნისათვის, განვითარებისათვის ხელის შეწყობა, ინიციატორად გამოსვლა; ინიცირებული

ინკასო (საბანკო ოპერაციის სახე); ინკასაცია; ინკასატორი

ინკვიზიტორი: ინკვიზიტორული

ინკვიზიცია: ინკვიზიციური

ინკლუზივი: ინკლუზიური

ინკრიმინირება (ზრალის დადება, ბრალდების წაყენება და ნაშაულის ჩადენაში): ინკრიმინირებული (ბრალდებული)

ინსტალაცია [და არა ინსტალიაცია]: შეშხაპუნება (სითხისა, წამლისა)

ინსტინქტი [და არა ინსტიქტი]

ინსტინქტური; ინსტინქტურად [და არა ინსტიქტური; ინსტიქტურად]

ინსტიტუციონალიზაცია (რამიშე ახალი საზოგადოებრივი ინსტიტუტის დაარსება; ამა თუ იმ საზოგადოებრივ ურთიერთობათა სამართლებრივი და საორგანიზაციო დამკვიდრება): ინსტიტუციონალური

ინსტრუმენტული [და არა ინსტრუმენტალური] (ანსამბლი, მუსიკა)

ინტეგრაცია // ინტეგრირება: ინტეგრირებული

ინტელექტი; ინტელექტუალი: ინტელექტუალური

ინტელიგენტი: ინტელიგენტური; ინტელიგენცია [და არა ინტილიგენტი, ინტილიგენტური, ინტილიგენცია]

ინტენდანტი [და არა ინტედანტი]: ოფიცერი, რომელსაც ევალება ჯარის ნაწილებისა და სა-

მხედრო დაწესებულებების მონარაგება სურსათით, ტანსაცმლით და ა.შ.

ინტერაქტიული (გამოკითხვა)

ინტერესს მოკლებული

ინტერვენცია; ინტერვენტი

ინტერვიუ; ინტერვიუერი

ინტერნატი: სკოლა-ინტერნატი

ინტერნეტი: მსოფლიოს საინფორმაციო კომპიუტერული ქსელი

ინტერნი (= სამედიცინო ინსტიტუტის ასპირანტი); **ინტერნატურა**

ინტერპელაცია (= პარლამენტის საგანგებო შეკითხვა მთავრობისადმი); **ინტერპელანტი**

ინტერპოლაცია: რაიმე ტექსტში გვიანდელი ჩანართი, რომელიც ავტორს არ ეკუთვნის; ინტერპოლატორი

ინტერპოლი: სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაცია

ინტერპრეტაცია; ინტერპრეტატორი

ინტიფადა (ინტიფადისა): არაბულიდან მომდინარე ტერმინი (= "გადარჩენა"). აღნიშნავს პალესტინაში, მდ. იორდანეს დასავლეთ მხარეს და ღაზის სექტორში 1987 წ. დაწყებულ აჯანყებას

ინტონაცია: ინტონაციური

ინტოქსიკაცია: ორგანიზმის მოწამვლა შხამიანი ნივთიერებებით (ტოქსინებით)

[**ინტრონიზაცია კი არა**] **ინტრონიზაცია** // აღსაყდრება

ინტუიცია: ინტუიციური [და არა **ინტუიტ(ი)ური**]

ინფანტა (*ნათ.* ინფანტას)

ინფანტილიზმი (აღადმიანის ფიზიკური ან ფსიქიკური განვითარების შეჩერება ბავშვობის საფეხურზე); **ინფანტილური** [და არა **იმფანტილიზმი, იმფანტილური**]

ინფარქტი [და არა **იმფარქტი**]

ინფექცია [და არა **იმფექცია**]; **ინფექციური**

ინფიცირება: ინფიცირებული

ინფლაცია [და არა **იმფლაცია**]: ფასების დონის მატების (ზრდის) მყარი ტენდენცია. *მდრ.* დეფლაცია

ინფორმატიკა [და არა **იმფორმატიკა**]

ინფორმაცია; ინფორმირება: ინფორმირებული

ინფრასტრუქტურა: სამეურნეო ქონება (გზების, რკინიგზის, წყალმომარაგებისა და სხვ. ჩათვლით), რომლის გარეშე საწარმოო ინვესტიციები სასურველ შრომის ნაყოფიერებას ვერ უზრუნველყოფს

ინფრაწითელი (სხივები)

ინციდენტი [და არა **ინცინდენტი**]

ინჰალატორი; ინჰალაცია [და არა ინგალატორი, ინგალაცია]

იობის მოთმინება: იობი ბიბლიის ღვთისმოსავი პერსონაჟია ("იობის წიგნი"). ღვთის ნებით, იობს მრავალი უბედურება დაატყდა თავს: დაეხოცა შვილები, გადატაკდა; იობმა ყველა სატანჯველი მოითმინა და ღვთის რწმენა არ შერყევია

იპოდრომი [და არა ჰიპოდრომი]

იპოვის, იპოვა, უპოვია [და არა იპოვნის, იპოვნა, უპოვნია]

იპოთეკა [და არა ჰიპოთეკა, იპოტეკა]: უძრავი ქონების დაგირავებით აღებული სესხი; თვით ასეთი ქონება; იპოთეკური

[იპოსტასი //] ჰიპოსტასი

იპოქონდრია [და არა ჰიპოქონდრია, ჰიპოხონდრია]

ისლამისტი, ისლამისტები *მრ.*

ისლამური ფუნდამენტალიზმი: ტერმინი აღნიშნავს ყოველგვარ მოძრაობას, რომელიც მიზნად ისახავს მიზრუნებას ისლამის საფუძვლებისაკენ, ყურანის მოძღვრებისა და შარიათის კანონების ერთგულ მიმდევრობას. ბევრ ევროპელ მკვლევარს მიაჩნია, რომ უფრო მარჯვე ტერმინია "ისლამიზმი"

ისპაანი [// ისპაჰანი]: ქ. ირანში, (ძველი დედაქალაქი)

ისტებლიშმენტი: ხელისუფლებისა და მმართველობის

მთელი სისტემა; მმართველი და პრივილეგიური ჯგუფები, *განსაკ.* აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში

ისტერია: ისტერიული (სიცილი)

ისტერიკა (ისტერიის შეტევა): ისტერიკული

ისწრაფვის [და არა ისწრაფის], *მაგრამ* ისწრაფოდა [და არა ისწრაფოდა]

ისხდნენ, მსხდარან ისინი, *მაგრამ* იჯდა, მჯდარა ის

იტებს (თავს) [და არა იტებავს]

იუგოსლავია: იუგოსლავიური

იუგოსლავიელი, იუგოსლავიელები *მრ.* [და არა იუგოსლავ(ებ)ი]

იულიუსის კალენდარი: ე. წ. "ძველი სტილი" – წელთაღრიცხვის სისტემა, რომელიც შემოდებულია რომის იმპერატორის – იულიუსის დროს (46 წ. ჩვენს ერამდე)

იუნაიტიდ-პრეს-ინტერნეშნელი (United Press International): აშშ-ის უდიდესი საინფორმაციო სააგენტო

იურთი (*თურქ.*) [და არა იურტი, იურტა]: ქეჩის კარავი (კონუსის ან ნახევარსფეროს მოყვანილობისა). საცხოვრებლად იყენებდნენ ცენტრალური და შუა აზიის ხალხები

იურისდიქცია

იურისპრუდენცია

იუტა: იუტიდან, იუტის [და არა იუტადან, იუტას] შტატი

იუშნოებს [და არა იუშნოვებს] (თავს)

იქადის, იქადდა [და არა იქადნის, იქადნება, იქადნებოდა]

[იქედან, იქეთ, იქეთკენ *კი არა*] იქიდან; იქით, იქითკენ

იქედნე (*ნათ.* იქედნეს) [და არა ეხიდნა, ექიდნა]: ბიბლიაში – შხამიანი გველი. ეს სიტყვა შედის ბიბლიურ გამოთქმაში "ნაშობნი იქედნეთანი" (*აბ. თარგმ.*: "იქედნეს ნაშიერნი"). იხმარება ღვარძლიანი, სხვისი გამკილავი ადამიანების მისამართით

იქედნური [და არა ეხიდნური, ექიდნური]

იქთიოზავრი [და არა იხტიოზავრი, იხთიოზავრი]

იქთიოლოგია [და არა იხტიოლოგია, იხთიოლოგია]

იქიდან; იქით, იქითკენ [და არა იქედან, იქეთ, იქეთკენ]

...**იქნა / იქნეს** ფორმები მოითხოვს მიმდებარე სახ. ბრ. ნიშნის გარეშე: მიღებულ იქნა / იქნეს, გაყვანილ იქნა / იქნეს, *მაგრამ* გაყვანილი იყო / იყოს / იქნება]

იქნეს [და არა იქნას]

იღებს, იღებდა [და არა ღებულობს, ღებულობდა]

იღწის, იღწოდა [და არა იღწვის, იღწოდა]

იყიდება [და არა გაყიდვაშია]

იყო, იყოს ფორმებს *მრ.* რიცხვის ფორმა საერთო აქვთ: გუშინ იყვნენ; ხვალ უნდა (საჭიროა, შეიძლება) იყვნენ [და არა იყონ]

იშიასი [და არა იშიაზი]

იშოვის, იშოვა, უშოვია [და არა იშოვნის, იშოვნა, უშოვნია]

იჩემებს, იჩემებდა [და არა ჩემულობს, ჩემულობდა]

იცვამს, იცვამდა [და არა იცმევს, იცმევდა]

[იცვითება *კი არა*] ცვდება

იძახის: უნდა იხმარებოდეს მხოლოდ ძახილის, დამახების, ხმამალა შეხმიანების, და არა თქმის, მტკიცების, ლაპარაკის მნიშვნელობით. *მაგ.*: [სულ იმას იძახის *კი არა*] სულ იმას ამბობს / ლაპარაკობს / ამტკიცებს...

იწვოდა, იწვოდეს [და არა იწოდა, იწოდეს]

იხმარება [და არა ხმარებაშია]

იხოცება (მრავალი), იხოცებიან ისინი, *მაგრამ* კვდება იგი (ერთი)

იჯარადარი (იჯარადრისა) [და არა მოიჯარადრე] // მოიჯარე

იჯდა, მჯდარა იგი (ერთი), *მაგრამ* ისხდნენ, მსხდარან ისინი

კ

კაბუკი (კლასიკური თეატრის ერთ-ერთი სახე იაპონიაში): კაბუკიმ, *მიც.* კაბუკის [და არა კაბუკმა, კაბუკს]

კადასტრი (*ფრანგ.*): რისამე შესახებ არსებულ მონაცემთა სია, კრებული

კავკასიისმცოდნე: კავკასიისმცოდნეობა

“კავშირგაბმულობის ფედერალური აქტი”: ერთ-ერთი პირველი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი სიტყვის თავისუფლებისა და ინფორმაციის მიუკერძოებლად მიწოდების შესახებ (მიიღეს აშშ-ში 1934 წ.)

კაზაკი, კაზაკები *მრ.*: რუსეთის (და უკრაინის) განაპირა მხარეებში (მათ შორის – კავკასიაში) XV-XVI საუკუნეებიდან დამკვიდრებული, განსაკუთრებული სოციალური სტატუსისა და ქრისტიანული აღმსარებლობის რუსული (და უკრაინული) მოსახლეობა

[კაზარმა *კი არა*] ყაზარმა

კაზუალური: შემთხვევითი რამ, რომლის განზოგადებაც ვერ ხერხდება

კაზუსტიკა: კაზუსტიკური

კაზუსი: *იურ.* რთული, დახლართული შემთხვევა, საქმე

კათალიკოსი (ანტონ კათალიკოსი); კათალიკოს-პატრიარქი

კათეტერი [და არა კატეტერი]

კათოლიკე, კათოლიკეები *მრ.* [და არა კათოლიკი, კათოლიკეები]; კათოლიკური; კათოლიკობა

[კაკარდა *კი არა*] კოკარდა

[კაკტუსი *კი არა*] კაქტუსი

[კალენკორი *კი არა*] კოლენკორი

კალთებქვემ

კალიბრი: მცირეკალიბრიანი

[კალმიკია *კი არა*] ყალმუხეთი

კამიკამე: იაპონელი მფრინავი-თვითმკვლელი II მსოფლიო ომის დროს; ამჟამად – ტერორისტი-თვითმკვლელი

კამპანია: 1. კოლექტიური ღონისძიება (*მაგ.*, საარჩევნო კამპანია); 2. საომარ ოპერაციათა ერთობლიობა (*მაგ.*, ვატერლოს კამპანია). *მდრ.* კომპანია

კამპუსი (*ინგლ.* campus): ინგლისურენოვან ქვეყნებში სტუდენტთა ქალაქი, საერთო საცხოვრებელი

კამუფლაჟი [და არა კამუფლიაჟი, კომუფლაჟი]: შენიღბვის ერთ-ერთი საშუალება

კანონდარღვევა; კანონდამრღვევი

კანონიზება: კანონიზებული [და არა კანონიზირება, კანონიზირებული]

კანონი მკაცრია, მაგრამ კანონია (*ლათ.* გამოთქმა) // კანონი კანონია

კანონმდებელი (კანონმდებლისა, კანონმდებლები *მრ.*); საკანონმდებლო; კანონმდებლობა

კანონმორჩილი; კანონმორჩილება

კანონპროექტი

კანოსაში წასვლა: XI ს-ში გერმანიის იმპერატორი მოსანანიებლად ეახლა რომის პაპს – გრიგორი VII-ს მის რეზიდენციაში, ჩრდ. იტალიის ქ. კანოსაში. გამოთქმა გამოხატავს დამორჩილებას, მტერთან შერიგებას

კანტიკუნტად (იშვიათად)

კანფეტი (// კამფეტი): ტკბილეული. *მდრ.* კონფეტი

კანქვეშ; კანქვეშა

კანცეროგენური [და არა კანცეროგენული]

კაპიტანი (საკუთარ სახელთან მსაზღვრელად ხმარებისას ასე იბრუნვის: კაპიტანი გრანტი, კაპიტანმა გრანტმა, კაპიტან გრანტს / გრანტის / გრანტით... [და არა კაპიტან გრანტმა, კაპიტანი გრანტის / გრანტით], კაპიტანო გრანტო!)

კაპიშონი [და არა კაპიშონი]

კარატე (*ნათ.* კარატეს)

კარგავს, კარგავდა, დაკარგა, დაუკარგავს [და არა ჰკარგავს, ჰკარგავდა, დაჰკარგა]. უნებური ზარალის ხაზგასასმელად უპირატესობა უნდა მიენიჭოს უნებლიობის გამომხატველ ფორმებს: ეკარგება, ეკარგებოდა, დაეკარგა, დაჰკარგვია

კარგა ხანია // დიდი ხანია

კარგი! (= კეთილი!) [და არა კარგით!]

კარდახშული

კარდიოლოგი; კარდიოლოგია: კარდიოლოგიური [და არა კარდეოლოგი, კარდეოლოგია, კარდეოლოგიური]

[კარდონი *კი არა*] [კარტონი //] მუყაო

კარელი (კარელია-ფინეთის მკვიდრი), კარელები *მრ.*

კართაგენი უნდა დაინგრეს! (*ლათ.*): ამ სიტყვებით ამთავრებდა მუდამ თავის გამოსვლებს სენატში რომაელი მოღვაწე კატონ უფროსი (ძვ. წ. 234 -149 წწ.), რომელიც კართაგენის შეურიგებელი მტერი იყო

კარის მეზობელი

კაროლინა: კაროლინიდან, კაროლინის [და არა კაროლინადან, კაროლინას] შტატი

კარტ-ბლანში: ხელმოწერილი სუფთა ბლანკი. მასზე ხელის მომწერი ნებას რთავს ამა თუ იმ პირს თავისი შეხედულებებისამებრ შეავსოს ბლანკი. *გადატ.*: განუსაზღვრელი რწმუნებანი; სრული თავისუფლების მინიჭება. ამჟამად ეს გამოთქმა მედიაში სწორედ ამ მნიშვნელობით უფრო იხმარება

კარტინგი: გამარტივებული კონსტრუქციის მცირელიტრანჟიანი ავტომობილით (კარტით) რბოლა

კარტოტეკა [და არა კარტოტეკა]

კარტრიჯი

"კარუსელი": არჩევნების გაყალბების ფორმა, რომლის დროსაც ერთი და იგივე პირი სხვადასხვა უბანში აძლევს ხმას

კარ-ფანჯარა (კარ-ფანჯრისა; კარ-ფანჯრები *მრ.*), *მაგრამ* კარფანჯრიანი

კარჩაკეტილი; კარჩაკეტილობა

კასატორი: პირი, რომელიც მიმართავს საკასაციო სასამართლოს

კასაცია: სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვა

კასკადი: კასკადური

კასკადიორი

კატაბალახა (*ნათ.* კატაბალახას)

კატეგორიული; კატეგორიულად

კაფანდარა (*ნათ.* კაფანდარას)

კაფე (*ნათ.* კაფეს)

კაფე-ბარი; კაფე-რესტორანი, *მაგრამ* კაფეშანტანი

კაფია (*ნათ.* კაფიას)

კაფიაობა (კაფიაობს)

კაქტუსი [და არა კაკტუსი]

კაშე (*ნათ.* კაშენს)

კაცთმოყვარე; კაცთმოყვარეობა [და არა კაცთმოყვარება]

კაცთმოძულე; კაცთმოძულეობა

კაცი // **ადამიანი** (*შდრ.*: გზაზე ერთი კაცი მიდიოდა; კაცმა არ იცის... და: კეთილი ნების ადამიანები; ადამიანის უფლებები)

კაცი: ...კაციანი; ასკაციანი, *მაგრამ* 100-კაციანი

კაციჭამია (*ნათ.* კაციჭამიას); კაციჭამიობა

კაცური კაცი, *მაგრამ* კაცურკაცობა

კახეთი; კახელი (*მაგრამ* პატარა კახი), კახური

კახი: სოფელი საინგილოში (აზერბაიჯანი)

კბეჩს [და არა კბიჩავს]

კბილებდაკრეჭილი

კბილთა ღრჭენა (*ძვ. თარგმ.*:

"კრჭენად კბილთად"). მომდინარეობს სახარებიდან (მ 8,12). ექსპრესიულად გამოხატავს ადამიანის ჯოჯოხეთური ტანჯვით გამოწვეულ განცდას

კდემამოსილი: კდემამოსილება

კეგლი (თამაში): კეგლიმ, *მიც.* კეგლის

კევიდეჭია (*ნათ.* კევიდეჭიას)

კეთილგანწყობილი: კეთილგანწყობილება

კეთილგონიერი: კეთილგონიერება

კეთილდღეობის სახელმწიფო: სახელმწიფო, რომელიც უზრუნველყოფს ყველა თავისი მოქალაქისათვის ცხოვრების გარკვეულ მინიმალურ დონეს – საცხოვრებელი ადგილის, განათლებისა და სამედიცინო მომსახურების ჩათვლით

კეთილთვისებიანი (სიმსივნე)

კეთილინებებს, კეთილინება; კეთილინებეთ! კეთილინებოს!

კეთილი ნების ადამიანები: სახეცვალებაა მოთქმისა "სათნოება კაცთა შორის". მომდინარეობს სახარებიდან (ლ 2, 13-14). რუსეთსა და მთელ ყოფილ სსრკ-ში ფართოდ გავრცელდა 1950 წ. სტოკჰოლმში ჩატარებული მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის მიერ მიღებული მიმართვის შემდეგ, ამ მიმართვაში გამოყენებული იყო სახარებისეული გამოთქმა

კეთილისმყოფელი (*ნათ.* კეთილისმყოფლისა)

კეთილმეზობლობა: კეთილმეზობლური

კეთილმოსურნე: კეთილმოსურნეობა

კეთილმოწყობილი

კეთილსინდისიერი; კეთილსინდისიერება

კეთილშობილი: კეთილშობილური; კეთილშობილება

კეთილხმოვანი; კეთილხმოვანება

"კეის-უორკი": კონგრესმენის მიერ შტატის ამომრჩეველთათვის გაწეული დახმარება

კემპინგი: სასტუმრო ავტოტურისტებისათვის

კენკროვანი, კენკროვანები *მრ.*

კენჭისსაყრელი; კენჭისსაყრელად

კენჭისყრა (კენჭს ვუყრი)

კერკეტა (*ნათ.* კერკეტას) //

კერკეტი (კერკეტი კაკალი)

კერპთაყვანისმცემელი (კერპთაყვანისმცემლისა); კერპთაყვანისმცემლობა

კერძო მესაკუთრე, *მაგრამ* კერძომესაკუთრული

კეტუპი [და არა კეჩუპი]

კვაზი...[და არა ქვაზი...] (*ლათ.* quasi = ვითომ, თითქოს): პირველი ნაწილია რთული სიტყვისა. ნიშნავს არანამდვილს,

მოჩვენებითს (*მაგ.*: კვაზიმეც-
ნიერული)

კვალდაკვალ

კვალიტატიური [*და არა ქვა-*
ლიტატიური]: თვისებრივი.

მდრ. კვანტიტატიური

კვანგო: კვაზიდამოუკიდებელი
არასამთავრობო ორგანიზაცია,
რომელსაც აარსებს და აფინან-
სებს სახელმწიფო

კვანტი: *ფიზ.* კვანტური [*და*
არა ქვანტი, ქვანტური]

კვანტიტატიური [*და არა ქვან-*
ტიტატიური]: რაოდენობრივი.

მდრ. კვალიტატიური

კვარტალი (კვარტალისა):

კვარტალური (ანგარიში)

კვარცხლბეკი // პიედესტალი

კვინტესენცია: რისამე საფუძ-
ველი, არსი

კვიპაროსი [*და არა კვიპაროზი,*
კიპარისი]

კვირა, **კვირები** *მრ.* [*და არა*
კვირეები]

კვირა დილა; **კვირა დილას** //
კვირა დილით

კვირადღე (კვირადლისა)

კვირა საღამო; **კვირა საღამოს**

კვირა ღამე; **კვირა ღამეს**

კვირაცხოველი (კვირაცხოვ-
ლისა): კვირაცხოვლობა

კვლავინდებური; **კვლავინდე-**
ბურად

კვლევითი [*და არა საკვლევო*]
ინსტიტუტი, *მაგრამ* საკვლევო
(საკითხი)

კვორუმი [*და არა ქვორუმი*]

კვოტა (კვოტისა) [*და არა ქვო-*
ტა]: რაოდენობრივი ნორმა,
რომელიც განსაზღვრავს, ზღუ-
დავს განაწილების მაქსიმუმს
ან მინიმუმს

კი: მაპირისპირებელი კავშირი,
რომლის შემდეგაც სიტყვის გა-
მოტოვებისას ტირე იწერება და
არა მძიმე (*მაგ.*: "ქართვის დე-
დას" ცალ ხელში თასი უჭი-
რავს, მეორეში კი – ხმალი)

კიბერნეტიკა: კიბერნეტიკუ-
ლი; კიბერნეტიკოსი

კიბუცი (კიბუციმ, *მიც.* კიბუ-
ცის) (*ებრ.* = კრება): კოლექტიუ-
რი სოფლის მეურნეობა ისრა-
ელში, დააარსეს ებრაელმა მო-
ახალშენეებმა

კიღია (ფარდა; დროშა), *მაგრამ*
ჰკიღია მას (ყელზე მძივი)

კიღით კიღე // **კიღით კიღე-**
მღე

კიდობანი (კიდობნისა)

კივი (ტროპიკული ხილი): კი-
ვიმ, *მიც.* კივის

კივი: ნუ კივი! [*და არა კივიხარ,*
ნუ კივიხარ!]

[*კითხავს, კითხავდა კი არა*]
ჰკითხავს, ჰკითხავდა მას

კითხვა-პასუხი

კითხვარი (// კითხვანი)

კიი (*ნათ.* კიისა): ბილიარდის სათამაშო ჯოხი

კილერი (*ინგლ.*) [და არა ქილერი]: დაქირავებული მკვლელი

კილოკავი: კილოზე (დიალექტზე) მცირე ენობრივი ერთეული

კილომეტრ-ნახევარი, *მაგრამ* კილომეტრნახევრიანი (მანძილი)

კილო-ნახევარი (კილო-ნახევრისა), *მაგრამ* კილონახევრიანი

კიშონო [და არა კიშანო]

კინემატოგრაფია: კინემატოგრაფიული; კინემატოგრაფისტი

კინომსახიობი; კინოვარსკვლავი

კინოპანორამა (კინოპანორამისა)

კინორეჟისორი; კინოსტუდია; კინოფილმი; კინოთეატრი

კირითხურო ძვ. (= კალატოზი)

კირჩხიბი ძვ. // კიბო

კისრისტეხით [და არა კისრის-მტვრევით]

კისრული (ქართული ჭიდაობის ხერხი)

კიური (*ნათ.* კიურეს): კათოლიკური ეკლესიის მღვდელი ევროპის ზოგ ქვეყანაში (საფრანგეთი, ბელგია...)

კლანი: კლანური

კლასგარეშე (კითხვა)

კლასიფიკატორი

[კლდემცოცავი //] მეკლდეური

[კლებია, კლებოდა *კი არა*] ჰკლებია, ჰკლებოდა მას

კლინტონი [და არა ქლინტონი, ქლინთონი]

კლირინგი (*ინგლ.* clearing = გაწმენდა): *ეკონ.* უნაღდო ანგარიშსწორების ერთ-ერთი ფორმა

კოალიცია: კოალიციური (მთავრობა)

კოვზოი (ცხენოსანი მწყემსი ჩრდილოეთ ამერიკაში): (კოვზოიმ, *მიც.* კოვზოის): კოვზოური

კოინე (*ნათ.* კოინეს): *ლინგვ.* საერთო, ერთიანი ენა, რომელიც შეიქმნა სხვადასხვა მონათესავე დიალექტის შერევის საფუძველზე

კოკარდა [და არა კაკარდა]: ლითონის მრგვალი ან ოვალური ნიშანი ფორმის ქუდზე

[კოკოსი *კი არა*] ქოქოსი

კოლაჟი

კოლეგიური: კოლეგიურობა [//კოლეგიალური, კოლეგიალურობა]

კოლენკორი [და არა კალენკორი]

კოლეჯი (ინგლისში, აშშ-ში...); კოლეჟი (საფრანგეთში...)

კოლოკვიუმი [და არა კოლოქვიუმი]

კოლუმბია: კოლუმბიიდან, კო-

ლუმბიის [და არა კოლუმბია-
დან, კოლუმბიას] შტატი

კომანდოსი: სპეციალური რაზ-
მი, განკუთვნილი სადაზვერვო
და დივერსიული მოქმედებე-
ბისათვის; კომანდოს-ბატალი-
ონი

კომბინეზონი [და არა კომბი-
ნიზონი]

კომენდანტი [და არა კომენდა-
ტი] (კომენდანტის საათი)

კომერცია: კომერციული; კო-
მერსანტი

კომიტენტი: პირი, რომელიც
ავალებს სხვა პირს (კომისიო-
ნერს), გარიგება დადოს თავისი
სახელით, ოღონდ კომიტენტის
ხარჯით

კომიტეტი: საკომიტეტო

კომპანია: საწარმოო / სავაჭ-
რო... გაერთიანება (სავაჭარი
კომპანია; ფირმები და კომპანი-
ები) // ამხანაგობა. *მდრ.* კამპა-
ნია

კომპანიონი [და არა კამპანიო-
ნი]

კომპაქტური; კომპაქტურად

კომპენსაცია (ანაზღაურება):
საკომპენსაციო

კომპენსირება: კომპენსირებუ-
ლი // ანაზღაურება: ანაზღაუ-
რებული

კომპეტენტური [და არა კომ-
პენტენტური]

კომპეტენცია [და არა კომპენ-
ტენცია]

კომპილაცია: ნაშრომი, რომე-
ლიც შეიცავს სხვადასხვა ავტო-
რისაგან აღებულ განზოგადე-
ბებს, დასკვნებს; კომპილაციუ-
რი; კომპილატორი

კომპიუტერი: კომპიუტერული
(ტექნიკა)

კომპლექსი: კომპლექსური

კომპლექტი: კომპლექტური

კომპლიმენტი // ქათინაური
(*ავრ.* ცირკის მსახიობის სამად-
ლობელი რევერანსი)

კომპონენტი: კომპონენტური
(ანალიზი)

კომპოსტერი

კომპრომატები *მრ.* (*შემოკლ.*
რუსულის გზით = მაკომპრომე-
ტირებელი მასალები)

კომპრომეტაცია: კომპრომეტი-
რება: კომპრომეტირებული [და
არა კომპრომენტაცია, კომპრო-
მენტირება, კომპრომენტირე-
ბული]

კომპრომისი: კომპრომისული

კომუნიკაბელური (ვინც ურ-
თიერთობას ადვილად ამყა-
რებს)

კომუნიკაცია: კომუნიკაციური;
საკომუნიკაციო

კომუნიკე (*ნათ.* კომუნიკეს)

კომფორტი: კომფორტული

კონგენიალური: ნიჟით, აზრ-
თა წყობით ვისიმე მსგავსი;
კონგენიალურობა

კონგლომერატი; კონგლომერაცია

კონგრესი; კონგრესმენი

კონდენსატორი [და არა კონდესატორი]

კონდიტერი: საკონდიტრო

კონდიცია: ნორმა, სტანდარტი, რომელსაც უნდა შეესაბამებოდეს ესა თუ ის საგანი (საქონელი)

კონდიციონერი

კონვეიერი [და არა კონვეირი]

კონვენცია: სახელმწიფოთა შორის სპეციალურ საკითხზე დადებული ხელშეკრულება; კონვენციური

კონვერსია (გარდაქმნა): კონვერსიული

კონვერტირება: ამა თუ იმ ქვეყნის ვალუტის გაცვლა უცხო ქვეყნის ვალუტაზე; კონვერტირებული

კონვერტირებადი: ითქმის ისეთი ვალუტის შესახებ, რომლის გადაცვლაც უცხოურ ვალუტაზე ნებადართულია

კონიექტურა: ძნელად წასაკითხი ტექსტის გაშიფვრა ან დამახინჯებული ადგილის აღდგენა

კონიუნქტივიტი

კონიუნქტურა: 1. შექმნილი ვითარება, მდგომარეობა; 2. სასაქონლო მეურნეობისთვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებათა

ერთობლიობა

კონკისტადორი, კონკისტადორები *მრ.* [და არა კონკვისტადორი, კონკვისტადორები]

კონკორდანსი (= სიმფონიალექსიკონი)

კონკორდატი: ხელშეკრულება სახელმწიფოსა და ვატიკანს შორის

(კონკრეტიზაცია // კონკრეტიზება //) დაკონკრეტება

(კონკრეტიზებული //) დაკონკრეტებული

კონკრეტული: კონკრეტულობა

კონსენსუსი [და არა კონსესუსი, კონცენსუსი]: საერთო შეთანხმება სადავო საკითხებზე

კონსერვატიზმი; კონსერვატორი, კონსერვატორები *მრ.*

კონსერვატიული (შეხედულებები)

კონსერვატორული (პარტია)

კონსიგნაცია: საქონლის საკომისიო გაყიდვის ფორმა; კონსიგნანტი; კონსიგნატორი

კონსილიუმი

კონსოლიდაცია // **კონსოლიდირება**: კონსოლიდირებული (ერი, ხალხი)

კონსორციუმი: კომპანიების ან ბანკების გაერთიანება გარკვეული პროექტის განსახორციელებლად

კონსტატაცია // **კონსტატირება** (ფაქტისა)

კონსტიტუცია: კონსტიტუციური (სასამართლო)

კონსტიტუციონალიზაცია;
კონსტიტუციონალიზმი; კონსტიტუციონალისტი

კონსტრუქტორი; საკონსტრუქტორო (ბიურო)

კონსტრუქცია: კონსტრუქციული

კონსულტაცია: საკონსულტაციო; კონსულტანტი

კონტაქტი: კონტაქტური; საკონტაქტო

კონტინგენტი [და არა კონტიგენტი]

კონტინენტი; კონტინენტური [და არა კონტინენტალური]

კონტრაბანდა: კონტრაბანდული; კონტრაბანდისტი; კონტრაბანდისტული

კონტრარგუმენტი

კონტრაქტი: კონტრაქტული; საკონტრაქტო

კონტროლი; კონტროლირება; კონტროლირებადი

კონტრევოლუციონერი

კონფედერაცია [და არა კომფედერაცია]

კონფერენცია: საკონფერენციო

კონფერენცდარბაზი // საკონფერენციო დარბაზი // სხდომათა დარბაზი

კონფესია (აღმსარებლობა): კონფესიური (// კონფესიონალური)

კონფეტი: პატარა ფერად-ფერადი ქაღალდის რგოლები, რომელთაც გასართობად თავზე აყრიან ერთმანეთს (კონფეტომ, მიც. კონფეტის). შდრ. კანფეტი

კონფიგურაცია [და არა კომფიგურაცია]

კონფიდენციალური

კონფისკაცია [და არა კომფისკაცია] (ქონების იძულებითი ჩამორთმევა): კონფისკებული

კონფლიქტი [და არა კომფლიქტი]

კონფორმიზმი (შემგუებლობა); კონფორმისტი [და არა კომფორმიზმი, კომფორმისტი]

კონფონტაცია (ურთიერთდაპირისპირება) [და არა კომფრონტაცია]

კონფუზი: დაბნევა, დარცხვენა, უხერხული მდგომარეობა

კონცენტრაცია: საკონცენტრაციო (ბანაკი)

კონცენტრირება: კონცენტრირებული

კონცერტმაისტერი [და არა კონცერტმეისტერი]

კონცესია: 1. სახელმწიფოს მიერ კერძო მრეწველთან ან ფირმასთან დადებული ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც მრეწველი (ფირმა) იღებს გარკვეულ საწარმოთა, მთამადნეულისა და მისთ. ექსპლუატაციის უფლებას; 2. ასეთი ხელშეკრულების მიხედვით ორგანიზებული საწარმო); კონცესიური; კონცესიონერი

კონცეფცია [და არა კონცეპცია]: კონცეფციური (// კონცეპტუალური); კონცეპტუალიზმი

კოოპერატივი: კოოპერატიული

კოოპერაცია: კოოპერაციული

კოოპტაცია: რომელიმე არჩევითი ორგანოს შევსება საკუთარი გადაწყვეტილებით ახალი არჩევნების ჩაუტარებლად

კოპებშეკრული

კორდებალეტი

კორესპონდენტი; კორესპონდენცია [და არა კორესპოდენტი, კორესპოდენცია]

კორექტული (საქციელი), *მაგრამ* კორექტურული (შეცდომა)

კორექცია; კორექტირება

კორუფცია: კორუფციული; კორუფცირებული (//კორუმპირებული)

კოსმოპოლიტი: კოსმოპოლიტური; კოსმოპოლიტიზმი

კოსმოსი: კოსმოსური [და არა კოსმიური]

კოსტიუმი [და არა კოსტუმი]

კოტირება: კომპანიის აქციების მიღება საფონდო ბირჟაზე გასაყიდად, რისთვისაც საჭირო ხდება სათანადო ინფორმაციის მიწოდება

კოქტიელი [და არა კოკტიელი]

კოჩარა: კოჩარიდან, სოფ. კოჩა-

რის [და არა კოჩარადან, კოჩარას] მოსახლეობა

კოხორა: კოხორიდან, სოფ. კოხორის [და არა კოხორადან, კოხორას] მოსახლეობა

კოჰორტა (კოჰორტისა)

კრავს (ზურგჩანთას), *მაგრამ* ჰკრავს მას (წიხლს)

კრედიტი: საკრედიტო

კრედიტორი: კრედიტორული

კრედიტუნარიანი; კრედიტუნარო

კრიზისი: კრიზისული

კრიმინალი: სისხლის სამართლის დანაშაული. თანამედროვე ქართულ მედიაში ეს სიტყვა ხშირად არადანიშნულებისამებრ – დ ა მ ნ ა შ ა ვ ი ს მნიშვნელობით იხმარება

კრიმინალური: სისხლის სამართალთან დაკავშირებული; დანაშაულებრივი

კრიმინალისტი: კრიმინალისტური; კრიმინალისტიკა

[კტიტორი *კი არა*] ქტიტორი

კუბმეტრი (= კუბური მეტრი) [და არა კუბამეტრი, კუბომეტრი]

კუდა ხარი

კუდგრძელი; კუდმოკლე

კუთხე-კუნჭული

კუ-კლუქს-კლანი, *მაგრამ* კუკლუქსკლანელი

კულინარი: კულინარული (ხე-
ლოვნება)

კულინარია: კულინარიული
(ნაწარმი)

კულისი, კულისები მრ. (კუ-
ლისებში)

კულმინაცია: კულმინაციური

კულტურა: კულტურული

კულტურიზმი; კულტურისტი

კულტურულ-ისტორიული

**კულტურულ-საგანმანათლებ-
ლო**

**კულტურულ-საყოფაცხოვრე-
ბო**

კულუარი, კულუარები მრ.
(კულუარებში): კულუარული
(ინტრიგა)

კურაპალატი [და არა კუროპა-
ლატი]

კურიოზი: კურიოზული

კურორტი: საკურორტო

**კურორტოლოგი; კურორტო-
ლოგია**

კურსდამთავრებული

კუტიურიე (ნათ. კუტიურიეს):
ქალის ტანსაცმლის მკერავი სა-
ფრანგეთში

ლ

ლაბირინთი

ლაბორატორია: ლაბორატორი-ული

ლავგარდანი (ლავგარდნისა) // კარნიზი

ლაზეთი // ჭანეთი

ლაზი, ლაზები *მრ.* // ჭანი, ჭანები *მრ.*: ლაზური // ჭანური

ლათა: ლათის [და არა ლათას] ხეობა

ლაიბნიცი [და არა ლეიბნიცი]

ლაიფციგი [და არა ლეიფციგი, ლაიპციგი]

ლაკი, ლაკები *მრ.* (ერთ-ერთი დაღესტნელი ხალხი); ლაკური (ენა)

ლაკონიური: ლაკონიურობა [და არა ლაკონური, ლაკონურობა]: უკავშირდება ძველი საბერძნეთის ერთ-ერთი მხარის – ლაკონიის (ცენტრი – სპარტა) მცხოვრებთა შეტყვევლებას, რომელიც გამოირჩეოდა სისადავითა და სისხარტით

ლაღისთვლიანი

ლამაზი თვალებისათვის / თვალების გამო კი არა... :

ირონიულად აღნიშნავს რაიმე სამსახურის გაწევას პრაქტიკული მოსაზრებით, პირადი კეთილგანწყობილების გარეშე

ლანდტაგი: მხარეების (ოლქების) არჩევითი საკანონმდებლო ორგანო გერმანიაში, ავსტრიასა და ლიხტენშტაინში

ლანდშაფტი

ლანძღვა-გინება

ლაო-ჩაი: ლაო-ჩაიმ, *მიც.* ლაო-ჩაის

ლაპარაკ-ლაპარაკით

ლაპარასკოპია: ლაპარასკოპიული (ქირურგია, მეთოდი)

ლაპიდარობა; ლაპიდარული (სტილი; წარწერები)

[ლაპსუსი *კი არა*] ლაფსუსი

ლარი: ...ლარიანი; ოცლარიანი, *მაგრამ* 20-ლარიანი

ლარნაკი (// ვაზა)

ლასო (= ქამანდი)

ლატარია [და არა ლოტორეა, ლატარეა, ლატარეია]

ლატენტური (= გამოუმჟღავნებელი, ფარული)

ლატვია: ლატვიელი, ლატვიელები *მრ.*; ლატვიური (ენა)

ლაურეატი; ლაურეატობა [და არა ლაურიატი, ლაურიატობა]

(ლაფდასხმული //) თავლაფდასხმული

ლაფნიჭამია [და არა ლაფანჭამია]

ლაფსუსი [და არა ლაპსუსი]

ლაფსუს კალამი (*ლათ.* lapsus calami): კალმის შეცდომა; უნებლიე (და არა უცოდინარობით გამოწვეული) შეცდომა

ლაწალუწი

ლებარდე: ლებარდიდან, ლებარდის [და არა ლებარდედან, ლებარდეს] წყალი

ლეგალიზაცია // ლეგალიზება: ლეგალიზებული; ლეგალური; ლეგალურობა // ლეგალობა

ლეგენდად ქცეული // ლეგენდარული [და არა ლეგენდალური]

ლეზიური ენები (ენა): დაღესტნურ ენათა ერთ-ერთი ქვეჯგუფი (მასში შემავალი ერთ-ერთი ენა)

[ლეიზნიცი *კი არა*] ლაიზნიცი

ლეიბორისტი: ლეიბორისტული (პარტია)

ლეიკემია (// ლევკემია); ლეიკოზი (// ლევკოზი); ლეიკომა (// ლევკომა)

ლეიკოციტები *მრ.* [// ლევკოციტები]

[ლეიფციგი, ლაიპციგი *კი არა*] ლაიფციგი

ლეიშმანიოზი (ინფექციური დაავადება)

ლეკი, ლეკები *მრ.* (დაღესტნელების ზოგადი სახელი ქართულში)

ლელო: ლელობურთი

ლეპტოპი // ნოუტბუკი: პერსონალური (პორტატიული) კომპიუტერი

ლესბოსელი; ლესბოსური [და არა ლესბიანელი, ლესბიური, ლესბიანური]

ლესიჭინე: ლესიჭინიდან, სოფ. ლესიჭინის [და არა ლესიჭინედან, ლესიჭინეს] მოსახლეობა

ლექსიკოგრაფია: ლექსიკოგრაფიული

ლექსიკოლოგია: ლექსიკოლოგიური

ლექსიკონი: სალექსიკონო

ლექცია: სალექციო (კურსი)

ლექცია-საუბრები *მრ.*

ლექციურ-სემინარული

ლეღვის ხე

ლიანდაგთშორისი

ლიბერალი: ლიბერალური; ლიბერალობა; ლიბერალიზმი

ლიზინგი: აღჭურვილობის / მოწყობილობის / ტრანსპორტის ქირავნობის პრაქტიკა, რაც საშუალებას აძლევს ფირმას, იმაზე ნაკლები ხარჯი გასწიოს, ვიდრე მათ შეძენას სჭირდება

ლითოგრაფია: ლითოგრაფიული

ლითონკონსტრუქციები

ლითონსადნობი; ლითონმემდუღებელი

ლიკვიდაცია // ლიკვიდირება: ლიკვიდირებული // განადგურებული

ლიკვიდური (რის განადღებაც, ფულად ქცევაც ადვილად შეიძლება): ლიკვიდურობა

[ლიკიორი კი არა] ლიქიორი

ლილე, ლილეო (სიმღერა)

ლიმონმჟავა (ნათ. ლიმონმჟავას)

ლინგვისტი // ენათმეცნიერი

ლინგვისტიკა // ენათმეცნიერება

ლინოლეუმი [და არა ლინოლიუმი]

ლირიკა: ლირიკული [და არა ლირიული]

ლირიკულ-დრამატული; ლირიკულ-ეპიკური

ლირიკული წიაღსვლა

ლიტანია (საყოველთაო ლოცვა ეკლესიის გარშემოვლით): ლიტანიობა

ლიტერატურათმცოდნეობა

ლიტერატურულ-მუსიკალური; ლიტერატურულ-პუბლიცისტური

ლიტრ-ნახევარი [და არა ლიტრანახევარი]

ლიტურგია: ლიტურგიული

ლიტურგიკა: ლიტურგიკული

[ლიუთერი, ლიუთერანი კი არა] ლუთერი; ლუთერანი

ლიქიორი [და არა ლიკიორი]

ლიცენზია; ლიცენზირება: ლიცენზირებული

ლიცენზიანტი (*ჯობს:* ლიცენზიის მქონე / მფლობელი)

ლიცენცია პოეტიკა (*ლათ.* licentia poetica = პოეტური თავისუფლება)

ლიცეუმი [და არა ლიცეი]

ლიხთიმერეთი

ლიხსიქითური

ლობი (*ინგლ.* lobby = კულუარი, დერეფანი): ლობიმ, *მიც.* ლობის // ლობისტი (პირი, რომელიც ლობირებას ეწევა)

ლობირება: პოლიტიკოსებისათვის სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფის შეხედულებათა გაცნობა და აგიტაცია სათანადო კანონების მოსამზადებლად, ანდა ამ კანონებისათვის ხმის მისაცემად

ლობისტი: პირი, რომელიც ლობირებას ეწევა

ლოგიკა: ლოგიკური; ლოგიკურობა

ლოგოპედი; ლოგოპედია: ლოგოპედიური

ლოიალური: ლოიალურობა

ლოკაუტი: საწარმოთა დახუ-

რვა და მუშათა მასობრივი და-
თხოვნა მათზე ზეგავლენის
მოხდენის მიზნით

ლომგული // ლომგულოვანი

ლომკაცი: ლომკაცური

ლოს-ანჯელესი ქ. [და არა
ლოს ანჟელესი]

[ლოტორეა კი არა] ლატარია

[ლოლიკა, ლოლიკური კი არა]
ლოგიკა, ლოგიკური

**ლოცვა-კურთხევა; ლოცვა-
კურთხევით**

ლოჯია [და არა ლოჯი]

**ლუდის მხდელი, მაგრამ
ლუდსახდელი**

ლუდხანა (ლუდხანისა)

**ლუთერი; ლუთერანი: ლუთე-
რანული** [და არა ლიუთერი,
ლიუთერანი, ლიუთერანული]

**ლუიზიანა: ლუიზიანიდან,
ლუიზიანის** [და არა ლუიზია-
ნადან, ლუიზიანას] შტატი

**ლუკმა-ლუკმა; ლუკმა-ლუკ-
მად**

**ლუკმაპური, მაგრამ ერთი
ლუკმა პური** (მჭადი)

**ლუკულუსის ნადიმი: უკავ-
შირდება რომის კონსულის –
ლუკულუსის სახელს. იგი ცნო-
ბილი იყო სიმდიდრითა და
უხვი ნადიმების გამართვით**

**ლუმინესცენცია: ლუმინესცენ-
ციური**

(ლუნატიკი //) მთვარეული

ლურსმული [და არა ლურსმ-
ნული] (დამწერლობა)

**ლურჯთვალა // ლურჯთვა-
ლება**

ლურჯკაბიანი

**ლხინი (ნადიმი) ჟამიანობის
დროს** (*რუს. при во времяумы*).
მომდინარეობს ა. პუშკინის ამა-
ვე სახელწოდების მცირე პოე-
მა-პიესიდან, რომელსაც საფუ-
ძვლად უდევს სცენა ინგლისე-
ლი პოეტის პოემიდან ("ჟამიანი
ქალაქი"). გამოთქმა იხმარება
ქვეყნის უბედურების დროს ცა-
ლკეულ პირთა უზრუნველი
ცხოვრების გასაკიცხად და
ირონიითაც

მ

მაგათ [და არა მაგათმა] გადაწყვეტეს, *მაგრამ* მაგათმა პასუხმა გაგვოცა

მაგათთან; მაგათთვის

მაგალითი მოჰყავს [და არა მოაქვს]; *იხ. აგრ. მოჰყავს*

მაგან, მაგას, მაგის, მაგით, მაგად (სახელობითში: ე გ)

მაგვარი (= მაგის მსგავსი, მაგნაირი), *მაგრამ* ქოხისმაგვარი

მაგდენი (რაოდენობა), *მაგრამ* მაგოდენა (ზომა)

მაგი; მაგია: მაგიური

მაგიერ // **მაგივრად** (ცალკე მდგომი თანდებული: მის მაგიერ / მაგივრად)

მაგიერი, *მაგრამ* მაგივრად; მაგივრობა

მაგისტრალი: მაგისტრალური (ხაზი, გაზსადენი...)

მაგისტრანტი; მაგისტრატურა

მაგისტრი: სამაგისტრო

მაგნატი: (*ლათ.*): დიდი სამრეწველო და ფინანსური კაპიტალის წარმომადგენელი

მაგნიტი: მაგნიტური, *მაგრამ*

მაგნეტიზმი [და არა მაგნიტიზმი]

მაგნიტოფონი

მადამ (*ფრანგ. madame*): უცვლელად იხმარება გათხოვილი ქალის ხსენებისას ან მისდამი, აგრეთვე უცნობი ქალისადმი მიმართვისას; ასევე მსაზღვრელად გვარის წინ: მადამ ტიუსო, მადამ ტიუსომ, მადამ ტიუსოს...

მადანი (მადნისა); მადნეული; მადნიანი; აქედან: სამთამადნო

მადევს // **მაძევს** (ფერი; მტვერი)

მადიარი, მადიარები *მრ.* (უნგრელთა თვითწოდება)

მადლმოსილი: მადლმოსილება

მადლობას გადაუხდის, მადლობა გადაუხადა (გადავუხადოთ...) [და არა მადლობას მოუხდის, მადლობა მოუხადა (მოვუხადოთ...)]

მადმუაზელ (*ფრანგ. mademoiselle!*): უცვლელად იხმარება გაუთხოვარი (განსაკუთრებით, ახალგაზრდა) ქალისადმი მიმართვისას და მსაზღვრელად გვარის წინ

მადონა (*ნათ.* მადონას)

მადრიგალი (მადრიგალისა),
მადრიგალები *მრ.*: მოკლე სატ-
რფილო ლექსი ან მუსიკალუ-
რი პიესა

მაესტრო (*იტალ.* maestro): იხმა-
რება საკუთარი სახელის გარე-
შე დიდი ხელოვნის (მუსიკო-
სის, მხატვრის...), საერთოდ
თავისი საქმის ოსტატის მოხსე-
ნიებისას, განსაკუთრებით ხში-
რად – მიმართვისას

მავანი (= სავარაუდო პირი,
ვინმე)

მავთულხლართი

მავრიტანია: მავრიტანული

მაზარა (მაზარისა) // ფარაჯა

მაზდენი: ცეცხლთაყვანისმ-
ცემელი; მაზდენობა [და არა
მაზდიანი, მაზდიანობა]

მაზლი; მაზლიშვილი

მაზოხიზმი; მაზოხისტი: მა-
ზოხისტური

მათ (*მოთხრ.*, *მიც.* და *ნათ.* ბრ.
ი ს ი ნ ი ნაცვალსახელისა):
მ ა თ იმუშავეს [და არა მათმა
იმუშავეს]; მ ა თ ვუთხარი;
მ ა თ შესახებ

მათგანი [და არა მათთაგანი]

მათდა უნებურად

მათთან; მათთვის

მათუსალა (*ნათ.* მათუსალას):
გადატ. ძალიან ხნიერი ადამიან-
ი (მკ. აღთქმის მიხედვით, 969
წლის ასაკში გარდაცვლილი

ბიბლიური პატრიარქის სახე-
ლი)

მათ შორის; მათ შუა

მაია (*ნათ.* მაიას): ცენტრ. ამე-
რიკის ენობრივად და კულტუ-
რით მონათესავე აზორიგენი
ტომების საერთო სახელწოდება

მაიამი: მაიამი, *მიც.* მაიამის,
ქ. მაიამიში [და არა მაიამში]

მაინა! (*იტალ.* ammaina! = წიშ-
ნავს: დაუშვი, დასწიე!): იხმარე-
ბა პორტის მტვირთავთა, მეზღ-
ვაურთა და მშენებელთა ქარ-
გონში). *შდრ.* ვირა!

მაინცდამაინც (// მაინცადამა-
ინც)

მაიორი; მაიორატი

მაისი (// ვარდობისთვე)

მაისურა // მაისური

მაკარონიზმი: ენაში უცვლე-
ლად შესული უცხოური სიტყვა
ან გამოთქმა

მაკბეთი [და არა მაკბეტი] (შექ-
სპირის ტრაგედიის პერსონაჟი)

მაკედონია: მაკედონელი, მაკე-
დონური

მაკიაველიზმი: პოლიტიკა,
რომელიც ემყარება უხეშ
ძალას, ზნეობრივი ნორმების
უგულეზელყოფას (უკავშირდე-
ბა იტალიელი პოლიტიკური
მოღვაწის – ნიკოლო მაკიავე-
ლის სახელს)

მაკიაჟი

მაკინტოში: 1. კომპიუტერული კომპანია; კომპიუტერის სისტემა; 2. წყალგაუმტარი ლაბადა, საწვიმარი

მაკრო... (*ბერძნ.*): რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილი. ნიშნავს დიდს, მსხვილს: მაკროეკონომიკა, მაკროკოსმოსი, მაკროსტრუქტურა... *შდრ.* მიკრო

მალარია: სამალარიო; მალარიიანი (ადგილი; ავადმყოფი)

მალაქიტი [და არა მალახიტი]: მალაქიტის ზარდახშა

მალემსრბოლი (*ძვ.* შიკრიკი)

მალთუსი; მალთუსიანელი; მალთუსიანელობა (თეორია, რომლის მიხედვითაც ყველა სოციალური უბედურების სათავეა ჭარბმოსახლეობა. უკავშირდება ინგლისელი ეკონომისტის მალთუსის სახელს)

მალფუჭებადი (პროდუქტი)

მამა: *ნათ.* მამისა (მამის მოვალეობა), *მაგრამ* მამას ყალიონი (როცა საუბარი საკუთარ მამას ეხება)

მამა გიორგი! მამა ზურაბ! // მამაო გიორგი! მამაო ზურაბ! მამა გიორგი მოვიდა, მამა გიორგიმ თქვა... [და არა მამაო გიორგი მოვიდა, მამაო გიორგიმ თქვა...]

მამადავითი (ეკლესია და უბანი თბილისში); მამადავითზე (ცხოვრობს); მამადავითის აღმართი

მამადავითობა: ქართული ქრისტიანული დღესასწაული

მამაზეციერი

მამამთავარი (მამამთავრისა)

მამამთილი (= ქმრის მამა; *შდრ.* სიმამრი)

მამაო! იხმარება მხოლოდ მიმართვისას. *მაგ.*: გვაკურთხე, მამაო! [უმართებულო შეხამებები: მამაო მოვიდა, მამაომ თქვა და ა. შ.]

"მამაო ჩვენო": ქრისტიანული ლოცვის სახელწოდება (იბრუნვის ო-ზე ფუძეგათავებული სახელის მსგავსად)

მამა-პაპა (= წინაპრები), *მაგრამ* მამაპაპური; მამაპაპურად; მამაპაპეული // მამაპაპისეული

მამა-შვილი, *მაგრამ* მამაშვილობა; მამაშვილური; მამაშვილურად

მამაჩემი; მამაშენი, მამამისი, მამაჩვენი, მამათქვენი

მამაცთ ბედი სწყალობთ (*ლათ.* Fortes fortuna adjuvat): ძვ. წ. II ს-ის რომაელი მწერლის - ტერენციუსის სიტყვებია

მამაცხონებული

მამიდაჩემი, მამიდაშენი, მამიდაჩვენი, მამიდათქვენი

მამინაცვალი (მამინაცვლისა)

"მამის [და არა "მამების"] **დღე**"

მამის სახელი, *მაგრამ* მამის-სახელობითი (= მამის სახელით) მიმართვა

მამლუქი, მამლუქები *მრ.* (//მამლუქი, მამლუქები)

მამონა (*ნათ.* მამონას): ძველი აღმოსავლეთის ზოგ ხალხში სიმდიდრის ღვთაება. *გადატ.* ვერცხლისმოყვარეობა, სიხარბე და ანგარება

მამულ-დედული

მამული; მამულიშვილი: მამულიშვილობა; მამულიშვილური

მანაგუა: მანაგუიდან, ქ. მანაგუის [და არა მანაგუადან, მანაგუას] მოსახლეობა

მანდატურთუხუცესი (*ლათ.* მანდატური = ხელჯოხიანი): საპოლიციო ფუნქციის აღმსრულებელი დიდი მოხელე ძველ საქართველოში

მანდოლინა (მანდოლინისა)

მანეკენი [და არა მანიკენი]

მანერა: მანერული; მანერულობა

მანიაკი: მანიაკური [// მანიაკალური]

მანიკიური [და არა მანიკური]

მანიპულაცია; მანიპულირება (მანიპულირებს)

მანიფესტი; მანიფესტაცია

მანტია (მანტიისა): მანტიიანი

მანქანა: მანქანური (თარგმანი)

მანქანათმშენებელი: მანქანათმშენებლობა

მანქანა-იარაღები *მრ.*

მანჭვა-გრეხა [და არა მანჭვა-გრეხვა]

მანჯურია: მანჯურიელი, მანჯურიელები *მრ.*; მანჯურიული (ენა)

მანჭეტენი [და არა მანხეტენი]

მაოიზმი; მაოისტი

მაპროფილებელი [და არა მაპროფილირებელი] (საგანი)

მაჟორიტარი: იხმარება მსაზღვრელადაც (მაჟორიტარი დეპუტატი) და დამოუკიდებლადც, განსაკუთრებით – მრავლობითში (მაჟორიტარები)

მაჟორიტარული (არჩევნები)

მარად და მარად

მარადის (აწ და მარადის!); მარადისობა; სამარადისოდ

მარადიული (თემა; ჭეშმარიტება); მარადიულობა

მარადმწვანე (მცენარეები)

მარად უჭკნობი

მარაზმი: ორგანიზმის სიცოცხლისუნარიანობის დაქვეითება, უუნარობა, უილაჯობა

მარათონი [და არა მარაფონი] (საბერძნეთის სოფელ მარათონის სახელის მიხედვით): მარათონელი; მარათონული (რბენა). *გადატ.*: საარჩევნო მარათონი: ხანგრძლივი საარჩევნო კამპანია

მარაო: მარაოიანი

მარგინალი (შემოვიდა ინგლი-

სურიდან XX ს. მიწურულს. აღნიშნავს ადამიანს, რომელიც საზოგადოებისაგან განმდგარია სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური, მორალურ-ეთიკური ან სხვა მიზეზებით): მარგინალური (ცნობიერება; სამყარო)

მარგინალიები *მრ.*: შენიშვნები, მინაწერები წიგნის ან ხელნაწერის არშიებზე

მარეგულირებელი

მართალია: ჩართული სიტყვა, რომელიც მძიმით (მძიმებით) გამოიყოფა

[მართველი; მართველობა *კი არა*] მმართველი, მმართველობა

მართლა და მართლა

მართლმადიდებელი (ეკლესია; ადამიანი,): მართლმადიდებლობა; მართლმადიდებლური

მართლმსაჯულება

მართლწესრიგი

მარიამობა (= მიძინება მარიამ ღვთისმშობლისა): ქრისტიანული დღესასწაული

(მარიამობისთვე //) აგვისტო

მარიას [და არა მარინის] საოპერო თეატრი (ქ. სანქტ-პეტერბურგში)

მარილმოყრილი

მარილნი ქუეყანისანი (*ახ. თარგმ.*: მარილი მიწისა): სახარებისეული გამოთქმა (მ 5,

13). აღნიშნავს მოქალაქეების, საზოგადოების საუკეთესო ნაწილს, (სულიერებით, ცოდნით) გამორჩეულ ადამიანებს

მარინისტი: ზღვის პეიზაჟების მხატვარი; მარინისტიკა

მარიონეტი: მარიონეტული (თეატრი; მთავრობა)

მარკა: ხუთმარკიანი, *მაგრამ* 5-მარკიანი

მარკეტინგი: პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციისადმი კომპლექსური მიდგომა; მარკეტინგული (ფირმა)

მარკირება: მარკირებული

მარმიტი (*ფრანგ.* marmite ქვაბი): საჭმლის ცხლად შესანახი აპარატი

მაროდოორი [და არა მარადიოორი]: მაროდოორობა

მარჟა (მარჟისა) (შემოვიდა XX ს-ის II ნახევარში ფრანგულიდან): სხვაობა საქონლის შესაბენ და გასაყიდ ფასებს შორის

მარსელიეზა (// მარსელიოზა)

მარტი (// მირკანი *ძვ.*)

მარტინი (*იტალ.*): ქართულში შემოვიდა XX ს-ის II ნახევარში რუსულის გზით. აღნიშნავს კოქტეილს, აგრ. მშრალ თეთრ ან წითელ შემაგრებულ ღვინოს

მარტოდმარტო

მარტოსული

მარშრუტი: სამარშრუტო (ტაქსი)

მარჯანი (მარჯნისა); მარჯნის-ფერი

მასზე, *მაგრამ* ამაზე, იმაზე, მაგაზე

მასივი (*ფრანგ.*): დიდი გეოგრაფიული სივრცე (*მაგ.*, ტყის მასივი; საცხოვრებელი მასივი)

მასირებული: მიჯრით, ზედიზედ წარმოებული, ინტენსიური (სროლა, შეტევა)

მასიური: დიდი და მძიმე (ავეჯი)

მასმედია (*შემოკლ.* = მასობრივი მედია, მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი)

მასობრივი: დაერთვის მსაზღვრელად სხვადასხვა სახელს (ტირაჟი; გამოკითხვა; მსვლელობა; გამოსვლები; არეულობა; რეპრესიები...)

მასონი, მასონები *მრ.*; მასონობა

მასტერკლასი: ხელოვნების ოსტატის საჯარო (საჩვენებელი) გაკვეთილები

მასტიმულირებელი

მას შემდეგ

მასში, *მაგრამ* ამაში, იმაში, მაგში

მასშტაბი: მასშტაბური [და არა მშტაბი, მშტაბური]; დიდი / ფართო მასშტაბით, *მაგრამ* მსხვილმასშტაბიანი (რუკა), ფართომასშტაბიანი (ბრძოლა)

მატებს [და არა ჰმატებს] (*მაგ.*: ღირსებას არ მატებს)

[მატერიკი *კი არა*] კონტინენტი

მატიანე (მატიანისა): მემატიანე

მატი [და არა მატი]

მაუსი (*ინგლ.* mouse = თაგვი): კომპიუტერის ნაწილი – სათანადო ადგილის მოსაძებნი და მათორიენტირებელი ღილაკი

მაფია: მაფიური

მაფიოზი: მაფიოზური (მაფიოზთა) კლანი

მაქინაცია, მაქინაციები *მრ.* [და არა მახინაცია, მახინაციები]

მაქსიმალიზმი: მაქსიმალისტი; მაქსიმალისტური

მაქსიმუმი; მაქსიმუმ (= სულ დიდი, ყველაზე მეტი. *მაგ.*, მაქსიმუმ ოცი = ოცზე მეტი არა). *შდრ.* მინიმუმი

მაღალზნეობრივი: მაღალზნეობრიობა

მაღალკვალიფიციური: მაღალკვალიფიციურობა

მაღალ-მაღალი

მაღალმთიანი (სოფელი)

მაღალფარდოვანი; მაღალფარდოვნად; მაღალფარდოვნება.

მაღალჩინოსანი (მაღალჩინოსნისა), მაღალჩინოსნები *მრ.*

მაღალხარისხოვანი; მაღალხარისხოვნად

მაშასადამე: შემაჯამებელი სიტყვა, რომელსაც მოსდევს მძიმით ან ორწერტილით გამოყოფილი დასკვნა

მაცდუნებელი [// მაცთუნებელი]

მაცდური [// მაცთური]

მაცხოვარი (მაცხოვრისა)

მაცხოვრებელი (= ვინც აცხოვრებს), *მაგრამ* მცხოვრები (=ვინც ცხოვრობს)

მაძევს // **მაღევს** მე (ფერი)

მახარებელი: სახარების (ახალ) აღთქმის პირველი ოთხი წიგნის – ოთხთავის) მთხრობელთაგანი (მათე, მარკოზ, ლუკა, იოანე)

მახარობელი: კარგი, გასახარებელი ამბის პირველი მაუწყებელი, მაცნე

მახვილგონიერი: მახვილგონიერება; მახვილგონივრული

მახრჩობს (გახრჩობს) [და არა მალრჩობს, გალრჩობს]

მაჰმადიანი: მაჰმადიანური // მუსლიმანი: მუსლიმანური

მბრძანებელი: მბრძანებლობა; მბრძანებლური

მგონი: ჩართული, რომელსაც მხოლოდ I პირის ფორმა წარმოქმნის რომ კავშირისა და ა (< არის) ელემენტის მოშლით. იხ. მე მგონი

მგონია (გგონია, ჰგონია)

მგოსანი (მგოსნისა): მგოსნობა

მგრძნობელობა: გამღიზიანებლების (რეცეპტორების) მოქმედებაზე რეაქციის უნარი. *მაგ.*: ეფექტური მკურნალობის შე-

დეგად ავადმყოფს კიდურებში მგრძნობელობა აღუდგა (აქცენტირებულია ფიზიკური მხარე)

მგრძნობიარობა: მგრძნობიარე (განმცდელი) ადამიანის თვისება, გულჩვილობა (აქცენტირებულია სულიერი მხარე)

მდაბალი (სალამი); მდაბლად (თავი მდაბლად დაუკრა)

მდოვრე (// მდორე): სიმდოვრე; დამდოვრება

მეათეკლასელი; მეათეკლასელები *მრ.*

მეათე მუზა: ანტიკური მითოლოგია იცნობს ცხრა მუზას (კლიო, თალია, მელპომენე, ევტერპე, ტერფსიქორა, ერატო, პოლიმნია, ურანია და კალიოპე), რომლებიც მფარველობდნენ მეცნიერებისა და ხელოვნების ცხრა დარგს (ისტორიას, კომედიას, ტრაგედიას, მუსიკას, ცეკვას, სატრფიალო პოეზიას, ჰიმნებს, ასტრონომიას, ეპიკურ პოეზიას). მეათე მუზას უწოდებენ ხელოვნების რაიმე ახალ, არატრადიციულ დარგს, მაგალითად, კინემატოგრაფიას, ტელეხედვას და ა.შ. პირველად ეს სახელი პლატონმა უწოდა საფოს – ბერძენ პოეტ ქალს

მეამება, მეამა [და არა მიამება, მიამა]

მეგალითი, მეგალითები *მრ.*, (ლოდებისაგან ნაშენი უძველესი ნაგებობანი); მეგალითური კულტურა

მეგალომანია: განდიდების მანია

მედალი (მედლისა, მედლები *მრ.*): მედლიანი (= მედლის მქონე), *მაგრამ* მედალოსანი (= მედლით დაჯილდოებული)

მედდა (*შემოკლ.* = სამედიცინო და)

მედია (*ლათ.* medium; *მრ.* media): საინფორმაციო საშუალებანი

მედიაბაზარი: საინფორმაციო საშუალებათა კონკურენტული გარემო; მედიაბიზნესი...

მედიასტრუქტურა, მედიასტრუქტურები *მრ.*

მედიკამენტი (= წამალი), მედიკამენტები *მრ.*: მედიკამენტოზური (მკურნალობა)

მედიტაცია: მედიტაციური

მედპერსონალი (*შემოკლ.* = სამედიცინო პერსონალი)

მედღეხვალეიე

მეზოზოური (ერა)

მეთექვსმეტედღინალი

-**მეთქი:** პირველი პირის ნათქვამის გამომხატველი ნაწილაკი. დეფისით უკავშირდება იმ სიტყვას, რომელსაც დაერთვის, ჩვეულებრივ – ზმნას (*მაგ.*: აკი გითხარი, მალე მოვალ-მეთქი!)

მეკლდეური [// კლდემცოცავი]

მეკობრე: მეკობრეობა; მეკობრული

მელანქოლია: მელანქოლიური [და არა მელანხოლია, მელანხოლიური]

მელიორაცია: მელიორაციული; სამელიორაციო

მელომანი: მუსიკის დიდი მოყვარული; მელომანია

[მემარათონე *კი არა*] მარათონელი

მემარცხენე, მემარცხენეები *მრ.*; მემარცხენე-ცენტრისტები *მრ.*; მემარცხენე-ცენტრისტული

მემარჯვენე, მემარჯვენეები *მრ.*; მემარჯვენე-ცენტრისტები *მრ.*; მემარჯვენე-ცენტრისტული

მე მგონი // მგონი: ჩართული გამოთქმაა, რომელიც მძიმით (ან მძიმეებით) გამოიყოფა; მისი სრული სახე (მე მგონია), როგორც ქვეწყობილი წინადადების მთავარი ნაწილი, სათანადოდ ფორმდება რო მ კავშირით ან უიმისოდ. ორსავე შემთხვევაში მძიმით ემიჯნება დამოკიდებულ წინადადებას. *მაგ.*: ამ საკითხში, მე მგონი (< მე მგონია, რომ) შენ ცდები

მემენტო მორი (*ლათ.* memento mori!): გახსოვდეს სიკვდილი!

მემკვიდრე: მემკვიდრეობა; მემკვიდრეობითი: მემკვიდრეობითობა

მემორანდუმი: დიპლომატიური დოკუმენტი, რომელშიც დეტალურად არის გადმოცემული მთავრობის თვალსაზრისი ამა თუ იმ საკითხზე; მოხსენებითი ბარათი

მემორიალი (დიდგორის მემორიალი): მემორიალური (დაფა)

მემუარები *მრ.*: მემუარული (ლიტერატურა); მემუარისტი

მენეჯერი: პირი, რომელიც ახორციელებს წარმოების მართვას

მენეჯმენტი: წარმოების მართვა

მენინგიტი [და არა მინინგიტი]

მენტორული: გადატ. დამრიგებლური (უკავშირდება მენტორს, რომელიც, პოემა "ოდისეას" მიხედვით, იყო ოდისეუსის ვაჟის — ტელემაქეს აღმზრდელი)

მეორედ // **მეორეჯერ**, *მაგრამ მეორედ მოსვლა*

მეორე მხრივ // **მეორე მხრით** [და არა მეორეს მხრივ / მხრით]

მეპაიე (მეპაიისა): საპაიო ამახანაგობის წევრი

მერი; **მერია** (მერიისა)

მერკანტილიზმი: გამორჩენის სურვილი, წვრილმანი ანგარიშიანობა; მერკანტილური; მერკანტილისტი: მერკანტილისტური

მესა: კათოლიკური ღვთისმსახურება, წირვა; ამ ღვთისმსახურების ტექსტზე შექმნილი საგუნდო მუსიკალური ნაწარმოები

მესია; **მესიანიზმი** (მესიის მოვლინების რწმენა) [და არა მესსია, მესსიანიზმი]

[მესიჯი //] უწყება, შეტყობინება
მესხი, **მესხები** *მრ.*: მესხური (კილო)

მეტად თუ ნაკლებად

მეტასტაზი, **მეტასტაზები** *მრ.*

მეტი და მეტი, *მაგრამ მეტისმეტი*

მეტი წილი, *მაგრამ მეტწილად*

მეტ-ნაკლები; **მეტ-ნაკლებად**, *მაგრამ მეტნაკლებობა*

მეტრი: გადატ. დიდი ოსტატი, ეტალონი თავის საქმეში (მეტწილად გამოიყენება ლიტერატურასა და ხელოვნებაში)

მეტრ-ნახევარი [და არა მეტრნახევარი, მეტრონახევარი], *მაგრამ მეტრნახევრიანი* (თოკი)

მეტროპოლია: 1. კოლონიების მფლობელი სახელმწიფო; 2. ძვ. საბერძნეთის ქალაქ-სახელმწიფო (პოლისი) უცხო მიწებზე დაარსებული მისი ახალშენების (კოლონიების) მიმართ. მედიაში ზოგჯერ გადატანით იხმარება დედაქალაქისა და რეგიონის დაპირისპირებისას. *მღრ.* პერიფერია

მეტროპოლიტენი (= მეტრო)

მეფე-დედოფალი (= მეფე და დედოფალი)

მეფისტოფელი: ავი, ბოროტი სული გერმანულ ფოლკლორში, გოეთეს "ფაუსტის" პერსონაჟი. გადატანით: უკეთური, გესლიანი ადამიანი

[მეჩოგნე *კი არა*] ჩოგბურთელი

მეცენატი: მეცნიერებისა და ხელოვნების მფარველი და შემწე. რომელი პოლიტიკური მოღვაწის სახელის მიხედვით, რომელიც მფარველობდა ვერგილიუსსა და ჰორაციუსს; მეცენატობა

მეცნიერი: სამეცნიერო (ხარისხი), *მაგრამ* მეცნიერული (კეთილსინდისიერება)

მეწამული ზღვა *ძვ.* (= წითელი ზღვა)

მეხუთე კოლონა: ასე უწოდებენ ამა თუ იმ ქვეყანაში მოქმედ სხვა სახელმწიფოს აგენტურას, რომელიც შპიონაჟით, საბოტაჟით, დივერსიით ეხმარება მის ფარულ თუ აშკარა აგრესიულ პოლიტიკასა და ქმედებებს. გამოთქმა ეკუთვნის გენერალ ე. მოლას, რომელმაც 1936 წ. განაცხადა: რესპუბლიკური ესპანეთის წინააღმდეგ, ითხი საარმიო კოლონის გარდა, თვით მადრიდში მყავს მეხუთე კოლონაო

მზამზარეული; მზამზარეულად

მთავარანგელოზი (მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზები); მთავარანგელოზობა (ქრისტიანული დღესასწაული)

მთავარეპისკოპოსი

მთავარმართველი (მთავარმართველისა)

მთავარსარდალი (მთავარსარდალისა)

მთაწმინდა: უბანი თბილისში; მთაწმინდაზე (ცხოვრობს)

მთვარეული (// ლუნატიკი)

[მიამება, მიამა *კი არა*] მეამება, მეამა

მიამსგავსებს [*და არა* მიამგავნებს]

მიანდობს, მიანდო (მივანდვე, მიანდვე, მიანდვეს), მიუნდვია

მიაპყრობს, მიაპყრო, მიუპყრია

მიასწრებს (მივასწარი, მიასწარი) [*და არა* მივასწრე, მიასწრე]

მიადწევს [*და არა* მიახწევს]

მიაწყობს, მიაწყო (მივაწყვე, მიაწყვე, მიაწყვეს), მიუწყვია (ბევრი)

მიახრჩობს [*და არა* მიადრჩობს]

[მიბაძავს, მიბაძა *კი არა*] მიჰბაძავს, მიჰბაძა მას

მიგრანტი, მიგრანტები *მრ.*

მიგრაცია: მიგრაციული (პროცესები)

მიგრძნია (გიგრძნია, უგრძნია) [*და არა* მიგრძვნია, გიგრძვნია, უგრძვნია]

მიდი-მოდის, მიდი-მოდისა; მიდი-მოდის, მიდი-მოდისდნენ

მიდიოდნენ [*და არა* მიდიოდენ]

მიეკვრება, მიეკრა [*და არა* მიეკრება, მიეკრო]

მიელტვის, მიელტვოდა მას

მიემზრნენ [და არა მიემზრენ]

მიემზრობა, მიემზრო (მიემზხარი, მიემზარი), მიმზრობია

მიენდობა, მიენდო (მიენდენენ), მინდობია

მიესევა, მიესია (ხალხი), *მაგრამ* მიესივნენ ისინი მას

მიეჩვევა, მიეჩვია ის, *მაგრამ* მიეჩვივნენ ისინი მას

მივედი, ვნახე, ვძლიე (// მიველ, ვნახე, გავიმარჯვე) (*ლათ.* Veni, vidi, vici): ასე ამცნო იულიუს კეისარმა რომს თავისი გამარჯვება ბოსფორის მეფე ფარნაკეზე

მივისწრაფვი [და არა მივისწრაფი], მივისწრაფოდი

მივიხედ-მოვიხედე

მივლენა (მიავლენს): მივლენილი

მივლინება (მიავლინებს): მივლინებული (ბათუმში)

მივუსწრებ [და არა მივუსწრობ], მივუსწარი

მიზანდასახული: მიზანდასახულობა

მიზანთროპი [და არა მიზანტროპი]: კაცთმოძულე

მიზანმიმართული: მიზანმიმართულად

მიზანსწრაფვა: მიზანსწრაფვული

მიზანშეუწონელი: მიზანშეუწონლობა

მიზანშეწონილი: მიზანშეწონილობა

მით უმეტეს // მით უფრო

მითქვამს, გითქვამს, უთქვამს [და არა მითქვია, გითქვია, უთქვია]

მიივლ-მოივლის ის, *მაგრამ* მიიარ-მოიარა მან

[მიკარებია, მიკარებოდა კი არა] მიჰკარებია, მიჰკარებოდა მას

მიკრო... (*ბერძნ.*): რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილი. ნიშნავს ძალიან პატარას, მცირეს: მიკროეკონომიკა, მიკროკოსმოსი, მიკროსტრუქტურა... *შდრ.* მაკრო...

მილენილ-მოლენილი

მიმართება: ურთიერთობა, დამოკიდებულება (ძალთა მიმართება); ზოგჯერ შეცდომით იხმარება მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ი ს ნაცვლად. *მაგ.*: ამ მიმართებით (= ამ მიმართულებით) ბევრი სასარგებლო საქმე გაკეთდა

მიმართულება: 1. გეზი, კურსი; 2. მიმდინარეობა, დაჯგუფება; 3. *გადატ.* შეხედულება, თვალსაზრისი, მრწამსი

მიმდინარე საკითხები

მიმდინარე წელს // წელს

მიმსგავსება [და არა მიმგვანება]

მიმტევებელი: მიმტევებლობა

მინესოტა: მინესოტიდან, მინესოტის [და არა მინესოტადან, მინესოტას] შტატი

მინიატიურა [და არა მინიატურა]: მინიატიურული; მინიატიურისტი

მინიკაბა; მინიპალტო

მინიმარკეტი

მინიმუმი; მინიმუმ (= სულ ცოტა, სულ მცირე. *მაგ.*, მინიმუმ ოცდაათი). *შდრ.* მაქსიმუმი

[მინინგიტი *კი არა*] მენინგიტი

მინიფეხბურთი; მინიგოლფი (მირკანი *ძვ. //*) მარტი

მირონი; მირონცხება: მირონცხებულნი; ნათელმირონობა

მირქმა: ქრისტიანული დღესასწაული

მისდა საბედნიეროდ; მისდა საუბედუროდ; მისდა უნებურად

მისდევს, მისდევდა, მისდია მას

მისი: ზოგჯერ შეცდომით იხმარება თ ა ვ ი ს ნაცვალსახელის ნაცვლად. ზოგადი წესი ასეთია: თუ ობიექტი სუბიექტს ეკუთვნის, სწორია თ ა ვ ი ს ი (*მაგ.*: ვანომ თ ა ვ ი ს ი მანქანა გაყიდა); თუკი ობიექტი სხვა (ირიბ) ობიექტს ეკუთვნის, სწორია მ ი ს ი (*მაგ.*: ვანომ ძმის თხოვნით მისი მანქანა გაყიდა)

მისია; მისიონერი [და არა მის-

სია, მისსიონერი]

მისსავე [და არა მისივე] (ძმას)

მისტერ, მისის, მის (*ინგლ.*): უცვლელად იხმარება პატივისცემით მოხსენიებისას ან მიმართვისას მამაკაცის, გათხოვილი ქალისა და ქალიშვილისადმი. იხმარება მხოლოდ გვართან ერთად (მის წინ)

მისტიკა: ზებუნებრივი ძალების რწმენა; იღუმალლი რამ; მისტიკური; მისტიკოსი

მისტიფიკაცია // მისტიფიცირება: მისტიფიცირებული; მისტიციზმი

მისცემს, მისცა, მისცეს [და არა მიცემს, მიცა, მიცეს] მას

მისცვივდა (ხალხი) მას, *მაგრამ* მიცვივდა (ხალხი პოლიციაში)

მისწერს, მისწერა [და არა მიწერს, მიწერა] (წერილი) მას

მისწვდება, მისწვდა, მისწვდომია [და არა მიწვდება, მიწვდა, მიწვდომია] მას

მისწრაფება (მიისწრაფვის)

მიუახლოებს, მიუახლოვა, მიუახლოოს, მიუახლოებია

მიუბამს (თურმე) [და არა მიუბამია] მისთვის

მიუბამავს (თურმე) [და არა მიუბამია] მისთვის

მიუსერა: მიუსერიდან, მიუსერის [და არა მიუსერადან, მიუსერას] მოსახლეობა

მიუძღვის, მაგრამ მიუძღოდა,
მიუძღოდეს

მიქრის, მიქროდა [და არა მი-
ჰქრის, მიჰქროდა] (მატარებე-
ლი)

მიღწევა; მიღწეული [და არა
მიხწევა, მიხწეული]

[მიყავს, მიყავდა *კი არა*] მიჰ-
ყავს, მიჰყავდა მას

[მიყვება, მიყვებოდა *კი არა*]
მიჰყვება, მიჰყვებოდა მას

[მიცემს *კი არა*] მისცემს მას

მისცვივდა (ხალხი გამგეობაში),
მაგრამ მისცვივდა (ხალხი
გამგებელს)

**მიწათმოწყობა; მიწათმომწყო-
ბი**

მიწათმფლობელი (მიწათმფ-
ლობელისა): მიწათმფლობე-
ლობა

მიწის ქვეშ, მაგრამ მიწისქვეშა
(გადასასვლელი)

მიხეილის საავადმყოფო
(ძველ თბილისში) [და არა მი-
ხაილოვის საავადმყოფო]

მიჯაჭვული [და არა მიჯაჭუ-
ლი]

მიჰბამავს, მიჰბამა [და არა მი-
ბამავს, მიბამა] მას

მიჰკარებია, მიჰკარებოდა [და
არა მიკარებია, მიკარებოდა]
მას

მიჰქონდა [და არა მიქონდა]
მას

მიჰყავს, მიჰყავდა [და არა მი-

ყავს, მიყავდა] მას

მიჰყვება, მიჰყვებოდა [და არა
მიყვება, მიყვებოდა] მას

(მკათათვე //) ივლისი

მკერდგაღელილი

"**მკვახე იყო ის ყურძენი**": მო-
მდინარეობს რუსი მეიგავის ი.
კრილოვის იგავ-არაკიდან "შე-
ლა და ყურძენი". გამოხატავს
რაიმე საქმის ჩაფუშვისას თავი-
სი თავის ნუგეშისცემის, მარც-
ხის არად მიჩნევის ამაო ცდას.
ქართულში ამ ფრაზის პოპუ-
ლარობა უკავშირდება აკაკისე-
ულ თარგმანს. ქართულ ზე-
პირსიტყვიერებაში მისი შესატ-
ყვისია ანდაზა: "კატა ვერ შესწ-
ვდა ძეხვსაო: პარასკევია დღე-
საო"

მკვდარი ასო: გამოთქმა მომ-
დინარეობს კორინთელთა მი-
მართ პავლეს II ეპისტოლიდან
(3, 6): "რამეთუ წიგნმან მოაკუ-
დინის, ხოლო სულმან აცხოვ-
ნის" (*ახ. თარგმ.*: ვინაიდან ასო
კლავს, ხოლო სული აცოცხ-
ლებს). აღნიშნავს საქმის ფორ-
მალურ, მხოლოდ გარეგან მხა-
რეს

მკვდარი სულები: გარდაცე-
ლილი, ცოცხალი ან არარსებუ-
ლი ადამიანები, რომლებიც ამა
თუ იმ ოფიციალურ სიაში (რე-
ესტრში) ნომინალურად ირიც-
ხებიან. ამ პრაქტიკას არადე-
მოკრატიულ საზოგადოებაში
იყენებენ სხვადასხვა სახის სი-
ყალბის ჩასადენად (*მაგ., არჩევ-*

ნების გასაყალბებლად). საბჭო-
თა ეპოქაში ეს სიტყვათშეხამე-
ბა გავრცელდა რუსი მწერლის
- ნ. გოგოლის ამავე სახელწო-
დების რომანის ("Мертвые
души") მიხედვით

მკვლევარი (მკვლევრისა),
მკვლევრები *მრ.*

მმართვეს მე (ვისიმე ფული)

მმართველი: მმართველობა
[*და არა მართველი, მართვე-*
ლობა]

მნათე (მნათისა)

მოაპარვინებს, მოაპარვინა, მო-
უპარვინებია [*და არა მოაპარი-*
ნებს, მოაპარინა, მოუპარინებია]

[*მოაქვს კი არა*] მოჰყავს ციტა-
ტა (მაგალითი, ციფრები...)

მოაწყვეს, მოაწყვე, მოვაწყვე
[*და არა მოაწყეს, მოაწყე, მო-*
ვაწყე(თ)]

მოაჯადოებს, მოაჯადოვა, მოა-
ჯადოოს, მოუჯადოებია

[*მობეზრდება, მობეზრდა, მო-*
ბეზრებია კი არა] მოჰბეზრდე-
ბა, მოჰბეზრდა, მოჰბეზრებია

მობილიზაცია; მობილიზება;
მობილიზებული [*და არა მობი-*
ლიზირება, მობილიზირებული]

მობილური: მობილურობა [*და*
არა მობილობა]; მობილური
ტელეფონი

მოგგონებია, მოგგონებოდა
შენ ის

[*მოგვრის, მოგვრიდა, მოგვარა,*

მოგვაროს კი არა] მოჰგვრის,
მოჰგვრიდა, მოჰგვარა, მოჰგვა-
როს (ძილი) მას

მოგლეჯს (ხეს), *მაგრამ* მოჰგ-
ლეჯს (ნიღაბს) მას

მოგონებული (= რაც გაიხსე-
ნეს), *მაგრამ* მოგონილი (= რაც
შეთხზეს)

მოგროვებული (ვინც ან რაც
მოაგროვეს), *მაგრამ* მოგრო-
ვილი (ვინც ან რაც
მოგროვდა)

მოდი: 1. ზმნა ბრძანებითში:
მაღე მოდი! 2. ნაწილაკი: მოდი
[*და არა მოდით*] ვითამაშოთ!

მოეკრიბა (ძალა), *მაგრამ* მო-
კვრიფა (ხილი)

მოეწყობა, მოეწყო (მოვეწყვე,
მოეწყვე, მოეწყვენ), მოწყობილა

მოეხვია იგი მას, *მაგრამ* მოე-
ხვივნენ ისინი მას

მოვარდა (ერთი), *მაგრამ* მოც-
ვივდა (ზევრი)

მოთხოვნა: ერთის (ერთი მხა-
რის) მიერ მეორისათვის კატე-
გორიულად წაყენებული წინა-
დადება გარკვეული პირობე-
ბით (*მაგ.:* თანამდებობის პი-
რის გადადგომის მოთხოვნა)

მოთხოვნილება (= შინაგანი სა-
ჭიროება): ადამიანის სასიცოც-
ხლო (ფიზიოლოგიური...), სუ-
ლიერი მოთხოვნილებები

[*მოთხოვს, მოთხოვა, მოთხო-*
ვოს კი არა] მოსთხოვს, მოსთ-
ხოვა, მოსთხოვოს (რამე) მას

მოილაპარაკებენ ისინი, მოილაპარაკეს, მოულაპარაკებითათ

მოიმკვი, სადა არა დასთესი
(*ახ. თარგმ.*: მოიმკვი, სადაც არ დაგითესავს). სახარებისეული გამონათქვამია (მ 25, 24), ქართულ ენასა და ცნობიერებაში მყარად დამკვიდრებული. ვაჟა-ფშაველა თავისი პოემის გმირს ათქმევინებს: "– საცა არ მიხნავ, ძმობილო, იქ ვმკო – ეს სადაურია?"

მოიყვანს, მოიყვანა, მოუყვანია [და არა მოიტანს, მოიტანა, მოუტანია] მაგალითი (ციტატა, ციფრები...)

მოიყოლებს (ქვეშ), *მაგრამ* მოიყოლიებს (= თან მოიყვანს)

მოიცვლის (კბილს)

მოიცლის (= თავისუფალ დროს იშოვის)

მოკბენს [და არა მოკბიჩავს] (ვაშლს)

მოკვდა (ვაცი), *მაგრამ* დაიხოცა (ხალხი)

მოკვდავი: ვინც ან რაც კვდება საერთოდ. *მაგ.*: ყველა ცოცხალი არსება (მათ შორის ადამიანიც) მოკვდავია; უბრალო მოკვდავი. *შდრ.* მომაკვდავი

[მოკვეთს, მოკვეთა *კი არა*] მოჰკვეთს, მოჰკვეთა მას

[მოკიდებს, მოკიდა *კი არა*] მოჰკიდებს, მოჰკიდა (ხელი) მას
მოკლემეტრაჟიანი; მოკლეტალღიანი

მოკრება (ძალ-ღონისა), *მაგრამ* მოკრეფა (ხილისა)

მოკრეფილი (ხილი)

მოლდავეთი (თვითწოდებით – მოლდოვა): მოლდაველი, მოლდაველები *მრ.*; მოლდავეური (ენა)

მომავალ წელს // გაისად

მომაკვდავი: ვინც ან რაც კვდება ამჟამად (ან სხვა კონკრეტულ მომენტში). სიკვდილის პირას მისული. *შდრ.* მოკვდავი

მომილოცავს [და არა მომილოცნია]

მომიყვა, (უნდა) მომიყვეს იგი მე (ამბავს)

მომმადლებს, მომმადლა მე

მომმარაგებელი (მომმარაგებლისა)

მომმართავს, მომმართა მე

მომმატებია, მომმატებოდა მე

მომსახურება [და არა მომსახურეობა]: კომუნალური მომსახურება

[მომქმედი *კი არა*] მოქმედი

მომღერალი (მომღერლისა), მომღერლები *მრ.*

მომჩივანი (მომჩივნისა)

მომჩივან-მოპასუხე (მომჩივან-მოპასუხისა)

მონარქია: მონარქიული

მონარქიზმი; მონარქისტი: მონარქისტული

მონიტორინგი: რაიმე პროცესზე დაკვირვება, შეფასება და პროგნოზირება

მონუმენტი: მონუმენტური [და არა მონუმენტალური]; მონუმენტალისტი

[მოპარავს, მოპარა *კი არა*] მოპარავს, მოპარა მას

მორაგბე (მორაგბისა) // რაგბისტი [// რეგბისტი]

მორატორიუმი: რაიმე ვალდებულების, მოქმედების აღსრულების გადავადება ან შეჩერება (*მაგ.*, მორატორიუმი ბირთვული იარაღის გამოცდაზე)

მორბენალი (მორბენალისა)

მორფიუმი // მორფინი (// მორფი)

“მორჩილი უმრავლესობა”: ეს გამოთქმა ქართულ მედიაში გავრცელდა 1980-იანი წლების დამლევდიდან. იგი ასახავს შეფასებითს დამოკიდებულებას საზოგადოების (დეპუტატთა...) იმ დიდი ნაწილის – ფაქტობრივ, უმრავლესობის მიმართ, რომელიც თავისი უპრინციპობითა და უპასუხისმგებლობით ხელს უშლის სამართლებრივი გადაწყვეტილებების მიღებას და, საერთოდ, აფერხებს საზოგადოების დემოკრატიზაციის პროცესის განვითარებას (გამოთქმა ამ სახითაც იხმარება: “აგ-

რესიულად მორჩილი უმრავლესობა”)

მოსაკრებელი (მოსაკრებლისა, მოსაკრებლები *მრ.*): ყოველთვიური მოსაკრებლები

მოსარჩლე: სარჩელის შემტანი

მოსარჩლე: ქომაგი; ვინც ესარჩლება ვინმეს, – ჩაგრულთა მოსარჩლე

მოსდევს, მოსდევდა მას

მოსთხოვს, მოსთხოვა, მოსთხოვოს [და არა მოთხოვს, მოთხოვა, მოთხოვოს] მას

მოსინჯავს [და არა მოშინჯავს]

მოსკოვური [და არა მოსკოური]

[მოსჩანს, მოსჩანდა *კი არა*] მოჩანს, მოჩანდა ის

მოსჩვენებია, მოსჩვენებოდა [და არა მოჩვენებია, მოჩვენებოდა] მას

მოსცილდება, მოსცილდა, მოსცილებია [და არა მოცილდება, მოცილდა, მოცილებია] მას

მოსცლია [და არა მოცლია] მას

მოსწავლე // **მოწაფე:** მე-5 კლასის მოსწავლე / მოწაფე, *მაგრამ* ქრისტეს მოწაფეები, ე.ი. ქრისტეს მიმდევრები. აქედან: დაემოწაფა (პეტრე იესოს), დაიმოწაფა (იესომ პეტრე)

მოსწევს, მოსწია [და არა მოწევს, მოწია] (თოკი; სიგარეტი)

მოსწერს, მოსწერა მას

მოსწმენდს, მოსწმენდდა, მოსწმენდეს (ცრემლს) მას, *მაგრამ* მოსწმენდს (იატაკს)

მოსწონს, მოსწონდა, მოსწონებია [და არა მოწონს, მოწონდა, მოწონებია] მას

მოსწყვეტს, მოსწყვიტა მას (მზერა), *მაგრამ* მოსწყვეტს, მოსწყვიტა (ყვავილი)

მოსწყურდება, მოსწყურდა [და არა მოსწყურდება, მოსწყურდა] მას

მოსჭრის (თითს) მას, *მაგრამ* მოჭრის (1. ფულს; გზას; 2. = მოკლედ იტყვის)

მოტივაცია // მოტივირება: მოტივირებული

მოტოდივიზია; მოტოკოლონა

მოუნათლავს (თურმე) [და არა მოუნათლია]

მოუნახავს (თურმე) [და არა მოუნახია]

მოუპარავს (თურმე) [და არა მოუპარია]

მოუწევს (ცდა, დგომა...; მოითხოვს სახელობით ბრუნვას), *მაგრამ* მოუწია (ცდამ, დგომამ...), ე.ი. მოითხოვს მოთხოვრობითს)

მოუწყობს, მოუწყო (მოვუწყვე, მოუწყვე, მოუწყვეს), მოუწყვია [და არა მოვუწყვე, მოუწყვე, მოუწყვეს, მოუწყვია]

მოუხატავს (თურმე) [და არა მოუხატია]

მოუხდა (= დაშვენდა) კაბა, *მაგრამ* მოუხდა (= მოუწია) ცდა, ფულის გადახდა... (ამ მნიშვნელობით ზმნა ითხოვს მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვას)

მოუხმობს, მოუხმო, მოუხმია

მოქალაქე (მოქალაქისა): მოქალაქეობა; მოქალაქეობრივი

"მოქალაქეები": საქართველოს მოქალაქეთა კავშირის წევრები (განმეორებით ხსენებისას)

მოქმედი [და არა მომქმედი] [მოქონდა კი არა] მოჰქონდა მას

მოქრის, მოქროდა [და არა მოჰქრის, მოჰქროდა] მატარებელი

[მოყავს, მოყავდა კი არა] მოჰყავს, მოჰყავდა მას

მოყვანა [და არა მოტანა] ციტატისა (მაგალითისა, მოსაზრებისა, ციფრებისა...)

მოყვება, მოყვა (მტრის გარემოცვაში), *მაგრამ* მოჰყვება, მოჰყვა მას

მოჩანს, მოჩანდა [და არა მოსჩანს, მოსჩანდა]

[მოჩვენებია, მოჩვენებოდა კი არა] მოსჩვენებია, მოსჩვენებოდა მას

მოჩვენებითი (კეთილდღეობა, სიმშვიდე): მოჩვენებითობა

მოცემული: ამ სიტყვის ხმარება ჩვენებითი ნაცვალსახელის ფუნქციით კანცელარიულ

მეტყველებად ფასდება. მის ნაცვლად უმჯობესია გამოვიყენოთ: ეს, (ზემო) აღნიშნული, (ზემო) ხსენებული, განსახილველი (საკითხი; შემთხვევა...)

[მოცილდება, მოცილდა, მოცილებია *კი არა*] მოსცილდება, მოსცილდა, მოსცილებია მას

[მოცლია *კი არა*] მოსცლია მას

მოწამე (მოწამისა): 1. წამებუ-ლი; 2. ძვ. მოწმე (ღმერთია მოწამე)

მოწამებრივი [და არა მოწამეობრივი]: მოწამებრივი სიკვდი-ლი

მოწინააღმდეგე (მოწინააღმდეგისა)

მოწმე (მოწმისა): ვინც თავისი დასწრებით ან დაუსწრებლად ამა თუ იმ ფაქტს ადასტურებს ვისიმე სასარგებლოდ

მოწმენდს, მოწმენდდა, მოწმენდდეს (იატაკს), *მაგრამ* მოსწმენდს (ცრემლს) მას

მოწყვეტს, მოწყვიტა (ყვავი-ლი), *მაგრამ* მოსწყვეტს, მოსწყვიტა (მზერა) მას

[მოწყურდება, მოწყურდა, მოწყურებია *კი არა*] მოსწყურდება, მოსწყურდა, მოსწყურებია

მოჭრის (1. ფულს; გზას; 2. = მოკლედ იტყვის), *მაგრამ* მოსჭრის (თავს) მას

მოხელე [და არა ჩინოვნიკი] (*მაგ.*, სახელმწიფო მოხელე)

მოხვდება, მოხვდა, მოხვედრია მას (მუშტი; *გადატ.* = დაიტუქსება) და მოხვედრილა იგი (სადმე შემთხვევით მისულა)

მოხვედი შენ (*თხრობ. კილო*); მოდი! (*ბრძან. კილო*)

მოხიბვლა (მოხიბლავს; მოიხიბლება): მოხიბლული

მოჯაჭიდი (მოჯაჭიდები *მრ.*): მუსლიმანური სარწმუნოებისათვის მებრძოლი, წამებული [და არა მუჯახიდი, მუჯახიდები; მოჯაჰედი, მოჯაჰედები]

მოჰბეზრდება, მოჰბეზრდა, მოჰბეზრებია [და არა მობეზრდება, მობეზრდა, მობეზრებია] მას

მოჰგვრის, მოჰგვრიდა, მოჰგვარა, მოჰგვაროს [და არა მოგვრის, მოგვრიდა, მოგვარა, მოგვაროს] (ვინმე; ძილი) მას

მოჰიკანი [და არა მოგიკანი]: ჩრდილოამერიკელ ინდიელთა ერთ-ერთი მცირერიცხოვანი ტომის წარმომადგენელი; უკანასკნელი მოჰიკანი (= ვისიმე ან რისამე უკანასკნელი, ბოლო წარმომადგენელი)

მოჰკვეთს, მოჰკვეთა მას [და არა მოკვეთს, მოკვეთა]

მოჰკიდებს, მოჰკიდა [და არა მოკიდებს, მოკიდა] (ხელი) მას

მოჰპარავს, მოჰპარა [და არა მოპარავს, მოპარა] (ფული) მას

მოჰქონდა [და არა მოქონდა] მას

[მოქერის, მოქეროდა *კი არა*]
მოქერის, მოქეროდა

მოჰყავს: ეს ზმნა იხმარება როგორც პირდაპირი (მოჰყავს მას ვინმე), ისე გადატანითი – დამოწმების მნიშვნელობით: მოჰყავს [და არა მოაქვს] მას ციტატა (მაგალითი, ციფრები...), ამ მონაცემებს ცოცხალი მოწმის ფუნქცია ენიჭება

მოჰყვება, მოჰყვეს იგი ამბავს [და არა ამბავი]

მოჰყვება, მოჰყვება, მოჰყოლია იგი მას, *მაგრამ* მოყვება, მოყვება, მოყოლილა ის (ავარიანში)

მრავალგზის (ჩემპიონი); მრავალგზის (შეხვდა)

მრავალეროვანი (ქვეყანა)

მრავალთავი

მრავალი: საზღვრული სახელისაგან მოითხოვს მხოლოდობითი რიცხვის ფორმას: მრავალი მნახველი / ქვეყანა... [და არა მრავალი მნახველები / ქვეყნები...]

მრავალმხრივი: მრავალმხრივობა

მრავალნი არიან ჩინებულ და მცირედნი რჩეულ (*ახ. თარგმ.*: მრავალნი არიან ხმობილნი და მცირედნი – რჩეულნი). სახარებოდანაა (მ 20, 16; 22, 14). იხმარება უკეთესთა შორის უკეთესის, ყველასაგან გამორჩეულის, უნიკალური პიროვნების დახასიათებისას

მრავალსაუკუნოვანი

მრავალფეროვანი; მრავალფეროვნად

მრავალფუნქციანი

მრავალშვილიანი (დედა)

მრავალხმიანი (სიმღერა)

მრავლისმეტყველი, *მაგრამ* მრავლის მომსწრე და მნახველი

მრგვალი: სიმრგვალე [და არა რგვალი, სირგვალე]

მრევლი: სამრევლო

მრისხანება წუთიერი სიგიჟა (*Ira furor brevis est*): გამოთქმა მომდინარეობს რომაელი პოეტის – ჰორაციუსის (ძვ. წ. 65–8 წწ.) ლექსიდან

მრისხანებისა და მიკერძობების გარეშე (*ლათ. Sine ira et studio*). გამოთქმა ეკუთვნის I ს-ის რომაელ ისტორიკოსს – ტაციტუსს ("ანალები"); გამოხატავს მემატინის, საერთოდ, ავტორის ობიექტურობას

მსგეფსი ძვ.: დროის მონაკვეთი სწორამდე, – კვირა (*ჩვეულ.*) ან წელი; *ეკლ.* დროის ისეთი მონაკვეთი, როცა შეიძლება ოთხშაბათსა და პარასკევს სახსნილო საჭმლის მიღება

მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაცია

მსოფლიო პოლიტიკა, *მაგრამ* მსოფლიოს რუკა (ატლასი...)

მსოფლმხედველობა; მსოფლშეგრძნება; მსოფლხედვა

მსყიდველობითი // მყიდველობითი (უნარი)

მსხვილი გადამხდელი

მსჯავრდადებული [და არა მსჯავრდებული]

მსჯავრი [და არა მშჯავრი]

მსჯავრმდებელი (მსჯავრმდებლისა)

მტერ-მოყვარე (მტერ-მოყვრისა), *მაგრამ* მტერმოყვრობა

მტვერსასრუტი

მტკვარი (მტკვრისა)

მტკიცებულება: გარემოება ან ნივთი, რომელიც ასაბუთებს ამა თუ იმ მოვლენის, ფაქტის არსებობას, რაიმე მოქმედების ჩადენას

მუდმივმოქმედი (სემინარი)

მუზეუმი "ქარვასლა" (მუზეუმ "ქარვასლაში")

მულტიმილიონერი

მულტიპლიკაცია: მულტიპლიკაციური (ფილმი)

მულტსერიალი (*შემოკლ.* = მულტიპლიკაციური ფილმების სერიალი)

მულტფილმი (*შემოკლ.* = მულტიპლიკაციური ფილმი)

მუნდიალი: მსოფლიო ჩემპიონატი (ფეხბურთში)

მუნიციპალიტეტი; მუნიციპალური

მუსირება (მუსირებს) (*ფრანგ.* musse(r) = მუსი, ქაფი). მისგან მიღებული ზმნა გადატანითად

აღნიშნავს რაიმეს (აშბის, საქმის) გაბუქვას, "გაბერვას"

მუსლიმანი: მუსლიმანური [და არა მუსლიმი, მუსლიმური; მუსულმანი, მუსულმანური] // მაჰმადიანი, მაჰმადიანური

მუსლიმანობა // მაჰმადიანობა

მუქი ლურჯი; მუქი წითელი

მუყაო [// კარტონი, და არა კარდონი]

მუშა-მოსამსახურეები *მრ.*

მუშაობს (ვინმესთვის) [და არა ვინმეზე]

მუშახელი

მუშთაიდის [და არა მუშტაიდის] ბალი (თბილისში)

მუშტი-კრივი: ძველი სახალხო დღესასწაულის სპორტული ელემენტი, *მაგრამ* კრივი *სპორტ.*

მუხლის მოყრა (მუხლს მოიყრის), *მაგრამ* მუხლმოყრილი

მუხლობრივ // **მუხლობრივად;** მუხლობრივი (განხილვა კანონპროექტისა)

[*მუჯახიდი, მოჯაჰედი კი არა*] მოჯაჰიდი

მუჰაჯირი, მუჰაჯირები *მრ.:* ოსმალეთში განდევნილი კავკასიელი(ებ); **მუჰაჯირობა** [და არა მუხაჯირ(ებ)ი, მუხაჯირობა]

მფრინავი ჰოლანდიელი: ნიდერლანდური ლეგენდის მეზღვაური, რომელსაც აღთქმად და-

უღვია საოცნებო კონცხის შემო-
ვლა. ეს თემა დამუშავებულია
ევროპის მხატვრულ ლიტერა-
ტურაში. რ. ვაგნერს ეკუთვნის
ამავე სახელწოდების ოპერა. იხ-
მარება მოუსვენარი ბუნების,
ერთთავად აკვიატებული მიზ-
ნის მისაღწევად მოხეტიალე
ადამიანის აღსანიშნავად

მღერი: რას მღერი? [და არა
მღერიხარ; რას მღერიხარ?]

მყინვარი [და არა ყინვარი]: 1.
(მყინვარისა; მყინვარები *მრ.*);
2. // მყინვარწვერი (კავკასიონის
ერთ-ერთი უმაღლესი მწვერვა-
ლი)

მშვიდობისმოყვარე (მშვიდო-
ბისმოყვარისა): მშვიდობისმოყ-
ვარეობა

მშვილდი [და არა შვილდი];
მშვილდ-ისარი; მშვილდოსანი;
მშვილდოსნობა

მცირე აზია, *მაგრამ* მცირეა-
ზიური

მცირე ბიზნესი

მცირემიწიანი: მცირემიწიანობა

მცირე მოსავალი, *მაგრამ* მცი-
რემოსავლიანი

მცირე ტირაჟი (მცირე ტირა-
ჟით), *მაგრამ* მცირეტირაჟიანი

მცნება: 1. ღმერთის მიერ ადა-
მიანთათვის დაწესებული უმ-
თავრესი კანონი: ათი მცნება; 2.
სახელმძღვანელო დებულება:
"მოჰყევ დავითის მცნებასა:
ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბი-
ლი, თუ ეძებ გემოვნებასა"

(დ. გურამიშვილი). *შდრ.* ცნება

მცხეთობა-სვეტიცხოვლობა:
(// მცხეთობა // სვეტიცხოვლო-
ბა): ქართული ქრისტიანული
დღესასწაული

მცხოვრები (= ვინც ცხოვრობს),
მცხოვრებნი // მცხოვრებლები
მრ., *მაგრამ* მაცხოვრებელი (=
ვინც აცხოვრებს)

მძევალი, მძევლები *მრ.*

მძვინვარებს, მძვინვარებდა

მძიმე ჯვარი: ჯვრის ზიდვა:
მომდინარეობს სახარებიდან:
იესო ქრისტეს წილად ხვდა
თვითონ აეტანა გოლგოთის
მთაზე ჯვარი, რომელზედაც
იგი უნდა გაეკრათ (ი 19, 17).
გამოხატავს რწმენის ერთგუ-
ლებას, ადამიანისაგან თავისი
ვალის მორჩილად აღსრულე-
ბას

მძლეოსანი: მძლეოსნობა

"**მწვანეები**": 1. "მწვანეთა პარ-
ტია"; 2. ამ პარტიის წევრები,
წარმომადგენლები (იხმარება
სიმოკლისათვის, ანდა განმეო-
რებით ხსენებისას)

"**მწვანე რევოლუცია**": 1960-ია-
ნი წლების პროგრამა სასოფ-
ლო-სამეურნეო წარმოების
სრულყოფისა ყოფილ კოლო-
ნიურ ქვეყნებში

მწვრთნელი [და არა მწრთვნე-
ლი]

მჭადი [და არა ჭადი]

მჭევრმეტყველი: მჭევრმეტყვე-

ლება [და არა მჭერმეტყველი,
მჭერმეტყველება]

მკმუნვარე: მკმუნვარება

მხარდაჭერა // **მხარის დაჭერა;**
მხარდამჭერი; მხარდასაჭერი
(მხარდასაჭერად) // მხარის
დასაჭერი (დასაჭერად)

მხარე (მხარისა), *მრ.* მხარეები

მხარი (მხრისა), *მრ.* მხრები,
მაგრამ (იდიომში): მხარის და-
ჭერა

მხატვარ-გრაფიკოსი; მხატვარ-
დეკორატორი [და არა მხატვა-
რი-გრაფიკოსი, მხატვარი-დე-
კორატორი]

მხედართმთავარი (მხედართ-
მთავრისა)

მხედარი (მხედრისა): მხედრო-
ბა; მხედრული (ვალი); სამხედ-
რო (პირი; სალამი)

მხოლოდ და მხოლოდ

მხრივ // **მხრით:** ერთი მხრივ /
მხრით, მეორე მხრივ / მხრით,
მაგრამ არა: ერთი მხრივ..., მე-
ორე მხრით (ან პირუკუ)

მჯერა [და არა მჯერავს]

ნ

ნააზრევი

ნაამაგარი [და არა ნაამაგდარი]

ნაანგარიშები [და არა ნაანგარიშევი]

ნაანდერძები // ნაანდერძევი

ნაახალწლევი; ნაახალწლევს

ნაბიჯ-ნაბიჯ

ნაბოძები (// ნაბოძვარი)

ნაგულისხმები (// ნაგულისხმევი)

ნადირ-ფრინველი

ნავალდებულები

ნავარაუდები (// ნავარაუდევი)

ნავარჯიშები

ნავახშმები (= ვინც ივახშმა),
მაგრამ ნავახშმევს (= ვახშმო-
ბის შემდეგ)

ნავენახარი // ნავენახევი

ნავთობგადასამუშავებელი

ნავთობპროდუქტი, ნავთობ-
პროდუქტები *მრ.*

ნავთობსადენი

ნავსადგური; ნავმისადგომი

ნათათბირები

ნათამაშები

ნათელვყოფ, ნათელვყავი [და
არა ვნათელყოფ, ვნათელყავი]

ნათელ-მირონი, მაგრამ ნა-
თელმირონობა

ნათელმხილველი

ნათელნი სოფლისანი (*ახ.*
თარგმ.: ნათელი ქვეყნისა): მო-
მდინარეობს სახარებიდან (მ 5,
14). ასე მიმართა ქრისტემ თა-
ვის მოწაფეებს. *გადატ.* – გამო-
რჩეული ადამიანები, ხალხის
სულიერი წინამძღოლები

ნათელყოფს, ნათელყოფდა, ნა-
თელყო (ნათელვყავი, ნათელ-
ყავი), ნათელუყვია

ნათესავ-მეგობარი, ნათესავ-
მეგობრები *მრ.*

ნათლია (*ნათ.* ნათლიისა, *მაგ-*
რამ – ნათლიას, როცა საუბარი
საკუთარ ნათლიას ეხება)

ნათლიაჩემი, ნათლიაშენი

ნათლიდედა (ნათლიდედისა):
ნათლულის დედა

ნათლიმამა (ნათლიმამისა): ნა-
თლულის მამა. ზოგჯერ რუსუ-
ლი ენის გავლენით ("Крестный
отец") ამ სიტყვას "ნათლის"

სინონიმად ხმარობენ (*მაგ.*, ამერიკული ფილმი "ნათლია" წლების მანძილზე "ნათლიამად" ითარგმნებოდა)

ნათლისდება: ქრისტიანული დღესასწაული

ნათლისცემა: ნათლისმცემელი (ნათლისმცემლისა); იოანე ნათლისმცემელი

ნათხოვი (ცოლი), *მაგრამ* ნათხოვნი (ნებართვა); ნათხოვარი (წიგნი)

ნაივური (*ფრანგ.* naïf = მიამიტური). ტერმინი გამოიყენება პრიმიტივისტ ხელოვანთა სტილის დასახასიათებლად

ნაირფეროვანი: ნაირფეროვნება

ნაკლებეფექტური, *მაგრამ* ნაკლებად ეფექტური

ნაკლებმნიშვნელოვანი

ნალაპარაკები (*//* ნალაპარაკევი)

ნამთვრალევი; ნამთვრალევზე

ნამოქმედარი [*და არა* ნამოქმედი]

ნამოწაფარი (ნამოწაფრისა)

ნამსახურობა

ნამუშევარი, ნამუშევრები *მრ.*

ნაოპერაციები (კაცი), *მაგრამ* ნაოპერაციევი (ადგილი)

ნართი, ნართები *მრ.*; ნართული (კავკასიური) ეპოსი

ნარკობიზნესი (*შემოკლ.* = ნარკოტიკების ბიზნესი)

ნატიურმორტი (*//* ნატურმორტი)

ნატურალიზმი: მიმდინარეობა ლიტერატურასა და ხელოვნებაში; ნატურალისტი: ნატურალისტური, *მაგრამ* ნატურალური (რიცხვები; მეურნეობა)

ნაუცბადევი [*და არა* ნაუცბათევი, ნაუცვათევი]; ნაუცბადევად

ნაშრომ-ნაღვანი

"ნაციონალები", "ნაციონალისტები": ნაციონალურ-დემოკრატიული პარტიის წევრები (განმეორებით ხსენებისას)

ნაციონალიზაცია *//* **ნაციონალიზება:** ნაციონალიზებული

ნაციონალიზმი; ნაციონალისტი: ნაციონალისტური

ნაციონალური *//* ეროვნული:

1. ერისათვის დამახასიათებელი;
2. სახელმწიფო (მსაზღვრელის მნიშვნელობით): ნაციონალური თეატრი / ბიბლიოთეკა);
3. ხალხური (ცეკვა, სიმღერა...)

ნამალადევი [*და არა* ნახალოვკა]: უბანი თბილისში

ნაწინასწარმეტყველები

ნაწყვეტ-ნაწყვეტ; ნაწყვეტ-ნაწყვეტად

ნახევარანკლავი: საზღვაო ნაპირის (ზღვაზე გასასვლელის) მქონე ანკლავი

ნახევარდაცვა; ნახევარმცველი (*//* ჰაეზევი) (ფეხბურთში, ჰოკეიში)

ნახევარკუნძული

ნახევარმთვარე

ნახევარსაუკუნოვანი; ნახევარმეტრიანი

ნახევარსფერო

ნახევარგაბრიკატი

ნახევარფინალი: ნახევარფინალური

ნახევრად დანგრეული

ნებართვა; ნების დართვა (ნებას დართავს), მაგრამ ნებადართული

ნებაყოფლობით; ნებაყოფლობითი [და არა ნებაყოფილობით, ნებაყოფილობითი]

ნებრასკა: ნებრასკიდან, ნებრასკის [და არა ნებრასკადან, ნებრასკას] შტატი

ნებსით თუ უნებლიეთ; ნებსითნი და უნებლიეთნი (ცოდვანი)

ნეგროიდი, ნეგროიდები მრ.: შაკვანინთა რასის წარმომადგენლები

ნევროლოგია: ნევროლოგიური

ნეიროქირურგია: ნეიროქირურგიული

ნეიტრალიზაცია // ნეიტრალიზება: ნეიტრალიზებული

ნეიტრალიტეტი: სხვის საქმეში ჩაურევლობა; საომარ მოქმედებებში, სამხედრო ბლოკებში მონაწილეობაზე უარის თქმა

ნეიტრალური

ნეონაციზმი; ნეონაციისტი: ნეონაციისტური

ნეოფობია: სიახლის შიში

ნერვი: ნერვული (სისტემა)

ნეტო: საქონლის წმინდა წონა, შეფუთვის გარეშე. შდრ. ბრუტო

ნეფე-დედოფალი (ნეფე-დედოფლისა) // სიძე-პატარძალი. შდრ. მეფე-დედოფალი

ნიკარაგუა: ნიკარაგუიდან, ნიკარაგუის [და არა ნიკარაგუადან, ნიკარაგუას] დედაქალაქი

ნიკრისის ქარები // პოდაგრა

ნინოზა: ქართველთა განმანათლებლის წმიდა ნინოს ხსენების დღე

ნისლიან-ბურუსიანი

ნიუანსი: ნიუანსური

"ნიუ-იორკერი": ამერიკული ჟურნალი

"ნიუ-იორკ-ტაიმსი": ამერიკული გაზეთი

ნიუ-ჯერსი (ქ. აშშ-ში): მიც. ნიუ-ჯერსის, ნიუ-ჯერსიში

ნილაბის ქვეშ, მაგრამ ნილაბქვეშ

ნიშანდობლივი; ნიშანდობლივ

ნიშან-თვისება

ნიშანსვეტი

ნიჰილიზმი: საყოველთაოდ აღიარებულ ფასეულობათა სრული უარყოფა; სრული სკეპტიციზმი; ნიჰილისტი: ნიჰილისტური

ნომბერი (// გიორგობისთვე)

ნოვატორი: ნოვატორული; ნოვატორულობა

ნოკაუტი: ნოკაუტირებული

ნოლი: *საუბ.* ფონეტიკური სახესხვაობა ნ უ ლ ი ს ა. ქართულ ზეპირ მეტყველებაში გავრცელდა (რუსულის გზით) საბჭოური ეპოქიდან და დამკვიდრდა სპორტული თამაშების, ჩვეულებრივ, ფეხბურთის მატჩის ანგარიშის გადმოსაცემად, *მაგ.*, 2 : 0 – ორით ნოლი. *მღრ.* ნული

ნომენკლატურა: 1. ამა თუ იმ დარგში გამოყენებულ სახელწოდებათა და ტერმინთა ნუსხა; 2. თანამდებობის პირთა გარკვეული წრე; ნომენკლატურული

ნომერი (ნომრისა): დანომვრა; დანომრილი, *მაგრამ* ნუმერაცია

ნომინაცია: 1. *ფსიქ.* სახელდება; 2. ხელოვნების კონკურსის სახეობა; ნომინანტი: ნომინაციაში გამარჯვებული

ნონსენსი (*ინგლ.* nonsense) უაზრობა

ნორვეგია: ნორვეგიელი, ნორვეგიელები *მრ.*; ნორვეგიული (ენა)

ნორმალიზაცია // ნორმალიზება: ნორმალიზებული

ნორმანდიელი, ნორმანდიელები *მრ.*; ნორმანდიული

ნორმატივი: ნორმატიული; ნორმატიულობა

ნოსტალგია (*ბერძნ.* = სევდა სახლის, სამშობლოს მოშორების გამო): *გადატ.* სევდიანი მოგონება წარსულისა, განცდილისა (არცთუ იშვიათად უმართებულოდ იხმარება ყოველგვარი მონატრების სინონიმად): ნოსტალგიური

ნოსტრიფიკაცია // ნოსტრიფიცირება: აღიარება, ცნობა სხვა სახელმწიფოში გაცემული (*ჩვეულ.* სამეცნიერო ხარისხის მინიჭების) სერტიფიკატის თანაბარუფლებიანობისა

ნოტა: დიპლომატიური წერილობითი მიმართვა ერთი მთავრობისა მეორისადმი; ნოტიფიკაცია

ნოტაბენე (*ნათ.* ნოტაბენეს) (*ლათ.* Nota bene "კარგად დააკვირდი!"): სპეციალური NB ნიშანი (ამ ლათინური სიტყვების პირველი ასოები), რომელიც დაისმის ტექსტის საგულისხმო, საყურადღებო ადგილას

ნოტარიალური; ნოტარიალურად დამოწმებული, *მაგრამ* სანოტარო (კანტორა)

ნოტარიატი; ნოტარიუსი

ნოტაცია [და არა ნატაცია], ნოტაციები *მრ.*: დარიგება, ჭკუის სწავლება

ნოტი, ნოტები *მრ.*

ნოტიფიკაცია: ერთი სახელმწიფოს მიერ მეორისათვის გაგზავნილი შეტყობინება საერთა-

შორისო ცხოვრების ამა თუ იმ საკითხზე საკუთარი პოზიციის შესახებ

ნოუტბუკი // ლექსიკონი: პერსონალური (პორტატიული) კომპიუტერი

ნოუ-ჰაუ (ინგლ. know-how, სიტყვ.: ვიცი, როგორ): ტექნიკური ცოდნა-გამოცდილება, დოკუმენტაცია, რომლის გადაცემაც შეთანხმებულია სალიცენზიო და სხვა სახის ხელშეკრულებათა დადებისას

ნუგემისცემა; ნუგემისმცემელი

ნუვორიში (ფრანგ. nouveau riche = ახალი მდიდარი): ბუნებრივი და სოციალური კატაკლიზმების დროს, საერთო გაჭირვების პირობებში სწრაფად და საეჭვო გზებით გამდიდრებული ადამიანი (მაგ., "ახალი რუსი", "ახალი ქართველი"...)

ნული: სიტყვიერი გამოხატულება 0 ციფრისა. აწარმოებს მართივ ტერმინებსაც (ნულოვანი) და რთულსაც (ნულწირი, ნულპუნქტი, ნულ-ინდიკატორი). *შდრ.* ნოლი

ნულიფიკაცია // **ნულიფიცირება**: აქტის (კანონის) ანულირება ან გაუფასურებული ქალაქის ფულის გაუქმება

ნუმერაცია, *მაგრამ* დანომვრა; დანომრილი

ნუმეზმატი; **ნუმეზმატიკა**: ნუმეზმატიკური

ნუნცი: რომის პაპის წარმომადგენელი უცხო სახელმწიფოში

ნურა: ნურას (ნურას უკაცრავად!)

ნურავინ // **ნურვინ** (*მიც., ნათ.* ნურ(ა)ვის)

ნურასოდეს // **ნურასდროს**

ნურც ერთი

ნუსხური [*და არა* ნუსხახუცური]

ნულარაფერი (ნულარაფრისა)

ნულარსად

ნუცა დაუფნთ მარგალიტსა თქვენსა წინაშე ღორთა (*ახ. თარგმ.*: ნურც თქვენს მარგალიტს დაუყრით ღორებს). სახარებიდანაა (მ 7, 6): ქრისტე მოუწოდებს ადამიანებს, ამოდ არ დაიხარჯონ სიტყვითა და საქმით იმათ წინაშე, ვისაც ამის შემწობა, დაფასება არ შეუძლია, და ვინც შეიძლება ბოროტად გამოიყენოს ეს სიკეთე

ო

-ო: ნაწილაკი. იხმარება მესამე პირის ნათქვამის გამეორებისას, ციტირებისას (მაგ.: ნიკამ თქვა, მალე მოვალო)

ობსკურანტი (ლათ. obscurantis სიტყვ. = დამაბნელებელი); **გადატ.** მეცნიერებისა და განათლების მტერი; **ობსკურანტიზმი**

ობსტრუქცია: პროტესტის სახე, ბრძოლის მეთოდი, რომელიც მიმართულია კრების, სხდომის ჩასაშლელად. ჩვეულებრივ, გამოიყენება საპარლამენტო პრაქტიკაში; **ობსტრუქციული;** **ობსტრუქციონიზმი;** **ობსტრუქციონისტი;** **ობსტრუქციონისტული**

ოდიტგანვე; **ოდიტვე**

ოდიოზური: უკიდურესად უსიამოვნო, მიუღებელი, ანტიპათიური (ადამიანი)

"**ოდისეა**" ("ოდისეისა"): ჰომეროსის ცნობილი პოემა. **გადატ.** **ო დ ი ს ე ა** აღნიშნავს ხანგრძლივ და ფათერაკიან მოგზაურობას

ოვაცია: მქუხარე ტაში (მრავლობითში არ იხმარება. საბჭოურ პრესაში რუსული овации-ს

გავლენით ზოგჯერ ქართულშიც მრავლობითის ფორმა იხმარებოდა)

ოვერდრაფტი: ბანკის მიერ კლიენტისათვის მის ანგარიშზე დარჩენილი თანხის ზევით მიცემული თანხა

ოთხთავი: ოთხი სახარება (მათე, მარკოზ, ლუკა და იოანე მახარებლებისა)

ოთხმოციანი, ოთხმოცდაათიანი, მაგრამ 80-იანი, 90-იანი (წლები)

ოკაზია: მოულოდნელი, იშვიათი შემთხვევა; გაუთვალისწინებელი ხელსაყრელი შემთხვევა ამა თუ იმ საქმის მოსაგვარებლად; **ოკაზიური** (// **ოკაზიონალური**)

ოკეანე (ოკეანისა); **ოკეანიდან** [და არა ოკეანედან]

ოკლაჰომა: ოკლაჰომიდან, ოკლაჰომის [და არა ოკლაჰომიდან, ოკლაჰომას] შტატი

ოკულტიზმი: მისტიკურ მოძღვრებათა საერთო სახელწოდება

ოკუპაცია // **ოკუპირება:** ოკუპირებული; ოკუპანტი

ოლიგარქია: ადამიანთა მცირე-რიცხოვანი ჯგუფის პოლიტიკურ-ეკონომიკური ბატონობა; თვით ასეთი ჯგუფი; ოლიგარქიული

ოლიმპელი: ოლიმპის მკვიდრი (ღმერთი). *შდრ.* ოლიმპიელი

ოლიმპი: მთა საბერძნეთში. ბერძნულ მითოლოგიაში მიჩნეულია ღმერთების სავანედ. აქედანვეა მიღებული მთელს მსოფლიოში ცნობილ სპორტულ ასპარეზობათა სახელწოდებაც – **ოლიმპიადა**. გამოთქმა "ლიტერატურული / თეატრალური ოლიმპი" აღნიშნავს ხელოვნების ამ დარგებში უმაღლეს მიღწევას, რჩეულთა შორის მოხვედრას

ოლიმპიელი: ოლიმპიური თამაშების მონაწილე. *შდრ.* ოლიმპელი

ოლიმპიური (თამაშობანი, კომიტეტი); ოლიმპიური სიმშვიდე

ომარიშარა: ომარიშარიდან, სოფ. ომარიშარის [და არა ომარიშარადან, ომარიშარას] მოსახლეობა

ომბუდსმენი: სახალხო დამცველი

ომგადახდილი

ომისდროინდელი

ომის შემდგომ (= დროის გარემოება), *მაგრამ* ომისშემდგომი (= განსაზღვრება) პერიოდი

ოპერატიული: ოპერატიულობა

ოპერირება (ოპერირებს)

ოპოზიცია: გარკვეული საზოგადოების, ორგანიზაციის შიგნით არსებული ჯგუფი, რომელიც თავისი შეხედულებით, პოლიტიკით და მისთ. უპირისპირდება უმრავლესობას. ხშირად ოპოზიციის საპირისპიროდ თანამედროვე ქართულ მედიაში ხელისუფლების ნაცვლად უმართებულოდ იხმარება **პოზიცია**. [ოპოზიცია და პოზიცია *კი არა*] ოპოზიცია და ხელისუფლება

ოპოზიციური: ოპოზიციურობა; ოპოზიციონერი; ოპოზიციონერული; ოპოზიციონერობა

ოპონენტი; ოპონირება

ოპტაცია: მოქალაქეობის არჩევის უფლება; ოპტანტი

ოპტიმალური; ოპტიმალიზაცია

ოპტიმიზმი; ოპტიმისტი; ოპტიმისტური

ორად ორი (= მხოლოდ ორი; აგრ.: სამად სამი, ოთხად ოთხი)

ორაზროვანი; ორაზროვნად

ორას ერთი, ორას ათი...

ორასწლიანი. *მაგრამ* 200-წლიანი

ორგანი: საორგანო (მუსიკა); ორგანიისტი

ორგანიზატორი: ორგანიზატორული (ნიჭი)

ორგანიზაცია: ორგანიზაციული (საკითხები); საორგანიზაციო (კომიტეტი)

ორგანიზება: ორგანიზებული; ორგანიზებულობა

ორდინარული [და არა ორდინალური] (= ჩვეულებრივი)

ორდინატორი; ორდინატურა

ორთაბრძოლა

ორთოდოქსი (*ბერძნ.* = მართლმორწმუნე): ნამდვილი, ურყევი. იხმარება აშკარად ირონიული ნიუანსით დასახასიათებელი პირის პოზიციის ერთგვარ გადახრა-უკიდურესობაზე მინიშნებით (*მაგ.*: ეს კაცი ორთოდოქსი კომუნისტია / მემარცხენა...)

ორთოდოქსული (// ორთოდოქსალური): რაიმე მოძღვრების, ამა თუ იმ იდეის, შეხედულების განუხრელად გამტარებული რამ

ორიგინალი // დედანი

ორიგინალური: ორიგინალობა // ორიგინალურობა

ორიენტალისტი // აღმოსავლეთმცოდნე; ორიენტალისტიკა // აღმოსავლეთმცოდნეობა

ორიენტაცია // ორიენტირება; ორიენტირებული

ორივე [და არა ორთავე]: მოითხოვს მხოლოდობითი რიცხვის ფორმას საზღვრული სახელისგანაც (ორივე ბიჭი / ბიჭმა / ბიჭს) და ზმნისგანაც (ორივე

დგას; ორივე კარგად ხატავს), *მაგრამ* ორივენი იდგნენ, ორივენი კარგად ხატავენ

ორიოდე; ორიოდ

ორკესტრი; ორკესტრირება

ორნამენტი: ორნამენტული; ორნამენტაცია // ორნამენტირება: ორნამენტირებული

ორ-ორჯერ

ორპალატიანი (პარლამენტი)

ორსანტია: ორსანტიიდან, სოფ. ორსანტიის [და არა ორსანტიადან, ორსანტიას] მოსახლეობა

ორსახოვანი [და არა ორპიროვანი] (იანუში)

ორსერიიანი [და არა ორსერიანი] (ფილმი)

[ორდანი, ორდანო *კი არა*] ორგანი

ორშემადგენლიანი

ორხელისუფლებიანობა

ოსანა (ებრ. = გვიხსენ!): სახოტბო შეძახილი ღვთისმსახურებაში (მისი ქართული შესატყვისია: დიდება!)

ოსი, ოსები *მრ.*; ოსური (ენა)

ოსკარის (პრიზის) მფლობელი [და არა ოსკაროსანი]

ოსმალა, ოსმალოები // ოსმალები *მრ.*; ოსმალური (ამჟამად: თურქული)

ოსტეოქონდროზი [და არა ოსტეობონდროზი]

ოტავა: ოტავიდან, ოტავის [და არა ოტავადან, ოტავას] მოსახლეობა

ოტობაია: ოტობაიიდან, ოტობაიის [და არა ოტობაიადან, ოტობაიას] მოსახლეობა

ოფიციალიზმი: ბეჭდვითი ორგანო, რომელიც გამოხატავს ხელისუფლების თვალსაზრისს, თუმცა მის ოფიციალურ ორგანოდ არ ითვლება. ქართულ მედიამ ეს სიტყვა ზოგჯერ უმართებულოდ იხმარება თვით ხელისუფლების სინონიმად

ოფლითა პირისა შენისათა სჭამდე პურსა შენსა (ახ. თარგმ.: პიროფლიანი შეჭამ პურს): მომდინარეობს ძვ. აღთქმიდან (დაბ. 3, 19). ასე მიმართა ღმერთმა ადამს სამოთხიდან გაძევებისას. გამოხატავს გულმოდგინე გარჯას, პატიოსან შრომას. გამოთქმაში დაკარგულია დასჯის ბიბლიური შინაარსი. ქართულ ხალხურ პოეზიაში ამ გამოთქმას "პიროფლიანი" შეესატყვისება

ოფსეტი: ოფსეტური

ოფშორული (ინგლ. off-shore = ნაპირს მოშორებული): ქვეყნის ფარგლებს გარეთ (ჩვეულ. პატარა კუნძულებზე) მყოფი. განსაკუთრებით იგულისხმება ამგვარ ზონაში დაფუძნებული კომპანია (ფონდი), რომელიც შეღავათიანი საგადასახადო პირობებით სარგებლობს

ოქმი (სხდომის ჩანაწერი) [და არა პროტოკოლი], მაგრამ დიპლომატიური პროტოკოლი

ოქროს კვითი: ჰარმონიული გაყოფა, ანუ მთელის ისეთი გაყოფა ორ არათანაბარ ნაწილად, როდესაც მცირე ნაწილი ისე შეეფარდება დიდს, როგორც დიდი – მთელს. გვხვდება ბუნებასა და ხელოვნებაში. ლეონარდო და ვინჩის მიერ შემოღებულ ამ ტერმინს ხშირად ურევენ ოქროს შუალედში

ოქროს შუალედი (ლათ. Aurea mediocritas): გამოთქმა ეკუთვნის ჰორაციუსს. იტყვიან ისეთ ქმედებაზე, რომელსაც უკიდურესობა არ ახლავს

ოქროცურვილი: ოქროვარაყიანი

ოქტომბერი (// ღვინობისთვე // მწიფობისთვე)

ოჩამჩირე, ოჩამჩირიდან, ქ.ოჩამჩირის [და არა ოჩამჩირედან, ოჩამჩირეს] მოსახლეობა

პ

პა-დე-დე (ნათ. პა-დე-დეს):
ბალ. წყვილთა ცეკვა

პა-დე-ტრუა (ნათ. პა-დე-ტრუას): ბალ. სამთა ცეკვა

პადრე (იტალ. padre = მამა)
(ნათ. პადრეს): კათოლიკეთა მღვდელი

პათეტიკა: პათეტიკური [და არა პათეტიური]

პამიდორი (პამიდვრისა) // პომიდორი

პანეგირიკი (გადაჭარებული ქება; ხოტბა, შესხმა): პანეგირიკული

პანიკოროი; პანიკოროობა

პანტაპუნტი (ცვივა)

პანტომიმა: პანტომიმური [და არა პანტონიმური]

პაპარაცი: დამკვიდრდა XX ს. მიწურულიდან. იტალიელი კინორეჟისორის ფ. ფელინის ერთ-ერთი ფილმის პერსონაჟის სახელის მიხედვით. გატანით აღნიშნავს ყვითელი პრესის ფოტორეპორტიორს, დადარაჯებულს სკანდალურ-სენსაციური ამბების გამოსაქვეყნებლად

პაპაჩემი, პაპაშენი, პაპაჩენი...

პაპისპაპა (პაპისპაპისა)

პარაბელუმი [და არა პარაბელიუმი]: ავტომატური პისტოლეტი

პარადოქსი: საყოველთაოდ მიღებული შეხედულების საწინააღმდეგო; პარადოქსული; პარადოქსულად [და არა პარადოქსალური, პარადოქსალურად]

პარადოქსულობა [და არა პარადოქსალობა]

პარანოია (პარანოიისა) (ფსიქიკური დაავადება): პარანოიდული

პარასკევი; პარასკეობით

პარაფრაზი // პერიფრაზი

პარაფრაზირება // პერიფრაზირება: პარაფრაზირებული // პერიფრაზირებული

პარიტეტი: მხარეთა თანასწორობის პრინციპი; პარიტეტული

პარკინსონიზმი // პარკინსონის [და არა პარკისონის] დაავადება

პარლამენტი; საქართველოს

პარლამენტის კომიტეტები:

1. აგრარულ საკითხთა კომიტეტი;
2. ადამიანის უფლებათა და ეროვნულ უმცირესობათა საკითხების კომიტეტი;
3. განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტი;
4. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი;
5. დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტი;
6. ეკონომიკური პოლიტიკისა და რეფორმების კომიტეტი;
7. თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი;
8. თვითმმართველობისა და რეგიონული პოლიტიკის კომიტეტი;
9. მიგრაციისა და უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა საქმეების კომიტეტი;
10. საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი;
11. საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტი;
12. საპროცედურო საკითხთა და კანონიერების კომიტეტი;
13. საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი;
14. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი

პაროდია: პაროდული

პარტიზანი (პარტიზანისა, პარტიზანები *მრ.*); პარტიზანული [და არა პარტიზნის, პარტიზნები, პარტიზანელები]

პარფიუმერია: პარფიუმერიული

პასიანსი (*ფრანგ.*): ბანქოს გაშლა გარკვეული წესით ერთი კაცის მიერ (ხშირად მკითხაობის მიზნითაც)

პასივი, მაგრამ პასიური

პასკვილანტი: პასკვილის შემთხვეული

პასკვილი (*იტალ.*): პიროვნების გამკილავი, შეურაცხმყოფელი ნაწარმოები

პასუხისგება: პასუხსაგები; პასუხისმგებელი; პასუხისმგებლობა

პასქა [და არა პასკა]

პატენტი: საპატენტო

პატივაცილი

პატივისცემა, მაგრამ პატივს სცემს; პატივისმცემელი

პატივმოყვარე: პატივმოყვარეობა

პატივსაცემი; პატივსაცემად [და არა საპატივცემოდ, საპატივცემულოდ]

[პატიობს, პატიობდა *კი არა*] პატიობს, პატიობდა მას

პატიჟი, პატიჟებს [და არა პატიჟობა, პატიჟობს]

პატრიარქი: საპატრიარქო

პაქტი: საერთაშორისო ხელშეკრულება

პედაგოგი // მასწავლებელი (კარგი / ცუდი პედაგოგია // მასწავლებელია), *მაგრამ იზმარება მხოლოდ:* საგნის (ქიმიის, მუსიკის) მასწავლებელი [და არა პედაგოგი]

პედაგოგია: პედაგოგიური (ინსტიტუტი); პედაგოგიკა: პედაგოგიკური (მეცნიერება)

[პედესტალი კი არა] პიედესტალი // კვარცხლბევი

პედიატრია: პედიატრიული

პედიკური [და არა პედიკური]

პეიჯერი: რადიოსიგნალების მიმღები და მათი ტექსტად გარდამქმნელი მინიატიურული მოწყობილობა. სიტყვა შემოსულია ინგლისურიდან XX ს-ის მიწურულს

პენიტენციარული [და არა პენიტენციალური] // სასჯელალსრულებითი [// სასჯელალმასრულებელი] (სისტემა)

პენ-კლუბი: სხვადასხვა მიმართულების მწერალთა გაერთიანება

პენსიაზე / პენსიაში გასვლა (გავიდა)

პენსნე (ნათ. პენსნეს)

პენტაგონი (ბერძნ. = ხუთკუთხედი): აშშ-ის სამხედრო უწყება, თავდაცვის სამინისტრო, რომელიც განთავსებულია ხუთკუთხა შენობაში ვაშინგტონის მახლობლად

[პეჰსი-კოლა კი არა] პეჰსი-კოლა

[პერეტრუბაცია კი არა] პერტურბაცია

პერიფერია: ქვეყნის განაპირა მხარე, ცენტრიდან დაშორებული ადგილი; ზოგჯერ უპირისპირდება მ ე ტ რ ო პ ო ლ ი ა ს

პერიფრაზი // პარაფრაზი

პერიფრაზირება // პარაფრაზირება: პერიფრაზირებული // პარაფრაზირებული

პერმანენტული (= მუდმივი, განუწყვეტელი): პერმანენტულობა

პერპეტუუმ-მოზილე (ლათ. = "მუდმივი, ძრავა"), რომლის შექმნის იდეა ეწინააღმდეგება მექანიკის კანონებს

პერსონა: 1. ინდივიდი, პირი; 2. იხმარება გამორჩეული ადამიანის, პიროვნების აღსანიშნავად (ირონიულადაც)

პერსონა გრატა (ლათ. persona grata): სასურველი პირი დიპლომატიურ სამსახურში

პერსონალი (მაგ., ტექნიკური პერსონალი)

პერსონალური (პენსია; კომპიუტერი)

პერსონა ნონ გრატა (ლათ. persona non grata): არასასურველი პირი დიპლომატიურ სამსახურში

პერსონიფიკაცია // **პერსონიფიცირება:** ლიტერატურული ხერხი – ადამიანური თვისებების მინიჭება არაადამიანთათვის; პერსონიფიცირებული

პერტურბაცია [და არა პერეტრუბაცია]: ასტრ. ცის სხეულის გზის შეცვლა; გადატ. მოვლენათა ჩვეულებრივი მსვლელობის მოულოდნელი დარღვევა, წესრიგის მოშლა

პერფორმანსი: ტრადიციული

თეატრისაგან განსხვავებული თეატრალური წარმოდგენა, რომელსაც არ გააჩნია დროისათუ სივრცის საზღვრები და როლები (ტერმინი შემოვიდა ინგლისურიდან XX ს. მიწურულს)

პიარი (ინიციალური შემოკლება ინგლისური შესიტყვებისა Public Relation = საზოგადოებრივი ურთიერთობა): სარეკლამო კამპანია ეკონომიკასა და პოლიტიკაში კონკურენტის გამარჯვებისათვის ხელშესაწყობად. გამოთქმა "შავი პიარი" გამოიყენება ამა თუ იმ პოლიტიკური მოღვაწის იმიჯის, რეპუტაციის შელახვის აღსანიშნავად

პიედესტალი [და არა პედესტალი] // კვარცხლბევი // პოსტამენტი

პითეკანთროპი [და არა პიტეკანტროპი]

პილპილმოყრილი: გადატ. "პილპილმოყრილი მადლი" (ილია)

პინგ-პონგი // მაგიდის ჩოგბურთი

პინკერტონი: მომდინარეობს ანონიმური დეტექტიური რომანების პერსონაჟის სახელისგან (ნატ პინკერტონი). იქცა მარჯვე გამომძიებლის (მაძებრის) ზოგად სახელად (შემდგომ იგი დაჩრდილა შერლოკ ჰოლმსმა)

პირგაუპარსავი

[პირდება, პირდებოდა კი არა] ჰპირდება, ჰპირდებოდა მას

(პირველდაწყებითი //) დაწყებითი (სკოლა)

პირენეი, პირენეები *მრ.* [და არა პირინეი, პირინეები]: მთები პირენეის ნახევარკუნძულზე

პირველკლასელი

პირველ ყოვლისა

პირველყოფილი (წყობილება, საზოგადოება)

პირველხარისხოვანი

პირი: კაცი, ვინმე, სული, ინდივიდი (რამდენიმე პირი, ოფიციალური პირი, ფიზიკური პირი, იურიდიული პირი, საერო პირი, სასულიერო პირი, სამხედრო პირი, უცხო პირი). *შდრ.* პიროვნება

პირი [და არა კოპიო] // ასლი

პიროვნება: ინდივიდუალობის მქონე პირი (ძლიერი პიროვნება, ცუდი პიროვნება, მთლიანი პიროვნება, შესანიშნავი პიროვნება). *შდრ.* პირი

პირშავი: პირშაობა [და არა პირშავობა]

პირში ჩალაგამოვლებული: იმედგაცრუებული, მოტყუებული

პირწმინდა; პირწმინდად

პლაგიატი (*ლათ.* plagiat = მოტაცებული): სხვისი ნაშრომის მითვისება, თავისად გასაღება. ზოგჯერ შეცდომით იხმარება პლაგიატორის აღსანიშნავად

პლაგიატორი (სხვისი ნაშრომის მიმთვისებელი, თავისად გამსაღებელი); **პლაგიატორობა** [და არა პლაგიატობა]

პლანეტა // ცთომილი; **პლანეტური** [და არა პლანეტარული]

პლაჟი [და არა პლიაჟი]

პლასტიკა: **პლასტიკური** [და არა პლასტიური]

პლასტილინი [და არა პლასტელინი]

პლემბისციტი: რეფერენდუმი, საერთო-სახალხო არჩევნები; ამ გზით ხალხის აზრის გაგება

პლეიზოი (*ინგლ.* play = თამაში, boy = ბიჭი, ყმაწვილი) (პლეიზოიმ, *მიც.* პლეიზოის): 1. მდიდარი მამაკაცი, რომელიც არსად არ მუშაობს და სიამოვნებას პოულობს ლამაზ ქალებთან დროს ტარებაში, აგრეთვე ძვირად ღირებული სპორტული მანქანების შეძენასა და თავბრუდამხვევი სისწრაფით მათს ტარებაში; 2. პოპულარული ამერიკული ჟურნალის სახელწოდება

პლეიერი (*ინგლ.*): მაგნიტოფონის სახეობა

პლეიმიეკერი (*ინგლ.* play = თამაში, maker = მკეთებელი): პირი, რომელსაც შესწევს უნარი, ისეთი პირობები შეუქმნას თავის რჩეულ გუნდს, რომ სტაბილურად გაამარჯვებინოს შეჯიბრებაში

პლეი-ოფი (*ინგლ.* play-off):

სპორტული ტერმინია. აღნიშნავს საუკეთესო გუნდების თამაშს ან თამაშების სერიას (ძირითადად ფეხბურთსა და კალათბურთში), რომელიც ტარდება წაგებული გუნდების თანდათან გაცხრილვის გზით უძლიერესი გუნდისა თუ ცალკეულ მოთამაშეთა გამოსავლენად

პლენარული [და არა პლენალური] (სხდომა)

პლუს, **პლუსი** [და არა პლიუს, პლიუსი]

პოდაგრა [და არა პადაგრა] // ნიკრისის ქარი

პოვებს, **პოვა**, **პოვოს** [და არა ჰპოვებს, ჰპოვა, ჰპოვოს]

პოზიცია: 1. განლაგება; მდგომარეობა (*სამხ.* – ჯარისა, *ჭადრ.* – ფიგურებისა); 2. გადატ. შეხედულება, თვალსაზრისი; 3. ზოგჯერ უმართებულოდ იხმარება "ხელისუფლების" მნიშვნელობით – **ო პ ო ზ ი ც ი ი ს** საპირისპიროდ (*მაგ.*: **პ ო ზ ი ც ი ა** და **ო პ ო ზ ი ც ი ა**)

პოლარული: **პოლარულობა** [და არა პოლარობა]

პოლემიკა: **პოლემიკური**; **პოლემისტი**; **პოლემიკოსი**

პოლიგამია (*ბერძნ.* მრავალცოლიანობა ან მრავალქმრიანობა): **პოლიგამიური** [და არა პოლიგამური]

პოლიომიელიტი [და არა პოლიომელიტი]

პოლიტექნიკუმი; პოლიტექნიკური [და არა პოლიტექნიკუმი, პოლიტექნიკური]

პოლიტიზება: პოლიტიზებული [და არა პოლიტიზირება, პოლიტიზირებული]

პოლიტპატიმარი (*შემოკლ.* = პოლიტიკური პატიმარი) (პოლიტპატიმრები *მრ.*)

პოლიფონია (მრავალხმიანობა): პოლიფონიური (მუსიკა)

პომადა [და არა პამადა] (პომადისა)

პომიდორი (პომიდვრისა) // პამიდორი

პოპმუსიკა

პოპულისტი: პოლიტიკური ლიდერი, რომელიც ემყარება ფართო მასების მხარდაჭერას, პოპულარობას იხვეჭს პრაქტიკულად შეუსრულებელი დაპირებებით (ტერმინი შემოვიდა ინგლისურიდან XX ს-ის დამლევს); პოპულიზმი

პოპური (*ფრანგ.* pot-pourri): პოპურიმ, *მიც.* პოპურის [და არა პოპურმა, პოპურს]: მუსიკალური პიესა (ნაკრები), შედგენილი სხვადასხვა პოპულარული მელოდიისა თუ მუსიკალური ნაწარმოების ფრაგმენტებისაგან

პორნოგრაფია: პორნოგრაფიული

პორტვანი (// პორტვეინი)

პორტიე (*ნათ.* პორტიეს): სას-

ტუმროს კარისკაცი

პორტმონე (*ნათ.* პორტმონეს) (// პორტმანი)

პორტუგალიელი, პორტუგალიელები *მრ.*; პორტუგალიური (ენა)

[პორცია *კი არა*] ულუფა

პოსტამენტი // კვარცხლბეკი

პოსტსაბჭოთა; პოსტსაბჭოური (სივრცე)

პოსტსკრიპტუმი (*ლათ.* post scriptum = დაწერილის შემდეგ. *ჩვეულ.* იწერება შემოკლებით, მთავრული ასოებით – P.S.): მიწერილი ხელმოწერილი წერილის შემდეგ

პოსტულატი: მტკიცება, რომელიც მიღებულია რაიმე თეორიის (მოსაზრების) ამოსავალ დებულებად დასაბუთების გარეშე

პოსტფაქტუმ (*ლათ.* post factum = ფაქტის შემდგომ, მომხდარის შემდეგ). იხმარება იმის აღსანიშნავად, რომ ესა თუ ის საქმე დროზე არ გაკეთებულა, უკვე დაგვიანებულია (*მაგ.*: წინასწარ რომ გეთქვა, რაღაცას ვიღონებდი, პოსტფაქტუმ ძნელია საქმის გამოსწორება)

პოტენცია: პოტენციური, *მაგრამ* პოტენციალი: პოტენციალური

პრაქართველური // წინარე-ქართველური

პრემამულა [და არა პრამამულა]

ლა] (პრეამბულისა): მნიშვნელოვანი დოკუმენტის, აქტის შესავალი ნაწილი, რომელშიც განმარტებულია ამ დოკუმენტის საგულისხმო გარემოებანი

პრევენცია: წინასწარი ზომების მიღება რისამე თავიდან ასაცილებლად): პრევენციული [და არა პრევენტიული]

პრეზენტაცია: ამა თუ იმ ახალი ნაშრომის (პროდუქციის...) საჯარო წარდგენა

პრეზუმფცია [და არა პრეზუმპცია]: იურ. ვარაუდი, რომელიც სარწმუნოდაა მიჩნეული, ვიდრე საწინააღმდეგო არ დამტკიცებულა (უდანაშაულობის პრეზუმფცია)

პრემია: საპრემიო; პრემიული [// პრემიალური]

პრემიერ-მინისტრი

პრესატაშე (ნათ. პრესატაშეს)

პრესკლუბი: პრესბიურო; პრესცენტრი; პრესკონფერენცია; პრესსამსახური

პრესპაპიე (ნათ. პრესპაპიეს)

პრეტენდენტი

პრეტენზია: პრეტენზიული [// პრეტენციოზული]

პრეცედენტი [და არა პრეცენდენტი]

პრივატიზება: პრივატიზებული [და არა პრივატიზირება, პრივატიზირებული]

პრივილეგია: პრივილეგიური (მდგომარეობა)

პრივილეგირება: პრივილეგირებული (ადამიანი)

პრიმა-ბალერინა (ნათ. პრიმა-ბალერინას)

პრიმიტივი: პრიმიტიული; პრიმიტივიზმი; პრიმიტივისტი

პრინტერი: კომპიუტერში შეტანილი ტექსტის ქალაღდზე ამოსაბეჭდი მოწყობილობა

პრინციპი: პრინციპული [და არა პრინციპიალური]

პრო... (ლათ.): თავსართი, რომელიც დაერთვის სახელს და ნიშნავს მ ო მ ხ რ ე ს (მაგ.: პროამერიკული, პრორუსული)

პრობლემური [//პრობლემატური]

პროგრამა: პროგრამირება [//და-პროგრამება; (პროგრამირებული //) დაპროგრამებული]

პროგრამა-მაქსიმუმი; პროგრამა-მინიმუმი

პროგრესი: პროგრესული [და არა პროგრესიული] (ადამიანი, აზრები)

პროგრესია: პროგრესიული (გადასახადი)

პროდასავლური: დასავლური ორიენტაციისა

პროდუქტი: პროდუქტიული (ნაყოფიერი); პროდუქტიულობა

პროვინცია: პროვინციელი; პროვინციული [და არა პროვინციალური]

პროვინციელი [//პროვინციალი: პროვინციალური]

პროვოკაცია, *მაგრამ* პროვოცირება: პროვოცირებული

პროზა: პროზაული [და არა პროზული]

პროთეზი [და არა პროტეზი]

პროტრომბინი [და არა პროტრომბინი]

პროკრუსტეს სარეცელი (= საწოლი): პროკრუსტე (*ბერძნ. procrustes* = გამჭიმველი) ბერძნული მითების ყაჩაღი პერსონაჟის მეტსახელია. გამოთქმა იხმარება სხვადასხვა ფაქტისა და მოვლენის ერთ თარგზე, ერთ ზომაზე ნაძალადევად მორგების, ინტერპრეტაციის აღსანიშნავად

პროპორცია: პროპორციული [და არა პროპორციონალური]

პროსტატიტი [და არა პროსტატა]

[პროტეზი *კი არა*] პროთეზი

პროტეჟე (*ნათ. პროტეჟეს*): ვისაც მფარველობენ; პროტეჟციის ობიექტი. ამ სიტყვას ზოგჯერ შეცდომით ხმარობენ პროტეჟციის წყაროს, პროტეჟტორის მნიშვნელობით ("მაგარი პროტეჟე ჰყავს!" იგულისხმება ძლიერი მფარველის ყოლა)

პროტეჟტორი: მფარველი, დამცველი, შემწე; პროტეჟტორატი

პროტეჟცია; პროტეჟციონიზმი

პროტოკოლი (დიპლომატიური) [და არა ოქმი]: წესების ერთ-

ობლიობა, რომლებსაც იცავენ მთავრობები, საგარეო საქმეთა უწყებანი, დიპლომატები საერთაშორისო ურთიერთობაში

[პროტრომბინი *კი არა*] პროტრომბინი

პროფანაცია: გაყალბება, დამახინჯება რაიმე მოძღვრებისა; უპატივცემულო დამოკიდებულება საყოველთაოდ აღიარებული მოვლენის მიმართ

პროფანი [და არა პრაფანი]

პროფესია: პროფესიული [და არა პროფესიონალური]

პროფესიონალი: პროფესიონალური

პროფესორი მელიქიშვილი: პროფესორმა მელიქიშვილმა, პროფესორ მელიქიშვილის / მელიქიშვილით [და არა პროფესორ მელიქიშვილმა, პროფესორი მელიქიშვილის / მელიქიშვილით]

პროფკავშირი (*შემოკლ. პროფესიული კავშირი*), პროფკავშირები *მრ.*

პროცესი: საპროცესო (სამართალი)

პულვერიზატორი: შესასხურებელი მოწყობილობა

პულოვერი [და არა პულავერი]

პურამვირი: პურამვირობა

პური და სანახაობა (*ლათ. Panem et circenses*; *სიტყვ. = პური და ცირკის თამაშები*). ამ გამოთქმის ავტორია რომაელი სა-

ტირიკოსი იუვენალუსი; გამო-
ხატავს იმპერატორ ავგუსტუ-
სის დროინდელ რომაელ მდა-
ბიოთა ძირითად მისწრაფებას

პურიზმი ენაში: ბრძოლა ენის
სიწმინდისათვის, განსაკუთრე-
ბით, უცხოური სიტყვების ჭა-
რბად შემოტანის წინააღმდეგ.
ხშირად (გაუმართლებლად)
უარყოფს ყოველგვარ სესხებას

პურისტი: პურიზმის მომხრე
და პრაქტიკულად გამტარებე-
ლი; პურისტული

პურიტანი [და არა პურიტანე-
ლი]

პური ჩვენი არსობისა: სახარე-
ბაში (მათე 6, 11) მოყვანილი
ძირითადი ქრისტიანული საუ-
ფლო ლოცვიდან – "მამაო ჩვე-
ნო". იხმარება როგორც პირდა-
პირი, ისე გადატანითი მნიშ-
ვნელობით – აღნიშნავს საერ-
თოდ ადამიანის არსებობისა-
თვის აუცილებელ სულიერ და
ხორციელ საზრდოს

პურმარილი; პურღვინო

პუტჩი; პუტჩისტი

პფენიგი [და არა პფენინგი]
(გერმანული ხურდა ფული)

ჟ

ჟალუზი (ჟალუზიმ, *მიც.* ჟალუზის): სინათლისა და ჰაერის სარეგულაციო დარაბა (ან შტორი), რომელიც შედგება პარალელური ფირფიტებისაგან

ჟამთააღმწერელი *ძვ.* [და არა ჟამთააღმრიცხველი] // მემბტიანი

ჟამი; ჟამთა სვლა; ჟამთა ცვლა

ჟანგმოდებული

ჟანდარმი: ჟანდარმული; ჟანდარმერია

ჟანრი: ჟანრული; ჟანრობრივი

ჟარგონი: ამა თუ იმ სოციალური თუ პროფესიული ჯგუფის თავისებური მეტყველება; ჟარგონული

ჟარგონიზმი: რომელიმე ჟარგონისათვის დამახასიათებელი სიტყვა ან გამოთქმა; ზოგჯერ შეცდომით ჟ ა რ გ ო ნ ი ზ მ ი ს ნაცვლად ჟ ა რ გ ო ნ ს ხმარობენ

ჟელე (*ნათ.* ჟელეს)

ჟენენი (*ჩინ.*): მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარე, რომლის ძირებსაც იყენებენ პარფიუმერიასა და მედიცინაში

ჟესტ-მიმიკა (ჟესტ-მიმიკისა)

ჟივილ-ხივილი; ჟივილ-ხივილით

ჟინი (= ძლიერი სურვილი): ჟინიანი

ჟინჟღვლა [და არა ჟინჟვლა]; ჟინჟღვლავს [და არა ჟინჟლავს]

ჟიური, ჟიურიმ, *მიც.* ჟიურის

ჟლეტს, ჟლეტდა [და არა ჟლიტავს, ჟლიტავდა]

ჟოკეი: დოლის პროფესიონალი მხედარი (ჟოკეიმ, *მიც.* ჟოკეის, ჟოკეი!)

ჟოლო; ჟოლოსფერი; ჟოლოსფრად

ჟრჟოლა [და არა ჟრჟოლვა]

ჟრუანტელს მოჰგვრის; ჟრუანტელის მომგვრელი

ჟურნალ-გაზეთები *მრ.*

ჟურნალისტი: ჟურნალისტიური; ჟურნალისტიკა

ჟურფიქსი (*ფრანგ.*): კვირის ერთი რომელიმე დღე, რომელიც დანიშნულია რაიმე ღირსშესანიშნავი ღონისძიების მოსაწყობად

ჟღალი [და არა ჟღალისფერი]; ჟღალთმიანი

რ

რაგბი [// რეგბი]: რაგბიმ, მიც.
რაგბის

რაგბისტი [// რეგბისტი] // მო-
რაგბე

რაგინდარა (= ნებისმიერი)

რა და რა

რადგან, რადგანაც

რადიკალი: რადიკალური; რა-
დიკალიზმი

რადიო- და ტელეგადაცემები

რადიოინტერვიუ

რადიომაუწყებლობა

რა თქმა უნდა, მაგრამ რასაკ-
ვირველია

რაიონთაშორისი

რაიხსტაგი [და არა რეიხსტა-
გი]: გერმანიის პარლამენტი
(მეორე მსოფლიო ომამდე)

რაკი, რაკილა

რამდენიმე [და არა რამოდენი-
მე]: რამდენიმემ, რამდენიმეს,
რამდენიმეთი...; მსაზღვრელად
ხმარებისას არ იცვლება და სა-
ზღვრულისაგან ითხოვს მხო-
ლოობითი რიცხვის ფორმას:
რამდენიმე ბიჭი / სკამი [და არა
რამდენიმე ბიჭები / სკამები]

რამდენ ხანს

რამდენჯერმე // რამდენიმე-
ჯერ [და არა რამოდენიმეჯერ]

რამე: რამემ, რამეს // რასმე, რა-
მის // რისამე, რამით // რამეთი
// რითიმე, რამედ // რადმე; რა-
მეები მრ.

რამეთუ (ძვ. = რადგანაც, ვინა-
იდან): ძვ. ქართულში მიზეზის
გამომხატველ ამ კავშირს თანა-
მედროვე ზეპირსა და წერითს
მეტყველებაში ხშირად უადგი-
ლოდ იყენებენ ხან მიზნის გა-
მომხატველი რ ა თ ა კავშირის
ნაცვლად (მაგ.: ვცდილობთ,
რამეთუ დავიცვათ...), ხან კი –
ნათქვამის ვითომდა გასალამა-
ზებლად, რაც ფუჭ მალაღფარ-
დოვნებას სძენს გამონათქვამს

რამეთუ არა იციან, რასა იქმან:
შეკვეცილი ფორმაა სახარები-
სეული გამოთქმისა: მამაო, მი-
უტევე ამათ, რამეთუ არა იცი-
ან, რასა იქმან (ახ. თარგმ.: მა-
მაო, მიუტევე ამათ, რადგანაც
არ იციან, რას სჩადიან) (ლ 23,
34). ეს სიტყვები იესო ქრისტემ
წარმოთქვა გოლგოთაზე, რო-
დესაც ბრბო მოითხოვდა მის
დასჯას, შემდეგ კი დასცინოდა
ჯვარცმულს. ეს ფრაზა გამოხა-

ტავს უსაზღვრო ქრისტიანულ მიმტევებლობას. ამზობენ ისეთ ადამიანზე, რომელმაც არ იცის, თუ რა უღირს საქციელს სჩადის

[რამოდენიმე, რამოდენიმეჯერ კი არა] რამდენიმე; რამდენიმეჯერ // რამდენჯერმე

რამოდენა (= რა დიდი, როგორი დიდი. *მაგ.*: რამოდენა გაზრდილა!)

რანდევეუ (*ფრანგ.*): პაემანი

რანტიე (*ნათ.* რანტიეს): ვინც გასესხებული კაპიტალის სარგებლითა და ფასიანი ქაღალდების შემოსავლით ცხოვრობს

რამს ხედავ წუელსა თუალსა შინა ძმისა შენისასა და თუალსა შინა შენსა დვირესა არა იხედავ? (*ახ. თარგმ.*: რატომ ხედავ ბეწვს შენი ძმის თვალში, ხოლო შენსაში დირესაც ვერა გრძნობ? სახარებიდანაა: მ 7, 3): გაკიცხულია სხვისი ნაკლის, ცოდვის გამზვიადებელი და საკუთარი მანკიერების დაუნახველი ადამიანი

რასა: რასობრივი [და არა რასიული]; რასიზმი; რასისტი; რასისტული

რასაკვირველია, მაგრამ რა თქმა უნდა

რატიფიკაცია // რატიფიცირება: რატიფიცირებული

რაქიტი: რაქიტიანი [და არა რახიტი, რახიტიანი]

რადაც-რადაცები [და არა რადაც-რადაცეები]

რაც: ზოგჯერ შეცდომით იხმარება რომიელიც ნაცვალსახელის მაგივრად. *მაგ.*: საკითხი, რაც [უნდა: რომელიც] თქვენ გაინტერესებთ, ჩემთვისაც საინტერესოა

რაც უნდა დაგვემტკიცებინა /დამტკიცებულოყო კიდეც (*ლათ.* Quod erat demonstrandum). ამ ფრაზით მთავრდება ძვ. ბერძენი მათემატიკოსის – ევკლიდეს ყველა მათემატიკური მსჯელობა. გამოხატავს რაიმე დებულების მტკიცების დასასრულს

რა ხანია

რაჯა-იოგა (რაჯა-იოგისა)

რაჰათლუკუმი [და არა რახათლუხუმი]

რეაბილიტაცია // რეაბილიტირება: რეაბილიტირებული

რეალია, რეალიები *მრ.*: რეალურად არსებული რამ, მატერიალური კულტურის ყოველი საგანი

რეალიზაცია // რეალიზება: რეალიზებული [და არა რეალიზირება, რეალიზირებული]

რეანიმაცია [და არა რეამინაცია] // **რეანიმირება:** რეანიმირებული

რეაქცია: რეაქციული [და არა რეაქციონული]; რეაქციონერი

რეგალია, რეგალიები *მრ.*: სამეფო ხელისუფლების მანიშნებელი საგანი; *გადატ.* წარჩინების ნიშანი (ორდენი, ...)

რეგენერაცია // **რეგენერირება**
(= აღდგენა): რეგენერირებული;
რეგენერატი

რეგიონი: რეგიონული (// რეგიონალური)

რეგლამენტი; რეგლამენტირება:
რეგლამენტირებული

რეგრესი: რეგრესული [და არა რეგრესიული]

რედემარკაცია: სასაზღვრო ნიშნების აღდგენა, დაზუსტება სახელმწიფო საზღვარზე

რეზერვაცია, რეზერვაციები
მრ.: 1. ადგილი, სადაც იძულებითი წესით დასახლებული აბორიგენები ცხოვრობენ (*მაგ.*, ჩრდილო ამერიკაში, სამხრეთ აფრიკაში, ავსტრალიაში); 2. ტერიტორია, რომლის ბუნებრივი სიმდიდრეები დაცულია სახელმწიფოს მიერ

რეზიუმე (*ნათ.* რეზიუმეს); რეზიუმირება

რეზოლუცია: სარეზოლუციო (ტექსტი)

რეინტერპრეტაცია // **რეინტერპრეტირება**: ახლებურად გააზრება, ხელახალი ინტერპრეტაცია: რეინტერპრეტირებული

რეინჯერები *მრ.* (*ინგლ.* rangers): სადესანტო-სადაზვერვო მოქმედებებისათვის მოწოდებული სპეცდანიშნულების რაზმები, რომლებიც პირველად დიდ ბრიტანეთში შეიქმნა II მსოფლიო ომის დროს

რეიტინგი: რეიტინგული; სა-რეიტინგო

[რეიხსტაგი *კი არა*] რაიხსტაგი
რეკეტი; რეკეტიორი

რეკვიემი [და არა რექვიემი]

რეკომენდება: რეკომენდებული [და არა რეკომენდირება, რეკომენდირებული]

რელიკვია [და არა რელიქვია] (საოჯახო რელიკვია)

რენტგენი [და არა რენდგენი]; რენტგენოლოგი

რეპატრიაცია // **რეპატრიირება**: ემიგრანტების, ლტოლვილების, სამხედრო ტყვეების დაბრუნება სამშობლოში მოქალაქეობის უფლების აღდგენით; რეპატრიირებული; რეპატრიანტი

რეპი (*მიც.* რეპის): თანამედროვე მუსიკის სახეობა, აგრ. ცეკვა

რეპორტაჟი; რეპორტიორი

რეპრესია: რეპრესიული [და არა რეპრესული]

რესპონდენტი [და არა რესპოდენტი]: ვისაც შევითხვებით მიმართავენ

რესტრუქტურიზაცია // **რესტრუქტურიზება**: რესტრუქტურიზებული

რეტრანსლაცია [და არა რეტრანსლიაცია]

რეტროსპექტივა: რეტროსპექტიული

რეფრიჟერატორი [და არა რეფრეჟერატორი] (*ფრანგ.*): გამაცივებელი მოწყობილობა; ამგვარი

მოწყობილობის მქონე ტრანსპორტი (გემი, ავტომანქანა...)

რეცენზია; რეცენზირება: რეცენზირებული; რეცენზენტი

რეცხავს, რეცხავდა [და არა რეცხს, რეცხდა]

რვამარცვლიანი; რვატაეპიანი; რვაწლიანი...

რიგთაშორისი

რიგორიზმი: რაიმე პრინციპების მეტისმეტად მკაცრად, განუხრელად დაცვა; რიგორისტი; რიგორისტული

რიელტორი: ბიზნესმენი, რომელიც ეწევა უძრავი ქონების აღებ-მიცემობას. სიტყვა შემოსულია ინგლისურიდან XX ს. დამლევს

რიმეიკი (*ინგლ.* remake = ხელახლა გაკეთება): 1. მისწრაფება წარსულის აღდგენისადმი, რაც გამოიხატება გარემოს / საგნების გარეგანი იერის, სათანადო წეს-ჩვეულებებისა და ეტიკეტის შენარჩუნებაში; 2. ძველი ფილმის, სიმღერის, ფირზე აღბეჭდილი სპექტაკლის გათანამედროვეებული, განახლებული ვერსია. სიტყვა შემოსულია ინგლისურიდან XX ს. II ნახევარში

რიო-დე-ჟანეირო: ქ.

რისკ-ფაქტორი: რაც ხელს უწყობს საფრთხეს, რისკს

რიტმი: რიტმული [და არა რიტმიული], *მაგრამ* რიტმიკა: რიტმიკული

რიტორიკა: რიტორიკული [და არა რიტორიული] (კითხვა)

რიუკზაკი [და არა რუკზაკი, რ(ი)უგზაკი] // ზურგჩანთა

რკინაბეტონი

რკინიგზა (რკინიგზისა): რკინიგზელი; სარკინიგზო

როდის-როდის

როიალიზმი; როიალისტი: როიალისტური

როიტერსი [და არა რეიტერსი]: დიდი ბრიტანეთის კერძო საინფორმაციო სააგენტო (*ოფიც.* Reuters Ltd.): ეწოდა დამაარსებლის – ბარონ ფონ როიტერის გვარის მიხედვით

როკ-ენ-როლი: *მუს.*, ცეკვა

როკმუსიკა; როკოპერა; როკვესტივალი

როკვორი [და არა როშვორი]: ერთგვარი ყველი

რომანტიკა: რომანტიკული [და არა რომანტიული]; რომანტიკოსი

...რომელთა ჰშიოდის და სწყუროდის (*ახ. თარგმ.*: მშიერ-მწყურვალნი): სახარებიდანაა (მ 5, 6). მიემართება იმ ადამიანებს, რომლებიც ესწრაფვიან ჭეშმარიტების შეცნობას. იხმარება პირდაპირი მნიშვნელობითაც – "მშიერ-მწყურვალნი" ხალხი // "მშიერნი და მწყურვალნი"

რომელიმე (რომელიმემ, რომელიმეს, რომელიმესი // რომლი-

სამე, რომელიმეთი, რომელი-
მედ), *მაგრამ* მსაზღვრელად
ხმარებისას სიტყვა რომე-
ლიმე უცვლელი დარჩება:
რომელიმე წიგნი / წიგნმა /
წიგნს...

რომელიც (რომელმაც, რომელ-
საც, რომლისაც, რომლითაც,
რომლადაც), რომლებიც *მრ.*

რომლებიც // **რომელნიც** (რომ-
ლებმაც // რომელთაც, რომლე-
ბსაც // რომელთაც, რომლების
// რომელთა, რომლებითაც,
რომლებადაც)

როსინანტი: სერვანტესის რო-
მანის – "დონ კიხოტის" გმირის
ჯაგლაგი ცხენის სახელი (*ესპ.*:
rosinante = ცხენყოფილი). იქ-
ცა ბებერი ცხენის ან, საერთოდ,
დაბეჩავებული არსების ზოგად
სახელად

როტაპრინტი [და არა როტოპ-
რინტი]

რუდიმენტი: *ბიოლ.* განუვითა-
რებელი, ჩანასახოვან მდგომა-
რეობაში დარჩენილი ორგანო
ან მისი ნაწილი; *გადატ.* გადმო-
ნაშთი, კვალი; რუდიმენტული
[და არა რუდიმენტალური]

რუკა [და არა რუქა] (რუკისა):
საქართველოს რუკა

რუსულ-გერმანული, რუსულ-
ქართული... ლექსიკონი (სასაუ-
ბრო; ურთიერთობანი)

რქაწითელი (რქაწითლისა): ვა-
ზის ჯიში

რქმევია [და არა ჰქვევია] მას

რჩევა-დარიგება

რცხვენია, რცხვენოდა [და არა
სცხვენია, სცხვენოდა]

რძალ-დედამთილი; რძალ-მუ-
ლი

რჯის: რა რჯის? რა რჯიდა?

რჯულმდებელი ძვ. (რჯულ-
მდებლისა) // **სჯულმდებელი**
(სჯულმდებლისა)

ს

საადრეო [ხილი]

საათ-ნახევარი (საათ-ნახევრი-სა), *მაგრამ* საათნახევრიანი (ლექცია)

სააპელაციო (საჩივარი)

საარბიტრაჟო (სასამართლო)

[სააქციონერო კი არა] სააქციო

საბასრობელად და იგავად: (*ახ. თარგმ.*: საფრთხობელად, თითოთ საჩვენებლად და სამას-ხაროდ). ბიბლიური გამო-თქმა (II სჯ. 28, 37). აღნიშნავს ქვეყნის სალაპარაკოდ ქცეულ რაიმე შემთხვევას, მოვლენას (ხალხური შესატყვისია ყბა-დაღებული)

საბინაო-კოოპერატიული; სა-ბინაო-საყოფაცხოვრებო

საბიუჯეტო [და არა ბიუჯეტუ-რი]

საბნისპირი; ბალიშისპირი

საბუე, საბუიდან, საბუის [და არა საბუედან, საბუეს] მოსახ-ლეობა

საბურთალო (უბანი თბი-ლისში): საბურთალოზე (ცხოვ-რობს)

საგალანტერეო [და არა საგა-ლანტერიო]

სადავო [და არა სადაო]

სადამდე // სადამდის [და არა სადამდი(ნ)]

სადაც, სადაცაა; სადაც კი [და არა საცა, საცაა, საცა კი]

სადემონსტრაციო; სადემონს-ტრაციოდ [და არა სადემონსტ-რაციო, სადემონსტრაციოდ]

სადისპეტერო [და არა სადის-პეტერო]

სადღეღამისო (სადგომი)

საერთაშორისო სავალუტო ფონდი

[საერთო-საკაცობრიო კი არა] ზოგადსაკაცობრიო

საერისთავო [და არა საერის-თაო]

სავსებით – სრულიად: სავსე-ბით მისაღები / დასაშვები / შე-საძლებელი, *მაგრამ* სრული-ად მიუღებელი / დაუშვებელი / შეუძლებელი

საზავო (ხელშეკრულება)

საზოგადოებრივი, *მაგრამ* საზოგადოებრიობა

საზოგადოებრივ-პოლიტიკური // სოციალურ-პოლიტიკური; საზოგადოებრივ-ეკონომიკური // სოციალურ-ეკონომიკური (ვითარება)

საზოგადო მოღვაწე, მაგრამ საზოგადოებრივი ინტერესები (წესრიგი; ურთიერთობები)

საზღვრისპირა (სოფლები)

სათავო [და არა სათაო] (ორგანიზაცია)

სათვალე, სათვალეები მრ. (როცა სათვალე ერთზე მეტია)

სათვალისანი [და არა სათვალ(ე)ებიანი] (კაცი; გველი)

საირმე: საირმიდან, საირმის [და არა საირმედან, საირმეს] წყალი

საკანონმდებლო ხელისუფლება (საქართველოსი) იხ. პარლამენტი

საკარტოთეკო [და არა საკარტოტეკო, საკართოტეკო]

საკასაციო (სარჩელი)

[საკვლევი, საკვლევი კი არა] კვლევითი (ინსტიტუტი)

საკვოიაჟი

საკვითხავეები მრ.: პერიოდული მიმდევრითი სამეცნიერო სესია (მაგ., არნოლდ ჩიქობავას საკვითხავეები)

საკვინძი [და არა საკვინძე]

საკომენდანტო // კომენდანტის (საათი)

საკონცენტრაციო [და არა საკონცეტრაციო] (ზანაკი)

საკოსტიუმე [და არა საკოსტუმე] (ნაჭერი, ქსოვილი)

სალიტანიო [და არა სალიტონიო]

სამადლობელი [და არა სამადლობელი] (სამადლობლისა)

სამამულე (რქა)

სამამულო (ომი)

სამართალდამცავი // სამართალდამცველი: სამართალდამცავი ორგანოები (საუბ. სამართალდამცავები)

სამართალი (სამართლისა): სამართლიანი; უსამართლო; სასამართლო

სამართალწარმოება

სამართლებრივი სახელმწიფო

სამართლიანობის დოქტრინა: აშშ-ის "კავშირგაბმულობის ფედერალური აქტის" (1934) III პირობა, რომელიც ავალდებულებდა ყველა რადიო- და ტელესადგურს, მიუკერძოებლად წარმოედგინა სადისკუსიო საკითხზე ორივე მხარის აზრი (1987 წ. ეს აქტი გაუქმდა იმ მოტივით, რომ იგი ტელე- და რადიომაუწყებლობას უზღუდავდა სიტყვის თავისუფლებას)

სამარშრუტო [და არა სამარშუტო] (ტაქსი)

სამარხვი [და არა სამარხო] (საჭმელი)

სამდღიანი, მაგრამ 3-დღიანი

სამეზობა: ქრისტიანული დღესასწაული

სამეცნიერო-კვლევითი [და არა სამეცნიერო-საკვლევითი] (ინსტიტუტი, მუშაობა)

სამეცნიერო-პედაგოგიური; სამეცნიერო-სასწავლო (დაწესებულება)

სამზითვო [და არა სამზითო] (წიგნი)

სამთამადნო (მრეწველობა)

სამთო-სათხილამურო (სპორტი, ბაზა)

სამივე ადგა (იდგა), *მაგრამ* სამივენი ადგენენ (იდგენენ)

სამი მეოთხედი

სამინისტროები (საქართველოსი): 1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტრო; 2. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ინფორმაციის სამინისტრო; 3. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო; 4. განათლების სამინისტრო; 5. განსაკუთრებულ საქმეთა სამინისტრო; 6. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო; 7. ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო; 8. თავდაცვის სამინისტრო; 9. იუსტიციის სამინისტრო; 10. კულტურის სამინისტრო; 11. ლტოლვილთა და განსახ-

ლების სამინისტრო; 12. საგადასახადო შემოსავლების სამინისტრო; 13. საგარეო საქმეთა სამინისტრო; 14. სათბობენერგეტიკის სამინისტრო; 15. სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო; 16. სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო; 17. სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო; 18. ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრო; 19. ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრო; 20. ფინანსთა სამინისტრო; 21. შინაგან საქმეთა სამინისტრო; 22. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო

✓ **სამიტი** (*ინგლ.* summit უმაღლესი წერტილი, მწვერვალი): ოფიციალური შეხვედრა, მოლაპარაკება უმაღლეს დონეზე (*მაგ.*, სახელმწიფოთა მეთაურებისა ან მთავრობათა თავმჯდომარეებისა)

სამკვდრო-სასიცოცხლო (ბრძოლა)

სამკლავური [და არა სამკლავური]

სამკურნალო-პროფილაქტიკური (დაწესებულება)

სამმართველო [და არა სამართველო]

სამმოქმედებიანი (პიესა)

სამმხრივ; სამმხრივი

სამონაზვნო [და არა სამონაზვნო]

სამოქალაქო (საზოგადოება;
სამართალი; ომი)

სამოცი ათასი; სამოცი ათას
ერთი

სამომრავო

სამრეცხაო

სამსართულიანი, *მაგრამ*
3-სართულიანი

სამსახური: მოსამსახურე; სამ-
სახურებრივი [და არა სამსახუ-
რეობრივი]; სასამსახურო (ძალ-
ლი)

სამსერიანი (ფილმი)

სამურაი, სამურაები *მრ.*

სამფეხა (*ნათ.* სამფეხას)

[სამღვთო, საღმთო *კი არა*] სა-
ღმრთო, საღვთო (წერილი)

სამშვიდობო ძალები / *ჯარი*
(*საუბ.* სამშვიდობოები)

სამ ცვლად (მუშაობს), *მაგრამ*
სამცვლიანი (სამუშაო)

სამხრეთაფრიკელი, სამხრეთ-
კორეელი

სამხრეთ-აღმოსავლეთი, სა-
მხრეთ-დასავლეთი

სამხრეთი აფრიკა, სამხრეთი
კორეა... [და არა სამხრეთ აფრი-
კა / კორეა], *მაგრამ* სამხრეთ
აფრიკის / აფრიკით, სამხრეთ
კორეის / კორეით

სამხრეთი საქართველო (*ნათ.*
სამხრეთ საქართველოს, *მოქმ.*
სამხრეთ საქართველოთი)

სანათესავო [და არა სანათე-
საო]

სანამდღეო (სანამდღეოს დადება)

სანთელ-საკმეველი (სანთელ-
საკმეველისა)

სანიტარიულ-ჰიგიენური [და
არა სანიტარულ-ჰიგიენური]

სანტა-კლაუსი: საშობაო თო-
ვლის პაპა დასავლეთის ზოგ
ქვეყანაში

სანქტ-პეტერბურგი [და არა
სანკტ-პეტერბურგი]: ქ.

საპარლამენტო უმრავლესობა
/ უმცირესობა

[საპატივცემულო //] პატივსა-
ცემი

საპროცესო [და არა პროცესუა-
ლური] სამართალი

სარკმელი ევროპაში: მომდინა-
რეობს ა. პუშკინის პოემიდან
"Медный всадник" ("ბრინჯაოს
მხედარი"): "Природой здесь
нам суждено в Европу пропу-
рить окно". თვით პუშკინის და-
მოწმებით, ამ გამოთქმის წყა-
როა იტალიელი მწერლის ალ-
გაროტის გამონათქვამი: "პე-
ტერბურგი ის სარკმელია, რომ-
ლითაც რუსეთი უყურებს ევ-
როპას" ("წერილები რუსეთზე")

[სასომხეთი *კი არა*] სომხეთი

სასწავლო-აღმზრდელობითი
(მუშაობა)

სასხვათაშორისო; სასხვათაშო-
რისოდ, *მაგრამ* სხვათა შორის

სასჯელადსრულებითი (// სა-
სჯელადმასრულებელი) // პენი-
ტენციარული

სატრანსლაციო [და არა სა-
ტრანსლიაციო] (ქსელი)

საუკუნეობრივი [და არა საუ-
კუნეობრივი]

საუცხოო; **საუცხოოდ** [და არა
საუცხოვო, საუცხოვოდ]

საფარა (საფარისა): ეკლესია
სამცხეში

საფარი (საფრისა): ტყის საფარი

საფარიკაო [და არა საფარიკა-
ვო] (დარბაზი)

საფრენოსნო (სკოლა)

საქალაქთაშორისო

საქარინი [და არა სახარინი]

საქმისწარმოება; **საქმისმწარ-
მოებელი**

საქმრო [და არა საქმარო]

საქონელბრუნვა; **საქონელ-
მცოდნე**; **საქონელმცოდნეობა**

საღამო მშვიდობისა!

საღამო ხანი; **საღამო ხანს**

საღი გონებით... (ლათ. In com-
pos mentis): გავრცელდა ქარ-
თულ სამოქალაქო კანონმდებ-
ლობაში, როგორც საანდერძო
დოკუმენტის აუცილებელი შე-
მაღგენელი ნაწილი. *შდრ.* სა-
თანადო რუსული გამოთქმა: "В
здравом уме и твердой памяти"

საღი სული ჯანსაღ სხეულში
(ლათ. Mens sana in corpore sa-
no): ზოგადად ეს გამოთქმა გა-
მოხატავს ადამიანის ჰარმონი-
ული განვითარების იდეას. რო-

მაელი პოეტის იუვენალუსის
(I-II სს.) ფრაზას – "უნდა ვი-
ლოცოთ, რომ საღი სულიც
იყოს საღ სხეულში" – სიმოკ-
ლისათვის შეკვეცილად იმოწ-
მებდნენ. ამას მოჰყვა სენტე-
ნციის აზრის გაბუნდოვანება:
ყოფილ საბჭოთა კავშირში მას
წმინდა პრაქტიკულ-პრაგმატუ-
ლი, სააგიტაციო მნიშვნელობა
მიეცა. ფიზიკური სიმრთელის
ხარჯზე სულიერი სიჯანსაღის
პრობლემის ასე მარტივად გა-
დაწყვეტამ გამოთქმას გაუბრა-
ლოებული სახე შესძინა (В здо-
ровом теле здоровый дух!
ქართულ თარგმანში: "ჯანსაღ
სხეულში ჯანსაღი სულია!")

საღმრთო, **საღვთო** [და არა სა-
ღმთო, სამღვთო] (წერილი)

საღ-საღამათი: ჯანმრთელი,
ჯანსაღი

საშობაო (ნაძვის ხე)

[საშუალო საუკუნეები კი არა]
შუა საუკუნეები

საცოდავი, *მაგრამ* საცოდაობა

საწერ-კალამი (საწერ-კალმისა)

საწესდებო კაპიტალი: კანონ-
მდებლობის მიხედვით, ზოგი-
ერთი საწარმოს დაფუძნებისას
აუცილებელია საწყისი კაპიტა-
ლი, რომელიც უნდა დაფიქ-
სირდეს დასაფუძნებელი სა-
წარმოს ბალანსზე

საწვრთნელი [და არა საწრ-
თვნელი]

საჭაშნიკე [და არა საჭაშნიკო]

საჭიროებისდაგვარად, *მაგრამ*
საჭიროებისდა მიხედვით;
საჭიროებისამებრ

სახეგაბადრული; სახეგაბრწყინებული; სახენათელი

სახელმოხვეჭილი; სახელგატეხილი

სახელმწიფო: იხმარება როგორც არსებით სახელად (დიდი სახელმწიფო), ისე ზედსართავად (სახელმწიფო მოხელე; დაწესებულება; ბიუჯეტი)

სახელმწიფო დეპარტამენტი: აშშ-ის საგარეო საქმეთა სამინისტრო

სახელმწიფოებრივი, *მაგრამ*
სახელმწიფოებრიობა

სახელმწიფოთაშორისი

სახელმწიფოს მართვა, *მაგრამ*
სახელმწიფო მართვის ორგანოები

სახელმწიფოს [და არა სახელმწიფო] მეთაური, *მაგრამ* სახელმწიფო მინისტრი

სახლიკაცი // **სახლისკაცი**,
მაგრამ სახლის პატრონი

სახლ-კარი, *მაგრამ* უსახლკარო

სახლმმართველი: სახლმმართველობა

სახლ-მუზეუმი

სახრჩობელა [და არა საღრჩობელა]

საჯარისო (შენაერთი, ფორმირება)

საჯარო (სამსახური; განხილვა); საჯაროდ (განაცხადა)

საჯაროობა (ინფორმაციისა)

სდარაჯობს, **სდარაჯობდა** [და არა დარაჯობს, დარაჯობდა] მას

სდებს, **სდებდა** იგი მას (ბრალს), *მაგრამ* დებს, დებდა (წიგნს)

სდის, **სდიოდა** მას (ოფლი, სისხლი), *მაგრამ* დის, დიოდა (წყალი)

სეანსი [და არა სიანსი]

სევდანარევი (ლიმილი)

სეილი: პერიოდული ან სეზონური ფასდაკლება სავაჭრო საქონელზე

სეკვესტრი; **სეკვესტრირება**:
სეკვესტრირებული (ბიუჯეტი)

სეკუნდანტი [და არა სეკუნდატი]

სელფმედიმენი: პირი, რომელმაც წარმატებას მიაღწია, კარიერა შეიქმნა და სახელი მოიხვეჭა საკუთარი ნიჭით, უნართა და მონდომებით

[სემაფორი //] შუქნიშანი

სემესტრი: სასემესტრო; სემესტრული (გამოცედა, ჩათვლა)

სემინარი: სემინარული (მუშაობა)

სემინარია: სემინარიელი // სემინარისტი

სემიტურ ენათა ოჯახი: მონათესავე ენათა ჯგუფი (არაბუ-

ლი, ებრაული, სირიული, ასურული, ბაბილონური, ფინიკიური...)

სენიორ, სენიორა, სენიორიტა (ესპ. = ბატონი, ქალბატონი, ქალიშვილი): პატივისცემით მოხსენიება მამაკაცისა / ქალისა / ქალიშვილისა ან მიმართვა (ჩვეულ. გვართან ერთად)

სენსაცია: სენსაციური

სეპარატიზმი; სეპარატისტი; სეპარატისტული

სეპარატული [და არა სეპარატიული] ზავი

სერვიზი: სადილის ან ჩაის ჭურჭლის სრული კომპლექტი

სერვისი // მომსახურება

სერვისცენტრი

სერპანტინი [და არა სერპატიონი]: ფერადი ქაღალდის გრძელი, წვრილი ლენტის (იყენებენ სამეჯლისო სადამოებზე); მიხვეულ-მოხვეული გზა მთაში

სერტიფიკატი [და არა სერთიფიკატი]

სერტიფიკაცია // **სერტიფიცირება:** სერტიფიცირებული [და არა სერთიფიკაცია // სერთიფიცირება, სერთიფიცირებული]

სეფსისი [და არა სეჰსისი]

სექს... : სექსკლუბი; სექსფილმი; სექსშოპი

სექტემბერი (// ენკენისთვე)

სექცია: სექციიანი (სამსექციიანი); სექციური

სვამს [და არა სვავს]

სვე-ბედი, მაგრამ სვებედნიერი

(სვეტიცხოვლობა // მცხეთობა //) მცხეთობა-სვეტიცხოვლობა

[სვინდისი, სინიდისი კი არა] სინდისი

სთავაზობს [და არა თავაზობს] მას

სთხოვს, სთხოვდა, სთხოვა, სთხოვეთ! [და არა თხოვს, თხოვდა, თხოვა, თხოვეთ!] მას

სიბრძნისმეტყველი: სიბრძნისმეტყველება

სიდა: სიდიდან, სიდის [და არა სიდადან, სიდას] მოსახლეობა

სივიწროვე

სიზიფეს (// სისიფეს) შრომა: მომდინარეობს ბერძნული მითოლოგიიდან. კორინთის მეფეს სიზიფეს ეშმაკობისათვის ღმერთებმა მიუსაჯეს მარადიული ფუჭი შრომა – მძიმე ლოდის მთაზე ატანა. მწვერვალზე ატანისთანავე ლოდი უკან გორდებოდა და სიზიფეს შრომაც თავიდან იწყებოდა. იხმარება სწორედ ასეთი მძიმე და ამოა შრომის გამოსახატავად

სიზუსტე მეფეთა ზრდილობაა (ფრანგ.). გამოთქმა მიეწერება საფრანგეთის მეფეს, ლუდოვიკო (ლუი) XVIII-ს. ჩვენს დროში ითქმის დიდი სახელმწიფო მოხელეების, ეკონომიკურად აღზევებული პირების მიმართაც

სითაფე // იაფობა

სიკვდილი // გარდაცვალება:
სიკვდილ-სიცოცხლე, სიკვდი-
ლამდე ერთად ყოფნა; ოფიცია-
ლურ დოკუმენტებში იხმარება
გარდაცვალება (გარდაცვა-
ლების მოწმობა, გარდაცვალე-
ბის თარიღი)

სიკვდილის პირას

"სიკვდილის რაზმი": ნახევ-
რად სამხედრო მცირერიცხოვა-
ნი საიდუმლო ჯგუფი, რომე-
ლიც ვისიმე გასანადგურებ-
ლად (აგრ. დასაშინებლად, სა-
წამებლად) გამოიყენება

სიკვდილმისჯილი

სიკვდილ-სიცოცხლე

სილოამის საბანელი (აბ.
თარგმ.: სილოამის აუზი): სახა-
რებიდანაა. მოთხრობილია,
როგორ კურნავდა იერუსალიმ-
ში ამ აუზის სასწაულმოქმედი
წყალი ავადმყოფებს (ი 9, 7).
აღნიშნავს ადამიანის სასწაუ-
ლებრივად განკურნებას, სუ-
ლიერი და ხორციელი სატკივ-
რისაგან დახსნას ღვთის
რწმენით

სიმართლისმოყვარე (სიმართ-
ლისმოყვარისა)

სიმპათია: სიმპათიური [და
არა სიმპატია, სიმპატიური]

სიმპათიკური (ნერვული სის-
ტემა)

სიმპტომი: სიმპტომური (// სი-
მპტომატური)

სიმრთელე [და არა სიმთელე]
(ჯანის სიმრთელე)

სიმულაცია // სიმულირება;
სიმულანტი [და არა სიმული-
ანტი]

["სიმღერათა სიმღერა" კი არა]
ქებათა ქება

სინაგოგა (სინაგოგისა)

სინდისი [და არა სინიდისი,
სვინდისი]: სინდისიერი; უსინ-
დისო; სინდისის თავისუფლება

სინდისის პატიმარი (პატიმრე-
ბი მრ.): "საერთაშორისო ამნის-
ტიის" მიერ დამკვიდრებული
ცნება; იგულისხმება ის პირი,
რომელიც დაკავებული ან და-
პატიმრებულია საკუთარი
რწმენის გამოხატვის, რელიგი-
ური, ეთნიკური და მისთ. კუთ-
ვნილების გამო

სინდის-ნამუსი

სინთეტიკა: სინთეტიკური [და
არა სინთეტიური]

სინიორ, სინიორა, სინიორინა
(იტალ. = ბატონი, ქალბატონი,
ქალმშვილი): პატივისცემით
მოხსენიება მამაკაცისა / ქალისა
/ ქალიშვილისა, ანდა მიმართვა
(ჩვეულ. გვართან ერთად)

სინხუა (ნათ. სინხუას): ჩინე-
თის საინფორმაციო სააგენტო

სისტემა: სისტემური (= სისტე-
მისათვის დამახასიათებელი),
მაგრამ სისტემატური; სისტე-
მატურად (= რეგულარული;
რეგულარულად)

სისტემატიზაცია (= წესრიგში მოყვანა კლასიფიკაციის გზით)

სისხლდენა, სისხლმდენი, *მაგრამ* სისხლის დენა

სისხლისმსმელი

სისხლის სამართალი; სისხლის სამართლის დანაშაული; სისხლის სამართლის დამნაშავე

სისხლის ღვრა; სისხლისმღვრელი (ომი)

სისხლძარღვი

სისხლხორცეული (საქმე)

სიტყვათგანლაგება; სიტყვათშეხამება; სიტყვათხმარება, *მაგრამ* სიტყვაწარმოება

სიტყვანი [და არა სიტყვარი]; ლექსიკონში შესატან სიტყვათა სია

სიტყვა-პასუხი, *მაგრამ* სიტყვაპასუხიანი

[სიტყვარი *კი არა*] 1. სიტყვანი; 2. ლექსიკონი

სიტყვასიტყვით: სიტყვასიტყვითი (თარგმანი)

სიტყვის თავისუფლება

სიტყვის კაცი

სიტყვის კონა

სიუიტა [და არა სუიტა]: 1. მუსიკალური ნაწარმოები, რომელიც შედგება ერთი თემით და მხატვრული ჩანაფიქრით გაერთიანებული მცირე ფორმის ნაწარმოებებისაგან; 2. საბალეტო კომპოზიცია, რომელიც შეიცავს რამდენიმე ცეკვას

სიურპრიზი [და არა სურპრიზი]

სიურრეალიზმი: ერთ-ერთი ავანგარდისტული მიმდინარეობა ლიტერატურისა და ხელოვნებაში; სიურრეალისტი

სიუხვის რქა: კეთილდღეობის, სიუხვისა და დოვლათის სიმბოლო; რომაულ მითოლოგიაში ბედისწერის ქალღმერთს ფორტუნას (*იხ.*), სფეროზე თვალახვევით მდგარს, ცალ ხელში საჭე უპყრია (ნიშნად ადამიანის ბედის წარმართვის უნარისა), მეორეში კი – სიუხვის რქა, ნიშნად კეთილდღეობისა და დოვლათისა, რომლის მინიჭებაც მას ხელეწიფებოდა

სიღარიბე: სიღარიბის ზღვარი (ზღვარზე)

სიცილ-კისკისი; სიცილ-კისკისით

სიცოცხლეგამწარებული

სიცოცხლისუნარიანი: სიცოცხლისუნარიანობა

სიძე-პატარძალი (სიძე-პატარძლისა)

სკაბრეზული [და არა სკრაბეზული]: უშვერი, უხამსი, უწმაწური (სიტყვები)

სკალპელი [და არა სკალპერი]: ქირურგიული დანა

სკანდალი: სკანდალური (მედიაში ზოგჯერ უმართებულოდ იხმარება სენსაციურის მნიშვნელობით)

სკანერი; სკანირება

სვეტიბორდი: სპორტის სახეობა – გორგოლაჭიანი ფიცრით სრიალი

სვეპტიციზმი, *მაგრამ* სვეფსი-სი [და არა სვეპსისი]

სვეტჩი [და არა სვეჩი] *თეატრ.*

სკლეროზი: სკლეროზიანი

სკოლიოზი [და არა სქოლიო-ზი]: ხერხემლის გვერდითი გამრუდება

სკოტლენდ-იარდი [და არა სქოთლენდ-იარდი]: ლონდონის პოლიციის ცენტრალური სამმართველოს სახელწოდება. მკითხველთა შორის პოპულარული გახდა კონან-დოილის გახმაურებული დეტექტიური მოთხრობების გამო

სკურპულოზური (ზედმიწვე-ნით ზუსტი, დაწვრილებითი); სკურპულოზურად [და არა სკურპულოზური, სკურპულო-ზურად]

სლავური [და არა სლაური, სლავიანური] (ენები)

სლოვენი; სლოვენები *მრ.*

სმა-ჭამა

სმენადაკარგული; სმენადაქვე-ითებული

სმოგი (*ინგლ.*): დიდი სამრეწ-ველო ქალაქებისათვის დამახა-სიათებელი სქელი კვამლიანი ნისლი, გამონაბოლქვი

სმოკინგი: სმოკინგიანი

სოდომი და გომორა (სოდომ-გომორი): გამოთქმა აღნიშნავს

საყოველთაო ზნედაცემულო-ბას, გარყვნილებას, არეულო-ბას. "სოდომის ცოდვა" – ჰომო-სექსუალიზმი. მომდინარეობს ბიბლიური მითიდან ძველი პა-ლესტინის ქალაქების – სოდო-მისა და გომორის შესახებ. ეს ქალაქები ღმერთმა დასაჯა განადგურებით (დაბ., 19, 24-25). ქართულ ზეპირმეტყველე-ბასა და XIX ს. ლიტერატურაში გავრცელებულია "სოდომ-გო-მორი"

სოვეტოლოგი: საბჭოთა კავში-რის, საბჭოთა წყობილების ის-ტორიის სპეციალისტი (განსა-კუთრებით, დასავლეთის ქვე-ყნებში); სოვეტოლოგია: სოვე-ტოლოგიური (ნაშრომი)

სოლიდოლი [და არა ტაოტი]

სომხეთი [და არა სასომხეთი]

(სოროსის ფონდი //) "ღია სა-ზოგადოება – საქართველო"

სოციალურ-ეკონომიკური [და არა სოციალ-ეკონომიკური] // საზოგადოებრივ-ეკონომიკუ-რი; სოციალურ-პოლიტიკური [და არა სოციალ-პოლიტიკუ-რი] // საზოგადოებრივ-პოლი-ტიკური

სპეკულანტი [და არა სპეკუ-ლიანტი]; სპეკულაცია

სპეციფიკა: სპეციფიკური [და არა სპეციფიური]

სპეცსამსახური (*შემოკლ.* = სპეციალური სამსახური): უპი-რატესად *მრ.* რიცხვში იხმარება (სპეცსამსახურები)

სპილოს ძვლის კოშკი: გამოთქმა ეკუთვნის XIX ს. ფრანგ კრიტიკოსს – სენტბევს. აღნიშნავს რეალობას მოწყვეტილი შემოქმედის ინდივიდუალურ განმარტობას

სპირაიტერი (*ინგლ.*): პირი, რომელიც თანამდებობის პირებს უწერს გამოსასვლელ სიტყვას

სპორტ...: (რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილი, რომელიც მომდევნო სიტყვასთან შერწყმულად იწერება): სპორტდარბაზი, სპორტკლუბი, სპორტლოტო, სპორტსაზოგადოება...

სრულვეყოფ, სრულვეყავი [და არა ვსრულყოფ, ვსრულვეყავი]

სრულიად: ტრადიციულად იხმარება მხოლოდ სიტყვა საქართველოს მსაზღვრელად შესიტყვებაში "ს რ უ ლ ი ა დ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი" (ანალოგიისათვის *მღრ. რუს. Патриарх Вс е я Р у с и*). ამჟამად არცთუ იშვიათად იხმარება მედიაშიც. ზეპირი მეტყველების გავლენით მკაფიოდ გამოკვეთილი მაღალფარდოვნების ნიუანსით ზედსართავ მთელის ადგილას (*მაგ.*: სრულიად საქართველოს მოსახლეობა)

სრულმეტრაჟიანი (ფილმი)

სრულუფლებიანი (ელჩი)

სრულფასოვანი (ადამიანი)

სტაგნაცია: წარმოების განვითარების შეჩერება

სტაგფლაცია [და არა სტაგფლიაცია]: სტაგნაცია ინფლაციასთან ერთად

სტანდარტი (ორმაგი სტანდარტი): სტანდარტული

სტანდარტიზაცია // **სტანდარტიზება:** სტანდარტიზებული [და არა სტანდარტიზირება, სტანდარტიზირებული]

სტატიკა: სტატიკური [და არა სტატიური]

სტატუს კვო (*ლათ. status quo*): გარკვეულ მომენტში არსებული მდგომარეობა

სტაცებს, სტაცა (მას ხელი)

სტაციონარი: სტაციონარული [და არა სტაციონალური]

სტეპლერი: ქაღალდის ფურცლების მექანიკური შესაკრავი

სტებს, სტებსდა (ხეს ტოტს), *მაგრამ* ტებს (ჭიქას)

სტილი: სტილური, სტილებრივი

სტილისტი: სტილისტური; სტილისტიკა: სტილისტიკური

სტილისტ-რედაქტორი

სტიპენდია: სტიპენდიატი [და არა სტიპენდიანტი]

სტიუარდესა (*ნათ. სტიუარდესას*)

სტკივა, სტკიოდა [და არა ტკივა, ტკი(ვ)ოდა] მას

სტუმართმოყვარე: სტუმართმოყვარეობა

სტუმარ-მასპინძელი (სტუ-

მარ-მასპინძლისა), *მაგრამ*
სტუმარმასპინძლობა

სტყორცნის (მზე სხივს ფანჯა-
რას), *მაგრამ* ტყორცნის (სპორ-
ტსმენი ბადროს)

სუბსტანტივი: სუბსტანტიური

სუბსტანცია (საგანთა და მო-
ვლენათა არსი): სუბსტანციური

სუიციდი: თვითმკვლელობა.
ტერმინი შემოსულია XX ს-ის
მიწურულს *ლათ.* ფორმით

სულგანაბული

სულგრძელი: სულგრძელობა

სულერთი; სულერთია, *მაგრამ*
სულ ერთიანად

სულთამხუთავი [და არა სულ-
თამხუთველი]

სულთმოზრბავი

სულთმოფენობა (= სულიწმი-
დის გარდამოსვლა)

სულის შემხუთველი, *მაგრამ*
სულისჩამდგმელი

სულმდაბალი: სულმდაბლობა
[და არა სულდაბალი, სულდაბ-
ლობა]

სულ მუდამ

სუპერი: წიგნის შემოსაცემელი

სუპერმარკეტი

სუპერმენი (*ინგლ.*): ზეადამია-
ნური თვისებების მქონე კაცი;
ზეკაცი

სუპერსახელმწიფო // ზესა-
ხელმწიფო

სუპერსტარი (*ინგლ.* ზევარსკე-
ლავი, *ჩეეულ.* – მოუბიზნესში)

სურავანდი: სურავანდიანი [და
არა სუროვანდი, სუროვანდია-
ნი]: ერთგვარი დაავადება

[სურეალიზმი, სურეალისტი *კი*
არა] სიურრეალიზმი, სიურრე-
ალისტი

[სურპრიზი *კი არა*] სიურპრი-
ზი

(სურწყუნისი *ძვ. //*) თებერ-
ვალი

სუფსა: სუფსიდან, სუფსისა [და
არა სუფსადან, სუფსას]: ბაქო-
სუფსის (ნავთობსადენი)

სუყველა; სუყველაფერი (*//*
სულყველა, სულყველაფერი)

სქელტანიანი (წიგნი)...

სჩადის, სჩადიხარ (უმსგავსო-
ებას), *მაგრამ* ჩადის, ჩადიხარ
(კიბეზე)

[სჩანს, სჩანდა *კი არა*] ჩანს, ჩა-
ნდა

სჩვევია, სჩვეოდა [და არა ჩვე-
ვია, ჩვეოდა] მას

სჩვენებია, სჩვენებოდა [და
არა ჩვენებია, ჩვენებოდა] მას

[სჩუქნის *კი არა*] აჩუქებს; სა-
ჩუქრად აძლევს

სჩხვლიტს, სჩხვლიტდა, უჩხ-
ვლიტა მას, *მაგრამ* ჩხვლიტს,
ჩხვლიტდა, დაჩხვლიტა იგი

სცალია [და არა ცალია] მას

სცემა, სცემოს მან მას [და არა
მან ის]

სცემს, სცემდა, სცემა, სცემოს
[და არა ცემს, ცემდა, ცემა, ცე-
მოს] მას

სცვივა (ზეს ფოთლები), *მაგრამ*
ცვივა (ხიდან ფოთლები)

სცივა, სციოდა მას, *მაგრამ* ცი-
ვა (= სიცივა), ციოდა

სცილდება, სცილდებოდა [და
არა ცილდება, ცილდებოდა]
მას

სცოდავს, სცოდავდა [და არა
ცოდავს, ცოდავდა] ის
(ღმერთს)

სცოდნია, სცოდნოდა [და არა
ცოდნია, ცოდნოდა] მას

[სცხვენია, სცხვენოდა *კი არა*]
რცხვენია, რცხვენოდა

სძინავს, სძინებია [და არა ძი-
ნავს, ძინებია] მას

სძლევს, სძლია მას [და არა
ძლევს, ძლია ის]

სძულს, სძულდა [და არა
ძულს, ძულდა] ის მას

სწავლა-განათლება

სწამს: 1. სჯერა მისი (ვინმესი),
მაგრამ სწამს ის (რამე, *მაგ.*,
სამართლიანობა, ჭეშმარიტება);
2. სწამს ღმერთი (= მორწმუნეა)

სწევს, სწევდა [და არა წევს,
წევდა] // *ეწევა*, ეწეოდა

სწერია (ჯვარი) მას, *მაგრამ* წი-
გნში წერია [და არა სწერია]

სწერს, სწერდა (წერილს დე-
დას), *მაგრამ* წერს, წერდა
(თემას)

სწვავს (= უწვავს) მას (თვა-
ლებს), *მაგრამ* წვავს (ხორცს)

სწვდება, სწვდებოდა [და არა
წვდება, წვდებოდა] მას

სწვევია, სწვეოდა [და არა წვე-
ვია, წვეოდა] მას

სწორად: 1. მართებულად (სწო-
რად ესმის; ამოცანა სწორად
ამოხსნა); უშეცდომოდ (სწო-
რად წერს; სწორად წარმო-
თქვამს ბგერებს); 2. პირდაპირ
(სწორად გაიარა); 3. თანაბრად
(სწორად შეჭრა)

სწორედ: ზუსტად, სახელ-
დობრ (სწორედ მან, სწორედ
ასე, სწორედ მაშინ...)

სწორმეტყველება

სწორხაზოვანი: სწორხაზოვ-
ნად

სწრაფმოქმედი

[სწუხს *კი არა*] წუხს

სწყალობს [და არა წყალობს]
(ბედი) მას

სწყდება, სწყდებოდა (გული;
ღილი) მას, *მაგრამ* წყდება,
წყდებოდა (საკითხი; ძაფი)

სწყენია, სწყენოდა [და არა წყე-
ნია, წყენოდა] მას

სწყენს [და არა წყენს] (ცხვრის
ხორცი) მას

სწყინს [და არა წყინს] მას

სწყურია, სწყუროდა, სწყურე-
ბია [და არა წყურია, წყუროდა,
წყურებია]

სჭარბობს (ერთი მეორეს: თბილისის მოსახლეობა სჭარბობს რუსთავისას), *მაგრამ* სჭარბობს (= ბევრია, უხვადაა)

სჭირდება, სჭირდებოდა [და არა ჭირდება, სჭირია; ჭირდებოდა, სჭიროდა] მას

სჭირს (სურდო) მას, *მაგრამ* (სუნთქვა) ჭირს (= გამძნელებულია)

სჭრის (ხეს ტოტს), *მაგრამ* ჭრის (ტოტს, რომელზედაც ზის)

სხედან ისინი [და არა ზიან], *მაგრამ* ზის იგი

სხვადასხვა: სახელს შეიწყობს მხოლოობითში. *მაგ.*: სხვადასხვა საკითხი / ენა / თვალსაზრისი... [და არა სხვადასხვა საკითხები / ენები / თვალსაზრისები]

სხვათა შორის, მაგრამ სასხვათაშორისოდ

სხვა მხრივ

სხივი: სხივური

სჯერა [და არა (ს)ჯერავს, ჯერა] მას ვინმესი (= ენდობა ვინმეს), *მაგრამ* სჯერა მას რამე (= სწამს რამე). *შდრ.*: მე მჯერა შენი (= გენდობი) და მჯერა (= მწამს) შენი სიმართლე

სჯობნის, სჯობნიდა [და არა ჯობნის, ჯობნიდა] მას

სჯობს // **სჯობია** ის მას (*შდრ.* "სარჩული სჯობს საპირესა" და: "ხერხი სჯობია ღონესა..."), *მაგ-*

რამ ჯობს, ჯობია (= უმჯობესია, უკეთესია)

სჯული ძე. [და არა შჯული] // რჯული

ტ

ტაბელ-კალენდარი (ტაბელ-კალენდრისა)

ტაბულა-რაზა (ლათ. სიტყვა-სიტყვით: "სუფთა დაფა"): წმინდა, ხელუხლებელი, რაიმე გავლენისაგან თავისუფალი. იხმარება ირონიულადაც – ცოდნისაგან დაუმძიმებელი ადამიანის დასახსნათებლად

ტაიმ-აუტი: მცირე ჰაუზა ზოგიერთი სპორტული თამაშის დროს, წუთშესვენება

ტაიმერი (ინგლ.): დროის საკონტროლო-მარეგულირებელი აპარატი

"ტაიმსი" [და არა "თაიმსი"]: ინგლისში გამოშვებული გაზეთი

ტაიტი, მიც. ტაიტის, კუნძულ ტაიტიზე [და არა ტაიტზე]

ტანდაბალი; ტანთხელი; ტანმაღალი; ტანმორჩილი

ტანდემი: გადატ. ერთმანეთთან კარგად შეწყობილი, შეხმატკბილებული, რაიმე საქმით სისხლხორცეულად დაკავშირებული წყვილი

ტანკსაწინააღმდეგო

ტან-ფეხი; ხელ-ფეხი

ტანჯავს, ტანჯავდა [და არა სტანჯავს, სტანჯავდა]

ტანჯვა-წამება; ტანჯვა-წამებით

[ტაოტი კი არა] სოლიდოლი

ტარტიუფი [და არა ტარტუფი]: გადატ. ფარისეველი, ორპირი. მომდინარეობს მოლიერის კომედიის პერსონაჟის სახელისაგან

ტატამი (ტატამიზე): ძიუდოს საჭიდაო ხალიჩა

ტაქიკარდია: ტაქიკარდიული [და არა ტახიკარდია, ტახიკარდიული]

ტაქსი, ტაქსიმ, მიც. ტაქსის [და არა ტაქსმა, ტაქსს]; ტაქსი! მაგრამ ტაქსები მრ. (ტაქსების პარკი)

ტაშისცემა; ტაშისკვრა; ტაშისმკვრელი

ტაშიტუში

? **ტაშ-ფანდური**; ტაშ-ფანდურა (ნათ. ტაშ-ფანდურას)

ტახტრევანი (ტახტრევნისა)

ტელე...: რთული სიტყვის პირველი ნაწილი. აღნიშნავს:

1. შორ მანძილზე მოქმედს; 2. ტელევიზიასთან დაკავშირებული: ტელეეკრანი; ტელეინტერვიუ; ტელეკამერა; ტელეკომუნიკაცია; ტელემაყურებელი; ტელერეპორტაჟი; ტელერეპორტიორი; ტელეფილმი

ტელეატელიე (*ნათ.* ტელეატელიეს);

ტელე- და რადიოგადაცემები, მაგრამ ტელერადიოგადაცემები

ტელეპათი; ტელეპათია [და არა ტელეპატი, ტელეპატია]

[ტენდემი *კი არა*] ტანდემი

ტენდერი (= კონკურსის სახეობა): სატენდერო

ტერა ინკოგნიტა (*ლათ.* terra incognita = უცნობი მიწა):
გადატ. ახალი, უცნობი სფერო

ტერაქტი (*შემოკლ.* = ტერორისტული აქტი)

ტერიტორია: ტერიტორიული [და არა ტერიტორიალური]

ტერორიზმი; ტერორისტი; ტერორისტული (აქტი)

ტესტერი: ტექნიკური შესამოწმებელი აპარატი

ტესტი: ტესტური (გამოცდა)

ტესტირება: ტესტირებული

ტეტ-ა-ტეტ (*ფრანგ.*) // პირისპირ: იხმარება ვინმესთან პირისპირ, მოწმის გარეშე საუბრის აღსანიშნავად

ტექადრიცხვა (*შემოკლ.* = ტექნიკური აღრიცხვა)

ტექნიკა: ტექნიკური; ტექნიკუმი [და არა ტეხნიკა, ტეხნიკური, ტეხნიკუმი]

ტექსტი: ტექსტობრივი (ანალიზი); ტექსტური (ფაილი)

ტეხა (ტეხს) [და არა ტეხვა, ტეხავს]

ტვინნაღრძობი

ტვირთბრუნვა

ტინეიჯერი (*ინგლ.*) [და არა თინეიჯერი]: 13-19 წლის მოზარდი

ტიპი: ტიპობრივი, ტიპური

ტირე (*ნათ.* ტირეს): სასვენი ნიშანი

ტირი: ნუ ტირი! [და არა ტირიხარ, ნუ ტირიხარ!]

ტიტა (// ტიულპანი)

ტიტულიანი [და არა ტიტულოვანი]

ტიუბაჟი [და არა დიუბაჟი]: შინაგანი ორგანოების ყრუ გამორეცხვა ბუნებრივი მეთოდით

ტკბილმოუბარი; ტკბილსახსოვარი; ტკბილქართული; ტკბილზმოვანი...

[ტკივა, ტკი(ვ)ოდა *კი არა*] სტკივა, სტკიოდა მას

ტოვებს, დატოვებს [და არა სტოვებს, დასტოვებს]

ტოლერანტი: ტოლერანტობა; ტოლერანტული // შემწყნარებელი: შემწყნარებლობა; შემწყნარებლური

ტოლფასი: ტოლფასოვანი

ტოპმოდელი [და არა თოფმოდელი]

ტოტალიზატორი

ტოტალიტარიზმი: მმართველობის არადემოკრატიული (ავტორიტარული) სისტემა

ტოტალიტარული: ტოტალიტარიზმისათვის დამახასიათებელი (რეჟიმი)

ტოტალური: სრული, მთლიანი (ტოტალური გაყალბება ხმებისა არჩევნებში); ყოვლისმომცველი, საყოველთაო: ტოტალური ომი; ტოტალური გამყინვარება (დათბობა)

ტოქსიკოზი [და არა ტოკსიკოზი]

ტოქშოუ [და არა თოქშოუ]: (ინგლ. talk-show, სიტყვ. = საუბარ-სანახაობა): ტელესანახაობის სახე

ტრაგედია; ტრაგიკული

ტრაგიკომედია; ტრაგიკომიკური

ტრავმა: ტრავმული (//ტრავმატული) [და არა ტრამვა, ტრამვ(ატ)ული]

ტრავმირება: ტრავმირებული [და არა ტრამვირება, ტრამვირებული]

ტრანკვილიზატორი, ტრანკვილიზატორები *მრ.*: დამამშვიდებელი სამკურნალო პრეპარატები

ტრანს... (ლათ. trans = გაღმა,

გადაღმა): რთული სიტყვის პირველი ნაწილი. აღნიშნავს: მოძრაობას რისამე გავლით; რისამე გადალახვას; ვისიმე ან რისამე საშუალებით გადაცემას: ტრანსატლანტური, ტრანსკონტინენტური

ტრანსკავკასია: იგულისხმება კავკასიის მთების – კავკასიონის იმიერ, გადაღმა მხარეს მდებარე ქვეყნები – მხედველობაში აქვთ ამიერკავკასია. ამის მიზეზია სახელმდების პოზიცია: სახელწოდება ტრანსკავკასია ასახავს ჩრდილოეთიდან დანახულ და გააზრებულ კავკასიას; ტრანსკავკასიური

ტრანსკრიფცია [და არა ტრანსკრიპცია]: ენის ბგერათა წარმოქმნის გადმოცემა ნიშანთა გარკვეული სისტემით: სატრანსკრიფციო (ნიშნები)

ტრანსლაცია [და არა ტრანსლიაცია]: სატრანსლაციო (ქსელი)

ტრანსლირება: ტრანსლირებული

ტრანსლიტერაცია // ტრანსლიტერირება: ერთი ენის ასოების გადმოცემა სხვა ენის ასოებით; ტრანსლიტერირებული

ტრანსნაციონალური (ერთი სახელმწიფოს ფარგლებიდან გასული ან გამავალი) // სახელმწიფოთაშორისი (კომპანია)

ტრანსპლანტაცია: ორგანოს ან ქსოვილის გადანერგვა

ტრანსფერი: უცხოური ვალუტის ან ოქროს გადაგზავნა ერთი ქვეყნიდან მეორეში; სახელობით ფასიან ქაღალდებზე უფლების გადაცემა; სატრანსფერო (თანხა)

ტრაქეა [და არა ტრახეა] (ტრაქეისა); ტრაქეოტომია

ტრენაჟი; ტრენაჟორი [და არა ტრენაჟერი, ტრენაჟიორი]

ტრენინგი [და არა თრენინგი, ტრენინგი] (= ვარჯიში)

ტრეფიკინგი (*ინგლ.*): ადამიანებით ვაჭრობა

ტრიუმფი: ტრიუმფული (// ტრიუმფალური), *მაგრამ* ტრიუმფალური თაღი

ტრიუფელი [და არა ტრუფელი]: სოკოს ფორმის შოკოლადის კანფეტი

[ტრომბი, ტრომბინი, ტრომბოზი *კი არა*] თრომბი, თრომბინი, თრომბოზი

ტროფი: ტროფეიმ, *მიც.* ტროფის

ტუბერკულოზი [და არა ტუბერკულიოზი]: ტუბერკულოზური

ტურნე (*ნათ.* ტურნეს)

ტუჩ-კბილი; თვალ-წარბი

ტყვიაგაუმტარი (ჟილეტი)

ტყვია-წამალი

ტყისკაცი; ტყისმცველი; ტყისმკრელი; ტყისქათამი

ტყისპირა (სახლი), *მაგრამ* ტყის პირას // ტყის პირად

ტყორცნის (სპორტსმენი ბადროს), *მაგრამ* სტყორცნის (მზე სხივს ფანჯარას)

ტყუი: ნუ ტყუი! [და არა (ნუ) ტყუიხარ, (ნუ) სტყუი!]

ტყუილ-მართალი

ტყუილუბრალო; ტყუილუბრალოდ

ტყუპისცალი

უ

უამბია [და არა უამბნია]

უამრავი: საზღვრულ სახელს ითხოვს მხოლოლობითში: უამრავი ბავშვი (წერილი, ფრინველი) [და არა უამრავი ბავშვები (წერილები, ფრინველები)]

უანგარიშია [და არა უანგარიშნია]

უანდერძებია [და არა უანდერძნია]

უარვეყოფ, უარვეყავი [და არა ვუარყოფ, ვუარყავი]

უარის თქმა, მაგრამ უარისმთქმელი

უახლოებს [და არა უახლოვებს] (დაუახლოებს)

უბეჭდავს (თურმე) [და არა უბეჭდია]

უბრძანებს [და არა უბძანებს]

უგვიანესი; არა უგვიანეს

უგზო-უკვლოდ

უგორავია [და არა უგორავნია]

უგრძნია [და არა უგრძვნია]

უგულებელყოფ, უგულებელყავი, [და არა ვუგულ(ვ)ებელყოფ, ვუგულ(ვ)ებელყავი]

უგუნური, უგუნურება [და არა უგნური, უგნურება]

უდავო; უდავოდ [და არა უდაო, უდაოდ]

უდავო წარმოება: სასამართლოს მიერ ისეთი საქმეების განხილვა, რომლებიც არ შეიძლება იყოს დავის საგანი ვისიმე მხრიდან (*მაგ.*, მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების, საწარმოსა და კავშირის რეგისტრაციის, იურიდიული ფაქტების დადგენის, შვილად აყვანის შესახებ...)

უდანაშაულო: უდანაშაულობა; უდანაშაულობის პრეზუმფიცია

უდარაჯია [და არა უდარაჯნია]

უდე: უდიდან, სოფ. უდის [და არა უდედან, უდეს] მოსახლეობა

უდი, უდეები *მრ.* (ერთ-ერთი კავკასიელი ხალხი): უდიური (ენა)

უდიდებულესობა: *ჩვეულ.* იხმარება მეფისა და დედოფლის მიმართ თქვენი, მისი, მათი ნაცვალსახელებთან

(თქვენო უდიდებულესობავ!
მისი უდიდებულესობა)

უდროო; უდროოდ; უდროოდ
დროს

უებარი (წამალი), *მაგრამ* უებ-
რო (მეომარი)

უვერტიურა [და არა უვერტუ-
რა]

უვნებელვყოფ, უვნებელვყავი
[და არა ვუვნებელყოფ, ვუვნე-
ბელყავი]

უზელს, უზელდა [და არა
უზილავს, უზილავდა]

უზენაესი (სასამართლო)

უზის ის, *მაგრამ* უსხედან ისი-
ნი (სუფრას)

უზრუნველვყოფ, უზრუნველ-
ყავი [და არა ვუზრუნველყოფ,
ვუზრუნველყავი]

უზურპაცია // უზურპირება
(ძალაუფლების ან სხვისი უფ-
ლებების უკანონოდ მიტაცება):
უზურპირებული

უთავო; უთავოდ; უთავობა [და
არა უთაო, უთაოდ, უთაობა]

[უთანაგრძნობს კი არა] თანაუ-
გრძნობს

უთქვამს (თურმე) [და არა უთ-
ქვია]

უიკ-ენდი (*ინგლ.* = კვირის ბო-
ლო: შაბათ-კვირა)

უკან: დროის მნიშვნელობით
ნიშნავს: შემდეგ, მერე (*მაგ.*: მას
უკან = მას შემდეგ, მას აქეთ),
მაგრამ ზოგჯერ უმართებუ-

ლოდ ხმარობენ წინ/წინათ
სიტყვების ნაცვლად:[ორი
დღის (კვირის, წლის...) უკან კი
არა] ორი დღის (კვირის,
წლის...) წინ / წინათ]

უკანდასახევი (გზა); უკანდა-
ხეული (ჯარი); უკანდაუხევე-
ლად, *მაგრამ* უკან დახევა
(უკან დაიხვეს)

უკანმოუხედავად, *მაგრამ*
უკან მოხედვა (უკან მოიხედა)

უკან-უკან, *მაგრამ* უკან და
უკან

უკვდავყოფ, უკვდავყავი [და
არა ვუკვდავყოფ, ვუკვდავყა-
ვი]

უკვეთს, უკვეთდა [და არა უკ-
ვეთავს, უკვეთავდა]

უკითხავს (თურმე) [და არა
უკითხია]

უკლია // აკლია: პარალელუ-
რად იხმარება დროის აღსანიშ-
ნავად: ათს უკლია // აკლია ხუ-
თი წუთი, *მაგრამ* აკლია (ჭკუა;
ყურადღება...)

უკმაყოფილება [და არა უკმა-
ყოფილობა]

უკრეფს, უკრეფდა, დაუკრეფს
[და არა უკრიფავს, უკრიფავდა,
დაუკრიფავს]

უკუუაგდებ, უკუუაგდე [და არა
ვუკუაგდებ, ვუკუაგდე]

უკუნითი უკუნისამდე

ულანძღავს (თურმე) [და არა
ულანძღია]

ულტიმატუმი: ულტიმატუმური

ულტრა... (ლათ.): რთული სიტყვის პირველი ნაწილი. აღნიშნავს უკიდურესს, რაიმე თვისების უმაღლეს ხარისხს: ულტრაბგერა; ულტრაიისფერი; ულტრამოკლე; ულტრარეაქციული...

ულუკმაპურო: ულუკმაპურობა

ულუფა [და არა პორცია]

უმეტეს: მით უმეტეს, არა უმეტეს

უმეტესწილად // მეტწილად

უმზითვო [და არა უმზითო]

უმრავლესობა // უმეტესობა, მაგრამ საპარლამენტო უმრავლესობა; ხმის უმრავლესობით

უმუშევარი (უმუშევრისა), უმუშევრები მრ., მაგრამ უმუშევართა არმია; უმუშევრობა

უმცირესობა: საპარლამენტო უმცირესობა

უნათესაო [და არა უნათესავო]

უნახავს (თურმე) [და არა უნახია]

უნდა იქნეს [და არა იქნას]

უნებლიე; უნებლიეთ [და არა უნებლიედ]: ახასიათებს საკუთარი ნება-სურვილისაგან დამოუკიდებლად ან გაუცნობიერებლად ნათქვამსა თუ ნამოქმედარს (მაგ.: უნებლიე მოძრაობა; უნებლიეთ შეცდა, ე. ი. უნებლიე შეცდომა მოუვიდა)

უნებური; უნებურად: ახასიათებს თავისი თუ სხვისი ნება-

სურვილისაგან დამოუკიდებელ ნათქვამსა თუ ნამოქმედარს (მაგ.: შვილმა დედის უნებური საქმე ჩაიდინა; მაპატიეთ, თუ ჩემდა უნებურად რამე გაწყენინეთ!)

[უნვითარდება კი არა] უვითარდება

უნივერსალი [და არა უნივერსალი] (შემოკლ. = უნივერსალური მალაზია)

უნიტარიზმი: სახელმწიფოებრივი მოწყობის პრინციპი. ეფუძნება პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული ცენტრალიზაციის ტენდენციას. სიტყვა შემოსულია ფრანგულიდან XX ს-ის II ნახევარში

უოლ-სტრიტი [და არა უოლ-სთორითი]: სავაჭრო კომპლექსი, ბიზნესცენტრი ქ. ნიუ-იორკში

უორქოპი (ინგლ.) [და არა უორკ-შოპი]: სემინარი

უპატიოსნობა [და არა უპატიოსნება], მაგრამ პატიოსნება

უპირველეს ყოვლისა // უწინარეს ყოვლისა

უპოვის, უპოვა, უპოვოს [და არა უპოვნის, უპოვნა, უპოვნოს]

უპორტფელო [და არა უპორთველო] (მინისტრი)

უპრეცედენტო [და არა უპრეცენდენტო]

ურთიერთ... (რთული სიტყვის პირველი ნაწილი): ურთიერთგაგება; ურთიერთპატივისცემა;

ურთიერთშეთანხმება; ურთიერთდამოკიდებულება

ურთიერთ შორის

ურტყამს, ურტყამდა [და არა ურტყავს, ურტყავდა]

ურწმუნო თომა: სახარებისეული გამოთქმაა. ქრისტეს მოწაფემ და მოციქულმა თომამ ძნელად დაიჯერა მაცხოვრის აღდგომა (ი 20, 24-29). გადატანით იხმარება ეჭვიანი კაცის დასახსიათებლად

უსასო: უსასობა [და არა უსასო, უსასობა]

უსაშინელესი [და არა უსაშინლესი]

უსახლკარო, მაგრამ სახლ-კარი

უსინდისო: უსინდისობა [და არა უსვინდისო, უსვინდისობა]

უსმელ-უჭმელი: უსმელ-უჭმელობა

უსხამს, უსხამდა [და არა უსხავს, უსხავდა]

უტევს [და არა შეტევაშია] ფეხბურთელი, მაგრამ თამაშობს თავდასხმაში (= თავდამსხმელად), დაცვაში (= მცველად)

უტილიტარიზმი (ვიწრო პრაქტიციზმი, გამოყენებითი მიდგომა; ყველასა და ყველაფრისაგან სარგებლის მიღების მცდელობა); უტილიტარისტი; უტილიტარული

უტოპია: უტოპიური; უტოპისტი

უტირება: რისამე გაზვიადება, უკიდურესობამდე მიყვანა; უტირებული

უფართოებს, უფართოებდა [და არა უფართოვებს, უფართოვებდა]

უფლება; უფლებები და თავისუფლებები *მრ.*; ადამიანის უფლებათა დამცველი

უფლებამოსილი (უფლებამოსილია განაცხადოს): უფლებამოსილება

უფოლოგია: ტერმინი ნაწარმოებია ინგლ. აბრევიატურისაგან (უფო). აღნიშნავს მეცნიერებას ამოუცნობი მფრინავი ობიექტების შესახებ. ევროპულ მედიაში დამკვიდრდა XX ს-ის II ნახევრიდან

უფრო და უფრო

უფროსკლასელი

უფროს-უმცროსი: უფროს-უმცროსობა

უფრო სწრაფად, უფრო მაღლა, უფრო შორს (*ლათ.* Citius, Altius, Fortius): ოლიმპიური თამაშების დევიზი

უქადის, უქადდა, უქადდეს [და არა უქადიდა, უქადიდეს]

უქმრო [და არა უქმარო]

უღვთო: უღვთობა [და არა უხვთო, უხვთობა]

უღვიოდა, უღვიოდეს [და არა უღვივოდა, უღვივოდეს]

უყიდის, უყიდდა, უყიდდეს [და არა უყიდიდა, უყიდიდეს]

... უშავს; რა უშავს; არა უშავს
(რა)

უშოვის, უშოვა, უშოვია [და
არა უშოვნის, უშოვნა, უშოვ-
ნია]

უჩერს, უჩერდა [და არა უჩე-
რავს, უჩერავდა]

უჩებს, უჩებდა [და არა უჩე-
ხავს, უჩებავდა]

უჩვენებს (ვინმეს სეირს) // აჩ-
ვენებს (ფილმს)

უჩივის, მაგრამ უჩიოდა [და
არა უჩივოდა]

უჩუქებია [და არა უჩუქნია]

უცბად [და არა უცბათ] // უცებ

უცენზურო // უხამსი, უწმინდუ-
რი (სიტყვები)

უცვდება, გაუცვდა [და არა
უცვთება, გაუცვთა], მაგრამ
გასცვეთია მას

უცვიოდა, უცვიოდეს [და არა
უცვივოდა, უცვივოდეს]

უცივებს, უცივებდა, გაუცივა
[და არა უცივებს, უცივებდა, გაუ-
ცია]

უცნია [და არა უცვნია]

უძრავ-მოძრავი (ქონება)

უძღები შვილი // ძე შეცთო-
მილი: სახარების მიხედვით
(ლ 15, 11-32) – ურჩი, უღირსი
შვილი, რომელიც მშობლების
სახლიდან წავიდა და შემდეგ
შინ ხელმოცარული დაბრუნდა

უძლოდა, უძლოდეს [და არა
უძღვოდა, უძღვოდეს], მაგრამ

უძღვის, უძღვება, გაუძღვა

უწინარეს ყოვლისა // უპირვე-
ლეს ყოვლისა

უწმინდესი და უნეტარესი: სა-
ქართველოს კათალიკოს-პატ-
რიარქის წოდება

უხანგრძლივებს, უხანგრძლი-
ვებდა (გაუხანგრძლივებს)

უხატვინებია [და არა უხატი-
ნებია]

უხელმძღვანელებს, უხელმძ-
ღვანელა, უხელმძღვანელებია
მისთვის

უხვმოსავლიანი (ვენახი)

უჯერებს [და არა უჯერის]

ფ

ფაბრიკა: ფაბრიკული (ნაწარმი)

ფაბრიკანტი: ფაბრიკის მფლობელი

ფაბრიკატი (ფაბრიკული წარმოების პროდუქტი); ნახევარფაბრიკატი

ფაბრიკა-ქარხნები მრ.

ფაბრიკაცია: ფაბრიკული წესით რისამე წარმოება; *გადატ.* ყალბისმქნელობა; *აგრ.* რაიმე ნაყალბევის დიდი რაოდენობით დამზადება-გავრცელება

ფაზენდა (ფაზენდისა): მკვიდრდება XX ს-ის დამლევიდან. მომდინარეობს პორტუგალიურიდან და აღნიშნავს ადგილმამულს, სახლ-კარს, აგარაკს ბრაზილიაში. ქართულში პოპულარული გახდა ბრაზილიური ტელესერიალების მეშვეობით

ფაკულტატიური: შესაძლებელი, არასავალდებულო (საგანი, დისციპლინა)

ფალსიფიკატი (ყალბი პროდუქტი, ნაკეთობა): ფალსიფიკატორი

ფალსიფიკაცია // **ფალსიფიცირება:** ფალსიფიცირებული

ფამილიარული (< *ლათ.* familiaris); ფამილიარობა

ფანატი, **ფანატები მრ.** (*შემოკლ.* = ფანატიკოს(ებ)ი: თავგამოდებული გულშემატკივარი, ქომაგი, ფანატიკური თავყვანისმცემელი. სიტყვა დამკვიდრდა XX ს-ის შუა წლებიდან

ფანატიკოსი; ფანატიკური

ფანერი [*და არა ფანერა*] // ფირფიცარი

ფანი, **ფანები მრ., იხ.** ფანატი

ფანტაზიორი: ფანტაზიორობა (ფანტაზიორობს)

ფანტასმაგორია (უცნაური, ფანტასტიკური ხილვა): ფანტასმაგორიული

ფანტასტიკური [*და არა ფანტასტიური*]

ფანტასტიკურ-სათავგადასავლო

ფარაჯა // **მაზარა**

ფარდობითი: ფარდობითობა (ფარდობითობის თეორია)

ფარზე ან ფართი! (*ლათ.* Aut un scuto, aut cum scuto! ქართული შესატყვისია – სიკვდილი ან გამარჯვება!); სპარტელთა დევი-

ზი (ასე ეტყოდა სპარტელი დე-და ომში მიმავალ ვაჟს)

ფართო; ფართოდ [და არა ფართე, ფართედ]

ფართო მასშტაბით, *მაგრამ*
ფართომასშტაბიანი

ფარისეველი (ფარისეველისა);
ფარისეველური

ფარმაცევტი: ფარმაცევტული

ფარმაცია // **ფარმაცევტიკა**

ფარსი: მსუბუქი ხასიათის თეატრალური სანახაობა შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში; უხამსი შინაარსის კომედია, ვოდევილი; *გადატ.* რაიმე ფარისეველური, ცინიკური, ყალბი ხასიათისა

ფარშევანი [და არა ფარშევანი]

ფარ-ხმალი (ფარ-ხმლისა), *მაგრამ* ფარხმლიანი

ფასადის იმპერია (*ფრანგ.* Un empire de facades): ასეა დახასიათებული რუსეთის იმპერია ა. დე კიუსტინის მიერ (წიგნში "რუსეთი 1839 წელს")

ფასდაკარგული; ფასდაკლებული; ფასდაუდებელი

ფასების დონე *ეკონ.*: საქონლისა და მომსახურების ფასების საშუალო სტატისტიკური დონე

ფასების ინდექსი *ეკონ.*: ფასების დონის ცვლილების მაჩვენებელი

ფასნამატი *ეკონ.*: საქონლის გა-

საყიდი ფასის ნამატი მისი დამზადების ან შესყიდვის ფასთან შედარებით

ფატალიზმი; ფატალისტი: ფატალისტური

ფატალური // საბედისწერო

ფაქსი: კავშირგაბმულობის საერთაშორისო სატელეფონო ფაქსიმოლური სისტემა გრაფიკული ინფორმაციის მყისიერი გადაცემისათვის. დამკვიდრდა XX ს-ის მიწურულიდან

ფაქტი: ფაქტობრივი; ფაქტობრივად // ფაქტობრივ [და არა ფაქტიური, ფაქტიურად]

ფაციფუცი; ფაციფუცით

ფედერალიზმი; ფედერალისტი; ფედერალური (ბიურო, კანცლერი)

ფედერაცია: ფედერაციული [და არა ფედერატიული] (რესპუბლიკა, მოწყობა)

ფეთქებადი (ნივთიერება), *მაგრამ* ფეთქებასაშიში (მდგომარეობა)

ფეიერვერკი

ფეიხოა (ფეიხოსა)

ფენა-ფენა; ფენა-ფენად

ფენომენი: ფენომენური // ფენომენალური

ფენომენოლოგია: ფენომენოლოგიური

ფენს (ქალი სარეცხს), *მაგრამ* ჰფენს (მზე სხივებს არემარეს)

ფეოდალურ-არისტოკრატიული

ფერადკანანი

ფერად-ფერადი

ფერდაკარგული; ფერმიხდილი; ფერმკრთალი

ფერეიდანი (ფერეიდნისა): ფერეიდნელი; ფერეიდნული (ვილო)

ფერისცვალება: ქრისტიანული დღესასწაული

ფერის ცვლა (ფერს იცვლის)

ფერომენადნობი; ფერომანგანუმი

ფერწერა: ფერმწერი; ფერწერული

ფერხთა მტვერი

ფესვადგმული; ფესვმაგარი

ფემნებელური: უახლესი მოდის შესატყვისი (სასტუმრო)

ფეხკრეფით; ფეხდაფეხ; ფეხქვეშ; ფეხმორთხმით

ფეხბედნიერი

ფეხის ადგმა [მაგრამ ფეხადგმული]

ფეხის ამოკვეთა

ფეხმარდი: ფეხმარდობა

ფეხმოკიდებული

[ფეხოსანი ჯარი *კი არა*] ქვეითი ჯარი

ფთიზიატრი; ფთიზიატრია [და არა ფტიზიატრი; ფტიზიატრია]

ფიასკო: სრული მარცხი, კრახი (ფიასკო განიცადა)

ფიგურა: ფიგურული სრიალი, მაგრამ ფიგურალური / ხატოვანი / ფრთიანი გამოთქმა

ფიზიკური გეოგრაფია, მაგრამ ფიზიკურ-გეოგრაფიული (რუკა)

ფიზიკურ-მათემატიკური (დისციპლინები)

ფიზიოპარატურა; ფიზიოთერაპევტი; ფიზიოკაბინეტი

ფიზკულტურა (შემოკლ. = ფიზიკური კულტურა); ფიზკულტურული

ფილანთროპი (კაცთმოყვარე); [და არა ფილანტროპი]

ფილაქანი (ფილაქნისა)

ფილე (ნათ. ფილეს)

ფილიაცია: რისამე თანამიმდევრული განვითარება; მემკვიდრეობითობა

ფილიგრანი: ფილიგრანული // ნატიფი, დახვეწილი (ნაკეთობა)

ფილიპიკა, ფილიპიკები მრ.: ასე უწოდეს ათენელი ორატორის დემოსთენეს (ძვ. წ. IV ს.) მრისხანე გამოსვლებს ფილიპე მაკედონელის წინააღმდეგ. მოგვიანებით ციცერონმა ფილიპიკები უწოდა თავის გამოსვლებს რომაელი სახელმწიფო მოღვაწის მარკუს ანტონიუსის წინააღმდეგ. გადატანით აღნიშნავს ვინმეს მიმართ უღმობელ მამხილებელ გამოსვლას

ფილისტერი (შეზღუდული გონებისა და ფარისევლური ქცევის ადამიანი, ობივატელი): ფილისტერული; ფილისტერობა

ფილმოთეკა (= ფილმსაცავი)

ფილოლოგი; ფილოლოგია: ფილოლოგიური (ძიებანი), მაგრამ ფილოლოგიის (ფაკულტეტი)

ფილოსოფიურ-მისტიკური; ფილოსოფიურ-მორალური

ფინანსები *მრ.*

[ფინანსირება, ფინანსირებული //] დაფინანსება; დაფინანსებული

ფინიკი (= ფინიკის პალმის ნაყოფი) // ინდისხურმა

ფინიკიელი, ფინიკიელები *მრ.*
ფინიკიური (ენა)

ფინჯანი (ფინჯნისა)

ფირფიცარი // ფანერი

ფისკი (*ლათ.* სახელმწიფო ხაზინა): ფისკალური (სახაზინო)

ფისკარმონია [და არა ფისგარმონია, ფიზგარმონია]

ფიტო... (= მცენარე): ფიტოგეოგრაფია; ფიტოთერაპია; ფიტოპათოლოგია; ფიტოფაგია

ფიქრებაშლილი; ფიქრმიუწვდომელი; ფიქრთამპყრობელი

ფიქსაცია // **ფიქსირება**: ფიქსირებული

ფიქცია: გამონაგონი, შეთხზული; სინამდვილეში არარსებული

ფიქციური [და არა ფიქტიური]

ფიშურგერი: თევზიანი ბუტერბროდი

ფიჩორა: ფიჩორიდან, სოფ. ფიჩორის [და არა ფიჩორადან, სოფ. ფიჩორას] მოსახლეობა

ფიცარნაგი

ფიცვერცხლი; ფიცვერცხლის ჭამა (= ძმადშეფიცვა)

ფიცის დაღება; ფიცის მიცემა; ფიცის გატეხა; ფიცის გამტეხი

ფიცხელი (ბრძოლა): ფიცხლად

ფლამანდიელი, ფლამანდიელები *მრ.*; ფლამანდიური (მხატვრობა)

ფლუგერი [და არა ფლიუგერი] მეტეოროლოგიური ხელსაწყო

ფლუროგრაფია: ეკრანზე მიღებული რენტგენის გამოსახულების გადაღება ფირზე

ფოთოლი (ფოთლისა): იხმარება მრავალი ფოთლის მნიშვნელობითაც. *შდრ.*: ფოთოლი (ერთი) გამოიბა და ფოთოლი (შევრი) გამოისხა: "ტყემ მოისხა ფოთოლი" (ილია)

ფოთოლცვენა

ფოლგა (ფოლგისა): სპეციალურად დამუშავებული ლითონის თხელი ფურცელი

ფონენდოსკოპი [და არა ფონე(ი)დოსკოპი]

ფონო...(ხმა, ბგერა): რთული სიტყვის პირველი ნაწილი: ფონოგრაფია; ფონოთეკა; ფონოსტატისტიკა...

ფორგარდი // თავდამსხმელი
(ფეხბურთში, ჰოკეიში)

ფორმალურ-ბიუროკრატიული;
ფორმალურ-ლოგიკური

ფორმანტი: აფიქსი, სართი

ფორმატი: წიგნის ზომა

ფორმაცვალება: ფორმაცვალება-
დი; ფორმაუცვლელი

ფორმაწარმოება: ფორმაწარმოე-
ბითი (აფიქსი)

ფორმულირება: ფორმულირე-
ბული (// დაფორმულება: და-
ფორმულებული)

ფორსმაჟორი: ვითარება, რომ-
ლის თავიდან აცილებაც შეუძ-
ლებელია; გადაულახავი დაბრ-
კოლება

ფორტიფიკაცია: მეცნიერების
დარგი თავდაცვით ნაგებობათა
მშენებლობის შესახებ; ამ ტიპის
ნაგებობანი; საფორტიფიკაციო

ფორტუნა; ფორტუნას ბო-
რბალი: რომაულ მითოლოგი-
აში ფორტუნა ბრმა შემთხვე-
ვითობის, იღბლისა და უიღბ-
ლობის, საერთოდ ბედისწერის
ქალღმერთია. *გადატ.* იხმარება
მოულოდნელი გამართლების,
შემთხვევითი ბედნიერების გა-
მოსახატავად

ფოსტა-ტელეგრაფი

ფოტოალბომი; ფოტოაპარატი;
ფოტოასლი; ფოტოატელიე

ფოტოდოკუმენტი: ფოტოდო-
კუმენტური

ფოტოკორესპონდენტი; ფოტო-
ჟურნალისტი; ფოტორეპორტა-
ჟი; ფოტორეპორტიორი

ფოტოხელოვანი: ფოტოხელოვ-
ნება

ფრაგმენტი: ფრაგმენტული

ფრაზეოლოგია: ფრაზეოლოგი-
ური

ფრანკმასონი, ფრანკმასონები
მრ. // მასონი, მასონები *მრ.*

ფრანს-პრესი: საფრანგეთის სა-
ინფორმაციო სააგენტო

ფრანცისკულთა [და არა ფრან-
ცისკანელთა] ორდენი

ფრაუ: გათხოვილი ქალის მოხ-
სენიება ან მისდამი მიმართვა
გერმანიაში; უცვლელად იხმა-
რება გვართან ერთად (ფრაუ
შმიდტი, ფრაუ შმიდტი!)

ფრაქცია: ფრაქციული

ფრთებშესხმული

ფროილანი: ქალიშვილის, გაუ-
თხოვარი ქალის მოხსენიება ან
მისდამი მიმართვა გერმანიაში;
უცვლელად იხმარება გვართან
ერთად (ფროილანი აიხლერი;
ფროილანი აიხლერი!)

ფრონტისპირა (სოფელი)

ფსევდო... (*ბერძნ.*): ცრუ... (*მაგ.*:
ფსევდომეცნიერული // ცრუ-
მეცნიერული)

ფსიქიკა: ფსიქიკური [და არა
ფსიქიური] (აშლილობა)

ფსიქონევროზი: ფსიქონევრო-
ზული

ფსიქოპათოლოგი: ფსიქოპათოლოგიური

ფული არ ყარს (ლათ. Non olet pecunia): ასეთი პასუხი გაუცია რომის იმპერატორ ვესპასიანეს თავისი ვაჟის ტიტუსისათვის, რომელმაც მამას უსაყვედურა საზოგადოებრივი საპირფარეშოების დაბეგვრის გამო. გამოხატავს უარყოფით-ირონიულ დამოკიდებულებას იმათ მიმართ, ვისთვისაც ფულის საშოვნელად ყველა ხერხი მისაღებია

ფულის გათეთრება: უკანონო ("შავი") ფულის ლეგალიზაცია

ფუნდამენტი: საძირკველი, საფუძველი; ფუნდამენტური [და არა ფუნდამენტალური]

ფუნიკულორი [და არა ფუნიკულიორი]

ფუნქციონირება (ფუნქციონირებს)

ფუნქციური // ფუნქციონალური: ფუნქციური მოშლილობა მედ., მაგრამ ფუნქციონალური ანალიზი მათემ.

ფურია (ნათ. ფურიას), ფურიები მრ.: რომაულ მითოლოგიაში შურისძიების ქალღმერთი; გადატ. ავი, გამძვინვარებული ქალის სინონიმია. ფურიებს (ლამისა და მიწის სამ ასულს) ბერძნულ მითოლოგიაში შეესატყვისება ე რ ი ნ ი ე ბ ი

ფურნიტურა: წარმოებაში გამოყენებული დეტალები და დამხმარე მასალა

ფურორი: ფურორის მოხდენა

ფურშეტი (// ა-ლა-ფურშეტი) (ფრანგ.): ზეზეური ბანკეტი

ფურცელ-ფურცელ

ფუძემდებელი (ფუძემდებლისა): ფუძემდებლური (ნაშრომი)

ფშავი: ფშაველი, ფშავლები მრ., მაგრამ ფშაური (კილო)

ფშავ-ხევსურები მრ.

ფშაურ-ხევსურული (// ფშავ-ხევსურული) პოეზია

ქ

ქდაგი: ქადაგად დავარდნა (დავარდება)

ქლაქგართ

ქლაქთმშენებლობა

ქლაქისთავი // მერი

ქლბატონი: საზღვრულ სახელთან ასე იბრუნვის: ქლბატონი მარიაში, ქლბატონმა მარიაშმა, ქლბატონ მარიაშს, ქლბატონი მარიაშის / მარიაშით [და არა ქლბატონ მარიაშმა / მარიაშის / მარიაშით], ქლბატონო მარიაშ!

ქლდეველი, ქლდეველები
მრ.: ძვ. სემიტური მოდგმის ტომები; ქლდეური

ქლ-ვაჟი, მაგრამ "ქლვაჟიანი" ფოლკლ.

ქლიან-კაციანად

ქლღმერთი

ქმარ-ხანჯალი (ქმარ-ხანჯლისა), *მაგრამ* ქმარხანჯლიანი

ქმა სოკო

ქნცგამოლეული; ქნცგაწყვეტილი; ქნცმიხდილი

ქოსი; ქოსური [და არა ქოსტური]

ქარაგმა: ქარაგმული (= ორაზროვანი, გადაკრული)

ქარბუქი: ქარბუქიანი

ქართველთმცოდნე: ქართველთმცოდნეობა // ქართველოლოგი: ქართველოლოგია

ქართველი, ქართველები *მრ.;* ქართველობა; ქართველური ენები (ქართული, ზანური, ანუ მეგრულ-ჭანური, სვანური)

ქართლ-კახეთი: ქართლურ-კახური (// ქართლ-კახური)

ქარიზმა (*ბერძნ.*) [და არა ხარიზმა] (ქარიზმისა): თავდაპირველად (ქრისტიანულ თეოლოგიაში) აღნიშნავდა ღვთის წყალობას, ნიჭს. XX ს-ში ამ სიტყვას მოაკლდა დადებითი ელფერი, დარჩა მხოლოდ განსაკუთრებული ძალის, მასებზე ზემოქმედების გამორჩეული უნარის მნიშვნელობა

ქარიზმული [და არა ხარიზმული] // ქარიზმატული (ლიდერი)

ქარის მოტანილი

ქარის წისქვილი; "ქარის წისქვილებთან ბრძოლა" (= წარმოსახ-

ვით მტერთან ბრძოლა, ამო გარჯა). მხატვრული სახე მომდინარეობს სერვანტესის "დონ კიხოტიდან")

ქარსაფარი [// ქარსაცავი]

ქარტახილი

ქარწაღებული, *მაგრამ* ქარს გატანებული (= განიავეებული, გაფანტული)

ქარცეცხლი: ქარცეცხლიანი

ქარხანა (ქარხნისა), ქარხნები
მრ.: ქარხნული (წესით) // საქარხნო (რაიონი)

ქაშირი: ინდოეთის შტატი.
მღრ. ქიშირი

ქვა-დიდება, *მაგრამ* ქვაბადიდებით

ქვათა ქვა // **ქვაბ ქვათაბ**:
ბიბლიის (ძვ. აღთქმა) ერთ-ერთი მაღალმხატვრული წიგნის სახელწოდება. მიეწერება სოლომონ მეფეს (ზრძენს). ქართულ მასმედიაში ზოგჯერ რუსულიდან სიტყვასიტყვით ითარგმნება როგორც სიმღერათა სიმღერა ("Песнь песней")

ქედის მოდრეკა (ქედს მოიდრეკს), *მაგრამ* ქედმოდრეკილი

ქედმაღალი: ქედმაღლობა; ქედმაღლური; ქედმაღლურად

ქეჩნა [და არა ქეჩნა] (სინდისისა)

ქერუბიმი (*ეპრ.*): უმაღლესი რანგის ანგელოზი; ქერუბიმი *მრ.*

ქერცლი: ქერცლავს, *მაგრამ* ქერცვლა

[ქვაზი... *კი არა*] კვაზი...

ქვაკუთხედი

[ქვალიტატ(ი)ური *კი არა*] კვალიტატიური

ქვამარილი; ქვანახშირი

ქვანი ლაღადებდენ (*ახ. თარგმ.*: ქვები დაიწყებენ ლაღადს). გამოთქმა სახარებისეულია (ლ 19, 40). აღნიშნავს ისეთ შემადრწუნებელ მოვლენას, რომლის შემყურე უტყვი ქვებიც კი ამეტყველდებიან, ადამიანი რომც დადუმდეს. ი. ჭავჭავაძემ ეს ბიბლიური ფრაზა გამოიყენა თავისი ცნობილი პუბლიცისტური წერილის სათაურად. მას შემდეგ თვით ეს პერიფრაზი ("ქვათა ლაღადი") იქცა ქართულში ხატოვან თქმად

[ქვანტი, ქვანტური *კი არა*]
კვანტი, კვანტური

ქვაფნილი

ქვაწვია // **ქვახარშია** (*ნათ.* ქვაწვიას, ქვახარშიას): ძუნწი

ქვეგამხედვარი (= მუხანათი, ვერაგი): ქვეგამხედვარობა

ქვედანაყოფი // **ქვეანაყოფი**

ქვედა პალატა; ზედა პალატა (პარლამენტში)

ქვევით // **ქვემოთ**

ქვეთავი; ქვესათაური; ქვესაღბური; ქვეჯგუფი

ქვეითი [და არა ფეხოსანი] ჯარი

ქვეკომისია; ქვეკომიტეტი

ქველმოქმედი; ქველმოქმედება;
საქველმოქმედო

ქვემოაღნიშნული, *მაგრამ* ქვე-
მოთ აღნიშნული

ქვემოდასახელებული, *მაგრამ*
ქვემოთ დასახელებული

ქვემოთ // **ქვევით**, *მაგრამ* ქვე-
მოთ [და არა ქვევით] მოყვანი-
ლი მაგალითი / ციტატა / ფაქ-
ტი...

ქვემო იმერეთი, *მაგრამ* ქვემო-
იმერული (კილოკავი)

ქვემო მოყვანილი, *მაგრამ* ქვე-
მოთ მოყვანილი [და არა ქვე-
მო(თ)მოტანილი]

ქვემო რე ხელის მომწერნი

ქვემო უბანი (ქვემო უბნისა),
მაგრამ ქვემო უბნელი

ქვემო ქართლი, *მაგრამ* ქვემო-
ქართლელი

ქვემო ჩამოთვლილი, *მაგრამ*
ქვემოთ ჩამოთვლილი

ქვემო ხსენებული, *მაგრამ* ქვე-
მოთ ხსენებული

ქვემბიძე; ქვესაშუალო (წონა)

ქვემბრომი; ქვემბრომობა

ქვენა (გრძნობა; ქარი)

ქვაბიქსტი

ქვეყანათმცოდნეობა

ქვეშევრდომი

ქვეშ-ქვეშ, *მაგრამ* ქვეშქვეშა

ქვეცნობიერი; ქვეცნობიერება

ქვეწარმავალი (ქვეწარმავლისა)
// ქვემბრომი

[ქვია, ქვიოდა *კი არა*] ჰქვია,
ერქვა მას

ქვითკირი (// ქვიტკირი)

ქვის მთლელი

ქვის ხანა

[ქვორუმი *კი არა*] კვორუმი

[ქვოტა *კი არა*] კვოტა

ქვრივ-ობოლი (ქვრივ-ობლისა),
მაგრამ ქვრივობხერი (ქვრი-
ვობხრისა)

[ქილერი *კი არა*] კილერი

ქირომანტია [და არა ხირომან-
ტია]: მკითხაობა ხელისგულის
ხაზების მიხედვით; ქირომანტი

ქისტი, ქისტები *მრ.*: ჩრდილო-
ეთ კავკასიის აზორიგენი ხალ-
ხების – ჩეჩნებისა და ინგუშე-
ბის არაოფიციალური საერთო
სახელი ქართულში. იგივე ეთ-
ნონიმი იქცა კახეთში, პანკისის
ხეობაში, XIX ს-ის შუა წლები-
დან ჩამოსახლებული ჩეჩენ-ინ-
გუშების ეთნიკური ჯგუფის
სახელად (პანკისელი ქისტები);
ქისტური (ცეკვა)

ქიტონი [და არა ხიტონი]: ერთ-
გვარი ძველი ბერძნული ტანსა-
ცმელი

ქიშირი [და არა ქაშირი]:
წმინდა შალის ერთგვარი ქსო-
ვილი

ქმარ-შვილი, *მაგრამ* ქმარშვი-
ლიანი

ქმედუნარიანი; ქმედუნარო

ქმნის, ქმნიდა [და არა ჰქმნის, ჰქმნიდა]

ქნესეთი: ისრაელის სახელმწიფოს პარლამენტი

ქოლერა [და არა ხოლერა]

ქოლეცისტიტი [და არა ხოლეცისტიტი]

[ქონდა, ქონია, ქონოდა *კი* არა] ჰქონდა, ჰქონია, ჰქონოდა მას

ქონდრისკაცი: ქონდრისკაცობა

ქორალი [და არა ხორალი]: საეკლესიო საგუნდო საგალობელი

ქორვაჭარი (ქორვაჭრისა), ქორვაჭრები *მრ.*

ქორმაისტერი [და არა ხორმეისტერი, ქორმეისტერი]

ქორო [და არა ხორო]

ქორწინდება [და არა ქორწილდება]

ქოსატყულია (*ნათ.* ქოსატყულიას)

ქოქოსი [და არა კოკოსი]

ქრესტომათია: ქრესტომათიული

ქრიზანთემა [და არა ხრიზანტემა]

ქრიზოლითი [და არა ხრიზოლიტი]: ძვირფასი ქვა

ქრის [და არა ჰქრის] (ქარი)

ქრისტესსისხლა (*ნათ.* ქრისტესსისხლას) *ბოჭ.*

(ქრისტემობისთვის //) დეკემბერი

ქრისტიანულ-დემოკრატიული [და არა ქრისტიან-დემოკრატიული] (პარტია)

ქსენოფილია: უცხოელისა და უცხოურის სიყვარული

ქსენოფობია: უცხოელისა და უცხოურის სიძულვილი; ქსენოფობიური (თვალსაზრისი)

ქსეროქსი; ქსეროასლი

კტიტორი [და არა კტიტორი]

ქუდბედი: ქუდბედიანი

ქუდზე კაცი: ყოველი მამაკაცი (ქუდმოგლეჯილი //) თავქუდმოგლეჯილი

ქუთათელ-გაენათელი (ეპისკოპოსი)

ქუთათელი (*ძვ.* = ქუთაისელი), ქუთათელები *მრ.* // ქუთათური, ქუთათურები *მრ.*

ქულა (ქულისა): ქულიანი; ას-ქულიანი, *მაგრამ* 10-ქულიანი (სისტემა)

ქურდბაცაცა (ქურდბაცაცისა)

ქურუმი; ქურუმთქურუმი

ქუჩა-ქუჩა

ქუჩისპირა, *მაგრამ* ქუჩის პირას

ღ

ღადარი (ღადრისა): ნაკვერჩხლიანი ნაცარი

ღაზავათი [ღა არა ჰაზავათი] // ჯიჰადი: მომდინარეობს არაბულიდან. აღნიშნავს მაჰმადიანთა "საღვთო ომს" – დაპირისპირებას არამაჰმადიანურ ქვეყნებსა და ხალხებთან (კავკასიის სინამდვილეში გავრცელდა XIX საუკუნიდან). იქცა რუსეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ კავკასიის მთიელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომების იდეოლოგიურ საფუძვლად. ახალი აქტუალობა შეიძინა XX ს-ის დასასრულს რუსეთ-ჩეჩნეთის კონფლიქტთან დაკავშირებით

ღალიძგა: ღალიძგიდან, ღალიძგის [ღა არა ღალიძგადან, ღალიძგას] ხეობა

ღამე მშვიდობისა!

ღამენათევი

ღამის თევა; ღამისთევით

ღამღამობით

ღარიბ-ღატაკი, ღარიბ-ღატაკები *მრ.*

ღატაკი; სიღატაკე

[ღებულობს, ღებულობდა *კი არა*] იღებს, იღებდა

[ღერბი, ღერბიანი *კი არა*] გერბი, გერბიანი

ღვთაება: ღვთაებრივი; ღვთაებრიობა

ღვთივკურთხეული; ღვთივმომადღებელი (ნიჭი)

ღვთით (= ღვთის / ღმერთის შემწეობით) [ღა არა ღმერთით]

ღვთისა (*ძვ.* ღმრთისა): სიტყვა ღმერთის ნათ. ბრუნვის ტრადიციული ფორმა. გვხვდება ფრაზეოლოგიურ გამოთქმებში (ღვთის მადლი, ღვთის წყალობა; ღვთის რისხვა, ღვთის წყრომა...), *მაგრამ* მსაზღვრელის დართვისას უკუმშველი სახით იხმარება: დიდი (ძლიერი, მოწყალე...) ღმერთის

ღვთის ანაბარა

ღვთის გლაზა

ღვთის მადლით // ღვთის წყალობით

ღვთისმეტყველი: ღვთისმეტყველება; საღვთისმეტყველო

ღვთისმოსავი: ღვთისმოსაობა

ღვთისმოყვარე: ღვთისმოყვარება

ღვთისმოშიში: ღვთისმოშიშობა

ღვთისმსახურება

ღვთისმშობელი (ღვთისმშობლისა) // დედა ღვთისა

ღვთის წინაშე (იხმარება ფიცის ფორმულებში საკუთარი ნათქვამის სიმართლის დასადასტურებლად)

ღვთის წყალობა; ღვთის წყალობით

(ღვინობისთვისე // მწიფობისთვისე //) ოქტომბერი

ღვინოცა მცირედ იმსახურე სტომაქისათვის... (*ახ. თარგმ.*: ცოტ-ცოტა ღვინოც იგემე; ეს მოუხდება შენს სტომაქს): გამოთქმა მომდინარეობს ახალი აღთქმიდან (პავლე მოციქულის I ეპისტოლე ტიმოთეს მიმართ 5, 23). ამის შესაბამისად მონასტრებში ბერ-მონაზვნებს განსაზღვრულ დღეებში ღვინის დალევის ნებას რთავდნენ. იხმარება ირონიულადაც, როგორც ღვინის ზომიერად სმის მხარდასაჭერად, ისე მემთვრალეთა მიმართ

ღვიძლი: *გადატ.* სისხლით ნათესავი, ალალი (ღვიძლი ძმა, ღვიძლი ბიძაშვილი); ძალიან ახლობელი რამ (ღვიძლი საქმე)

ღია ბარათი; ღია წერილი; ღია გაკვეთილი

ღია კენჭისყრა (*საპირ. ფარული კენჭისყრა*)

ღია ლურჯი; ღია წითელი

ღიმილმორეული // ღიმმორეული

ღირსება; ღირსებააყრილი; ღირსებადაკარგული; ღირსებაშელახული

ღირსი: ღირსეული (არჩევანი)

ღირსსახსოვარი (დღე)

ღირსშესანიშნავი (თარიღი); ღირსშესანიშნაობა, ღირსშესანიშნაობანი *მრ.*

ღმერთი (*ნათ.* ღმერთისა და ღვთისა // ღმრთისა); მსაზღვრელის დართვისას იხმარება მხოლოდ შეუკუმშავი ფორმები (დიდი ღმერთის / ღმერთით, დიდ ღმერთად)

ღმერთმანი (მომდინარეობს გამოთქმისაგან – ღმერთმანი ცის): იხმარება ფიცის ფორმულად საკუთარი ნათქვამის სიმართლეში თანამოსაუბრის დასარწმუნებლად

ღობე-ყორე (ღობე-ყორისა)

ღონემიხდილი; ღონეგამოღეული

ღრმაზროვანი; ღრმაშინაარსიანი; ღრმამეცნიერული

ღრმად მორწმუნე

ღრმად მოხუცებული

ღრმა ძილი

ყ

ყაბარდო: ყაბარდოელი; ყაბარდოული (ცხენი)

ყაბარდო-ბალყარეთი [და არა კაბარდინო-ბალყარეთი]

ყაბარდოულ-ჩერქეზული // ყაბარდოული ენა

ყადაღის დაღება (ყადაღას დააღებს), *მაგრამ* ყადაღადაღებული

ყაენი, *მაგრამ* ყეენობა (ქართული ხალხური სანახაობა, დღესასწაული)

ყავარჯენი (ყავარჯენისა); ყავარჯენიანი

[ყავს, ყავდა, ყოლია *კი არა*] ჰყავს, ჰყავდა, ჰყოლია მას (ძმა)

[ყავხარ, (ჰ)ყევხარ *კი არა*] ჰყავხარ მას შენ

ყაზარმა [და არა კაზარმა]; ყაზარმული რეჟიმი

ყაზახეთი [და არა ყაზახსტანი]; რესპუბლიკა შუა აზიაში

ყაზახი, ყაზახები *მრ.*: 1. ყაზახეთის მკვიდრი მოსახლეობა; 2. // ყაზახ-რუსი. ქართულ ფოლკლორსა და XVIII-XIX სს-ის ლიტერატურაში ("არსენას ლექსი", "დავითიანი") იხმარე-

ბოდა კაზაკის მნიშვნელობით; 3. *კუთხ.* გლეხი; 4. ქალაქი აზერბაიჯანში

ყალამი (*არაბ.* კალამ): მხატვრის ფუნჯი (ყალმის ოსტატი)

ყალმით // **კალმით ნახატი:** გადატ. ძალიან ლამაზი

ყალმუხი, ყალმუხები *მრ.*; ყალმუხეთი [და არა კალმიკ(ებ)ი, კალმიკია]

ყანდაარი [და არა ყანდაგარი]: ქ. (ავღანეთში)

ყარაბალი [და არა ყარაბახი]: ყარაბაღული (ცხენი)

ყარაჩაეთ-ჩერქეზეთი [და არა ყარაჩაი-ჩერქეზეთი, ყარაჩაევო-ჩერქეზია]

ყარაჩელი, ყარაჩელები *მრ.* [და არა კარაჩელ(ებ)ი]

ყარაჩოხელი, ყარაჩოხელები // ყარაჩოდელი, ყარაჩოდელები

ყასაბი [და არა მეყასბე] (ყასბისა); საყასბო

ყასიდად (= მოსაჩვენებლად)

ყაბადღებული: ქვეყნის სალაპარაკოდ, მითქმა-მოთქმის საგნად ქცეული

[ყვეხარ, ყავხარ *კი არა*] ჰყავხარ

ყელის გასველება

ყელის მოღერება, *მაგრამ*
ყელმოღერებული; ყელმოღე-
რებით

ყელსაბამი; ყელსაბევი

ყელ-ყური

ყვავილოვანი კომბოსტო //
კალნაბი

ყვავის [და არა ჰყვავის] (ბალი)

ყვავ-ყორანი (ყვავ-ყორნისა),
ყვავ-ყორნები *მრ.*

[ყვარებია, ყვარებოდა *კი არა*]
ჰყვარებია, ჰყვარებოდა მას

[ყვება, ყვებოდა *კი არა*] ჰყვება,
ჰყვებოდა მას

ყველა: საზღვრულ სახელს მხ.
რიცხვში შეიწყობს: ყველა წიგ-
ნი / მკითხველი... [და არა ყვე-
ლა წიგნები / მკითხველები ...]

ყველა მოვიდა (იდგა), *მაგრამ*
ყველანი მოვიდნენ (იდგნენ)

**ყველას ომი ყველას წინააღმ-
დეგ** (*ლათ.* Bellum omnium cont-
ra omnes). გამოთქმა პირველად
იხმარა ინგლისელმა ფილოსო-
ფოსმა თომას ჰობსმა. ემყარე-
ბოდა პლატონის ერთ-ერთ დი-
ალოგს ("კანონები"). გამოხა-
ტავს ადამიანთა საზოგადოებ-
რისა და პიროვნულ ურთიერ-
თობებს

[ყველაწმინდა //] ყოველად
წმინდა

ყველიერი: დიდი მარხვის წინა
კვირა

ყვითელი პრესა: პრესა, რომე-
ლიც იყენებს იაფფასიან მეთო-
დებს მასობრივი მკითხველის
ყურადღების მისაქცევად. გა-
მოთქმა მომდინარეობს გაზ.
"New York World"-ში 1895 წ.
გამოქვეყნებული კომიქსის
სათაურისაგან "Yellow Kid"

ყვირი: ნუ ყვირი! [და არა ყვი-
რიხარ; ნუ ყვირიხარ!]

ყიდდა, ყიდდეს [და არა ყიდი-
და, ყიდიდეს]

ყიზილყუმი [და არა კიზილ-
კუმი]

ყინვაგამმლე (ჯიში)

ყინულმჭრელი (გემი)

ყირგიზეთი [და არა ყირგიზ-
სტანი]

ყმადნაფიცი: ყმადნაფიცობა
ისტ.

ყმაწვილკაცი: ყმაწვილკაცური;
ყმაწვილკაცობა

ყმაწვილქალობა

ყოველ დილით; ყოველ სალა-
მოს

ყოველდღე, *მაგრამ* ყოველ
დღეს; ყოველდღიური; ყოველ-
დღიურობა

ყოველ თვეს, *მაგრამ* ყოველ-
თვიური; ყოველთვიურად

ყოველკვარტალური

ყოველ კვირას, მაგრამ ყოველკვირეული

ყოველდამ // ყოველდამე

ყოველ შემთხვევაში

ყოველ წელს, მაგრამ ყოველწლიური; ყოველწლიურად

ყოველ წუთს; ყოველ წამს

ყოვლადწმინდა (= ღვთისმშობლის ეპითეტი)

ყოვლისმომცველი

ყოვლისშემძლე: ყოვლისშემძლეობა

[ყოლია, ყოლოდა *კი არა*] ჰყოლია, ჰყოლოდა მას

[ყორანი *კი არა*] ყურანი

ყოფა-ცხოვრება, მაგრამ საყოფაცხოვრებო

ყოფნა-არყოფნა,

[ყოფნის *კი არა*] ჰყოფნის

ყოფს, ყოფდა [და არა ჰყოფს, ჰყოფდა]

ყრმათა მოსრვა (// ამოწყვეტა): გამოთქმა მომდინარეობს სახარებიდან (მ 2, 1-5 და 16): როდესაც იუდეის მეფე ჰეროდეს იესოს დაბადება შეატყობინეს, მან ბრძანა, ბეთლემში ყველა ჩვილი ბავშვი დაეხოცათ. იხმარება უდანაშაულო ადამიანთა, ყმაწვილთა მიმართ სისასტიკის გამოჩენის აღსანიშნავად

ყრუ-მუნჯი, მაგრამ ყრუმუნჯობა

ყუმბარმშენი // ბომბდამშენი

ყურანი [და არა ყორანი]: მუსლიმანთა საღვთო წიგნი

ყურთასმენა (მაგ.: ყურთასმენა წაილო); ყურთასმენის წამლები

ყურთბალიში (= პატარა ბალიში)

ყურით მოთრეული (= ნაბლადევი)

ყურის დაგდება (ყურს დაუგდებას)

ყურის თხოვება (ყურს არ ათხოვებს)

ყურის მეზობელი (ყურის მეზობლისა) // კარის მეზობელი

ყურის მოკვრა (ყურს მოკვრავს); ყურმოკრული; ყურმოკრულად

ყურის შეჩვევა (ყურს შეაჩვევს)

ყურისწამლები (ხმაური)

ყურმოჭრილი (მონა, ყმა)

ყურს ჭრის: ცუდი მოსასმენია

ყურცქვიტა (ნათ. ყურცქვიტას)

შ

შაბათ-კვირა; შაბათ-კვირას

შაბიამნისფერი; შაბიამნისფ-
რად

შავადმოსილი

შავბნელი

შავ-თეთრი (ფილმი)

შავთვალწარბა (*ნათ.* შავთვალ-
წარბას)

შავი ბაზარი

შავი დღე; შავ დღეშია (= ცუდ
დღეშია)

შავი ფული: გადატ. უკანონო
ფული

შავტარა // შავტარიანი (დანა)

შავჩოხა (*ნათ.* შავჩოხას) // შავ-
ჩოხიანი // შავჩოხოსანი (კაცი);
აგრ. სოკოს სახელი

შამპანური [და არა შამპანიუ-
რი]

შანსონიე (*ფრანგ.*) (*ნათ.* შანსო-
ნიეს): საესტრადო სიმღერის
(შანსონის) შემსრულებელი

შანტაჟი; შანტაჟირება; შანტა-
ჟისტი

შაოსანი [და არა შავოსანი] (შა-
ოსნისა)

შარავანდი: შარავანდმოსილი

შარჟი (მეგობრული შარჟი); გა-
შარჟება (გააშარჟებს)

შარშანწინ: შარშანწინდელი;
შარშანწინისწინ

შაქარყინული

შაჰი [და არა შახი]

შაჰსეი-ვაჰსეი [და არა შახსეი-
ვახსეი]: შიიტ მუსლიმანთა რე-
ლიგიური ცერემონია

[შეაგზავნის *კი არა*] შეგზავნის

შეავიწროებს, შეავიწროვა (შე-
ვაავიწროვე, შეავიწროვე), შეავი-
წროოს, შეუვიწროებია

შეაიარაღებს, შეაიარაღა, შეუ-
იარაღებია

შეაკერვინებს, შეაკერვინა, შე-
უკერვინებია [და არა შეაკერი-
ნებს, შეაკერინა, შეუკერინებია]

შეატყობს, შეატყო, მაგრამ შე-
ატყვეს, შეატყვე, შევატყვე [და
არა შეატყეს, შეატყე, შევატყე]

შეაფასებინებს, შეაფასებინა,
შეუფასებინებია

შეაფრინდება, შეაფრინდა, შე-
ჰფრენია

შეაღწევს [და არა შეახწევს]

შეაშლევინებს, შეაშლევინა, შე-
შლევინებია

შეაცივებს, შეაცივა, შეუცივე-
ბია (წყალი), *მაგრამ* შეამცივნ-
ებს (კაცს)

შეაძლებინებს, შეაძლებინა, შე-
უძლებინებია

[შებედავს, შებედა *კი არა*] შეჭ-
ბედავს, შეჭბედა მას

შეგზავნის [*და არა* შეაგზავ-
ნის]

შეგროვება-დამუშავება

შეგროვებული: ვინც ან რაც შე-
აგროვეს

შეგროვილი: ვინც ან რაც შეგ-
როვდა

შედგება ის, *მაგრამ* შესდგება
(ფეხით) მას

შედგენილობა: შემცველობა,
სტრუქტურა, კონსისტენცია
(ნივთიერებისა). *შდრ.* შემად-
გენლობა

შედექ! *ბრძან.*

შედი-გამოდიან, შედიოდ-გა-
მოდიოდნენ

შეეგებება, შეეგება, შეჭგებებია

შეეგუვნენ [*და არა* შეეგუენ]
ისინი

შეეერთებინა, შეეერთებინოს
მას

შეევედრა ის [*და არა* მან] მას

შეეკითხა ის [*და არა* მან] მას,

შეესივნენ ისინი *მრ.*, *მაგრამ*

შეესია მრავალი

შექქმნას [*და არა* შეექმნეს]

შეეყრება, შეეყარა, შეჭყრია მას

შეეჩვია ის, შეეჩვივნენ ისინი

შეეძინება, შეეძინა, შესძენია
მას

შეეჭიდება, შეეჭიდა, შესჭიდე-
ბია მას

შეეხვეწა ის [*და არა* მან] მას

შეევარდები, შეევარდი, შეე-
ვარდნილვარ მე

შეევარდნილვარ, შეევარდნი-
ლიყავი მე, *მაგრამ* შეევარ-
დნივარ, შეევარდნოდი მე მას

შეევედრებ, შეევედრე, შეევედ-
რებივარ, შეევედრებოდი მე მას

შევიტყვე მე, შევიტყვეთ ჩვენ
[*და არა* შევიტყვი, შევიტყეთ]

შევსება-შესწორება

[შევურაცხყოფ, შევურაცხყავი
კი არა] შეურაცხვეყოფ, შეურა-
ცხყავი

შევუწყვე [*და არა* შევუწყე] მე
მას (ხელი)

შეზღუდავს, შეზღუდა, შეუზ-
ღუდავს (თურმე) [*და არა* შეუ-
ზღუდა]

შეიკი (*ინგლ.* shake = ნჯღრევა):
სწრაფი რიტმული მუსიკა და
ცეკვა

შეიპინგი: ქალთა ტანვარჯიშის
თანამედროვე სახეობა. შეიცავს
აერობიკისა და ბალისტიკური წა-
ფვის (წვრთნის) ელემენტებს.

ტერმინი დამკვიდრდა XX ს-ის დამლევდიდან ინგლისურის მეშვეობით

შეიპყრობს [და არა შეიბყრობს]

შეირთავს, შეირთო, შეურთავს (თურმე) [და არა შეურთია]

შეიტყვე შენ, შეიტყვეთ თქვენ [და არა შეიტყვე, შეიტყვეთ]

შეიტყობს, შეიტყო (შეიტყვეს მრ.), შეუტყვია

შეიქმნა, შეიქმნას (სახელმწიფო, ორგანიზაცია), *მაგრამ* შეიქნა, შეიქნეს (= გახდა, გახდეს ათი წლისა)

შეიქმნება: ჩამოყალიბდება (საზოგადოება; დასი)

შეიქნება: გახდება (ავად, კარგად); ატყდება (ალიაქოთი)

შეიშვნევს // **შეიშნობს**

[შეკადრებს, შეკადრა *კი არა*] შეკკადრებს, შეკკადრა მას

შეკაზმვა (ცხენისა); შეკაზმვა (// შეკმაზვა) საჭმლისა

[შეკედლებია, შეკედლებოდა *კი არა*] შეკვედლებია, შეკვედლებოდა მას

შეკვივლებს, შეკვივლა, შეუკვივლია, *მაგრამ* შეკვივლებს მას

შეკუმშვა-გაფართოება

შემადგენლობა: 1. შემცველობა ადამიანთა გარკვეული ჯგუფისა (ოფიცერთა შემადგენლობა, ეიურის შემადგენლობა); 2. მოძრავი შემადგენლობა, – მატარებელი (ორთქლმავალი, ვაგონები).

შდრ. შედგენილობა

შემამკობელი [და არა შემმკობი]

შემმატებს, შემმატა [და არა შეკმატებს, შეკმატა]

შემდგომ: ხშირად შემდეგ სიტყვის სინონიმად იხმარება (*მაგ.*, ამის შემდეგ // ამის შემდგომ; შემდეგ // შემდგომ გეტყვი), *მაგრამ* მყარ შესიტყვებაში მას ვერ ენაცვლება (*მაგ.*: ასე შემდეგ) [და არა ასე შემდგომ]

შემდეგ: იხმარება როგორც დამოუკიდებელ სიტყვად (ჯერ ხელი დაიბანა, შემდეგ ისაუბრა), ისე თანდებულად (ერთი საათის შემდეგ, მას შემდეგ). სინონიმებია: მერმე, შემდგომ(ში). მონაწილეობს მყარ შესიტყვებაში: და ასე შემდეგ (შემოკლ. – და ა.შ.)

შემდეგი: ძირითადად გამოიყენება მსაზღვრელად მომდევნოს მნიშვნელობით (შემდეგი საკითხი); იხმარება *აგრ.* დამოუკიდებლად ზოგიერთი თანდებულის (-ში, -თვის) დართვით – შემდგომ სიტყვის სინონიმად (შემდეგში ასე აღარ მოიქცევა; საქმე შემდეგისთვის გადადო)

შემკრთალ-შემინებული

შემოდგომა; შემოდგომაზე (*აგრ.* გაზაფხულზე), *მაგრამ* ზამთარში, ზაფხულში

შემოესივნენ (ისინი), შემოესია (ხალხი)

შემომქმედი *კი არა*] შემოქმედი

შემოსწერება, შემოსწერა, შემოსწერომია [და არა შემოწერება, შემოწერა, შემოწერომია] მას

შემოქმედი [და არა შემომქმედი]

შემოპკვდომია, შემოპკვდომოდა [და არა შემოპკვდომია, შემოპკვდომოდა] მას

შემოპკრავს, შემოპკრა [და არა შემოპკრავს, შემოპკრა] მას

შემოპქონდა [და არა შემოქონდა]

შემოპყავს, შემოპყავდა [და არა შემოყავს, შემოყავდა]

შემძლებელი [და არა შემძლები] (შემძლებლისა)

შემწირველი (// შემწირავი)

შემწყნარებელი // ტოლერანტი: შემწყნარებლობა // ტოლერანტობა; შემწყნარებლური // ტოლერანტული

შენ გამო / გარდა / გვერდით, *მაგრამ* შენს ოთახში, შენს მაგიდაზე...

შენგენის ხელშეკრულება: შეთანხმება ევროპის რამდენიმე ქვეყანას შორის ამ ქვეყნებში საერთო სავიზო რეჟიმის შემოღების შესახებ. სახელწოდება მიიღო ბელგიის სოფელ შენგენისაგან, სადაც დაიდო ეს ხელშეკრულება

შენდა უნებურად

შენივთებული [და არა შენივთული]

შენიღვა (შენიღვავს): შენიღვებული

შენკენ [და არა შენსკენ]

შენ მიერ / შესახებ / წინაშე, *მაგრამ* შენს ფანჯარასთან...

შენნაირი

შენობა-ნაგებობანი *მრ.*

შენოდენა // **შენოდენი**

შენჩემობა: ანგარიშიანობა ერთმანეთს შორის, პირადულობა

"შენც, ბრუტუს?" (ლათ.). ეს სიტყვები წამოიძახა იულიუს კეისარმა, როდესაც თავის მკვლელთა შორის მარკუს ბრუტუსიც დაინახა

შეპირაპირება: შეპირაპირებული

[შეპირდება, შეპირდა, შეპირებია *კი არა*] შეპირდება, შეპირდა, შეპირებია მას

შეპირობება: შეპირობებული

შეპყრობა [და არა შებყრობა]: შეპყრობილი

შერაცხვა (შერაცხავს; შეირაცხება): იხმარება ეკლესიის მიერ ვინმეს წმინდანად აღიარების, ანუ კანონიზაციის მნიშვნელობით

შერაცხილი [და არა შერაცხული]: წმინდანად შერაცხილი

შერი-ბრენდი (შერი-ბრენდიმ, *მიც.* შერი-ბრენდის): ალუბლის ლიქიორი, ნაყენი

შესაბამისი [და არა შესაბამი]:
შესაბამისობა

შესაბრალოსი [და არა შესაბრა-
ლი]; შესაბრალისად

შესდგება, შესდგა, შესდგომია
მას (ფეხით), *მაგრამ* შედგება,
შედგა, შემდგარა (სხდომა)

[შესდექე კი არა] შედექე!

შესთავაზებს, შესთავაზა, შეუ-
თავაზებია

შესთხოვს, შესთხოვა [და არა
შეთხოვს, შეთხოვა]

შესტკივა, შესტკიოდა, შესტკი-
ოდეს [და არა შეტკივა, შეტკი-
ოდა, შეტკიოდეს] მას (გული)

შესჩერებია, შესჩერებოდა [და
არა შეჩერებია, შეჩერებოდა]
მას

შესჩივის, შესჩივლა [და არა
შეჩივის, შეჩივლა] მას

შესცივდება, შესცივდა მას

შესციცინებს, შესციცინებდა
მას

შესცქერის, შესცქეროდა მას

შესძენს, შესძინა (ცოდნა) მას

შესძულდება, შესძულდა, შეს-
ძულებია [და არა შეძულდება,
შეძულდა, შეძულებია] მას

შესწევს, შესწია (უჯრა); შეს-
წევს, შესწევდა (ძალა)

შესწვდება, შესწვდა, შესწვდო-
მია [და არა შეწვდება, შეწვდა,
შეწვდომია] მას

შესწირავს, შესწირა [და არა

შეწირავს, შეწირა] მას

შესჭრის, შესჭრა მას (თმა)

შესჯავრდება, შესჯავრდა, შეს-
ჯავრებია [და არა შეჯავრდება,
შეჯავრდა, შეჯავრებია] მას

[შეტევაშია კი არა] უტევს, შე-
ტევაზე გადავიდა, შეტევა წა-
მოიწყო /განახორციელა

შეტყობინება [// შესიჯი]

შეუბღალავს, შეუბღალა; შეუ-
ბღალავს (თურმე) მას სახელი

შეუდარებს // შეადარებს

შეუიარაღებელი (თვალით)

შეულახავს, შეულახა, შეულა-
ხავს (თურმე) მას (ღირსება)

შეუნახავს, შეუნახა, შეუნახავს
(თურმე) მას

შეუნდობს, შეუნდო, შეუნდვია

შეუნიღბავს (თურმე) [და არა
შეუნიღბია]

შეურაცხადი: შეურაცხადობა
(// შეურაცხი: შეურაცხაობა)

შეურაცხყოფ, შეურაცხყავი
[და არა შეევურაცხყოფ, შეევურა-
ცხყავი]

შეუფიცავს (თურმე) [და არა
შეუფიცია]

შეუღებავს (თურმე) [და არა
შეუღებია]

შეუწყობს, შეუწყო (შეუწყევს
მრ.), შეუწყვია (ხელი)

შეცდება, შეცდა, შემცდარა ის,
მაგრამ შესცდება, შესცდა,
შესცდენია მას

შემღებისდაგვარი: შემღების-
დაგვარად

შემღებს, შემღო [და არა შესძ-
ლებს, შესძლო]

შემღებული (მდიდარი)

შემძრავს, შემძრა [და არა შესძ-
რავს, შესძრა]

[შეწვდება, შეწვდა, შეწვდომია
კი არა] შესწვდება, შესწვდა, შე-
სწვდომია მას

შენწყვეტს, შეწყვეტდა [და არა
შენწყვიტავს, შეწყვიტავდა]

შეხედავს, შეხედა, შეუხედავს
[და არა შეუხედა]

შეჰბედავს [და არა შებედავს]
მას

შეჰგებებია [და არა შეგებებია]
მას

შეჰგუებია [და არა შეგუებია]
მას

შეჰკადრებს, შეჰკადრა [და არა
შეკადრებს, შეკადრა] მას

შეჰკედლებია, შეჰკედლებო-
და [და არა შეკედლებია, შეკე-
დლებოდა] მას

შეჰკითხებია // შეჰკითხვია მას

შეჰპარვია, შეჰპაროდა [და არა
შეპარვია, შეპარვოდა] მას

შეჰპირდება, შეჰპირდა იგი მას
[და არა მან მას], შეჰპირებია
[და არა შეპირდება, შეპირდა,
შეპირებია] მას

შეჰქმნია, შეჰქმნოდა [და არა
შექმნია, შექმნოდა] მას

შეჰქონდა [და არა შექონდა] მას

შეჰყავს, შეჰყავდა [და არა შე-
ყავს, შეყავდა] მას

შეჰყვარებია, შეჰყვარებოდა
[და არა შეყვარებია, შეყვარებო-
და] მას

შეჰყვება [და არა შეყვება] მას

შვედი, შვედები *მრ.*; შვედური;
შვედეთი // შვეცია

შვეიცარია: შვეიცარიელი, შვე-
იცარიელები *მრ.*; შვეიცარიუ-
ლი

შვეულმფრენი // ვერტმფრენი

შვიდი ბეჭდით დაბეჭდილი
(იოანეს გამოცხ., აპოკალიფსი
5,1-3): გამოხატავს უდიდეს სა-
იდუმლოს, რომლის გამხელა,
წედომა ჩვეულებრივი მოკვდა-
ვისათვის შეუძლებელია

შვიდკაცა (*ნათ.* შვიდკაცას)

შვილიშვილი; შვილიშვილის
შვილი // შვილთაშვილი

[შვინდი //] შინდი

შთაგონება: შთაგონებული;
შთაშაგონებელი

შთამბეჭდავი; შთამბეჭდავად

შთამომავალობა: შთამომავ-
ლობითი

შიგადაშიგ

შიგთავსი: შეუფერებელია ამ
სიტყვის ხმარება რაიმე მოწყო-
ბილობის, ინსტრუმენტის (*მაგ.*,
საათის, პიანინოს) შიდა მექანი-
ზმების აღსანიშნავად

- შიგნიკახეთი**; შიგნიკახური (კილოკავი)
- შიდაციხე** (შიდაციხისა)
- შინაარსობრივი** [და არა შინა-არსობლივი]
- შინაბაზარი**
- შინაბერა** (*ნათ.* შინაბერას)
- შინაგანაწესი**
- შინამოსამსახურე** (შინამოსამსახურისა)
- შინამრეწველი**: შინამრეწველობა
- შინაპატიმრობა**: შინაპატიმრობაში მყოფი
- შინაყმა** (შინაყმისა)
- შინდი**: შინდისფერი; შინდისფრად
- [შინელი *კი არა*] მაზარა, ფარაჯა
- შინმოუსვლელი**
- შიშველ-ტიტველი**
- ...**შიშისათვის ჰურიათამსა** (*ახ. თარგმ.*: ვინაიდან იუდეველების ეშინოდა). გამოთქმა სახარებისეულია (ი 19, 38). იოსებ არიმათიელი იუდეველებს უმაღავდა, რომ იესოს მოწაფე იყო. გამოთქმა გამოხატავს სიმართლის დაფარვას ხელისუფლების ან სხვა ძალის შიშით
- შიშის ზარი**
- შიშნარევი**; შიშნაჰამი; შიშჩამდგარი
- [შკალა *კი არა*] სკალა
- შლაგერი** [და არა შლიაგერი]: მოდური საესტრადო სიმღერა, პოპულარული მელოდია
- შნაფსი** [და არა შნაპსი]: ერთგვარი ალკოჰოლური სასმელი
- შობა** (უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი): დიდი ქრისტიანული დღესასწაული
- შობა-ახალი წელი** (გილოცავ შობა-ახალ წელს!)
- შორიახლოს** (// შორიახლო)
- შორის**: მოითხოვს სახელს მიცემით ბრუნვაში (*მაგ.*: მეგობრებს შორის, ხელისუფლებას და ხალხს შორის)
- შორიშორს** (// შორიშორ)
- შორს მსროლელი**
- შორსმჭვრეტელი**: შორსმჭვრეტელობა
- შორსმხედველი**: შორსმხედველობა
- შოუ** (*ინგლ.*): სანახაობა
- შოუბიზნესი**: კომერციული საქმიანობა, რომლის შემოსავლის წყაროა საესტრადო-გასართობ წარმოდგენა-სანახაობათა ორგანიზაცია. სიტყვა შემოვიდა ინგლისურიდან XX ს-ის მიწურულს
- შოუმენი**: მასობრივი სანახაობების, შოუს ორგანიზებისა და ჩატარების სპეციალისტი; *აგრ. გადატ.*: პირი, რომელიც ცდილობს თავისი ქცევით, მოქმედებით საერთო ყურადღების მიპყრობას

შრე (შრისა): შრეობრივი

შრომა (= მუშაობა): შრომითი (ბიოგრაფია, საქმიანობა); მშრომელი; ნაშრომი

შრომა-გასწორების ბანაკი

შრომატევადი (სამუშაო)

შრომისმოყვარე: შრომისმოყვარეობა

შრომის ნაყოფიერება

შრომის უნარი, *მაგრამ* შრომისუნარიანი; შრომისუნარობა; შრომისუნარდაკარგული; შრომისუნარმოკლებული

შტატგარეშე

შტორმი: შტორმული (ქარი)

შტურვალი: საჭის ბორბალი

შუა აზია, *მაგრამ* შუააზიელი; შუააზიური

შუადღე (შუადღისა)

შუა ზამთარი; შუა ზამთარში

შუა ზაფხული; შუა ზაფხულში

შუაკაური [და არა შუაკავური]: ქართული ჭიდაობის ილეთი

შუაკაცი (= შუამავალი), -*მაგრამ* შუა კაცი (მდრ. წინა კაცი, უკანა კაცი)

შუამავალი (შუამავლად): შუამავლობა; საშუამავლო

შუამარბი (ფეხბურთში)

შუამდგომლობა (შუამდგომლობს)

შუამდინარეთი (// მესოპოტა-

მია); შუამდინარული (მითოლოგია)

შუა საუკუნეები *მრ.* [და არა საშუალო საუკუნეები], *მაგრამ* შუასაუკუნეობრივი

შუაღამე: შუაღამისას

შუაცეცხლი: შუაცეცხლზე, შუაცეცხლთან...

შუა წლები *მრ.*: შუა წლებში (XIX ს-ის შუა წლებში)

შუა ხანები *მრ.*: შუა ხანებში (XX ს-ის შუა ხანებში), *მაგრამ* შუახნისა (*მაგ.*, შუახნის კაცი)

შუბლგახსნილი; **შუბლდაღარული**; **შუბლნათელი**; **შუბლშეკრული**

შუბლშეკმუხნილი [და არა შუბლშეკმუხნული]

შუმერები *მრ.*: შუმერული (კულტურა)

შურისძიება (შურს იძიებს); შურის საძიებლად, *მაგრამ* შურისმაძიებელი

შუქმფენი // **შუქმფინარი**; **შუქჩამდგარი**

შუქნიშანი (შუქნიშნისა)

შუქურვარსკვლავი: ცისკრის ვარსკვლავის (პლანეტა ვენერას) ხალხური სახელწოდება

შუქრდილი

შფოთისთავი

შხამსაწინააღმდეგო

[*შჯული კი არა*] სჯული *ძვ.* // რჯული

ჩ

ჩააბამს, ჩააბა, ჩაუბამს (მუშაობაში)

ჩააგდებს (ერთს), *მაგრამ* ჩაყრის (ზევრს)

ჩაართყამს, ჩაართყა, ჩაურტყამს (თურმე)

ჩაარჭობს, ჩაარჭო (ჩავარჭვე, ჩაარჭვე), ჩაურჭვია

[ჩაატევს *კი არა*] ჩატევს

ჩააღწევს [და არა ჩაახწევს]

ჩააყლაპვინებს, ჩააყლაპვინა, ჩაუყლაპვინებია

ჩააცივდება, ჩააცივდა, ჩასცივებია

ჩააცივებს, ჩააცივა, ჩაუცივებია [და არა ჩააციებს, ჩააცია, ჩაუციებია]

ჩააცმევს [და არა ჩააცვამს]

ჩააწებს [და არა ჩააწობს] (კურს; კალამს)

ჩააწყობს (ჩავაწყვე, ჩააწყვე) [და არა ჩავაწყე, ჩააწყე]

ჩაახედვინებს, ჩაახედვინა, ჩაუხედვინებია

ჩაახშობს (ჩავახშვე, ჩაახშვე) [და არა ჩავახშე, ჩაახშე]

ჩაგვრა (ჩაგრავს; იჩაგრება); ჩაგრული

ჩაგზავნის [და არა ჩააგზავნის]

[ჩადგომია, ჩადგომოდა *კი არა*] ჩასდგომია, ჩასდგომოდა მას (კვალში)

ჩადის, ჩადიოდა (კიბეზე; სოფელში), *მაგრამ* სჩადის (უმსგავსოებას)

ჩაებმება, ჩაებმებოდა [და არა ჩაებმევა, ჩაებმეოდა]

ჩაეკვრება, ჩაეკრა, ჩაჰკვრია [და არა ჩაეკრობა, ჩაეკრო, ჩაკვრია] მას

ჩაერთვება, ჩაერთო (ჩაერთე, ჩავერთე), ჩართულა ის (მუშაობაში) და ჩართვია იგი მას (საუბარში)

[ჩაესახლება, ჩაესახლა *კი არა*] ჩასახლდება, ჩასახლდა იგი, *მაგრამ* ჩაუსახლდება, ჩაუსახლდა იგი მას

ჩაეფლობა, ჩაეფლო (ჩაეფალი, ჩაეფალი), ჩაფლულა

ჩავვარდები, ჩავვარდი, ჩავვარდნილვარ მე, *მაგრამ* ჩავუვარდები, ჩავუვარდი, ჩავვარდნივარ მე მას (ხელში)

ჩაუწყვე მე, **ჩაუწყვე** შენ [და არა ჩაუწყე, ჩაუწყე]

ჩათვლემს იგი, *მაგრამ* ჩასთვლემს მას

ჩაიკმენდს, **ჩაიკმინდა**, **ჩაუკმენდია** (ხმა)

ჩაკვრა: ჩაკრული

ჩაკიდება, **ჩაკიდებული** [და არა ჩაკიდვა, ჩაკიდული]

ჩაკონა: ესპანური ცეკვა

ჩამოახრჩობს, **ჩამოახრჩო** (ჩამოვახრჩვე, ჩამოახრჩვე), **ჩამოუხრჩვია** [და არა ჩამოვახრჩე, ჩამოახრჩე]

ჩამოდის (კიბეზე), *მაგრამ* ჩამოსდის (ოფლი) მას

ჩამოვარდა (ერთი), *მაგრამ* ჩამოცვივდა (ბევრი)

ჩამოსტეხს (ხეს ტოტს), *მაგრამ* ჩამოტეხს (ყინულს)

ჩამოსტირის მას (სახე)

ჩამოსწყდება, **ჩამოსწყდა** (მძივი) მას, *მაგრამ* ჩამოსწყდება, ჩამოსწყდა (თოკი)

ჩამოსტყდება, **ჩამოსტყდა** (ტოტი), *მაგრამ* ჩამოსტყდება, ჩამოსტყდა (დოქს ტუჩი)

ჩამოხვედი (უკვე), *მაგრამ* ჩამოდი! *ბრძან.*

ჩამოხრჩობა [და არა ჩამოღრჩობა] (ჩამოახრჩობს)

ჩამოჰგლეჯს მას (ნიღაბს), *მაგრამ* ჩამოგლეჯს (პლაკატს)

ჩამოჰკიდებს მას (მედალს),

მაგრამ ჩამოკიდებს (სურათს)

ჩამოჰქონდა [და არა ჩამოქონდა] (წყალს ნაფოტი)

ჩამოჰყავს, **ჩამოჰყავდა** [და არა ჩამოყავს, ჩამოყავდა] მას

ჩანთქავს [და არა ჩანთქამს]

ჩანს, **ჩანდა** [და არა სჩანს, სჩანდა]

ჩარდაში: უნგრული ცეკვა

ჩართვია, **ჩართოდა** [და არა ჩართვოდა]

ჩარლსტონი: ამერიკული ცეკვა (სახელი დაერქვა ქ. ჩარლსტონის მიხედვით)

ჩარტერი: გემის ან თვითმფრინავის დაქირავება გარკვეული დროით; ჩარტერული

ჩარჩო-ხელშეკრულება

ჩასაცივებელი: ჩასაცივებლად [და არა ჩასაცივებელი, ჩასაცივებლად]

ჩასახლდება, **ჩასახლდა** [და არა ჩაესახლება, ჩაესახლა] იგი

ჩასდგომია, **ჩასდგომოდა** [და არა ჩადგომია, ჩადგომოდა] მას (კვალში)

ჩასთვლემს მას, *მაგრამ* ჩათვლემს იგი

ჩასტარებია, **ჩასტარებოდა** (გამოცდა) მას

ჩასძინებია, **ჩასძინებოდა** მას

ჩასწევს, **ჩასწია**, **ჩასწიე!** *ბრძან.*

ჩასწვდება, **ჩასწვდა**, **ჩასწვდო-**

- მია [და არა ჩაწვდება, ჩაწვდა, ჩაწვდომია] მას
- ჩასჭიდებს**, ჩასჭიდა, ჩაუჭიდებია
- ჩატევს** [და არა ჩაატევს]
- ჩაუკეცავს** (თურმე) [და არა ჩაუკეცია]
- ჩაუკუჭავს**, ჩაუკუჭა, ჩაუკუჭავს (თურმე)
- ჩაუმქრალი** // **ჩაუქრობელი**
- ჩაურტყამს** (თურმე) [და არა ჩაურტყია]
- ჩაუსვამს** (თურმე) [და არა ჩაუსვია]
- ჩაუსწრებს**, ჩაუსწრო (ჩავუსწარი, ჩაუსწარი), ჩაუსწრია
- ჩაუსხამს** (თურმე) [და არა ჩაუსხია]
- ჩაუძღვება**, ჩაუძღვა (ჩავუძეხი, ჩაუძეხი), ჩასძლოლია მას
- ჩაფერფვლა** (ჩაფერფლავს; ჩაიფერფლება)
- ჩაფვლა**; ჩაფლოული [და არა ჩაფლვა, ჩაფლობილი]
- ჩაყურყუმელავება** [და არა ჩაყურყუმალავება]
- ჩაციება** (ჩააცივდება), *მაგრამ* ჩაცივება (ჩააცივებს)
- ჩაცუცქებული** // **ჩაცუცქული**
- ჩაძვრება**, ჩაძვრა, ჩამძვრალა (თავვი), *მაგრამ* ჩასძვრება (შარვალი) მას
- ჩახრახნის**, ჩახრახნა, ჩაუხრახნია
- ჩაჰბარდება**, ჩაჰბარდა, ჩაჰბარებია [და არა ჩაბარდება, ჩაბარდა, ჩაბარებია] მას
- ჩაჰკვრია**, ჩაჰკვროდა [და არა ჩაკვრია, ჩაკროდა] მას
- ჩაჰკიდებს** (ხელს) მას, *მაგრამ* ჩაკიდებს (ანკესს)
- ჩაჰკრავს** (თავში) მას, *მაგრამ* ჩაკრავს (თითს თავლში)
- ჩაჰქონდა** [და არა ჩაქონდა] მას
- ჩაჰყავს**, ჩაჰყავდა [და არა ჩაყავს, ჩაყავდა] მას
- ჩაჰყრია**, ჩაჰყროდა (ამაგი წყალში)
- ჩემ გამო** / გარდა / გარშემო / გვერდით... (ჩემ სიტყვას თანდებული დაერთვის), *მაგრამ* ჩემს მეგობართან (ჩემს მსახვერელა)
- ჩემი აზრით** // ჩემი ფიქრით
- ჩემი მხრივ** // **ჩემი მხრით**
- ჩემკენ** [და არა ჩემსკენ]
- ჩემ მაგიერ** // **ჩემ მაგივრად**
- ჩემ მიერ** / შესახებ / წინაშე... *მაგრამ* ჩემს წიგნებში
- [ჩემულობს, ჩემულობდა კი არა] იჩემებს, იჩემებდა
- ჩეჩენი** (ჩეჩნისა), ჩეჩნები *მრ.* [// ჩაჩანი, ჩაჩნები *მრ.*]
- ჩვარი** [და არა მჩვარი] (ჩვრისა)
- ჩვენ გამო** / გარდა / გარშემო... *მაგრამ* ჩვენს ეზოში
- ჩვენგანი** [და არა ჩვენთაგანი]

ჩვენდა უნებურად

ჩვენი აზრით // ჩვენი ფიქრით

ჩვენი მხრით // **ჩვენი მხრივ**

ჩვენკენ [და არა ჩვენსკენ]

ჩვენ მიერ / შესახებ / წინაშე...
(ჩვენ სიტყვას თანდებული
დაერთვის), *მაგრამ* ჩვენს სტუ-
მართან (ჩვენს მსაზღვრელია)

ჩვენნაირი, **ჩვენნაირები** *მრ.*

ჩვენ-ჩვენი (საქმეები)

ჩივი: ნუ ჩივი! [და არა ჩივი-
ხარ; ნუ ჩივიხარ!]

ჩიზბურგერი: ყველიანი ბუ-
ტერბროდი

ჩილე: ჩილედან, ჩილეს [და არა
ჩილიდან, ჩილის] დედაქალაქი

ჩინი: თვალის ჩინი

ჩინოვნიკი: *მოძვ.* რუსიციზმია
(= მოხელე). ამჟამად ისეთ სახე-
ლმწიფო მოხელეს აღნიშნავს,
რომელიც დაკისრებულ საქმეს
ფორმალურად, უსულგულოდ
ასრულებს

ჩინოვნიკური აპარატი: იხმა-
რება სახელმწიფოს "ბიუროკ-
რატიული აპარატის" გაგებით

ჩიფსი [და არა ჩიპსი]: თხლად
დაჭრილი და შებრაწული კარ-
ტოფილი

ჩოგანი (ჩოგნისა): სპორტულ
პრესაში ეს სახელი გარკვეულ
კონტექსტში იხმარება თვით
"ჩოგბურთელის" მნიშვნელო-
ბითაც, მეტწილად – რიგობით
რიცხვით სახელთან ერთად,

სპორტსმენის გამორჩეულობის
ხაზგასასმელად (*მაგ.*: მსოფლი-
ოს პირველი ჩოგანი)

ჩოგბურთი (// ტენისი): ჩოგბუ-
რთელი

ჩონგური [და არა ჩანგური]: მე-
ჩონგურე

ჩრდილი: ჩრდილოვანი; შუქ-
ჩრდილი

ჩრდილო(-): *შემოკლ.* ჩრდი-
ლოეთ(ი): ჩრდილო ამერიკა;
ჩრდილო-აღმოსავლეთით

**ჩრდილოეთი / ჩრდილო კავ-
კასია**, *მაგრამ* ჩრდილოეთკავ-
კასიელი // ჩრდილოკავკასიე-
ლი; ჩრდილოეთკავკასიური //
ჩრდილოკავკასიური

ჩრდილოვანი ეკონომიკა
(ბიზნესი)

ჩრდილქვეშ

ჩხალთა: ჩხალთიდან, ჩხალ-
თის [და არა ჩხალთადან,
ჩხალთას] ხეობა

ჩხრეკს, **ჩხრეკდა**

ც

ცადაზიდული; ცადატყორცნი-
ლი

ცათამბჯენი

ცათა სწორი

ცაიტნოტი: დროის უკმარისობა

ცალთვალა

ცალსახა; ცალსახად (*ჯობს:*
ერთმნიშვნელოვანი, ერთმნიშ-
ვნელოვნად)

ცალყბად: უგულოდ, ყასიდად

ცალ-ცალი

ცალ-ცალკე [და არა ცალკ-
ცალკე]

ცალხაზიანი (რვეული)

ცარიელი; სიცარიელე

ცარიელ-ტარიელი (= არაფ-
რის მქონე)

ცდისპირი

ცეკვა-ცეკვით

[ცემა, ცემოს მან ის კი არა]
სცემა, სცემოს მან მას

ცენზი (ცენზის მოპოვება / მი-
ღება): ცენზიანი

ცენზურა (ცენზურისა): ცენ-
ზურაგავლილი

ცენტრალიზაცია // **ცენტრა-
ლიზება:** ცენტრალიზებული

ცენტრალური აზია

ცერბერი (*ლათ.* Cerberus. ამო-
სავალია *ბერძნ.* kerberos): ბერ-
ძნულ მითოლოგიაში სამთავი-
ანი ავი ძაღლი, რომელიც სდა-
რაჯობდა მიწისქვეშა სამეფოს;
გადატ. ფხიზელი და ავი დარა-
ჯი, მეთვალყურე

ცერებრული (// ცერებრალუ-
რი): ტვინისა, თავის ტვინთან
დაკავშირებული

ცერემონია; ცერემონიალი

ცეცხლგამძლე

ცეცხლთაყვანისმცემელი: ცე-
ცხლთაყვანისმცემლობა

ცეცხლისმფრქვეველი

ცეცხლის პირას

ცეცხლის ხაზი; ცეცხლის
ხაზზე

ცეცხლმოდებული // **ცეცხლ-
მოკიდებული**

ცეცხლსასროლი (იარაღი)

ცეცხლფარეში

ცვივა (ფოთლები ხიდან),

მაგრამ სცვივა (ფოთლები ხეს)

ციება // მალარია; ციებ-ცხელება

ცივა, ციოდა (ზოგადად ამინდის შესახებ), **მაგრამ** სცივა, სციოდა მას

ცივილიზებული: განათლებული, კულტურული (საზოგადოება, მეთოდები)

ცივილური: სამოქალაქო, არასამხედრო

ცივისსხლიანი (ცხოველები); **გადატ.** გულგრილი

ცილს სწამებს, **მაგრამ** ცილისწამება; ცილისმწამებელი

ცინიკოსი; ცინიკური; ცინიკურად

ცირკულარი: ცირკულარული

ცირკულაცია // ცირკულირება

ციროზი [და არა ცეროზი]

ცისმარე: ყოველ ცისმარე დღეს

ცისფერყანწელები: ქართველ სიმბოლისტ მწერალთა ჯგუფი (სახელწოდება მოდის მათი ბექდური ორგანოსაგან – "ცისფერი ყანწები")

ცისქვეშეთი: ქვეყანა, დედამიწა

ციხე-დარბაზი; ციხე-კოშკი; ციხე-ქალაქი, **მაგრამ** ციხესიმაგრე

ცნება: შემეცნების ფორმა – საგნის ან მოვლენის არსი (მაგ.: თავისუფლების ცნება, სამშობლოს ცნება). **შდრ.** მცნება

ცნობისმოყვარე: ცნობისმოყვარეობა

ცნობისწადილი

ცნობს, ცნო, უცნია [და არა სცნობს, სცნო, უცვცნია]

ცოდვა-მადლი

[ცოდნია *კი არა*] სცოდნია მას

ცოდნისმოყვარე: ცოდნისმოყვარეობა

ცოლგაყრილი

ცოლისდა; ცოლისძმა

ცოლ-ქმარი, **მაგრამ** ცოლქმრობა; ცოლქმრული

ცოლ-შვილი, **მაგრამ** ცოლშვილიანი; ცოლშვილიანად

ცოტა თუ ბევრი: ცოტად თუ ბევრად

ცოტა ხანი; ცოტა ხანს; ცოტა ხნით

ცოცხალმკვდარი

ცრემლგამშრალი; ცრემლმომდგარი; ცრემლმორეული; ცრემლშეუმშრალი

ცრემლდენა; ცრემლმდენი

ცრუმეცნიერი: ცრუმეცნიერული; ცრუმეცნიერება

ცრუმორწმუნე (ცრუმორწმუნისა): ცრუმორწმუნეობა

ცრუმოწმე: ცრუმოწმეობა

ცრურწმენა

ცრუნინასწარმეტყველი

ცუნამი: ცუნამიმ, *მიც.* ცუნამის

[*და არა ცუნამმა, ცუნამს*]

ცხადეყოფ, ცხადეყავი [*და არა*
ვცხადყოფ, ვცხადყავი]

ცხადზე უცხადესი

ცხელა (*საერთოდ*), *მაგრამ*
სცხელა მას

ცხენბურთი: ცხენბურთელი

ცხენდაცხენ

ცხენის ძალა (ცხენის ძალისა)

ცხვარი (ცხვრისა): იხმარება
 მრავალი ცხვრის მნიშვნე-
 ლობითაც, *მაგ.*: ცხვარი (= ფა-
 რა) მთას შეეფინა

ცხვირ-პირი ჩამოსტირის

ცხვირწინ

ცხოველმყოფელი; ცხოველ-
 მყოფელობა

ცხოვრება: ცხოვრების დონე;
 ცხოვრებისეული (გამოცდი-
 ლება)

ცხონება (ცხონდება): ცხონებუ-
 ლი

ცხრათვალა (მზე)

ცხრაკლიტული

ცხრა მთას იქით, *მაგრამ*
 ცხრამთასიქითელი

ცხრაპირი (ტყავი)

ძ

ძალაგამოლევული; ძალაგამო-
ცლილი; ძალადაკარგული

ძალადობა // მოძალადეობა

ძალაუნებურად

ძალაუფლება

ძალდატანება; ძალდატანე-
ბით; ძალდატანებითი

ძალდაუტანებელი; ძალდაუ-
ტანებლად // ძალდაუტანებ-
ლივ

ძალზე [და არა ძალზედ]

**ძალის დატანება // ძალდატა-
ნება**

ძალისმიერი (მეთოდები), *მაგ-
რამ* ძალოვანი (სტრუქტურე-
ბი)

ძალისხმევა

ძალმძის მე, ძალგძის შენ, ძა-
ლუმს მას

ძალმომრეობა; ძალმომრეო-
ბით

ძალმოსილი: ძალმოსილება

ძალოვანი სტრუქტურები: ქვე-
ყნის სამხედრო-პოლიციური
(თავდაცვის, უშიშროების, პო-
ლიციის) შეიარაღებული ძალე-

ბი. მთელი შესიტყვების ნაცვ-
ლად ზოგჯერ მხოლოდ ძა-
ლოვნები იხმარება

ძალოსანი: სპორტსმენი, რო-
მელიც ძალოსნობას მისდევს
(შტანგისტი); ძალოსნობა

ძალუმს (= შეუძლია), *მაგრამ*
ძალედვა (= შეუძლო) [და არა
ძალუძდა]

ძალუმაღური, ძალუმაღუ-
რად

ძამბა, ძამები *მრ.*; ძამით მოსი-
ლი

ძევს // დევს (წიგნი), *მაგრამ*
აწყვია (წიგნები)

**ძესა კაცისასა არა აქუს, სადა
თავი მიიდრიკოს** (სახარები-
დანაა: ლ 9, 58): იესო ასე განუ-
მარტავს თავის მოწაფეებს არ-
ჩეული გზის სიძნელეს: "მელ-
თა ხურელი უჩნს და მფრინ-
ველთა ცისათა საყოფელი, ხო-
ლო ძესა კაცისასა არა აქუს,
სადა თავი მიიდრიკოს" (*ახ.
თარგმ.*: მელიებს სოროები
აქვთ და ცის ფრინველებს –
ბუდეები; ძეს კაცისას კი არა.
აქვს, სად მიიდრიკოს თავი)

**ძე შეცთომილი // უძღები შვი-
ლი** (*იხ.*)

მეხორციელი (იხმარება უკუ-
თქმით – უარყოფითი სიტყვე-
ბის შემცველ კონტექსტებში)

**ძვალი ძვალთა ჩემთაგანი და
ხორცი ხორცთა ჩემთაგანი**
(დაბ., 2-23). აღნიშნავს სისხ-
ლისმიერ ან სულიერ სიახლო-
ვეს, ნათესაობას. ეს თქვა ადამ-
მა ქალზე – ევაზე, რომელიც
ღმერთმა მისი ნეკნისგან შექმნა

ძვალმსხვილი; ძვალწვრილი

ძვალ-რბილი: ძვალ-რბილში
აქვს გამჯდარი

ძვალსახსროვანი

**ძველთაძველი // ძველისძვე-
ლი**

ძვირი: ძვირად ღირებული [და
არა ძვირიანი]

ძვირფასი; ძვირფასეული;
ძვირფასეულობა

ძიაკაცი, ძიაკაცო!

ძია სემი: აშშ-ის სახუმარო სა-
ხელი. მომდინარეობს აშშ-ის
მოქალაქის, სამუელ ვილსონის
გვარ-სახელის ინიციალებისა-
გან. იგი ინგლის-ამერიკის
ომის დროს იყო არმიის მომარა-
გების ინსპექტორი. მოქმედ არ-
მიაში მისი ხელმძღვანელობით
გაგზავნილ სურსათის ყუთებს
ეწერა U. S. (=შეერთებული შტა-
ტები – United States). მაღლიერი
სამხედროები მას ასე შიფრავდ-
ნენ: "Uncle Sam" – "ძია სემი"

ძილ-ბურანში

ძილგამკრთალი; ძილგამფრთ-
ხალი; ძილგატეხილი

ძილი ნებისა!

ძილის მომგვრელი

ძილისპირული (სიმღერა)

ძილმღვიძარე: ბურანში მყოფი

ძილფხიზლობს

ძილქუში: ღრმა ძილი (დააწვა)

ძირგამომთხრელი (საქმიანობა)

ძირითადად [და არა ძირითა-
დში]

ძირმაგარა (ნათ. ძირმაგარას)

ძირფესვიანი; ძირფესვიანად

ძირძველი

ძიმა (ძიძისა): ძიძიშვილი

ძლებს, ძლებდა, ძლებდეს

ძლევამოსილი (გამარჯვება):
ძლევამოსილება

[ძლია კი არა] სძლია მან მას,
მაგრამ დაძლია მან იგი

ძლიერნი ამა ქვეყნისანი

(ძლიერთა ამა ქვეყნისათა): ასე
იხსენიებენ ქვეყანაში (= მსოფ-
ლიოში) ფაქტობრივი ძალაუფ-
ლების მქონე პირთ

ძლივს; ძლივძლივობით

ძლისპირი: საეკლესიო საგა-
ლობლის რიტმულ-მელოდიუ-
რი მოდელი – ნიმუში, რომ-
ლის მიხედვითაც უნდა შესრუ-
ლდეს მთელი საგალობელი,
ძლისპირნი // ძლისპირები მრ.

ძმადგაფიცვა; ძმადგაფიცული;
ძმადნაფიცი

ძმათამკვლელი; ძმათაშორისი
(ომი)

ძმაკაცი: ძმაკაცობა; ძმაკაცური

ძმისშვილი // ძმისწული

ძმობა-ერთობა, მაგრამ ძმობა,
ერთობა, თავისუფლება!

ძნელბედობა

ძნელმისადგომი, მაგრამ ძნე-
ლად მისადგომი

ძოწი: ძოწეული; ძოწისფერი;
ბოწისფრად

ძუნწი: ძუნწობა // სიძუნწე

ძუნწსიტყვაობა

ძუძუმტე (ძუძუმტისა)

ძუძუმწოვარა, ძუძუმწოვრები
მრ.

ძღვენი; ძღვნად



წაგავს, *მაგრამ* წაგვანან
ისინი მას

წავუვალ, წავუვედი მე მას

წამახვა (წამახვავს); წამახული

წამლობს იგი, *მაგრამ* სწამ-
ლობს იგი მას

წამმზომი [და არა წამზომი]

წამოისვრის, წამოისროლა,
წამოუსვრია // წამოუსროლია

წამოსცდება, წამოსცდა, წამო-
სცდენია მას

წამოსწევს, წამოსწია [და არა
წამოწევს, წამოწია]

წამოცდენილი // წამომცდარი]
(სიტყვა)

წამოჰგებია, წამოჰგებოდა [და
არა წამოგებია, წამოგებოდა]
მას

წამოჰკრავს, წამოჰკრა [და არა
წამოკრავს, წამოკრა] მას

წამოჰყვება, წამოჰყვა [და არა
წამოყვება, წამოყვა] მას

წარდგება, წარდგა [და არა
წარსდგება, წარსდგა]

წარდგენა: ამა თუ იმ პირის
გაცნობა ვინმესთვის

წარდგინება: შუამდგომლობის
შემცველი ოფიციალური დო-
კუმენტი

წარვუდგენ, წარმოგიდგენ(თ)
[და არა ვურდგენ, გირდგენ(თ)]

წარმმართველი // წარმმართავი

წარმოდგება, წარმოდგა [და
არა წარმოსდგება, წარმოსდგა]

წარმოება-დაწესებულებები
მრ.

წარმოებს [და არა სწარმოებს]

წარმოთქვამს [და არა წარმო-
სთქვამს]

წარმოითქმება // წარმოით-
ქმის *ძვ.*

წარმოიშობა [და არა წარმო-
იშვება]

წარმოუდგება მას (თვალწინ),
მაგრამ წამოუდგება (ფეხზე)

წარმოჩნდება, წარმოჩნდა [და
არა წარმოჩინდება, წარმოჩინ-
და]

წარუშლელი (შთაბეჭდილება),
მაგრამ წაუშლელი (დაფა)

წასდგომია, წასდგომოდა [და
არა წადგომია, წადგომოდა]
(თავზე) მას

წასთვლემს მას, *მაგრამ* წათვლემს იგი (ცოტას)

წასკდება, წასკდა, წასკდომია (ტირილი) მას

წასძლოლია, წასძლოლოდა მას

წასწევს, წასწია, წასწიე! *ბრძან.*

წასწყდომია, წასწყდომოდა [და არა წაწყდომია, წაწყდომოდა] მას

წაუკითხავს (თურმე) [და არა წაუკითხია]

წაუბები! // წაუბებ! *ბრძან.*

წაჰკრავს, წაჰკრა [და არა წაკრავს, წაკრა] მას

წაჰყოლია, წაჰყოლოდა მას

წებელდა: წებელდიდან, წებელდის [და არა წებელდადან, წებელდას] ტყეები

წევრ-კორესპონდენტი [და არა წევრ-კორესპოდენტი]

[წევს, წევდა *კი არა*] სწევს, სწევდა (სიმძიმეს), *მაგრამ* ეწევა, ეწეოდა (სიგარეტს; ცხოვრების ჭაპანს)

წელგამართული; წელმაგარი; წელმოწყვეტილი

წელზევით; წელქვევით

წელთადრიცხვა

...წელს [და არა ...წელში]: 2001 წელს, გასულ / მიმდინარე / ამა და ამ წელს; 1905 წელს [და არა წელში], *მაგრამ* 1905-ში (ან 905-ში), 37-ში და ა.შ.

წერა-კითხვა ("საქართველოში

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება")

წერია (წიგნში), *მაგრამ* ჯვარი სწერია მას

წერს, წერდა (ლექსს), *მაგრამ* სწერს, სწერდა (წერილს დედას)

წერტილ-მძიმე (წერტილ-მძიმისა)

წეს-ჩვეულება, *მაგრამ* წესწყობილება

წეწვა-გლეჯა [და არა წეწვა-გლეჯვა]

წვავს (ხორცს), *მაგრამ* სწვავს // უწვავს (თვალბს)

[წვდება, წვდებოდა *კი არა*] სწვდება, სწვდებოდა მას

წვეთ-წვეთად, *მაგრამ* წვეთწვეთობით

წვერგაპარსული; წვერგაუპარსავი; წვერმოშვებული

წვერ-ულვაში, *მაგრამ* წვერულვაშიანი

წვერწათლილი; წვერწამახული

წვრთნა, წვრთნის [და არა წრთვნა, წრთვნის]

წვრილფეხა (საქონელი)

წვრილშვილი; წვრილშვილიანი

წიგნსაცავი // წიგნთსაცავი

წივი: ნუ წივი! [და არა წივიხარ; ნუ წივიხარ!]

წითელა (*ნათ.* წითელას)

წითელი პარასკევი: იესო ქრისტეს ჯვარცმის დღე

წითელი ჯვარი: საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაცია. დახმარებას უწევს ავადმყოფებს, დაჭრილებს, სოციალურად დაუცველ ადამიანებს

წილისყრა (წილი ყარეს)

წინ, წინათ: დროის მნიშვნელობით და თანდებულის ფუნქციით დაუშვებელია მისი ანტონიმის – უკან სიტყვის ხმარება: ორი წლის წინ(ათ) [და არა ორი წლის უკან]

წინა აზია, მაგრამ წინააზიელები; წინააზიური

"წინააღმდეგობა": საოკუპაციო ძალების წინააღმდეგ ორგანიზებული იატაკქვეშა მოძრაობა. ტერმინი შეიქმნა ნაცისტების მიერ მეორე მსოფლიო ომის დროს ოკუპირებულ ევროპის ქვეყნებში ოპოზიციური მოძრაობის აღსანიშნავად

წინა დღე, მაგრამ წინადღეს, წინადღესვე

წინათ [და არა წინად, წინეთ]

წინათგრძნობა

წინარეისტორიული

წინასაარჩევნო; წინასადღესასწაულო

წინასიტყვაობა // წინასიტყვა // წინათქმა

წინასწარგანზრახული; წინასწარგანზრახველი

წინასწარმეტყველი; წინასწარმეტყველური; წინასწარმეტყველება

წინა ღამე; წინა ღამით, მაგრამ წინაღამეს

წინაწარმეტყუელსა თვისსა სოფელსა პატივი არა აქუს: სახარებიდანაა (*ახ. თარგმ.*: წინასწარმეტყველს პატივს არ სცემენ საკუთარ მამულში: ი 4, 44)

წინდაუხედავი; წინდაუხედავად; წინდაუხედაობა

წინდახედული; წინდახედულება

წინწაგდებული (საქმე)

წინწადგმული (ნაბიჯი)

წინწასული; წინწაწეული

წირავს (მღვდელი), *მაგრამ* სწირავს (სიცოცხლეს) მას

წიწილა (ქათმისა), *მაგრამ* წიწილი (გველისა)

წლევანდელი; წლევანდლამდე

წლეულს [და არა წრეულს]

წმინდა მოგება [და არა სუფთა მოგება]

[წნილი *კი არა*] მწნილი

[წრთვნა *კი არა*] წვრთნა

წყალგამყოფი

წყალგაღმა; წყალგამოდმა

წყალკურთხევა (ნათლისღების რიტუალი)

წყალმარჩხი: მცირეწყლიანი

წყალმცენარე

[წყალობს *კი არა*] სწყალობს მას

წყალღვინო (წყალღვინისა)

წყდება, წყდებოდა (მაფი),
მაგრამ სწყდება, სწყდებოდა
(ლილი; გული) მას

წყევლის, წყევლა, უწყევლია

[წყენია, წყენოდა *კი არა*] სწყენია, სწყენოდა მას

[წყენს *კი არა*] სწყენს მას

წყვეტს, წყვეტდა [*და არა*
წყვიტავს] (ყვავილს), *მაგრამ*
სწყვეტს (ხეს ფოთოლს)

[წყინს *კი არა*] სწყინს (ავი სიტყვა, შეურაცხყოფა) მას

წყლისპირა, მაგრამ წყლის პირას

წყობა: 1. აგებულება, სტრუქტურა; 2. *საუბ.* საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია. ამ მნიშვნელობით სალიტერატურო ენაში წყობილება სენიჭება უპირატესობა. იდიომი "წყობიდან გამოყვანა" აღნიშნავს აფორიაქებას, წონასწორობის დაკარგვას

წყობილება: საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია (ფეოდალური, კაპიტალისტური, სოციალისტური...). ზოგჯერ შეცდომით იხმარება წყობის ნაცვლად (*მაგ.:* წყობილებიდან გამოიყვანა)

[წყურია, წყუროდა, წყურებია *კი არა*] სწყურია, სწყუროდა, სწყურებია მას

ჭ

[ჭადი *კი არა*] მჭადი

ჭანი, **ჭანები** *მრ.* // **ლაზი**, **ლაზები** *მრ.*; **ჭანური** // **ლაზური**

ჭაპანწყვეტა (მძიმე, თავდაუზოგავი მრომა): **ჭაპანწყვეტით** (ძლივს, რის ვაივაგლახით)

ჭარბობს (= ბევრია, უზვადაა), *მაგრამ* **სჭარბობს** ის მას

ჭადარა: **ჭადარა** თმა, **ჭადარაწვერი**, *მაგრამ* **ჭადარათმიანი**, **ჭადარაწვერიანი**

ჭადარაშეპარული; **ჭადარაშერეული**

ჭენებ-ჭენებით

ჭერქვეშ

ჭეჭა-ქუხილი

ჭვარტლი [*და არა* **მჭვარტლი**]

ჭიკჭიკი; **ჭიკჭიკ-გალობა**

ჭილ-ეტრათი: **ჭილ-ეტრათის** იადგარი

[**ჭირდება**, **ჭირდებოდა** *კი არა*] **სჭირდება**, **სჭირდებოდა** მას

ჭირისუფალი (**ჭირისუფლისა**); **ჭირისუფლობს**

ჭირნახული: 1. **ჭირგამოვლილი**; 2. **მოსავალი**

ჭირს: **ძნელია**; **არ იშოვება**, *მაგრამ* **სჭირს** (**სურდო**) მას

ჭკუა: **ჭკუა-გონება**

ჭკუადამჯდარი; **ჭკუამოკლე**; **ჭკუამხიარული**; **ჭკუანაკლული**; **ჭკუანაღრძობი**; **ჭკუასუსტი**

ჭკუათამყოფელი (**ჭკუათამყოფლისა**)

ჭკუის კოლოფი: **ძალიან ჭკვიანი** (**უპირატესად იხმარება** ირონიული მნიშვნელობით)

ჭოგრიტი // **ბინოკლი**

ჭორ-მართალი (**ჭორ-მართლისა**)

ჭრა-კერვა

ჭრის (**ხეს**; **პურს**), *მაგრამ* **სჭრის** // **აჭრის** (**ხეს ტოტს**)

ჭურ-მარანი (**ჭურ-მარნისა**)

ჭყლეტს, **ჭყლეტდა** [*და არა* **ჭყლიტავს**, **ჭყლიტავდა**]

ხ

**ხაზგასმა; ხაზგასმით; ხაზგას-
მული**

[ხათხა-იოგა კი არა] ჰათჰა-იო-
გა

[ხალვა კი არა] ჰალვა

ხალხთა საპყრობილე: გამოთქ-
მა ეკუთვნის ფრანგ მწერალს ა.
დე კიუსტინს, რომელმაც ასე
დაახასიათა XIX ს-ის I ნახევ-
რის რუსეთის იმპერია. ეროვ-
ნული მოძრაობის მოღვაწეები
ამავე შეფასებას ავრცელებდნენ
საბჭოთა კავშირის მიმართაც

ხალხმრავალი: ხალხმრავლობა

**ხანგამოშვებით // დროგამოშ-
ვებით**

ხანგრძლივობა [და არა ხანგრ-
ძლიობა]

...ხანს უკან: ცოტა ხანს უკან

ხანში შესული

ხანძარსაწინააღმდეგო

[ხარაკირი კი არა] ჰარაკირი

ხარება: ქრისტიანული დღესა-
სწაული

ხახამშრალი

ხევს გაღმა, მაგრამ ხევგაღმა

ხელაღებით

**ხელგამოწვდილი; ხელგამლი-
ლი; ხელდამშვენებული**

ხელდასხმა: ხელდასხმული;
ხელდამსხმელი [და არა ხელ-
დასმა; ხელდასმული; ხელდა-
მსმელი]

ხელებდაკაპიწებული

ხელეწიფება: ძალა შესწევს,
უფლება აქვს

ხელეყოფ, ხელეყავი [და არა
ვხელეყოფ, ვხელეყავი]

ხელისგული

ხელისმომკიდე

ხელის მომწერი (ჩვენ, ქვემო-
რე ხელის მომწერნი...), *მაგრამ*
ხელმომწერი

**ხელის მოწერა, მაგრამ ხელ-
მოწერა**

ხელისუფლება (აღმასრულე-
ბელი, საკანონმდებლო): სახე-
ლისუფლებო (სტრუქტურები)

**ხელის შემზღელი // ხელშემ-
ზღელი**

**ხელის შემწყობი // ხელშემ-
წყობი**

ხელიხელსაგოგმანებული // ხელიხელსაგოგმანები

ხელიხელჩაკიდებული

ხელმარცხნივ; ხელმარჯვნივ

ხელმარჯვე (ოსტატი)

ხელმისაწვდომი: ხელმისაწვდომობა

ხელმრუდი (= ქურდი): ხელმრუდობა

ხელმძღვანელი: ხელმძღვანელობს; ხელმძღვანელობა

ხელმწიფე: სახელმწიფო

ხელსაფქვავი

ხელსაქმე

ხელს აძლევს, ხელს აძლევდა მას (რამე). მოქმედების სახელთან შეხამებისას აღნიშნავს: ხელსაყრელია, გამოსადეგია, მისაღებია მისთვის. მაგ.: ხელს აძლევს ეს გარიგება

ხელშეუხებელი: ხელშეუხებლობა (ხელშეუხებლობის გარანტია)

ხელხვავიანი: ხელხვავიანობა

ხვალამდე // ხვალამდის

ხვალდამ, მაგრამ ხვალ ღამით

ხვეწს [და არა ხვეწავს]

ხვრეტს [და არა ხვრიტავს]

ხიდგალმა, მაგრამ ხიდის გაღმა

ხიზანი (ხიზნისა), ხიზნები მრ.; ხიზნობა

ხილ-ბოსტნეული

ხილვადი: ხილვადობა

ხილკენკროვანი

ხიმსა: ხიმსიდან, ხიმსის [და არა ხიმსადან, ხიმსას] უღელტეხილი

[ხიპი, ხიპები *კი არა*] ჰიპი, ჰიპები *მრ.*

[ხირომანტია *კი არა*] ქირომანტია

[ხიტი *კი არა*] ჰიტი (*მნიშვნ. 2*)

[ხიტონი *კი არა*] ქიტონი

ხლეჩს [და არა ხლიჩავს]

ხმაამოუღებლად // ხმაამოუღებლივ, მაგრამ ხმის ამოუღებლად

ხმადაკარგული; ხმაჩახლეჩილი; ხმაწასული

ხმალამოღებული

ხმა მღალადებლისა უდაბნოსა შინა: ძველი აღთქმის ამ გამოთქმას (ესაია 40, 3) იმოწმებენ (მცირეოდენი რედაქციული ცვლილებით) სახარების ავტორები (მ 3, 3, მრკ 1, 3, ი 1, 23) *ჩვეულ.* გამოხატავს უპასუხოდ დარჩენილ მოწოდებას, თხოვნას, ვედრებას, თუმც ეს გაგება საკმაოდ დაშორებულია პირველწყაროს შინაარსს

ხმაშეწყობილი; ხმაშეწყობით

ხმელთაშუა ზღვა

[ხოზი *კი არა*] ჰოზი

[ხოკვი, ხოკვისტი *კი არა*] ჰოკვი, ჰოკვისტი

[ხოლერა კი არა] ქოლერა

[ხოლეცისტიტი კი არა] ქოლე-
ცისტიტი

[ხოლი კი არა] ჰოლი

[ხორალი კი არა] ქორალი

[ხორო კი არა] ქორო

ხორცმეტი

ხორცსაკეპი (მანქანა)

ხორცშესხმა: ხორცშესხმული
(იდეა)

ხოტბა-დიდება

ხოცავს (= კლავს მრავალს)

ხოცვა-ჟლეტა [და არა ხოცვა-
ჟლეტვა]

ხრემმოყრილი (გზა)

ხუთბალიანი (მიწისძვრა);

ხუთვარსკვლავიანი (სასტუმ-
რო); **ხუთწუთიანი** (შესვენება)

ხუთგზის

ხუმრობანარევი

ხუნძი[და არა ავარი, ავარ(ი)ე-
ლი], **ხუნძები** მრ.: ერთ-ერთი
დაღესტნელი ხალხი; **ხუნძეთი**
[და არა ავარია]; **ხუნძური** (ენა)

ხუროთმოძღვარი (ხუროთმო-
ძღვრისა); **ხუროთმოძღვრება**;
ხუროთმოძღვრული // არქი-
ტექტორი; **არქიტექტურა**: არქი-
ტექტურული

ხურჩა: ხურჩიდან, სოფ. ხურ-
ჩის [და არა ხურჩადან, ხურჩას]
მოსახლეობა

ჯ

ჯაგარი (ჯაგრისა): ჯაგარაშლილი

ჯადოქარი: ჯადოქრული; ჯადოქრობა

ჯავშანი (ჯავშნისა); ჯავშანტექნიკა; ჯავშანტრანსპორტიორი

ჯაზბანდი; ჯაზორკესტრი

ჯამ-ჭურჭელი (ჯამ-ჭურჭლისა)

ჯანდაცვა (*შემოკლ.* = ჯანმრთელობის დაცვა)

ჯანმრთელი: ჯანმრთელობა [და არა ჯან(რ)მთელი, ჯან(რ)-მთელობა]

ჯან-ღონე

ჯაჭვური (რეაქცია)

ჯდება ის, *მაგრამ* სხდებიან ისინი

ჯეკპოტი: მაქსიმალური მოგება გათამაშებაში

ჯენტლმენი: ჯენტლმენური; ჯენტლმენობა

ჯერ ერთი... (თუ წინადადების თავშია, მძიმე მოსდევს; თუ შუაშია, ორივე მხრიდან მძიმე დაერთვის)

ჯეროვანი; ჯეროვნად

ჯერჯერობით

ჯვარდასაწერი; ჯვარდაწერილი

ჯვარდაუწერელი; ჯვარდაუწერლად

ჯვართამაღლება: ქრისტიანული დღესასწაული

ჯვარი (ჯვრისა), ჯვრები *მრ.*: ჯვრიანი

ჯვარის დასაწერად

ჯვარისმტვირთველი: პირი, რომელიც ჯვრით ხელში წინ მიუძღვის მსვლელობას

ჯვარ-მედლები

ჯვაროსანი (ჯვაროსნისა), ჯვაროსნები *მრ.*: ჯვაროსნული (ომი)

ჯვარს აცუ ეგე! (*ახ. თარგმ.*: ჯვარს აცვი ეგ!): სახარებიდანაა (მრკ 15, 13). გამოხატავს გაბოროტებული ხალხის, ბრბოს ჯიუტ მოთხოვნას მისთვის საძულველი, არასასურველი პირის დასჯის თაობაზე

ჯვარცმა: ჯვარცმული

ჯვრის ზიდვა; მძიმე ჯვარი (*იხ.*)

ჯვრისწერა (// **ჯვარისწერა**)

ჯიბეგამოფხევილი; **ჯიბე-**
გახვრეტილი, **ჯიბეცარიელი**

ჯიბის ფული

ჯიბის ქურდი // **ჯიბგირი**

ჯიბრი (*საუბ.* // **ჯინი**); **ჯიბ-**
რით; **ჯიბრზე** (// **ჯინზე**, **ჯინა-**
ზე)

ჯინსი [*და არა ჯინსები*]

ჯიპი: ამერიკული მოდელის
მსუბუქი მანქანა

ჯიუ-ჯიცუ: უიარაღო ბრძო-
ლის ილეთების იაპონური სი-
სტემა, რომელიც საფუძვლად
უდევს ძიუდოსა და კარატეს

ჯიჰადი // **ლაზავათი** (*იხ.*). მომ-
დინარეობს არაბულიდან. ნიშ-
ნავს ძალისხმევას, გულმოდგი-
ნებას). შედარებით ახალი ტერ-
მინია; გავრცელდა XX ს-ის II
ნახევრიდან ინგლისურის მეშ-
ვეობით

[**ჯოზნის კი არა**] **სჯოზნის მას**

ჯოზს // **ჯოზია** (= უმჯობესია,
მაგ., ასე **ჯოზს** // **ჯოზია**), *მაგ-*
რამ **სჯოზს** // **სჯოზია მას** (*მაგ.*:
"სარჩული სჯოზს საპირესა";
"ხერხი სჯოზია ღონესა...")

ჯოკერი

ჯორჯია: **ჯორჯიიდან**, **ჯორ-**
ჯიის [*და არა ჯორჯიიდან*,
ჯორჯიას] შტატი

ჯუჯა // **ქონდრისკაცი** (// **კარ-**
ლიკი)

ჰ

ჰაბიტუსი (ლათ. habitus): გარეგნობა, შესახედაობა

ჰაგიოგრაფია: ჰაგიოგრაფიული [და არა აგიოგრაფია, აგიოგრაფიული]

[ჰაეროსტატი კი არა] აეროსტატი

ჰავანა: ჰავანიდან, ჰავანის [და არა ჰავანადან, ჰავანას] სიგარა

[ჰავბევი //] ნახევარმცველი

ჰათჰა-იოგა [და არა ხათხა-იოგა]

ჰაიდ-ჰარკი [და არა გაიდ-ჰარკი]: ცნობილი ჰარკი ლონდონში

ჰაიმორიტი [და არა გაიმორიტი]

ჰაიტი (კუნძული): ჰაიტიზე

ჰალვა [და არა ხალვა]

ჰალსტუხი

ჰალუცინაცია [და არა გალუცინაცია]

ჰამაკი [და არა გამაკი]

ჰამბურგერი: ლორიანი ბუტერბროდი

ჰანტელი [და არა განტელი]

ჰარაკირი [და არა ხარაკირი]:

ჰარაკირიმ, მიც. ჰარაკირის [და არა ჰარაკირმა, ჰარაკირს]

ჰარამხანა

ჰაუბიცა [და არა გაუბიცა]: ერთგვარი მძიმე ქვემეხი

ჰაუპტვახტი [და არა გაუპტვახტი]

ჰაშიში [და არა გაშიში]

ჰბანს (თავს) მას, *მაგრამ* ბანს (= აბანავებს) (ზავშვს)

ჰგავს, ჰგავდა, ჰგვანებია [და არა გავს, გავდა, გვანებია] მას

ჰგავხარ [და არა გავხარ, ჰგევხარ, გევხარ] მას

ჰგვანან [და არა გვანან, ჰგავან] ისინი მას

ჰგვრის, ჰგვრიდა, მოჰგვარა (სიამოვნება) მას

ჰგლეჯს (ხელიდან ჩანთას) მას, *მაგრამ* გლეჯს (ზალახს)

ჰგონია, ჰგონებია [და არა გონია, გონებია] მას

ჰეგემონი; ჰეგემონია; ჰეგემონიზმი; ჰეგემონისტი: ჰეგემონისტური

[ჰეიზერი კი არა] გეიზერი

ჰემატოლოგია [და არა გემატოლოგია]

ჰემატომა [და არა გემატომა] (ჰემატომისა)

ჰემოგლობინი [და არა გემოგლობინი]

ჰემოფილია [და არა გემოფილია]

ჰეპარინი [და არა გეპარინი]

ჰეპატიტი [და არა გეპატიტი]

ჰეპი-ენდი: კეთილი ბოლო (*სიტყვ.* = ბედნიერი დასასრული)

ჰერაკლე (*ბერძნ.*) // **ჰერკულესი** (*ლათ.*): ძვ. ბერძნული მითოსის გმირი, ზღაპრული ღონის ადამიანი, ზევსის (იუპიტერის) და მეფე ამფიტრიონის მეუღლის, ალკმენეს ვაჟი, 12 საგმირო საქმის აღმსრულებელი. ჩვენს დროში ჰერკულესს უწოდებენ ძლიერ, ახოვანი აღნაგობის კაცს, ათლეთს

ჰერალდიკა: ჰერალდიკური [და არა გერალდიკა, გერალდიკური]: გერბების შემსწავლელი მეცნიერება

ჰერბარიუმი [და არა გერბარიუმი]

ჰერბიციდები *მრ.* [და არა გერბიციდები]: სარეველა მცენარეთა გასანადგურებელი ნივთიერებები

ჰერმაფროდიტი [და არა გერმაფროდიტი]: ორსქესოვანი არსება

ჰერმენევტიკა [და არა გერმე-

ნევტიკა]: ლიტერატურული ტექსტების (განსაკუთრებით ძველი ხელნაწერების) განმარტება; მოძღვრება ტექსტის ინტერპრეტაციის პრინციპების შესახებ

ჰერმეტიკი [და არა გერმეტიკი]: ჰერმეტიკობა

ჰეროიზმი (= გმირობა); ჰეროიკა: ჰეროიკული (დრამა)

"ჰეროსტრატეს დიდება": გამოთქმა უკავშირდება ბერძენ მდაბიოს ჰეროსტრატეს, რომელმაც თავისი სახელის უკვდავსაყოფად გადაწვა არტემიდეს ტაძარი (მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრებათაგანი) და ამით მოიპოვა უსახელო დიდება. ჩვენს დროში ითქმის საძრახისი საქციელით სახელის მოხვეჭის შესახებ

ჰერცოგი [და არა გერცოგი]; საჰერცოგო

ჰექტარი (*შემოკლ.* = ჰა; ჰექტარისა) [და არა გექტარი]

ჰექტარ-ნახევარი [და არა გექტარ-ნახევარი], *მაგრამ* ჰექტარნახევრიანი

ჰიბრიდი [და არა გიბრიდი]

ჰიდრო... [და არა გიდრო]: წყლის აღმნიშვნელი ელემენტი რთული სიტყვის პირველ ნაწილად

ჰიდრონიმი: ჰიდროგრაფიული ობიექტის – მდინარის, ტბის, ზღვის... საკუთარი სახელი; ჰიდრონიმი: ჰიდრონიმიული

[ჰინა, გინა *კი არა*] აფთარი

ჰილზი [და არა ჰილზა, გილზა]

ჰიმნი [და არა გიმნი]

ჰიპერბოლა [და არა გიპერბოლა] (ჰიპერბოლისა)

ჰიპერთერმია [და არა გიპერთერმია]: ორგანიზმის ზედმეტად გახურება

ჰიპერინფლაცია: ფასების ისეთი სწრაფი ზრდა, რომ ფული, როგორც მიმოქცევის საშუალება, გარკვეულწილად კარგავს ფუნქციას

ჰიპერტონია [და არა გიპერტონია] (სისხლის წნევის მომატება; მაღალი წნევა): ჰიპერტონიული

ჰიპი, ჰიპები *მრ.* [და არა ხიპი, ხიპები]

ჰიპნოზი [და არა გიპნოზი]; ჰიპნოტიზიორი

ჰიპოდინამია [და არა გიპოდინამია]: მოძრაობის უნარის დაქვეითება

[ჰიპოდრომი *კი არა*] იპოდრომი

ჰიპოთეზა: ჰიპოთეზური [და არა გიპოთეზა, ჰიპოთეტური]

ჰიპოპოტამი // ბეჰემოთი

ჰიპოსტასი: წმიდა სამების თითოეული პირი (მამა, ძე, სული წმიდა)

ჰიპოტონია [და არა გიპოტონია] (სისხლის წნევის დაწევა;

დაბალი წნევა): ჰიპოტონიური

[ჰიპოქონდრია *კი არა*] იპოქონდრია

ჰიტტი: 1. [და არა გიტტი]: სპორტში (ცხენოსნობა, ველორბოლა და სხვ.) ასპარეზობის ცალკეული ცდები, რომელთა საერთო მონაცემებით ჯამდება საბოლოო შედეგი; ინგლისური წარმომავლობის სიტყვაა (*heat* = სიცხე); 2. [და არა ხიტტი]: განსაკუთრებით პოპულარული, სენსაციური წარმატების მქონე თანამედროვე საესტრადო სიმღერა ან სხვა ხელოვნების ნაწარმოები. გავრცელდა XX ს-ის II ნახევრიდან ინგლისურის მეშვეობით (*hit* = დარტყმა)

ჰიჯრა: მუსლიმანური წელთაღრიცხვა; ჰიჯრით

ჰკიდია (ყელსაბამი) მას, *მაგრამ* კიდია (= ჩამოკიდებულია) (ფარდა, სურათი)

ჰკითხავს [და არა კითხავს]

ჰკლებია [და არა კლებია] მას

ჰკრავს (წიხლს) მას, *მაგრამ* კრავს (ზურგჩანთას)

ჰკრეჰს (ბიჰს თმას), *მაგრამ* კრეჰს ცხვარს

ჰობი [და არა ხობი]: ჰობიმ, *მიც.* ჰობის

ჰობოი [და არა გობოი]

ჰოკეი; ჰოკეისტი [და არა ხოკეი, ხოკეისტი]

ჰოლი [და არა ხოლი]

ჰოლოგრაფა [და არა გოლოგრაფა]

ჰოლოგრაფია: ჰოლოგრაფიული

ჰოლოკოსტი: გენოციდი; ნაცისტების მიერ ებრაელთა მასობრივად განადგურება

ჰომეოპათია [და არა გომეოპათია, გომეოპათია]: წამლის მცირე დოზებით ავადმყოფთა მკურნალობის სისტემა

ჰომერული (ჰომეროსის) **სიცილი**: მომდინარეობს ჰომეროსის პოემებიდან, რომლებშიც ავტორი აღწერს ღმერთების ხმამაღალ სიცილს

ჰომო-საპიენსი (ლათ. Homo sapiens): ადამიანი-მოაზროვნე

ჰომოსექსუალიზმი; **ჰომოსექსუალისტი** [და არა გომოსექსუალიზმი, გომოსექსუალისტი]

ჰომო-ფაბერი (ლათ. Homo faber): ადამიანი-შემოქმედი; ადამიანი-მწარმოებელი

ჰონკონგი [და არა გონკონგი]

[ჰონორეა კი არა] გონორეა

ჰონორი (ლათ.) [და არა გონორი]: მედიდურობა, ქედმაღლობა

ჰონორის კაუზა (ლათ. = პატივისათვის): სამეცნიერო ხარისხის მინიჭება დიდი მეცნიერული მიღწევებისათვის (დისერტაციის დაუცველად)

ჰორელიეფი [და არა გორელიეფი]

ჰორიზონტი, **ჰორიზონტალუ-**

რი [და არა გორიზონტი, გორიზონტალური]

ჰორმონი: **ჰორმონული** [და არა გორმონი, გორმონალური]

ჰოროსკოპი [და არა გოროსკოპი]

ჰორტენზია [და არა გორტენზია]

ჰოსპიტალი [და არა გოსპიტალი]; **ჰოსპიტალიზაცია**

ჰპატიობს, **ჰპატიობდა** [და არა პატიობს, პატიობდა] მას

ჰპატრონობს მას

ჰპირდება, **ჰპირდებოდა** მას

[ჰპოვა, ჰპოვოს კი არა] **პოვა**, **პოვოს**

ჰუმანიზაცია // **ჰუმანიზება** [და არა გუმანიზაცია, ჰუმანიზ(ირ)ება]

ჰუმანიზმი; **ჰუმანისტი**: **ჰუმანისტური** [და არა გუმანიზმი, გუმანისტი, გუმანისტური]

ჰუმანიტარული [და არა გუმანიტარული]: 1. საგანი, დისციპლინა; 2. დახმარება, ტვირთი

ჰუმანოიდი, **ჰუმანოიდები** *მრ.* [და არა გუმანოიდი, გუმანოიდები]

ჰუმანური [და არა გუმანური] (ადამიანი; დამოკიდებულება): **ჰუმანურობა**

ჰფენს (შუქს საკითხს), *მაგრამ* **ფენს** (სარეცხს)

ჰქვია [და არა ქვია] მას

[ჰქვიოდა, ჰქვიებია კი არა] ერ-
ქვა, რქმევია მას

ჰქონდა, ჰქონია [და არა ქონდა,
ქონია] მას

[ჰქრის კი არა] ქრის

ჰყავს, ჰყავდა, ჰყოლია [და არა
ყავს, ყავდა, ყოლია] მას

ჰყავხარ [და არა ყავხარ, (ჰ)ყევ-
ხარ] მას

[ჰყვავის კი არა] ყვავის (ბალი)

ჰყვარებია [და არა ყვარებია]
მას

ჰყვება, ჰყვებოდა [და არა ყვე-
ბა, ყვებოდა] მას (ოჯახს თან
ჰყვება; ახალ ამბებს ჰყვება)

ჰყოლია, ჰყოლოდა [და არა
ყოლია, ყოლოდა] მას

ჰყოფნის [და არა ყოფნის]

დენართი

ზოგიერთი აბრევიატურა

აქ წარმოდგენილი აბრევიატურები ძირითადად შედგენილია ინიციალური (ე.წ. აკრონიმული) წესით – სიტყვათშეხამებათა კომპონენტების პირველი ასო-ბგერების გამოყოფის გზით. მათგან ზოგიერთს პოპულარობის გამო უკვე დამოუკიდებელი სიტყვის სახე აქვს მიღებული, უთარგმნელია და ყველა ენაზე ერთნაირად წარმოითქმის (მაგ.: ნატო, იუნესკო, ფიფა და მისთ.) ასეთი სახელები სხვა აბრევიატურებისაგან გასამიჯნავად დაყოფით არის წარმოდგენილი.

რაც შეეხება არაქართული წარმოშობის იმ აბრევიატურებს, რომლებიც მათი კომპონენტების პირველ ასოთა სახელწოდებებისაგან შედგება, ისინი ქართულ პრესაში დიდ სიჭრელეს გვიჩვენებენ: ამ ასოების უცხოური სახელწოდებები ხან დეფისით იმიჯნება, ხან შერწყმულად იწერება, ხან კი ბრჭყალებშია მოქცეული – დეფისით თუ უდეფისოდ. ამასთან, ზოგჯერ ქართული დაწერილობა გვხვდება, ზოგჯერ კი – უცხოური.

სიჭრელის თავიდან ასაცილებლად ასეთი აბრევიატურები სიაში ერთი სახითაა მოცემული – დეფისებით გამიჯნული პირველი ასოების სახელწოდებათა დედნისეული ტრანსკრიფციებით (ფონეტიკური წარმოთქმებით). ამ გზით აბრევიატურების უცხოური წარმოშობაც არის მინიშნებული (მაგ., ეი-პი – AP).

არაქართული აბრევიატურების უმრავლესობა თანხმოდანზე თავდება. ასეთი სიტყვების ბრუნების გასაადვილებლად მათ მიწერილი აქვთ სახელობითი ბრუნვის -ი ნიშანი, რომელიც დაერთვის როგორც შერწყმულად გაფორმებულ აბრევიატურებს (ანზიუსი, ბისეკი, გულაგი; შდრ.: ANZUS, BSEC, ГУЛАГ), ისე დეფისებით გაფორმებულ ასოთა სახელწოდებებს, და ამ შემთხვევაში ი ნიშანი უშუალოდ მიერთვის ბოლო კომპონენტს (სი-ენ-ენი, ერ-ტე-ერი. შდრ.: CNN, PTP). იმისათვის, რომ ამგვარად ნაწარმოები აბრევიატურები გაიმიჯნოს საკუთრივ ი ხმოვანზე გათავებულ ერთეულთაგან, "ფუძისეული" ი ამგვარ ერთეულებში ხაზგასმითაა წარმოდგენილი (ბი-ბი-სდ, ეი-პდ, ენ-ბი-სდ...). ამ გზით გამიჯნულია განსხვავებული აგებულების აბრევიატურები ბრუნების ტიპების მიხედვით (შდრ.: სი-ენ-ენმა, სი-ენ-ენს... და: ბი-ბი-სიმ, ბი-ბი-სის).

ანზიუსი: ავსტრალიის, ახალი ზელანდიისა და აშშ-ის სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი (ANZUS: Australia, New Zealand and United States of America)

ა-პე-ენი: რუსეთის საინფორმაციო სააგენტო (АПН: Агентство печати "Новости")

ასეან: სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაცია (ASEAN: Association of South-East Asian Nations)

აშშ: ამერიკის შეერთებული შტატები (USA [იუ-ეს-ეი]: United States of America)

ბი-ბი-სი (// "ბიბისი"): ბრიტანეთის სამაუწყებლო კორპორაცია (BBC: British Broadcasting Company)

ბისეკი: შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობა (BSEC: Black Sea Economic Corporation)

გაერო: გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (UN: Organization of United Nations)

გრუ: (რუსეთის) მთავარი სადაზვერვო სამმართველო (ГРУ: Главное разведывательное управление)

გფრ: გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა

გულაგო: შრომითი-გამასწორებელი ბანაკების მთავარი სამმართველო (ГУЛАГ: Главное управление лагерей)

დსთ: დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (რუს. СНГ [ეს-ენ-გე]: Содружество независимых государств)

დღგ: დამატებული ღირებულების გადასახადი

ედპ: ეროვნულ-დემოკრატიული პარტია

ეი-ბი-სი: აშშ-ის რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომპანია (ABC: American Broadcasting Company)

ეი-ი-ეს - თელასი: გამოყენებითი ენერგოსისტემები (AES: Applied Energy Systems) - თბილისის ელექტრონაგებობათა სამმართველო

ეი-პე: აშშ-ის საინფორმაციო სააგენტო "ასოშიეტიდ-პრესი" (AP: The Associated Press)

ენ-ბი-სი: აშშ-ის რადიომაუწყებლობისა და სატელევიზიო კომპანია (NBC: National Broadcasting Company)

ენ-დი-აი: ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI: National Democratic Institute)

ენ-ტე-ვე: რუსეთის სატელევიზიო არხი "დამის ტელევიზია" (НТВ: Независимое телевидение)

ეოკი: ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი

ერ-ტე-ერი: რუსეთის ტელერადიომაუწყებლობა (РТР: Российское телерадиовещание)

ეუთო: ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (OSCE: Organization for Security and Cooperation in Europe)

ეფ-ბი-აფ [და არა ფე-ბე-ერი]: აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიურო (FBI: Federal Bureau of Investigation)

თი-ბი-სდ: თბილისის ბიზნესცენტრი (TBC)

თსუ: (ივანე ჯავახიშვილის სახელობის) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ინტერპოლი: საერთაშორისო სისხლის სამართლის პოლიციის ორგანიზაცია (Interpol: International Criminal Police Organization)

ირა: ირლანდიის რესპუბლიკის არმია (IRA: Irish Republican Army)

ისო: საერთაშორისო სტანდარტების ორგანიზაცია (ISO: International Standards Organization)

იუნესკო: გაერთიანებული ერების ორგანიზაცია განათლების, - მეცნიერებისა და კულტურის დარგში (UNESCO: United Nations Educational, Scientific and Cultural Organization)

იუნისეფი: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ზავშუთა დაცვის საერთაშორისო ფონდი (UNICEF: United Nations International Children's Emergency Fund)

იუ-პდ: აშშ-ის საინფორმაციო სააგენტო (UPI: United Press International "იუნაიტედ-პრეს-ინტერნეშლ")

კა-გე-ბე (// "კაგებე"): სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი (КГБ: Комитет государственной безопасности)

მხატი: მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრი (МХАТ: Московский художественный академический театр)

ნატო: ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაცია (NATO: North Atlantic Treaty Organization)

ოპეკი: ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია (OPEC: Organization of Petroleum Exporting Countries)

საქინფორმი: საქართველოს საინფორმაციო სააგენტო

სეატო: სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ხელშეკრულების ორგანიზაცია (SEATO: South-East Asian Treaty Organization)

სემეკი: საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია

სეოკი: საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი

სი-აი-ედ [და არა ცე-რე-უ]: აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო (CIA: Central Intelligence Agency)

სი-ბი-ესი: აშშ-ის საინფორმაციო სააგენტო (CBS: Columbia Broadcasting System - "კოლამბია-ბროდკასტინგ-სისტემ")

სი-ენ-ენი: აშშ-ის ახალი ამბების სატელევიზიო კომპანია (CNN: Cable News Network)

სი-ვდ: მოკლე ავტობიოგრაფიული ცნობები (CV: Curriculum Vitae)

სმკ: საქართველოს მოქალაქეთა კავშირი

[სპიდი კი არა] შიდსი

სპუ: საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტი

სსრკ: საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი

სუკი: სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი. იბ. კა-გე-ბე

სუჟამი: საქართველოს, უკრაინის, უზბეკეთის, აზერბაიჯანისა და მოლდავეთის კავშირი

ტასისი: ტექნიკური დახმარება დსთ-ის ქვეყნებისადმი (TACIS: Technical Assistance to the Commonwealth of Independent States)

ტრასეკა: სატრანსპორტო კორიდორი ევროპა-კავკასია-აზია (TRACECA: Transport Corridor Europe - Caucasus - Asia)

უეფა: ევროპის საფეხბურთო ასოციაციების გაერთიანება (UEFA: United European Football Association)

უფო: ამოუცნობი მფრინავი ობიექტები (UFO: Unidentified Flying Objects)

[ფე-ბე-ერი კი არა] ეფ-ბი-აი

ფიდე: ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაცია (FIDE: Fédération Internationale des Échecs)

ფიფა: საფეხბურთო ასოციაციების საერთაშორისო ფედერაცია (FIFA: Fédération Internationale de Football Association)

ფრანს-პრესი: საფრანგეთის საინფორმაციო სააგენტო (AFP: Agence France Presse)

შიდსი [და არა სპიდი]: შეძენილი იმუნური დეფიციტის სინდრომი (AIDS: Acquired Immune Deficiency Syndrome)

შპს: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

[ცერე-უ კი არა] სი-აი-ეი

ცესკო: (საქართველოს) ცენტრალური საარჩევნო კომისია

ვინაიდან აბრევიაცია ყოველგვარ შემოკლებას გულისხმობს, არ შეიძლება მოკლედ არ ითქვას ერთი სახის შემოკლებებზე, რომლებიც ყოველდღიურ ცხოვრებაში (სარეკლამო განცხადებებში, აბრებსა თუ ტრაფარეტებში, აგრეთვე პრესის ფურცლებზე) გვხვდება. მხედველობაში გვაქვს ქართველ ისტორიულ პირთა წერილობითი მოხსენიებისას ზედწოდებათა გვარებთან გათანაბრების შედეგად საკუთრივ სახელთა ინიციალური შემოკლების მავნე პრაქტიკა, განსაკუთრებით, ქუჩების დასახელებისას, მაგალითად, ასე: ქ. (ქეთევან) წამებულის ქ. (ქუჩა), დ. (დავით) აღმაშენებლის გამზ. (გამზირი), დ. (დიმიტრი) თავდადებულის ქ., ვ. (ვახტანგ) გორგასლის ქ. და მისთ.

ყველა ამგვარ შემთხვევაში წინამავალი სახელი, როგორც ბიოგრაფიულად ერთადერთი ნამდვილი მონაცემი, ზედწოდებასთან ერთად შეუმოკლებლად უნდა იწერებოდეს. ასე:

არსენ იყალთოელი, გიორგი ათონელი, გიორგი ბრწყინვალე, დავით აღმაშენებელი, დიმიტრი თავდადებულის, ვახტანგ გორგასალი, იაკობ ცურტაველი, შოთა რუსთაველი და სხვ. ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენს ვაჟა-ფშაველა. დეფისით გაფორმება ამ ფსევდონიმისა იმით აიხსნება, რომ მისი ორივე კომპონენტი შეთხზულია.

ანალოგიურად გაფორმდება ზედწოდებებით ცნობილი არაქართველი ისტორიული პირების სახელებიც: ივანე მრისხანე, პეტრე პირველი (დიდი), პიპინ მოკლე, რიჩარდ ლომგული და მისთ.

პუნქტუაციის წესები

I. ბრჭყალები — ორი მსგავსი სასვენი ნიშანი, რომლებიც შედგება საპირისპირო მიმართულების (ქვედა და ზედა) წყვილი მძიმისაგან („ “), ან შემხვედრი ორი წყვილი კუთხოვანი ნიშნისაგან (« »), ანდა სავესებით იდენტური ნიშნებისაგან (" "). ბრჭყალები იხმარება:

- სხვისი ნათქვამის, ციტატის მოყვანისას ან ამა თუ იმ საყოფაცხოვრებო, სავაჭრო თუ კულტურული დაწესებულების, ჟურნალის, გაზეთის, ალმანახის, ანდა ლიტერატურული, მუსიკალური და მისთ. ნაწარმოების სათაურის დასახელებისას. მაგ.: "ყაყაჩოს გვერდს ვერ აუვლი, "სხვა საქართველო სად არი?" აქ დაიბადა "სულიკო", მზისკენ გაფრინდა "მერანი" (ა. კალანდაძე); გუშინ ფრაქცია "მოქალაქეთა კავშირის" სხდომაზე ერთადერთი საკითხი იხილებოდა (პრესიდან);

- ტექსტში სიტყვის ან მისი ნაწილის გამოსაყოფად. მაგ.: "ისეთნაირად დავნამცეცდით, რომ დიდი სიტყვა "მამულიც" გავანამცეცეთ" (ილია); უწმიდესი მესტუმრა და... "ბუნების ქომაგი" მიწოდა (პრესიდან);

- უცხოური სიტყვის ფონეტიკურ თავისებურებათა დედაენის ასოებით (ხშირად დამახინჯებით) გადმოსაცემად. მაგ.: "ამ შემთხვევაში... მუშაობს... გრძნობა "კლიაუზნიკობისა". "კლაუზნი" ხალხნი ვართ და რა ვქნათ" (ვაჟა); უკვე "დამკაში" გასული, ბოლო ეტაპზე ჩავიჭერი (პრესიდან);

- ირონიული შეფასების გამოსახატავად. მაგ.: ჩვენი "უშიშარი გმირები" კისრის ტეხით გარბოდნენ იქიდან. ირონიულად ნახმარ სიტყვასა თუ გამოთქმას ხშირად წინ უძღვის სიტყვათმეხამება "ეგრეთ წოდებული" (შემოკლებით – ე. წ.). მაგ.: "ამისთანა საქმე მოსდის... ერთს მოძღვრებასაც, რომელიც ეგრეთ წოდებულ"დედათა უფლების საქმეს" შეეხება" (ილია); სამწუხაროდ, ისტორიას ერთი უცნაური "ავადმყოფობა" სჭირს (პრესიდან);

- XIX ს-ის მწერლობაში ტირეს არცთუ იშვიათად ენაცვლება ბრჭყალები. ზოგჯერ, განსაკუთრებით, უფროსი თაობის მეტყველებაში, ტერმინი "ბრჭყალები" მოიხსენიება "წინწყლებად".

II. დევისი (ლათ. divisio, გერმ. Divis = დაყოფა, დანაწევრება) სასვენი ნიშანი, მოკლე ჰორიზონტალური ხაზი (-), რომელიც იხმარება:

- ერთზე მეტი მნიშვნელობის (ჩვეულებრივ, ორმნიშვნელობიანი)

რთული სიტყვების კომპონენტთა დასაკავშირებლად. ამ შემთხვევაში ენაცვლება და კავშირს (ცოლ-ქმარი, ხელ-ფეხი, ქართლ-კახეთი). ამ დროს წინა კომპონენტი (კომპონენტები) ფუძის სახით წარმოდგება (თუშ-ფშავ-ხევესურეთის სოფლები);

- გაორმაგებული ფუძეებისა თუ ფორმების დასაკავშირებლად (ტყე-ტყე, ორ-ორი, ის-ის იყო);
- დანართიანი სახელის შემცველი მსაზღვრელ-საზღვრულს შორის (სახლ-მუზეუმი; წევრ-კორესპონდენტი);
- ზმნისწინებით განსხვავებულ ზმნურ ფორმებს შორის, აგრეთვე ანალოგიურ სახელზმნურ (მასდარულსა და მიმღეობურ ფორმებს) შორის (მიიარ-მოიარა, მისვლა-მოსვლა, შესასვლელ-გამოსასვლელი); ...ორივეს ყოფნა-არყოფნა ამაზნა დამოკიდებული... (პრესიდენტი);
- ორმაგი გვარის გასაფორმებლად (ლადო ალექსი-მესხიშვილი, ნატო გაბუნია-ცაგარლისა, ანასტასია ერისთავ-ხომტარია);
- ამა თუ იმ სიტყვას დართული ზოგი ნაწილაკის, განსაკუთრებით ე.წ. "სხვათა სიტყვის" ნაწილაკთა გასაფორმებლად (ჩუმი-მეთქი, უთხარი, მოდი-თქო);
- შესიტყვების ფორმის მქონე უცხოურ გეოგრაფიულ სახელთა, კერძოდ, ქალაქების სახელწოდებათა კომპონენტებს შორის (ნიუ-იორკი, სან-ფრანცისკო, იასნაია-პოლიანა);
- აკრონიმული, ანუ ინიციალური წესით შედგენილი უცხოური აბრევიატურების გასაფორმებლად, კომპონენტების საწყისი ასოების სახელწოდებათა შორის (BBC ბი-ბი-სი, CNN სი-ენ-ენი, KTB კა-გე-ბე);
- სხვადასხვა თანამიმდევრობით წარმოდგენილი ნაირგვარი ნიშნების – ასოს (ასოების) და ციფრის, სიტყვისა და ციფრის (არაბულის, რომაულის), უცხოური ასოს ან ციფრისა და ქართული მწარმოებელი აფიქსის დასაკავშირებლად, აგრეთვე ამ ნიშნების კომპოზიტად გაფორმებისას (მე-2, ვახტანგ V-მ, ტუ-154, -ენ-ისა და -ების, 11-სართულიანი...);
- მომიჯნავე ციფრების ან სიტყვიერად გამოხატული რიცხვების დასაკავშირებლად და/ან კავშირის ფუნქციით (I-II კლასები, ხუთი-ექვსი წლის ბავშვები, X-XI საუკუნეები, 2000-2001 წლები); თუ სხვაობა შეერთებულ რიცხვებს შორის ერთზე მეტია, მაშინ საწყისსა და ბოლო ციფრს შორის გრძელი ხაზი, ტირე (-) დაიწერება (მაგ., XII – XVIII საუკუნეები, 2000 – 2005 წლები). ორსავე შემთხვევაში წინა კომპონენტი სახელობით ბრუნვაში დგას (პირველი-მეორე კლასები);

- ფართოდ გავრცელებული სიტყვების საწყისი და ბოლო ნაწილების შესაერთებლად (ბ-ნი < ბატონი, საზ-ბა < საზოგადოება...);
- სიტყვის დამარცვლისას და გადატანისას (სკო-ლა, სას-წავ-ლე-ბე-ლი), აგრეთვე სიტყვის გრამატიკული ანალიზისას, მაგალითად: ს-თხ-ოვ-დ-ნენ.

დეფისიტ შეერთებული სიტყვები, როგორც წესი, ერთსა და იმავე "სემანტიკურ ველს" განეკუთვნება და ხშირად სინონიმებად ან ანტონიმებად გვევლინებიან (სვე-ბედი, ბედ-იღბალი; ავ-კარგი, მეტ-ნაკლები). დეფისიტ გაფორმებული რთული სიტყვების (კომპოზიტების) ზედსართავებად ან აბსტრაქტულ სახელებად ქცევისას დეფისი უქმდება და კომპონენტები გაუთიშავ სიტყვად დაიწერება (და-ძმა, მაგრამ: დამძური, დამძობა). ზოგი ევროპული ენისაგან განსხვავებით, ქართულში დეფისი არ იწერება ხმოვანშეცვლილი ან თითო-ოროლა ბგერით გართულებული ორმაგი ფუძეების შემცველ სიტყვებში (მაგ., ხევხუვი, არემარე; გოგლიმოგლი, შდრ. რუს. голень-могиль). ამგვარი დაწერილობის საფუძველია რთული სიტყვის თუნდაც ერთი შემადგენელი ნაწილის სემანტიკური ბუნდოვანება.

დეფისის ხმარების წესი დროთა განმავლობაში შეიძლება შეიცვალოს სიტყვის ან გამოთქმის კომპონენტის ცვითის კვალობაზე (მაგ.: რკინიგზა < რკინი-გზა < რკინის-გზა < რკინის გზა).

III. კითხვის ნიშანი (?) დაისმის კითხვითი მიმართვის შემცველი სიტყვის, ფრაზის ან წინადადების ბოლოს. არა აქვს მნიშვნელობა, ამ კითხვებში მონაწილეობს თუ არა კითხვითი სიტყვა-წევრები ან კითხვითი ნაწილაკები. შევადართ ორი წინადადება, ერთი მხრივ:

"რომელი სცნობს შენს სახეს? ან ვინ იტყვის შენს სახელს? ვინ გაიგებს შენს ძახილს? ძახილს ვინ დაიჯერებს?" (გ. ტაბიძე); "სადა ხარ, ჩემო სულიკო?" (აკაკი); ვინ და რა გადაარჩენს საქართველოს ენერგეტიკას? (პრესიდან);

მეორე მხრივ:

- " – შენ რომ ჩემთვის რკო არ მოგიტანიაო?" (ზღაპარი); "ნუთუ სახე არ გინახავს მუშისა?" (გრ. ორბელიანი); " – გირგოლა, შენა?" (ალ. ყაზბეგი); " – არაბი ხარ? – იეზიდი" (ა. კალანდაძე); "ზის და ილიმება ვის უღიმის?" (პრესიდან);

- ზოგჯერ კითხვის ნიშანს უსვამენ რიტორიკულ კითხვასაც, რაც გაუმართლებელია, ვინაიდან ასეთი კითხვა მხოლოდ ფორმითაა კითხვის სტრუქტურისა, შინაარსი კი მტკიცებითი ხასიათისაა. ამიტომ ასეთ კითხვას შესაფერისია დაესვას კითხვით-ძახილის ნიშანი (იხ.).

IV. კითხვით-მახილის ნიშანი (!?) წარმოადგენს ორი სასვენი ნიშნის – კითხვისა და მახილის ნიშანთა კომბინაციას და ოგი იხმარება ძირითადად რიტორიკული კითხვის შემცველი, ე. წ. კითხვით-მახილის წინადადების შემდეგ. მაგალითად:

- "მთვარესა მცხრალსა ვარსკვლავმან ვითამცა ჰკადრა მტერობა?!" (რუსთაველი); "რაღა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია?!" (რუსთაველი); "კაცია ადამიანი?!" "როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!" (ილია); "ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა და ან ცაზე ვარსკვლავები?!" (აკაკი); ხომ არსებობდნენ ბიძინა ჩოლოყაშვილი და ქეთევან დედოფალი, ექვთიმე თაყაიშვილი და დიმიტრი თავდადებული?! (პრესიდან).

V. მრავალწერტილი (...) ჰორიზონტალურ რიგში გამწკრივებული სამი წერტილის კომბინაცია (ტერმინის პირველ – "მრავალ" კომპონენტის უძველეს ტრადიციულ სინონიმად რიცხვი სამი იხმარებოდა). ეს სასვენი ნიშანი გამოიყენება გაწყვეტილი სიტყვის ან დაუმთავრებელი ფრაზისა თუ წინადადების ბოლოს, მათ შორის ციტატის არასრულად მოყვანისას. მაგალითად: ძალოვანი სტრუქტურები არ არჩევენ... საპროტესტო გამოსვლებს" (პრესიდან).

- "მტკი... და დადუმნა ხოლო" (შუშანიკის წამება); "კუთხიგორს ერთი ვარსკვლავი ციმციმებს,.... ქრება... ციმციმებს" (ა. კალანდაძე); მთავარი მაინც თქვენი უნიკალური ეზოა, თავისი... პატარ-პატარა ხიდებით... (პრესიდან).

VI. მძიმე (,) იხმარება:

- შერწყმული წინადადების ერთგვაროვან წევრთა უკავშიროდ შესაერთებლად: "მე მამა მყვანდა მხნე კაცია, მარჯვე, დაულლელი და ბეჯითი, გამრჯე" (ილია); "ხან მიწისა ვარ, ხან – ცისა, ხან არც ესა ვარ, არც ისა" (აკაკი);

- რთული თანწყობილი წინადადების შემადგენელ მარტივ წინადადებათა უკავშიროდ შესაერთებლად: "ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია" (რუსთაველი);

- რთულ ქვეწყობილ წინადადებაში მთავარი და დამოკიდებული წინადადებების მიჯნაზე – როგორც კავშირიანი, ისე უკავშირო შესაერთებისას: "მაშინ თორმეტი წლისა ვიყავი, როცა ბატონმა სახლს მომამორა" (ილია); ირიჟრაჟა თუ არა, სახლი ალყაში მოვაქციეთ: (პრესიდან); "არ იხმარებ, რას ხელსა ჰხდი საუნჯესა დაფარულსა?" (რუსთაველი); ხელისუფლების დიდმა ნაწილმა არ იცის, რა ხდება აფხაზეთში (პრესიდან);

- თუ კავშირიანი წინადადება მოსდევს მთავარს, მძიმე ამ კავშირის წინ დაიწერება და არა მომდევნოდ. ეს კავშირებია: *მაგრამ, ანდა, თუმცა, ოღონდ, სადაც, როცა* და მისთა;
- განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების, მათ შორის ჩართულის, დანართის ან მიმართვის გამოსაყოფად: "გამოჩნდა ქალი ლამაზი, შავის ტანსაცმლით მოსილი" (ვაჟა); თუ ასეთი სიტყვები და გამოთქმები წინადადების შუაშია, მათ მძიმე ორივე მხრიდან გამოყოფს: "გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი" (ბართაშვილი); "გულმან, გლახ, რა ქმნას უგულოდ" (რუსთაველი); დალოცვილო, გუშინ არ გყავდა ტერორისტები შენს ტერიტორიაზე? (პრესიდან);
- ამა თუ იმ წიგნის, სტატიისა და ა.შ. დოკუმენტაციის გაფორმებისას: ავტორის, წიგნის სათაურის, ტომის, გამომცემლობის, გამოცემის ადგილისა და დროის შესახებ არსებული ცნობების ერთმანეთისაგან გასამიჯნავად. მაგ.: ვ. თოფურია, ივ. გიგინეშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი, "განათლება", 1998;
- მძიმე ტირესთან ერთად იხმარება ავტორისეული სიტყვებისა და პერსონაჟთა მეტყველების გასამიჯნავად: " – მე აღარა მესმის-რა, – უთხრა ძმამა, – ამ საცოდავობამ გამაშტერა" (ილია). – არა მგონია, აბაშიძე მედლით მოხიზლულიყო, – მიაჩნია ძიძიგურს (პრესიდან).

VII. ორწერტილი (:): იხმარება:

- რისამე ჩამოთვლისას; დაისმის ჩამოსათვლელი საგნებისა თუ მოვლენების აღმნიშვნელი სიტყვების წინ, მათი განმაზოგადებელი წინამავალი სიტყვის ან მისი შემცველი ფრაზის შემდეგ. განმაზოგადებელ სიტყვებად ხშირად გამოიყენება განსაზღვრებითი და ზოგი სხვა სახის ნაცვალსახელები: *ყველა, ყველაფერი, ყოველი, სხვადასხვა...*, აგრეთვე ზმნიზედები: *ყველგან, ყოველთვის, მუდამ და სხვ.*: "ყველაფერი მდღუმარებს: ხე, ქვა, ტყე, მთა და მინდორი" (ვაჟა);
- ორწერტილი იხმარება მაშინაც, როცა წინამავალ წინადადებაში გარკვეული მინიშნებაა მომდევნო განმარტებაზე. ამ შემთხვევაში მიმანიშნებელი სიტყვებია: *შემდეგი, შემდეგნაირად, ასეთი, ამისთანა, ასეთნაირად, ამგვარად, სახელდობრ, კერძოდ, მაგალითად* და ა. შ. მაგ.: კავკასიაში მრავალი ხალხი ცხოვრობს, კერძოდ: ქართველები, აზერბაიჯანელები, სომხები, აფხაზები, ოსები...;
- ორწერტილი დაისმის უკავშირო ქვეწყობილ წინადადებაში წინამავალი მთავარი წინადადების შემდეგ, რომელსაც მოსდევს მიზეზის (ზოგჯერ მიზნის) ამხსნელი დამოკიდებული წინადადება:

"არა, მყინვარი არ მიყვარს: მისი სიცივე სუსხავს და სითეთრე აბერებს" (ილია);

- ორწერტილი დაისმის პირდაპირი ნათქვამის წინამავალი ავტორისეული სიტყვების შემდეგ, რომლებიც ძირითადად "მეტყველება-წრის" ზმნებით გამოიხატება: *ნათქვამია, თქვა, უთხრა, ბრძანა* და მისთ. მაგ.: "ყმამან უთხრა: ესე საქმე ამას ჰგავსო, არა სხვასა" (რუსთაველი); "იას უთხარით ტურფასა: "მოვა და შეგჭამს ჭიპო" (ვაჟა);

- ამგვარ ზმნებს გარდა, ავტორისეულ სიტყვებში ხშირად მონაწილეობს მეტყველების აღმნიშვნელი სახელებიც (*ანდაზა, სიტყვები, არაკი*). მაგ.: "*უბრძანა: ნუ სტირ, ასულო, ისმინე ჩემი თხრობილი*" (რუსთაველი);

- "*თქვა რუქამ არაკი...*" (საბა); "...არც ეს ბესარიონ გაბაშვილის *სიტყვებია* ურიგო: "ერთი მაქვს სჯობს ათასს მქონდას" (ილია); გალაკტიონის *სიტყვები* გამახსენდა: "უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე" (პრესიდან).

VIII. ტირე (-) წარმოადგენს ჰორიზონტალურ სწორ ხაზს, რომელიც დეფისს სიგრძეში ორჯერ აღემატება.

- ტირე იხმარება შერწყმულ წინადადებაში ამა თუ იმ გამოტოვებული წევრის საკომპენსაციოდ. მაგ.: "არც მიწისა ვარ, არც – ცისა" (აკაკი. – გამოტოვებულია *ვარ ზმნა*). ცალ ხელში წიგნი უჭირავს, მეორეში – ყვავილები (გამოტოვებულია თანდებულისანი სახელი "ხელში" და ზმნა "მიჭირავს");

- ტირეს ძირითადი ფუნქციებია ა) დიალოგურ მეტყველებაში თანამოსაუბრეთა ნათქვამის გამოყოფა ერთმანეთისაგან და ბ) პირდაპირი ნათქვამისა – ავტორისეული რემარკისაგან:

ა) – ტარხუნა ხომ არის?
– გახლავს.
– კიტრი?
– კიტრიც გახლავს (ილია);

ბ) " – არა, წარმოსთქვა მან, – წავიდე, გავშორდე აქაურობას" (ვაჟა).

იმისდა მიხედვით, თუ რა ადგილი უჭირავს წინადადებაში თავკიდურ ან ბოლოკიდურ ავტორისეულ რემარკას, ტირე შესაბამისად მოსდევს ან უსწრებს, ხოლო შუაში მოთავსებულ ავტორისეულ სიტყვებს ტირე ორივე მხრიდან ერთვის წინამავალი მძიმის თანხლებით. მაგ.: " – დახე, ძალღი პატრონს არ მოშორებია, – წამოიძახა

ამხანაგმა, – დალოცვილი პირუტყვია!" (ილია); მისასალმებელია, რომ ძალოვანი სტრუქტურები არ არბევენ... საპროტესტო გამოსვლებს, – განაცხადა... ნანა დევდარიანმა (პრესიდან);

- ზოგჯერ ტირეს საშუალებით გამოიყოფა ჩართული სიტყვები, დანართი და განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები:

"... ჩემი გონების თვალი... ერთ წუთსაც ვერ გავაჩერე – ერთის სიტყვით, ჩემს ტვინში სრული რევოლუცია მოხდა" (ილია); ჯინით სავსე ბოთლს ვგავარ – ერთი სული მაქვს, როდის დავიცვლები (პრესიდან);

- დასასრულ, ტირე იხმარება რისამე ჩამოთვლისას – განმაზოგადებელ სიტყვასა და მასში შემავალი ჩამოსათვლელი კონკრეტული საგნებისა თუ მოვლენების აღმნიშვნელ სიტყვებს შორის. მაგ.: "ერთს ადგილში ხუთი ირემი მოეკლა – სამი ხარი, ორი ფური, ერთილა გაჰქცეოდა" (ვაჟა).

შეიძლება განმაზოგადებელი სიტყვები უკუთანამიმდევრობითაც იყოს დალაგებული. მათ შორის ტირე მაინც იხმარება. მაგ.: "...პატივცემული ღიპი, კოტიტა ხელები, დამორილი სხვილი ფეხები – ესე ყოველი ერთად და თვითოეული ცალკე გახლდათ თავად ლუარსაბის "სულის" ღირსეული სამკაული" (ილია).

IX. ფრჩხილები ().

ფრჩხილები ვერტიკალურად განლაგებული და მიმართულებით ერთმანეთის შემხვედრი წყვილი ნიშნისაგან შედგება. ფრჩხილები ორგვარია: ა) *მრგვალი* () და ბ) *კვადრატული* [].

ა) მრგვალ ფრჩხილებში ჩაისმება:

- სიტყვა, ფრაზა ან მთელი წინადადება, რომელიც განმარტავს ან აზუსტებს სათანადო წინამავალი სიტყვის, ფრაზისა თუ წინადადების მნიშვნელობას, დამახასიათებელია პუბლიცისტური და სამეცნიერო სტილისათვის. მაგალითად:

- "...გვერდით ხონჩით (გობი) მწვადად გამოჭრილი ...ხორცი ედგა" (ვაჟა); "ზოშიას მკვდრებისათვის უნდა "სახელი შეედგა" (საჭმელ-სასმელი შეაწირა)" (ვაჟა); "უცებ მიგიზიდავდათ ჭკვიანური თვალებით (მის თვალებს დღესაც აქვთ ამის უნარი)" (რ. ინანიშვილი); ასეთი მოღვაწის "ჩვენს გუნდში" თამაში (ფეხბურთს არ ვგულისხმობ ამჯერად) უნდა გვიხაროდეს (პრესიდან);

- ამა თუ იმ ლიტერატურული წყაროდან ციტირებისას, აზრის, ილუსტრაციის მოყვანისას ფრჩხილებში ჩაისმის ავტორის გვარი,

ნაწარმოების სათაური, გამოცემის წელი, ადგილი და გვერდი (გაზეთში – ზოგჯერ სვეტი და სტრიქონიც);

- ფრჩხილებში ჩაისმის აგრეთვე კომენტარის ტოლფასი უცხოური (ძირითადად ლათინური) რამდენიმე შემოკლება: (resp.), (sic!)... ეს უკანასკნელი იხმარება მკითხველის ყურადღების გასამახვილებლად;
- მარჯვენა, ჩამკეტი ფრჩხილი ახლავს ჩამოსათვლელი პუნქტებისა თუ ქვეპუნქტების აღმნიშვნელ ციფრებს ან ასოებს: მაგ.: 1), 2), 3)... ან: ა), ბ), გ)...; ეს წესი განსხვავდება დასავლეთის ქვეყნებში მიღებული წესისაგან, რომლის დროსაც განსახილველი საკითხების ან ილუსტრაციების ნუმერაცია ხდება ორმხრივი ფრჩხილების საშუალებით: (1), (2), (3)...

ბ) კვადრატულ ფრჩხილებში ჩაისმის:

- ლიტერატურული წყაროდან დამოწმებულ ილუსტრაციაში მცირებლის მიერ აზრის გათვალსაზიროებლად ან დასაზუსტებლად აღდგენილი სიტყვა ან სიტყვათშეხამება. მაგალითად:

"[აფხაზებს სწამდათ, რომ] არსებობს...ტაროსისა და მეხის ღვთაება" (ივ. ჯავახიშვილი); "[ბერიძემ] უნდა მისცეს ხალხს წესი და რიგი..." (ვაჟა); "[სამხედველო] ნერვი რომ გადაიჭრას, კაცი მაშინ ველარაფერს დაინახავს" (ი. გოგებაშვილი);

- ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში მიღებული ლექსიკოგრაფიული პრაქტიკის მიხედვით პარალელურ ვარიანტაგან კვადრატულ ფრჩხილებში ჩაისმება უკვე გაქრობის გზაზე დამდგარი ვარიანტები ([ერთჟამიერი //] ერთდროული), აგრეთვე შემდგენელთა ამკრძალავი შენიშვნები: [და არა] ან [კი არა]. მაგ.: [ჭადი კი არა] მჭადი; მებადური [და არა მებადური].

X. ძახილის ნიშანი (!) იხმარება:

- ძახილის ან ბრძანებითი წინადადების ბოლოს სხვადასხვა გრძნობის ან ბრძანება-მოწოდების ექსპრესიულად გამოსახატავად. მაგ.: "რა კარგი ხარ, რა კარგი!" (ი. გრიშაშვილი). "სმენა იყოს და გაგონება!" (ალ. ყაზბეგი);
- ლოცვებში ღვთისადმი მიმართვისას: "უფალო, შემიწყალე!" ეს სასვენი ნიშანი, როგორც წესი, გამოიყენება დიალოგურ მეტყველებაში;
- ძახილის ნიშანი დაისმის აგრეთვე სხვადასხვა ენობრივ ფორმულაში:
- *მისაღმება-გამომშვიდობებისას*: გამარჯობა! სალამი! მშვიდობით! გზა მშვიდობისა!

- *მიპტიყებისას*: მობრძანდით! დაბრძანდით! მიირთვით!
- *ლოცვისა და წყევლის ფორმულებში*: ღმერთმა დაგლოცოს! ეშმაკმა დალახვროს! *ლანძღვა-გინების შემცველ გამოთქმებში*: დედას გიტირებ!
- *გამაფრთხილებელ განცხადება-მოწოდებებში*: ფრთხილად! ჩუმად! (მათ შორის საერთაშორისო ფორმულებშიც: SOS!);
- *სამხედრო ბრძანებებსა და სპორტულ განკარგულებებში*: სწორდი! სმენა! ნაბიჯით იარ! ცეცხლი! ხელები მაღლა!... გაისმა ბრძანება – "სმენა!" (პრესიდან);
- *საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ლოზუნგებში* (განსაკუთრებით, ზმნის გამოტოვებისას): "ყველანი – არჩევნებზე!" "პოეზია – უპირველეს ყოვლისა!"

ყველა ამ სახის გამოთქმაში ზმნა, როგორც წესი, გამოტოვებულია და დარჩენილი ნაწილის (ერთი ან ორი სიტყვის) ექსპრესიის გასაძლიერებლად გამოტოვებული ზმნის საკომპენსაციოდ ძახილის ნიშანი იხმარება;

- *წინადადების თავში მოთავსებული ცალკე მდგომი შორისდებულის, უარყოფითი არა ნაწილაკის ან წოდებითში დასმული სახელის შემდეგ*: – არა! მხოლოდ დღეს შენ დაიბადე" (გ. ტაბიძე).

როგორც წესი, ძახილის ნიშანი ახლავს წინადადების თავში ცალკე მდგომ წოდებითში დასმულ სახელს (მიმართვის ფორმას):

- "*ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო!*" (ხალხური ზღაპარი "მელია და ჩიტი"); *მეგობრებო!* წინ, წინ გასწით!" (ი. ევდოშვილი).

თუკი შორისდებულს სახელის მიმართვის ფორმა მოსდევს, მაშინ შორისდებულთან მძიმე დაისმის, ძახილის ნიშანი კი მიმართვის ფორმის შემდეგ გადაინაცვლებს:

- "*ვაშა, რაფიელ!* უმრავლოს მამულსა შენებრი შვილი!" (აკაკი); "*ოხ, ღმერთო ჩემო!* სულ ძილი, ძილი..." (ილია).

მიმართვის ფორმის გამეორების დროსაც ძახილის ნიშანი ბოლო გამეორებული ფორმის შემდეგ დაისმის. წინამავალი კი მძიმით კმაყოფილდება: "ღმერთო, ღმერთო! ეს ხმა ტკბილი გამაგონე ჩემს მამულშიც!" (ილია).

იხმარება აგრეთვე სამეცნიერო ლიტერატურასა და პრესაში უსიტყვო კომენტარის აღსანიშნავად და მკითხველის ყურადღების გასამახვილებლად. ეს ნიშანი ახლავს ფრჩხილებში ჩასმულ ლათინურ შემოკლებასაც.

XI. წერტილი (.) დაერთვის: თხრობითს წინადადებას, რომელიც შეიცავს ფაქტის კონსტატაციას და წარმოადგენს სტილისტიკური შეფერილობის მიხედვით ნეიტრალურ მტკიცებას. სალიტერატურო ენაში, როგორც წესი, წერტილით ფორმდება წინადადებები სამეცნიერო ხასიათის ნარკვევების, საქმიანი ქაღალდებისა და საინფორმაციო საშუალებების (მედიის) ენაში. მაგალითად: :

- "ენათმეცნიერება არის მეცნიერება ენის შესახებ". "გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა მიიღო დიდი ბრიტანეთის სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში";

- წერტილი იხმარება სიტყვების შესამოკლებლად: ა) ადამიანის სახელის ან სახელ-გვარის ინიციალების (საწყისი ასოების) შემდეგ. მაგ.: **ი. ჭ.** (= ილია ჭავჭავაძე); **ბ.** გეოგრაფიულ სახელთა წინამავალი ნომენკლატურული ტერმინის შესამოკლებლად: **ქ.** თბილისი; **მდ.** მტკვარი; **სოფ.** მარტყოფი; **გ.** ენაში არსებული ზოგი მზა ფორმულის შესამოკლებლად: **ე.ი.** (= ესე იგი), **ე.წ.** (= ეგრეთ წოდებული), **და ა.შ.** (= ასე შემდეგ), **იხ.** (= იხილე), **მდრ.** (= შეადარე)...;

- პუნქტობრივ ჩამოთვლისას ციფრების ან ასოების შემდეგ: **1. 2. 3.**, ანდა: **ა. ბ. გ.** თარიღების შემადგენელი კომპონენტების (თვე, რიცხვი, წელი) გასამიჯნავად (პრესიდან).

შენიშვნა: ადრე (უპირატესად – ოქტომბრის რევოლუციამდე) წერტილი შემოკლება იწერებოდა წიგნის, საგაზეთო სტატიისა და მისთ. სათაურის ან ცალკეული თავების სათაურების შემდეგაც, მაგრამ თანამედროვე ქართულში ყველა ამგვარ შემთხვევაში წერტილი ერთეული უკვე აღარ იხმარება: გამოსაყოფი ერთეულები სხვადასხვა ვიზუალური ხერხით (შრიფტი, განლაგება...) იმიჯნება დანარჩენი ტექსტისაგან.

XII. წერტილ-მძიმე (;) წარმოადგენს ორი სასვენი ნიშნის შეხამებას, რომელშიც მძიმეს (,) თავზე აზის წერტილი. ეს ნიშანი თავისი საპაუზო ფუნქციით წერტილზე ნაკლებია და მძიმეზე მეტი. იგი იხმარება:

- თხრობითი წინადადების ბოლოს, რომელიც ანალოგიური ან თანამიმდევრული მოქმედებების ამსახველი მთელი სერიის ერთი რგოლი, ერთი შემადგენელი ნაწილია. მაგალითად:

- "ფუტკრები ათიათასობით ერთად ცხოვრობენ; ყოველივე საქმეს ისინი შეერთებული ძალ-ღონით აკეთებენ; ჯერ ფიჭებს აკეთებენ; ფიჭის უჯრედებში დედა-ფუტკარი კვერცხებს სდებს" (ი. გოგებაშვილი);

- საკანონმდებლო და სხვა ოფიციალურ დოკუმენტებში წერტილ-მძიმე დაისმის ანბანის ასოებით თანამიმდევრობით გამოყოფილი (ა.; ბ.; გ...) ყოველი ქვეპუნქტის (მაგ., კოდექსში) ბოლოს, რომლის შემდეგაც ახალი ქვეპუნქტი აზნაცით იწყება.

უცხო ენათა ბგერების ქართულად გადმოცემის ძირითადი წესები

ტრანსლიტერაციის ამ წესებს ემორჩილება როგორც საერთაშორისო სიტყვა-ტერმინები, ისე საკუთარი სახელები. როდესაც კონკრეტული ენა მითითებული არ არის, ეს იმას ნიშნავს, რომ წესი საერთოა ორი ან მეტი ყველაზე გავრცელებული ცოცხალი ენისათვის, ხოლო ძველი ენებიდან – ბერძნულ-ლათინურისათვის. ზოგიერთი ხმოვანი ფრჩხილებშია ჩასმული იმის ნიშნად, რომ მოცემული წესი ამ ბგერებთან ყველა ენაში არ მოქმედებს.

- a** – ა: Marke – მარკა, mansarde – მანსარდა;
Franklin – ფრანკლინი
ე (ინგლ.) დახურულ მარცვალში (თანხმოვნებს შორის):
businessman – ბიზნესმენი; Jackson – ჯექსონი
ეი (ინგლ.), თუ მომდევნო მარცვალი მუნჯ e-ს შეიცავს:
game – გეიმი; Baker – ბეიკერი
ო (ინგლ.) l(l)-ს წინ: hall – ჰოლი; Baldwin – ბოლდუინი
- ä, ae** – ე: Generalität – გენერალიტეტი, Caesar – ცეზარი,
Güldenstaedt – გიულდენშტედტი
ო (ინგლ.): Caesar – სიზარი, Aegis – იჯისი
- ai** – ე: maitre – მეტრი; Cairns – კერნზი, Verlaine – ვერლენი
- au** – ო (ფრანგ.): Baudelaire – ბოდლერი, Maurois – მორუა,
Daudet – დოდე
- au, aw** – ო (ინგლ.): Austin – ოსტინი, Lawrence – ლორენსი
- ay** – აი: Ayer – აიერი, Baye – ბაი
ეი (ინგლ.): display – დისპლეი, Rayfield – რეიფილდი
- b** – ვ (ესპ.): La Habana – ჰავანა, Córdoba – კორდოვა
- c** – e (ae), i, (y)-ს წინ:
ც (ლათ.): Ceres – ცერერა, Cicero – ციცერონი,
Scylla – სცილა
ს: iceberg – აისბერგი, city – სიტი; Cesar – სესარი,
Andalucia – ანდალუსია, Cyrano de Bergerac – სირანო დე
ბერჟერაკი
ჩ (იტალ.): violoncello – ვიოლონჩელი; Cellini – ჩელინი,
cicerone – ჩიჩერონე
კ (სხვა ბგერებთან): camera – კამერა, credo – კრედო;
Canada – კანადა, Cuba – კუბა, Columbia – კოლუმბია
- ch** – კ (იტალ.): Zecchi – ცეკი, Verrocchio – ვეროკიო
– ქ (ბერძნ. / ლათ.): cholera – ქოლერა; Bacchus – ბაკქუსი
ხ (გერმ.): Bach – ბახი, Fichte – ფიხტე, Brecht – ბრეხტი

- კ (იტალ.): Schipa – სკიპა (მაგრამ: Michelangelo – მიქელანჯელო), აგრ. ბერძნული წარმოშობის სიტყვებში: Christoph – კრისტოფი, Christian – კრისტიანი
- ჩ (ინგლ.): champion – ჩემპიონი; Chaplin – ჩაპლინი, Chicago – ჩიკაგო, Churchill – ჩერჩილი;
- (ესპ.): chacona – ჩაკონა
- შ (ფრანგ.): chantage – შანტაჟი; Cherbourg – შერბური
- ck
dt
e – კ (გერმ. / ინგლ.): block – ბლოკი; Dickens – დიკენსი
- დტ: Schmidt – შმიდტი, Brandt – ბრანდტი
- ე: business – ბიზნესი; Egmont – ეგმონტი, Edison – ედისონი
- ი (ინგლ.): Eden – იდენი, Exeter – ექსიტერი
- ea
eau
ee
ei/ey – ი (ინგლ.): peak – პიკი; Seaborg – სიბორგი
- ო (ფრანგ.): Beaumarches – ბომარშე, Rousseau – რუსო
- ი (ინგლ.): Lee – ლი, Green – გრინი
- აი (გერმ.): Reich – რაიხი, Leipzig – ლაიფციგი, Meyer – მაიერი
- ი (ინგლ.): O'Neill – ო'ნილი, Berkeley – ბერკლი, Sidney – სიდნი
- ეი (ინგლ.): Disney – დისნეი; (ფრანგ.): Reynaud – რეინო
- em – ე (ფრანგ.): Beine – ბენი, Montmirey – მონმირე
- ამ (ფრანგ.): Montalembert – მონტალამბერი, Sembat – სამბა
- en – ან /ენ (ფრანგ.): genre – ჟანრი, enclave – ანკლავი; Henri – ანრი, Vendryes – ვანდრიესი
- eu – ე (ფრანგ.): Eugène – ეჟენი, Richelieu – რიშელიე
- ew – ოი (გერმ.): Feuerbach – ფოიერბახი, Eugen – ოიგენი
- უ (ინგლ.): Andrew – ენდრუ
- იუ (ინგლ.): Dewsbury – დიუზბერი, Matthews – მათიუზი
- f – უი (ინგლ.): Lewis – ლუისი
- ფ: factum – ფაქტი, finale – ფინალი; Ford – ფორდი, Frank – ფრანკი
- g – e, i, (y)-ს წინ:
- ჯ (ინგლ.): image – იმიჯი; Georgia – ჯორჯია (მაგრამ: Gilbert – გილბერტი); (იტალ.): Germi – ჯერმი, Gigli – ჯილი, Giusti – ჯუსტი
- ჟ (ფრანგ.): gelée – ჟელე, gilet – ჟილეტი; Gide – ჟიდი, Gerhardt – ჟერარი, Genève – ჟენევა, Gironde – ჟირონდა
- ხ (ესპ.): Angel – ანხელი, Giral – ხირალი
- გ (სხვა ბგერებთან): Galilei – გალილეი, Congo – კონგო, Gounod – გუნო, Ygnacio – იგნასიო, Guttuso – გუტუზო

- gh – გ: Alighieri – ალიგიერი, Birmingham – ბირმინგემი
- gia – ჯა (იტალ.): Giacomo – ჯაკომო
- gio – ჯო (იტალ.): Giorgione – ჯორჯონე
- gna – ნა (იტალ.): Bologna – ბოლონია
- gni – ნი (იტალ.): Segni – სენი
- gno – ნო (იტალ.): Giovagnoli – ჯოვანიოლი
- gu – გ: e, i-ს წინ (ესპ.): Miguel – მიგელი, Guilieni – გილიენი
ხმოვნების წინ (ფრანგ.): Guy – გი, Peguy – პეგი
სხვა ბგერებთან:
გოუ (ფრანგ.): Gustave – გიუსტავი, Auguste – ოგიუსტი
გვ (ესპ.): Guatemala – გვატემალა, Paraguay – პარაგვაი
(იტალ.): Gvarneri – გვარნერი
გუ (იტალ.): Guerrazi – გუერაცი, Guasila – გუაზილა
- h – ჰ: Horatius – ჰორაციუსი, Harris – ჰარისი, Heine – ჰაინე
Harward – ჰარვარდი, Holland – ჰოლანდია
ზოგჯერ არ გამოითქმის:
1. სიტყვის თავში ხმოვნის წინ: (ფრანგ.): Henri – ანრი;
(ესპ.): Hector – ექტორი, Halen – ალენი, Huelva – უელვა
2. (გერმ.): ა) ხმოვანსა და მომდევნო e-ს ან თანხმოვანს
შორის: Behling – ბელინგი, Behrendt – ბერენდტი,
Hohenzollern – ჰოენცოლერნი;
ბ) r-ს შემდეგ : Rhovolt – როვოლტი
3. სიტყვის ბოლოს: Neuloh – ნოილო
- i – ი: Bilbao – ბილბაო, Milton – მილტონი
აი (ინგლ.): time – ტაიმი; Wright – რაიტი
არ გამოითქმის e-ს შემდეგ (იტალ.): Riccioli – რიჩოლი
- ie – ი (გერმ. / ინგლ.): Dietrich – დიტრიხი,
Winfried – ვინფრიდი, Priestley – პრისტლი
- in – ენ (ფრანგ.): bulletin – ბიულეტენი, Chopin – შოპენი
- j – ხმოვნის წინ:
ი (ლათ. / გერმ.): Julius – იულიუსი, Jaspers – იასპერსი
ჯ (ინგლ.): Jerome – ჯერომი, Joyce – ჯოისი
ჟ (ფრანგ.): Jeanne d'Arc – ჟან დ'არკი, Jordan – ჟორდანი
ხ (ესპ.): José – ხოსე, Jimenes – ხიმენესი
- lh – ლი (ესპ.): Lhorente – ლიორენტე
- ll+ხმ. – ლი (ესპ.):
lla – ლა: Sevilla – სევილია, Antilla – ანტილია
lle – ლიე: Alle – ალიე, Rio Gallegos – რიო-გალიეგოსი
llo – ლიო: Hermosillo – ერმოსილიო,
Trujillo – ტრუხილიო
llu – ლიუ: Caballuko – კაბალიუკო
- ña – ნა (ესპ.): Cataluña – კატალონია

ño	-	ნო (ესპ.): Marañon – მარანიონი
ñu	-	ნიუ (ესპ.): Bañusca – ბანიუსკა
o	-	ო: colonia – კოლონია, nocturne – ნოქტიურნი; Pompei – პომპეი, Rochester – როჩესტერი
oe / ö	-	ე (გერმ.): Köln – კელნი, Röntgen – რენტგენი, Schönberg – შენბერგი, მაგრამ: Goethe – გოეთე
oi / oy	-	ოუ (ინგლ.): Sillitoe – სილიტოუ
oi / oy	-	უა (ფრანგ.): Antoine – ანტუანი, Dubois – დიუბუა, Geoffroy – ჟოფრუა
oo	-	უ (ინგლ.): Moor – მური, Cooper – კუპერი, Liverpool – ლივერპული
ou	-	ა (ინგლ.): Douglas – დაგლასი
ou / ow	-	უ (ფრანგ.): Pompadour – პომპადური
ou / ow	-	აუ (ინგლ.): tower – ტაუერი; Howard – ჰაუარდი, Grout – გრაუტი
ow	-	ოუ (ინგლ.): Lowell – ლოუელი
p	-	პ: port – პორტი; Paris – პარიზი, Pottier – პოტიე
ph	-	ფ: philosophia – ფილოსოფია; Phoenix – ფენიქსი, Philadelphia – ფილადელფია
ps	-	ფს: capsula – კაფსული; Psellos – ფსელოსი, Psilander – ფსილანდერი
qu	-	კვ (ლათ.): quorum – კვორუმი; Quintus – კვინტუსი; (იტალ.): Quasimodo – კვაზიმოდო
que	-	კუ (ინგლ.): Quine – კუაინი, Quincy – კუინსი
que	-	კე (ესპ.): Enrique – ენრიკე, Siqueiros – სიკეიროსი
qui	-	კი (ესპ.): Quintana – კინტანა, Quito – კიტო
s	-	ს: Simon – საიმონი, De Amicis – დე ამიჩისი
s	-	ზ: ა) ხმოვნის წინ (გერმ.): Salzburg – ზალცბურგი, Singer – ზინგერი; ბ) ხმოვნებს შორის (ლათ.): Elysium – ელიზიუმი; (იტალ.): Cimarosa – ჩიმაროზა
sc	-	e, i-ს წინ შ (იტალ.): Scisciario – შიშარო, Scicolone – შიკოლონე
sch	-	სე: Bosco – ბოსკო
sch	-	შ (გერმ.): Schiller – შილერი
sh	-	შ (ინგლ.): show – შოუ; Shakespeare – შექსპირი, Shaw – შო(უ), Shelley – შელი
sp	-	შპ (გერმ.): Spion – შპიონი; Spengler – შპენგლერი
ss, ß	-	ს (გერმ.): Straße – შტრასე; Lessing – ლესინგი
st	-	შტ (გერმ.): Storm – შტორმი; Steiner – შტაინერი, Stuttgart – შტუტგარტი

- t** - ტ: Hamlet – ჰამლეტი, Toledo – ტოლედო, Torino – ტურინი
- th** - თ: Theater / theatre – თეატრი; Macbeth – მაკბეთი, Arthur – ართური, მაგრამ ტრადიციით: Othello – ოტელო
- tz** - ც (გერმ.): Hertz – ჰერცი; Nietzsche – ნიცშე
- u** - უ: Julian – ჯულიანი, Ludwig – ლუდვიგი
 იუ (ინგლ.): Hubert – ჰიუბერტი, Canute – კანიუტი; (ფრანგ.): Dumas – დიუმა, Camus – კამიუ
 ა (ინგლ.): Butler – ბატლერი, Russell – რასელი
 ე (ინგლ.): Churchill – ჩერჩილი, Burbank – ბერბანკი
- un** - უნ (ფრანგ.): Lebrun – ლებრენი
- ü** - იუ: Büchner – ბიუხნერი, Lübeck – ლიუბეკი
- v** - ფ (გერმ.): Vorsatz – ფორზაცი; Vogt – ფოგტი
 ვ: Crivitz – კრივიცი
- w** - ხმოვნის წინ:
 ვ (გერმ.): Wunderkind – ვუნდერკინდი; Weimar – ვაიმარი;
 (ინგლ.): Waterloo – ვატერლოო, Darwin – დარვინი, Washington – ვაშინგტონი, West Indies – ვესტინდოეთი
 უ (ინგლ.): Wardrop – უორდროპი, Watson – უოტსონი, Wellington – უელინგტონი, Wimbledon – უიმბლდონი
- wh** - უ (ინგლ.): Whitman – უიტმენი
- x** - ქს: xerox – ქსეროქსი; Oxford – ოქსფორდი
 გზ: Saint-Exupéry – სენტ-ეგზიუპერი
 ს (ესპ.): Extremadura – ესტრემადურა
- y** - ი: Scylla – სცილა, Ryck – რიკი
 აი: Byron – ბაირონი, Dyson – დაისონი
 ე: Byrd – ბერდი, Byrne – ბერნი
- ya** - ია: Goya – გოია
- z** - ზ (ინგლ.): Elizabeth – ელიზაბეთი; (ფრანგ.): Zola – ზოლა
 ს (ესპ.): Juan Fernandez – ხუან-ფერნანდესი, Cadiz – კადისი
- z /zz** - ც (იტალ.): Zacconi – ცაკონი, Zappa – ცაპა, Bozzole – ბოცოლე
 ძ (იტალ.): Zavattini – ძავატინი, Mazzini – მაძინი

უცხოური საზოგადო თუ საკუთარი სახელეების ორმაგი თანხმოდ ნები ქართულში ცალი თანხმოდნით გადმოიცემა. მაგალითად: Hermann Hesse – ჰერმან ჰესე, Maupassant – მოპასანი, Hoffmann ჰოფმანი, Guttuso – გუტუზო, Schiller – შილერი და სხვ.

ტიპობრივი ენობრივ-სტილისტიკური შეცდომები თანამედროვე ქართულ პრესაში

2001 წლის ქართული დამოუკიდებელი გაზეთების მიხედვით

მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი მასმედიის საერთო ენობრივი დონე მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელია, მაინც საკმარაოდენობით შეიმჩნევა ნორმატიული ხასიათის დარღვევები და სტილისტიკური შეუსაბამობანი.

ჯერ შევხებით *ტრადიციულ ტიპობრივ შეცდომებს*. ისინი, ცხადია, ყველა გაზეთში ერთნაირი სიხშირით არ გვხვდება, მაგრამ მეტ-ნაკლებად თითქმის ყველგან დასტურდება.

ორთოგრაფიულ-გრამატიკული შეცდომები

I. წმინდა *ორთოგრაფიული საკითხებიდან* აღსანიშნავია:

- ზედმეტი ხმოვნები ზოგ ქართულ სიტყვაში (რამოდენიმე, მომსახურება, სამსახურეობრივი, განზოგადობა, წარმოჩინდა, ყიდიდა, გააგზავნის...);
- უცხოურ (საერთაშორისო სიტყვებში *ლა* და *ლუ* კომპლექსების შემცველი რამდენიმე სიტყვის უმართებულო (ო-ჩართული) დაწერილობა (ეგზემპლარი, ტრანსლიაცია, სპეკულანტი, პლოუსი...);
- სახეცვლილი, ზედმეტი ან ნაკლები ბგერები უცხოურ სიტყვებში: აბსოლიტური (< აბსოლუტური), პოლიომელიტი (< პოლიომიელიტი), კარდეოლოგი (< კარდიოლოგი), ცეროზი (< ციროზი), გენიკოლოგია (< გინეკოლოგია), ინცინდენტი (< ინციდენტი), პრეცენდენტი (< პრეცედენტი), კონსესუსი (< კონსენსუსი), ინსტიქტურად (< ინსტინქტურად), კონტიგენტი (< კონტინგენტი), კომფლიქტი (< კონფლიქტი), კომფორმიზმი (< კონფორმიზმი), იმფლაცია (< ინფლაცია) და ა.შ.
- ზოგი კომპოზიტის (რთული სიტყვის) უმართებულო დაწერილობა: ორ სიტყვად (არა თუ, არც თუ), დეფისით (ხუთ-კაცნიანი) ან მის გარეშე (ამა თუიმ, ერთერთი, არცკი). განსაკუთრებით დიდი სიჭრელეა უცხოური რთული შედგენილობის მქონე სიტყვების, მეტადრე ახალი სპორტული ტერმინების გაფორმებისას: ერთი და იგივე ერთეული იწერება ხან ერთ სიტყვად და შერწყმულად, ხან

დეფისით, ხან კი – ორ სიტყვად (პლეი-ოფი, პლეი ოფი, პლეიოფი; ჰეთ თრიქი და ჰეთ-თრიქი; ბოლო წყვილში სხვა სახის შეცდომაცაა: ფშვინვიერი თ და ქ თანხმოვნების ნაცვლად შესაბამისი მკვეთრი ტ და კ თანხმოვნები უნდა ეხმარათ).

II. მორფოლოგიური სახის შეცდომები:

- ა-ზე ფუძეგათავებულ გეოგრაფიულ სახელთა (საქართველოს ზოგიერთი რეგიონის, აგრეთვე უცხოეთის, განსაკუთრებით, აშშ-ის შტატების სახელწოდებათა) უკვეცელობა ნათ. ბრუნვაში (სიდას, გაგიდას, ხურჩას, აგუძერას... მოსახლეობა... იუტას, ალაბამას, არი-ზონას, ოკლაჰომას...შტატები);
- მესამე ობიექტური პირის ს-/ჰ- ნიშნების ჭარბი ხმარება ერთპირიან ზმნებში (წარსდგა, შესდგება, მიჰქრის) ან დაკლება (ჭირდება, გავს, ყავს, მოწონს, ქონდა);
- თემატური -ავ სუფიქსის ხმარება -ამ სუფიქსის ნაცვლად (აბავს, სვავს...), ანდა უთემისნიშნო ზმნებში (ტეხავს, გადაკვეთავს, წყვიტავს, სრისავს...); აგრეთვე -ავ ბოლოსართის ნაცვლად -ია-ს ხმარება I თურმეობითში (უნახია, უთქვია, წაუკითხია...);
- ძველი ზმნისწინისეული ნ, რ, ღ თანხმოვნების შენარჩუნება უზმნისწინო ფორმებში: აწმყოში, ნამყო უსრულში (ანსახიერებს, ანსხვავენს, ანვითარებს..., გირდგენტ, ღზრდის);
- ვარ/ხარ მეშველი ზმნის უმართებულო ხმარება ზოგი სახის ზმნაში (ყვირიხარ, ვტირივარ, მღერიხარ, ვტყუივარ);
- უცხოურ სიტყვათაგან ნაწარმოებ უპირო ფორმებში -ირ სუფიქსის უადგილო ხმარება (რეკომენდირება), ანდა ერდთროულად -იზ და -ირ სუფიქსების გამოყენება (პრივატიზირება, მექანიზირება);
- ფორმანტისეული ვ თანხმოვნის დაკლება (აყიდ(ვ)ინებს; დააბეჭდ(ვ)ინა, შეანახ(ვ)ინა; შევიტყ(ვ)ე, დააწყ(ვ)ეს) ან ზოგ ფორმაში ვ ბგერის ზედმეტად ხმარება (აფართოვებს, დააჯილდოვებს; უგრძვნია, უცვნია; დააცალკევოს, განასხვავოს);
- ზოგიერთი სიტყვის (ნაცვალსახელის, ზმნიზედის) უმართებულო ფორმაწარმოება (ჩვენთაგანი, თქვენთაგანი; ახლახანს...);

III. სინტაქსური სახის შეცდომები:

- ქვემდებარე-შემასმენლის შეუთანხმებლობა რიცხვში. ერთი მხრივ, მრავლობითში დასმული სულიერი საგნის სახელით გამოხატულ ან ერთგვარ ქვემდებარეებთან ზმნა-შემასმენელი მხოლოობითშია (ამერიკელები უშველის; მრეწველები და ტრადიციონალის-

ტები... მსჯელობდა); მეორე მხრივ, კრებითი სახელებით ან მრავლობითში დასმული უსულო საგნის სახელებით გამოხატულ ქვემდებარებთან შემასმენელი მრავლობითშია (ხელმძღვანელობა/ უმრავლესობა ცდილობდნენ; არსებობენ პიესები);

- მრავლობითში დასმულ სახელებთან ან ერთგვარ ქვემდებარებთან რიცხვმონაცვლე ზმნების გამოუყენებლობა (გოგო და ბიჭი ზის – ნაცვლად **სხედან** ზმნისა);
- სიმრავლის გამოხატველ მსაზღვრელთან საზღვრულის შეუთანხმებლობა რიცხვში (მრავალი პრობლემები, ყველა მონაწილეები);
- უკუქცევითი კუთვნილებითი ნაცვალსახელის "თავიანთის" ნაცვლად მხოლოობითი "თავისი" ფორმის ხმარება (ეცდებიან თავისი შანსის გამოყენებას);
- რთული ქვეწყობილი წინადადების მისამართი სახელისა და წევრ-კავშირის შეუთანხმებლობა რიცხვში (საკითხები, რომელიც...);
- მსაზღვრელ-საზღვრულის შეუთანხმებლობა ბრუნვაში (იგივე საკითხებზე, თავის შეხედულებით);
- ზმნის მიერ სახელის ბრუნვაში მართვის წესების დარღვევა (სცემა იგი, მოუწია ცდა, მოუყვა მან);
- ემფატიკური (სავრცობი) ა ხმოვნის უგულებელყოფა ნათ. ბრ-ში დასმულ მომდევნო მსაზღვრელთან (წინააღმდეგი იმის); და კავშირის წინამავალ უთანდებულო თუ თანდებულიან სახელებთან გარკვეულ ბრუნვებში (პარტიებს და კანდიდატებს, სოფლებში და ქალაქებში);
- წევრ-კავშირების აღრევა: ვინც, რაც მიმართებითი ნაცვალსახელები რომელიც წევრ-კავშირის ნაცვლად (ის ქალები, ვინც...);
- თანდებულების აღრევა: -ზე / -თვის (მოვალეობის დაკისრება მოსახლეობაზე), -ზე /-გან (თავი შეიკავეს თანამშრომლობაზე); -გან /-თან (წინა წლებისაგან შედარებით);
- მიზეზისა და მიზნის გარემოებათა აღრევა (იმის გამო, რომ სტაბილურობა დამყარდეს);
- სხვათა სიტყვის ნაწილაკთა (-მეთქი, -თქო, -ო) აღრევა (უთხარი, მოვალე; ხომ ვთქვი, გადადგებიან-თქო).

პუნქტუაციური შეცდომები

პუნქტუაციური შეცდომები გულისხმობს ამა თუ იმ სასვენი ნიშნის დაკლებას, ჭარბ ხმარებას ან ერთის ნაცვლად სხვა სასვენი ნიშნის ხმარებას.

ყველაზე ტიპობრივია მძიმის ხმარებასთან დაკავშირებული შეცდომები. მოლოდინის საწინააღმდეგოდ, მძიმის ჭარბი ხმარების მაგალითები დიდად აღემატება მისი გამოტოვების შემთხვევებს. იგი დაუბრკოლებლად დაისმის წინადადების ნებისმიერი წევრის შემდეგ, ამასთან, მაშინაც კი, როცა წინადადება არ შეიცავს განკერძოებულ სიტყვებსა და გამოთქმებს (ჩართულს, დანართს, მიმართვას), რომლებიც მძიმეებით გამოიყოფა.

მძიმე უპირატესად დაისმის ფორმაუცვლელი სიტყვების შემდეგ. ასეთი სიტყვებია: *ზმნისართი* (ზმნიზედა), *კავშირი* და *ნაწილაკი*, აგრეთვე *თანდებულიანი სახელები*, რომლებიც გაქვავებულ სიტყვებს ემსგავსება. ზმნიზედებიდან მძიმე ყველაზე ხშირად მოსდევს ვითარების ზმნიზედებს (*ჯერჯერობით*, *ძირითადად*, *შემთხვევით*, *არსებითად*, *ნამდვილად*, *რეალურად*, *ტრადიციულად*, *ხშირად*, *თავისთავად*...), აგრეთვე დროის, ადგილის, მიზეზისა და მიზნის ზმნიზედებს ან თანდებულიან სახელებს (*ხშირად*, *ეზინდება* გონება; *რეალურად*, ეს არის გადატრიალების მცდელობა; *ჯერჯერობით*, არავინ მოსულა...)

მძიმე თითქმის ყოველ ნაბიჯზე გვხვდება გარკვეული ნაწილაკებისა და კავშირების შემდეგ. ესენია: *მაგრამ*, *კი*, *თუმცა*, *თურმე*, *თუნდაც*, *თითქოს*, *თითქმის*, *სწორედ*, *მაინც* და მისთ. (ცემით, *თითქმის*, სიკვდილის პირას მიიყვანეს; *თითქოს*, მინდოდა მოესწრო; *თუმცა*, ლიდერი, *თურმე*, ის პიროვნებაა; *მაგრამ*, მოვლენები შეიცვალა; მას *კი*, ბევრი ფული აქვს; *სწორედ*, მისი წყალობით გაიმართა შეჯიბრება).

მეორე მხრივ, მძიმე აკლია იქ, სადაც იგი აუცილებელია, კერძოდ, განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების შემდეგ (*მართალია*, *ცხადია*, *რა თქმა უნდა*, *რასაკვირველია* და მისთ. მაგალითად: *მართალია*, მძიმე გადაწყვეტილებაა; *დღეს მგონი*, პირიქითაა; მართვის სადავეები *რა თქმა უნდა* თვისობრივად შესუსტებულია; *მისი აზრით* უმაღლესი რეიტინგი ვაკეში აქვს სააკაშვილს).

ლექსიკურ-სტილისტიკური საკითხები

ლექსიკურ-სტილისტიკური თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს რამდენიმე საკითხი: სიტყვაწარმოება, სიტყვის შერჩევა, პარონიმე-

ბი, სიტყვათა რიგი, იდიომატიკისა და კონტამინაციის, კალკების, ჟარგონიზმების, ბარბარიზმებისა და ვულგარიზმების საკითხები.

სიტყვაწარმოებიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სპორტულ გაზეთ "სარბიელში" და სხვა გაზეთების სპორტულ გვერდებზე წარმოდგენილი მასალა, რომელიც კრიტიკას ვერ უძლებს. ამკარაა, რომ ქართული სიტყვაწარმოებითი აფიქსები გამოიყენება ახალი სიტყვების საწარმოებლად ამ აფიქსების ფუნქციების გაუთვალისწინებლად. რამდენიმე დამახასიათებელი მაგალითი:

მე – ე: მეგოლე (=გოლის გამტანი, იგივე *გოლეადორი*), მეფარე (= ფარის დამცველი (?), შდრ. *მეკარე*), მეჩოგნე (= ჩოგბურთელი); მექულე (= ქულების შემძენი), მეპასე (= პასის მიმწოდებელი).

-ოსან-: პირველადგილოსანი, მეორედგილოსანი, მესამედგილოსანი, მეშვიდეადგილოსანი, ბოლოადგილოსანი; მძიმეწონოსანი.

-ეულ-: ათწუთეული, ხუთწუთეული.

-ობა: ფანობა = ფანების (ფან[ატიკოს]ების) ერთობლიობა.

ნა – ევ-ს: ნამატჩევს (შდრ. *ნასადილევის, ნავახშმევის, ნასაუზმევის*).

-იან-: ორგაფრთხილებიანი.

უ – ო: უმთავარმწვრთნელო.

სა – ო(დ): სამსოფლიოჩემპიონატოდ.

ქართული დერივაციული საშუალებები გამოყენებულია უცხოური ტერმინების საწარმოებლადაც (*პლეი ოფი: საპლეიფო; უპლეიფო*).

ამასთანავე, გვხვდება ისეთი ზმნური ფორმები, როგორცაა: *აჩემპიონა* (= ჩემპიონი გახადა), *იპირველა* (= პირველ ადგილზე გამოვიდა), *უპასა* (= პასი მიაწოდა) და სხვ.; მიმღეობური ფორმები: *თავგამოჩენილი* (= ვინც თავი გამოიჩინა), *ახალპატრონგაჩენილი* (= ვისაც ახალი პატრონი გაუჩნდა) და ა.შ. ყველა შემთხვევაში ჩანს სპორტული ჟურნალისტების თვითმიზნური მისწრაფება მეტყველების ეკონომიისაკენ.

ინოვაციებთან შედარებით უმნიშვნელოა *არქაიზმების* წილი, მაგრამ ამ ფონზე კიდევ უფრო თვალში საცემია მათი ინტენსიური ხმარება. ეს, პირველ ყოვლისა, ეხება კავშირ "რამეთუს", ზმნიზედას "რუდუნებით" და მისთ., რომლებიც არცთუ იშვიათად არღვევენ საერთო სტილს და ყალბ მაღალფარდოვნებას სძენენ ნათქვამს.

მიდრეკილება შესიტყვებათა ერთ სიტყვად თვითმიზნური შემჭიდროებისადმი ვლინდება *სიტყვათა შერჩევის* დროსაც. ჩაიჯობა ზმნის ხმარება დამსახურებულად (ვთქვათ, ინტელექტუალურ კონკურსში გამარჯვების შედეგად) ნაშოვნი "ფულის ჩადების" აღსანიშნავად აღქმულია ისეთივე შემოკლებად, როგორსაც ქმნის ჟურნალისტი ყველა ზემომოყვანილ შემთხვევაში.

განსაკუთრებით თვალში საცემია დაუდევარი დამოკიდებულება *იდიომური გამოთქმებისადმი*. ფართოდ გავრცელებული ფრაზეოლოგიზმი "მადლობა გადაუხადა" დღეს საკმაოდ იშვიათად გვხვდება ახალგაზრდა თაობის ჟურნალისტების მეტყველებაში... მის ნაცვლად გვესმის "მადლობის მოხდა", რომელიც წარმოადგენს "ბოდიშის მოხდისა" და "მადლობის გადახდის" კონტამინაციას.

ტრადიციული შეცდომები შემორჩა გაზეთის ენას ქართული და უცხოური *პრონიმების* ხმარებისას (ცნება – მცნება, კომპანია – კამპანია, განწყობა – განწყობილება, აღქმა – აღთქმა...); მათ დაემატა ზოგი სხვაც (მიმართებით – მიმართულებით, პირი – პიროვნება, უნებური – უნებლიე...).

კვლავაც იხმარება "*სარეველა*" სიტყვები (*უბრალოდ, პრინციპში, საქმე, მომენტი, აი* და სხვ.). ეს სტერეოტიპები დღესდღეობით ერთ-ერთი საშუალებაა თვითმიზნური (და თვითნებური!) ენობრივი ინოვაციების საკომპენსაციოდ.

რაც შეეხება *უცხოენოვანი ნასესხები ლექსიკის* გამოყენებას, იგი საკმაოდ დიდი დოზით იხმარება თანამედროვე პრესაში და უშუალო ნასესხობათა რიცხვი იზრდება ნაწილობრივი სესხების – *კალკირების* ხარჯზედაც. ტრადიციული კალკები დღესაც იხმარება (გაყიდვაშია, ადგილი აქვს, საქმე იმაშია, რომ...), მათ რამდენიმე ახალიც შეემატა (შეტევაშია, სახეზეა, გადაურეკავს...).

და მაინც, დამოუკიდებელ პრესაში ყველაზე თვალშისაცემია *ბარბარიზმები, ჟარგონიზმები* და *ვულგარიზმები*, ზოგჯერ – თვით სკაბრეზული სიტყვებიც კი, როგორც მეტყველების დემოკრატიზაციის ყალბი სიმპტომი. ისინი ხან ბრჭყალებშია, ხან კი – მათ გარეშე ("კრიშა", რაზბორკა, "ასკოლკა", "პრაჩოსკა", "გულაობენ", "ავერ-ბოკვებენ", "დაგლუშული", "გაუჩალიჩა", ახურებენ, დაირტყა, ჩაისვარა, აწვებოდნენ, "უტყდება", "ვაბირქავებდით"). ამ მხრივ სპორტულ გაზეთებსა თუ საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთების სპორტულ გვერდებზე დაბეჭდილ მასალას დიდად არ ჩამორჩება ქვეყნის პოლიტიკური თუ ეკონომიკური ცხოვრების ამსახველი მასალაც.

ცნობები გაერთიანებულ ერობის ორგანიზაციაში შემაჯავლი ქვეყნების შესახებ

ქვეყანა	ოფიციალური სახელწოდება	დედაქალაქი	ოფიციალური ენა (ენები)	ფულის ერთეული
1	2	3	4	5
ავსტრალია	ავსტრალიის კავშირი	კანბერა	ინგლისური	ავსტრალიური დოლარი
ავსტრია	ავსტრიის რესპუბლიკა	ვენა	გერმანული	ევრო (ავსტრიული შილინგი)
ავღანეთი	ავღანეთის ისლამური სახელმწიფო	ქაბული	პუშტუ, დარე (ავღანური სპარსული)	ავღანე
აზერბაიჯანი	აზერბაიჯანის რესპუბლიკა	ბაქო	აზერბაიჯანული	მანათი
ალბანეთი	ალბანეთის რესპუბლიკა	ტირანა	ალბანური	ლეკი
ალჟირი	ალჟირის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა	ალჟირი	არაბული	ალჟირის დინარი
ამერიკა	ამერიკის შეერთებული შტატები	ვაშინგტონი	ინგლისური	აშშ-ის დოლარი
ანგოლა	ანგოლის რესპუბლიკა	ლუანდა	პორტუგალიური	ახალი კვანზა
ანდორა	ანდორის სამთავრო	ანდორა-ლა-ვეიხა	კატალონიური	ფრანგული ფრანკი, ესპანური პესეტა
ანტიგუა და ბარბუდა	ანტიგუა და ბარბუდა	სენტ-ჯონსი	ინგლისური	ადმ. კარიბის დოლარი

1	2	3	4	5
არამეთი	არამეთი გაერთიანებული საამიროები	აბუ-ზაბდ (// აბუ-დაბდ)	არამეთი	დირჰამი
არგენტინა	არგენტინის რესპუბლიკა	ბუენოს-აირესი	ესპანური	არგენტინული პესო
ახალი ზელანდია	ახალი ზელანდია	უელინგტონი	ინგლისური	ახალი ზელანდიის დოლარი
ბანგლადეში	ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკა	დაკა	ბენგალური	ტაკა
ბარბადოსი	ბარბადოსი	ბრიჯტაუნი	ინგლისური	ბარბადოსის დოლარი
ბაჰამის კუნძულები	ბაჰამის კუნძულების თანამეგობრობა	ნასო	ინგლისური	ბაჰამის დოლარი
ბაჰრეინი	ბაჰრეინის სახელმწიფო	მანამა	არამეთი	ბაჰრეინის დინარი
ბელგია	ბელგიის სამეფო	ბრიუსელი	ნიდერლანდური, ფრან- გული	ფრანკი (ბელგიური ფრან- კი)
ბელიზი	ბელიზი	ბელმოპანი	ინგლისური	ბელიზის დოლარი
ბელორუსია	ბელორუსიის რესპუბლიკა	მინსკი	ბელორუსული	ბელორუსული რუბლი
ბენინი	ბენინის რესპუბლიკა	პორტო-ნოვო	ფრანგული	აფრიკული ფრანკი
ბირმა <i>იხ. მيانმა</i>				
ბოლივია	ბოლივიის რესპუბლიკა	სუკრე (ოფიც.); ლა-პასი (ფაქტ.)	ესპანური, კეჩუა, აიმარა	ბოლივიანო (ბოლივიის პესო)
ბოსნია და ჰერცეგოვინა	ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკა	სარაევო	სერბულ-ბორგატული	ახ. იუგოსლ. დინარი, ბორგატული კუნა, გერმანული მარკა

1	2	3	4	5
ბოტყანა	ბოტყანის რესპუბლიკა	გაბორონე	ინგლისური	პულა
ბრაზილია	ბრაზილიის ფედერაციული რესპუბლიკა	ბრაზილია	პორტუგალიური	რეალი
ბრუნე	ბრუნე-დარუსალამის სახელმწიფო	ბანდარ-სერი-ბე-გვანი	მალაიური	ბრუნეის დოლარი
ბულგარეთი	ბულგარეთის რესპუბლიკა	სოფია	ბულგარული	ლევნი
ბურკინა-ფასო	ბურკინა-ფასოს სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა	უაგადუგუ	ფრანგული	აფრიკული ფრანკი
ბურუნდი	ბურუნდის რესპუბლიკა	ბუჟუმბურა	კირუნდი, ფრანგული	ბურუნდის ფრანკი
ბჰუტანი (// ბუტანი)	ბჰუტანის // ბუტანის სამეფო	თიმფუ	ძონგხა	ნგულტურმი, ინდური რუპია
გაბონი	გაბონის რესპუბლიკა	ლიბრევილი	ფრანგული	აფრიკული ფრანკი
გაიანა	გაიანის კოოპერაციული რესპუბლიკა	ჯორჯტაუნი	ინგლისური	გაიანის დოლარი
გამბია	გამბიის რესპუბლიკა	ბანჯული	ინგლისური	დალასე
განა	განის რესპუბლიკა	აკრა	ინგლისური	სედე
გერმანია	გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა	ბერლინი	გერმანული	ევრო (გერმანული მარკა)
გვატემალა	გვატემალის რესპუბლიკა	გვატემალა	ესპანური	კვიცალი
გვინეა	გვინეის რესპუბლიკა	კონაკრე	ფრანგული	გვინეის ფრანკი
გვინეა-ბისაუ	გვინეა-ბისაუს რესპუბლიკა	ბისაუ	პორტუგალიური	გვინეა-ბისაუს პესო, აფრიკული ფრანკი

1	2	3	4	5
გრენადა	გრენადა	სენტ-ჯორჯესი	ინგლისური	აღმ. კარიბის დოლარი
დანია	დანის სამეფო	კოპენჰაგენი	დანიური	დანიური კრონა
დასავლეთი სამოა	სამოის დამოუკიდებელი სახელმწიფო	აპია	სამოა, ინგლისური	ტალა
დიდი ბრიტანეთი	დიდი ბრიტანეთისა და ჩრდი- ლოეთი ირლანდიის შეერთე- ბული სამეფო	ლონდონი	ინგლისური	გირვანჯა სტერლინგი
დომინიკა	დომინიკის თანამეგობრობა	როზო	ინგლისური	აღმ. კარიბის დოლარი
დომინიკელთა რესპუბლიკა	დომინიკელთა რესპუბლიკა	სანტო-დომინგო	ესპანური	დომინიკელთა პესო
ევგობტე	ევგობტის არაბთა რესპუბლიკა	კაირო	არაბული	ევგობტური გირვ. სტერლ.
ეთიოპია	ეთიოპიის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკა	ადის-აბება	ამჰარული	ბირე
ეკვადორი	ეკვადორის რესპუბლიკა	კიტო	ესპანური	სუკრე, აშშ-ის დოლარი
ეკვატორული გვინეა	ეკვატორული გვინეის რესპუბლიკა	მალაბო	ესპანური	აფრიკული ფრანკი
ელ-სალვადორი	ელ-სალვადორის რესპუბლიკა	სან-სალვადორი	ესპანური	კოლონი
ერაყი	ერაყის რესპუბლიკა	ბაღდადი	არაბული	ერაყის დინარი
ერიტრეა	ერიტრეის სახელმწიფო	ასმარა	ტიგრინია, არაბული, ინგლისური	ეთიოპური ბირე
ესპანეთი	ესპანეთის სამეფო	მადრიდი	ესპანური (კასტილიური)	ევრო (ესპანური პესეტა)

1	2	3	4	5
ესტონეთი	ესტონეთის რესპუბლიკა	ტალინი	ესტონური	კროონი (ესტონური კრონა)
ვანუატუ	ვანუატუს რესპუბლიკა	ვილა (// პორტავილა)	ფრანგული, ინგლისური	ვატუ
ვატიკანი	ვატიკანის სახელმწიფო	-	ლათინური, იტალიური	ვატიკანის ლირა, იტალიური ლირა
ვენესუელა	ვენესუელის რესპუბლიკა	კარაკასი	ესპანური	ბოლივარი
ვიეტნამი	ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკა	ჰანოი	ვიეტნამური	დონგი
ზამბია	ზამბიის რესპუბლიკა	ლუსაკა	ინგლისური	ზამბიის კვავა
ზიმბაბვე	ზიმბაბვეს რესპუბლიკა	ჰარარე	ინგლისური	ზიმბაბვეს დოლარი
თურქეთი	თურქეთის რესპუბლიკა	ანკარა	თურქული	თურქული ლირა
თურქმენეთი	თურქმენეთის რესპუბლიკა	აშხაბადი	თურქმენული	მანათი
იამაიკა	იამაიკა	კინგსტონი	ინგლისური	იამაიკის დოლარი
იაპონია	იაპონია	ტოკიო	იაპონური	იენა
იემენი	იემენის რესპუბლიკა	სანა	არაბული	იემენის რეალი
ინდოეთი	ინდოეთის რესპუბლიკა	დეღუ	ჰინდუ, ინგლისური	ინდური რუპია
ინდონეზია	ინდონეზიის რესპუბლიკა	ჯაკარტა	ბაჰასა-ინდონეზიური	ინდონეზიური რუპია
იორდანია	იორდანის სამიმიდთა სამეფო	ამანი	არაბული	იორდანის დინარი

1	2	3	4	5
ირანი	ირანის ისლამური რესპუბლიკა	თეირანი	სპარსული	ირანული რიალი
ირლანდია	ირლანდიის რესპუბლიკა	დუბლინი	ინგლისური, ირლანდიური (გაელური)	ევრო (ირლანდ. / ინგლ. გირევანკა სტერლინგი)
ისლანდია	ისლანდიის რესპუბლიკა	რეიკიავიკი	ისლანდიური	ევრო (ისლანდიური კრონა)
ისრაელი	ისრაელის სახელმწიფო	იერუსალიმი (ოფიც.), ტელ-ავივი (ფაქტ.) რომი	ებრაული, არაბული	ახალი შეგკელი
იტალია	იტალიის რესპუბლიკა	რომი	იტალიური	ევრო (იტალიური ლირა)
იუგოსლავია	იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკა	ბელგრადი	სერბულ-ხორვატული	ახალი იუგოსლავიური დინარი
კაბო-ვერდე	კაბო-ვერდეს რესპუბლიკა	პრაია	პორტუგალიური	კაბო-ვერდეს ესკუდო
კამბოჯა	კამბოჯის სამეფო	პნომპენი	ქმერული	რიელი
კამერუნი	კამერუნის რესპუბლიკა	იაუნდე	ინგლისური, ფრანგული	აფრიკული ფრანკი
კანადა	კანადა	ოტავა	ინგლისური, ფრანგული	კანადური დოლარი
კატარი	კატარის სახელმწიფო	დოჰა	არაბული	კატარის რიალი
კენია	კენიის რესპუბლიკა	ნაირობი	ინგლისური, სუაჰილი	კენიის შილინგი

1	2	3	4	5
კვიპროსი	კვიპროსის რესპუბლიკა	ნიქოზია	ბერძნული, თურქული	კვიპროსის გირვ. სტერ-ლინგი, თურქული ლირა
კირიბატ	კირიბატის რესპუბლიკა	ტარავა	ინგლისური	ავსტრალიური დოლარი
კოლუმბია	კოლუმბიის რესპუბლიკა	ბოგოტა	ესპანური	კოლუმბიის პესო
კომორის კუნძულები	კომორის კუნძულების ფედერაციული ისლამური რესპუბლიკა	მორონდ	ფრანგული	კომორის ფრანკი
კონგო	კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა	კინშასა	ფრანგული	კონგოს ფრანკი
კონგო	კონგოს ფედერაციული ისლამური რესპუბლიკა	ბრაზავილი	ფრანგული	აფრიკული ფრანკი
კორეა	კორეის რესპუბლიკა <i>იხ. სამხრეთი კორეა</i>			
კოსტა-რიკა	კოსტა-რიკის რესპუბლიკა	სან-ხოსე	ესპანური	კოსტა-რიკის კოლონი
კოტ-დ'ივუარი	კოტ-დ'ივუარის რესპუბლიკა	იამუსუკრო (ოფიც.); აბიჯანი (ფაქტ.)	ფრანგული	აფრიკული ფრანკი
კუბა	კუბის რესპუბლიკა	ჰავანა	ესპანური	კუბის პესო
ლაოსი	ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა	ვიენტიანი	ლაოსური	კიპი
ლატვია	ლატვიის რესპუბლიკა	რიგა	ლატვიური	ლატი
ლესოთო	ლესოთოს სამეფო	მასერუ	ინგლისური, სესოთო	ლოტე (/ მალიოტე)

1	2	3	4	5
ლიბანი	ლიბანის რესპუბლიკა	ბერიუთი	არაბული	ლიბანის გირვ. სტერლ.
ლიბერია	ლიბერიის რესპუბლიკა	მონროვია	ინგლისური	ლიბერიის დოლარი
ლიბია	ლიბიის არაბთა სოციალისტური სახალხო ჯამაჰირია	ტრიპოლედ	არაბული	ლიბიის დინარი
ლიტვა	ლიტვის რესპუბლიკა	ვილნიუსი	ლიტვეური	ლიტასი
ლიხტენშტაინი	ლიხტენშტაინის სამთავრო	ვადუცი	გერმანული	შვეიცარიული ფრანკი
ლუქსემბურგი	ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგო	ლუქსემბურგი	ფრანგული, გერმანული	ევრო (ლუქსემბურგის ფრანკი)
მადაგასკარი	მადაგასკარის რესპუბლიკა	ანტანანარივეუ	მალაგასიური, ფრანგული	მალაგასის ფრანკი
მავრიკი	მავრიკის რესპუბლიკა	პორტ-ლოუი	ინგლისური	მავრიკის რუპია
მავრიტანია	მავრიტანიის ისლამური რესპუბლიკა	ნუაქშოტი	არაბული (ჰასანია), ვოლოფი	უგია
მაკედონია	მაკედონიის რესპუბლიკა	სკოპიე (// სკოპლე)	მაკედონური	მაკედონური დინარი
მალავი	მალავის რესპუბლიკა	ლილონგვე	ინგლისური	მალავის კვავა
მალაიზია	მალაიზია	კუალა-ლუმპური	მალაიური	რინგიტი (მალაიზიის დოლარი)
მალდივი	მალდივის რესპუბლიკა	მალე	მალდიური (დივეჰე)	მალდივის რუფია
მალდი	მალის რესპუბლიკა	ბამაკო	ფრანგული	აფრიკული ფრანკი
მალტა	მალტის რესპუბლიკა	ვალეტა	მალტური, ინგლისური	მალტის ლირა

1	2	3	4	5
მაროკო	მაროკოს სამეფო	რაბატი	არაბული	მაროკოს დირჰამი
მარშალის კუნძულები	მარშალის კუნძულების რესპუბლიკა	მაჯაურო	ინგლისური	აშშ-ის დოლარი
მექსიკა	მექსიკის შეერთებული შტატები	მეხიკო	ესპანური	ახალი მექსიკური პესო
მიანმა	მიანმის კავშირი	იანგონი (// რანგუნი)	ბირმული	კიატი (// ჯა)
მიკრონეზია	მიკრონეზიის ფედერაციული შტატები	პალიკირი	ინგლისური	აშშ-ის დოლარი
მოზამბიკი	მოზამბიკის რესპუბლიკა	მაპუტუ	პორტუგალიური	მეტეკალი
მოლდავეთი	მოლდავეთის რესპუბლიკა	კიშინიოვი	მოლდავეური	ლემ
მონაკო	მონაკოს სამთავრო	მონაკო	ფრანგული	ფრანგული ფრანკი
მონღოლეთი	მონღოლეთის რესპუბლიკა	ულან-ბატორი	მონღოლური (ხალხა)	ტუვრიკი
ნამიბია	ნამიბიის რესპუბლიკა	უინდჰუკი	აფრიკანსი, ინგლისური	რანდი
ნაურუ	ნაურუს რესპუბლიკა	იარენი	ნაურუ	ავსტრალიური დოლარი
ნეპალი	ნეპალის სამეფო	კათმანდუ	ნეპალური	ნეპალის რუპია
ნიგერი	ნიგერის რესპუბლიკა	ნიამენ	ფრანგული	აფრიკული ფრანკი
ნიგერია	ნიგერიის ფედერაციული რესპუბლიკა	აბუჯა	ინგლისური	ნაირა

1	2	3	4	5
ნიდერლანდი	ნიდერლანდის სამეფო	ამსტერდამი	ჰოლანდიური	ევრო (გულდენი)
ნიკარაგუა	ნიკარაგუის რესპუბლიკა	მანაგუა	ესპანური	ოქროს კორდობა
ნორვეგია	ნორვეგიის სამეფო	ოსლო	ნორვეგიული	ნორვეგიული კრონა
ომანი	ომანის სასულთნო	მასკატი	არაბული	ომანის რიალი
პაკისტანი	პაკისტანის ისლამური რესპუბლიკა	ისლამაბადი	ურდუ, ინგლისური	პაკისტანის რუპია
პალაუ	პალაუს რესპუბლიკა	კორორი	ინგლისური	აშშ-ის დოლარი
პანამა	პანამის რესპუბლიკა	პანამა	ესპანური	ბალბოა
პაპუა-ახალი გვინეა	პაპუა-ახალი გვინეის დამოუკიდებელი სახელმწიფო	პორტ-მორზბე	ინგლისური	კინა
პარაგვაი	პარაგვაის რესპუბლიკა	ასუნსიონი	ესპანური	გუარანდი
პერუ	პერუს რესპუბლიკა	ლიმა	ესპანური, კეჩუა	ახალი სოლდი (// ნუევი-სოლი)
პოლონეთი	პოლონეთის რესპუბლიკა	ვარშავა	პოლონური	ზლოტე
პორტუგალია	პორტუგალიის რესპუბლიკა	ლისაბონი	პორტუგალიური	პორტუგალიური ესკუდო
რუანდა	რუანდის რესპუბლიკა	კიგალი	კინიარუანდა, ფრანგული	რუანდის ფრანკი
რუმინეთი	რუმინეთის რესპუბლიკა	ბუქარესტი	რუმინული	ლეი
რუსეთი	რუსეთის ფედერაცია	მოსკოვი	რუსული	რუბლი
საბერძნეთი	საბერძნეთის რესპუბლიკა	ათენი	ახ. ბერძნული	დრაკმა

1	2	3	4	5
საღვადორი	იხ. ელ-საღვადორის რესპუბლიკა			
სამოა	იხ. დასავლეთი სამოა			
სამხრეთი აფრიკა	სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა	პრეტორია	აფრიკანსი, ინგლისური	აფრიკის რანდი
სამხრეთი კორეა	კორეის რესპუბლიკა	სეული	კორეული	ვონა
სან-მარინო	სან-მარინოს რესპუბლიკა	სან-მარინო	იტალიური	იტალიური ლირა
სან-ტომე და პრინსიპი	სან-ტომეა და პრინსიპის დემოკრატიული რესპუბლიკა	სან-ტომე	პორტუგალიური	დობრა
საუდის არაბეთი	საუდის არაბეთის სამეფო	ელ-რიადი	არაბული	საუდის რიალი
საფრანგეთი	საფრანგეთის რესპუბლიკა	პარიზი	ფრანგული	ევრო (ფრანკი)
საქართველო	საქართველოს რესპუბლიკა	თბილისი	ქართული	ლარი
სეიმელის კუნძულები	სეიმელის კუნძულების რესპუბლიკა	ვიქტორია	ინგლისური, ფრანგული	სეიმელის რუპია
სენეგალი	სენეგალის რესპუბლიკა	დაკარი	ფრანგული	აფრიკული ფრანკი
სენტ-ვინსენტი და გრენადინები	სენტ-ვინსენტი და გრენადინები	კინგსტაუნი	ინგლისური	აღმ. კარიბის დოლარი
სენტ-კიტსი და ნევისი	სენტ-კიტსისა და ნევისის ჯედერაიცია	ბასტერი	ინგლისური	აღმ. კარიბის დოლარი
სენტ-ლუსია	სენტ-ლუსია	კასტრე	ინგლისური	აღმ. კარიბის დოლარი

1	2	3	4	5
სვაზილენდი	სვაზილენდის სამეფო	მზაბანე	სვაზუხ, ინგლისური	ლილანგენდე
სიერა-ლეონე	სიერა-ლეონეს რესპუბლიკა	ფრიტაუნ	ინგლისური	ლეონე
სინგაპური	სინგაპურის რესპუბლიკა	სინგაპური	ჩინური (მანდარინი), მალაიური, ტამილური, ინგლისური	სინგაპურის დოლარი
სირია	სირიის არაბთა რესპუბლიკა	დამასკი	არაბული	სირიის გირვანქა სტერ-ლინგი
სლოვაკია	სლოვაკიის რესპუბლიკა	ბრატისლავა	სლოვაკური	კორუნა (სლოვაკური კრუნა)
სლოვენია	სლოვენის რესპუბლიკა	ლიუბლიანა	სლოვენური	ტოლარი
სოლომონის კუნძულები	სოლომონის კუნძულები	ჰონიარა	ინგლისური	სოლომონის კუნძულე-ბის დოლარი
სომალე	სომალის დემოკრატიული რესპუბლიკა	მოგადიშო	სომალე	სომალის შილინგი
სომხეთი	სომხეთის რესპუბლიკა	ერევანი	სომხური	დრამა
სუდანი	სუდანის რესპუბლიკა	ხარტუმ	არაბული	სუდანის გირვანქა სტერ-ლინგი
სურინამი	სურინამის რესპუბლიკა	პარამარიბო	ჰოლანდიური	სურინამის გულდენი
ტაივანი	ტაივანი (ჩინეთში შემავალი, გაეროს მიერ აუღიარებული რესპუბლიკა)	ტაიპეი	ჩინური (მანდარინი)	ახალი ტაივანური დოლარი
ტილანდი	ტილანდის სამეფო	ბანგკოკი	ტაე	ბატი (// ბაჰტი)

1	2	3	4	5
ტანზანია	ტანზანიის გაერთიანებული რესპუბლიკა	დარ-ეს-სალამი	სუაჰილუ, ინგლისური	ტანზანიის შილინგი
ტაჯიკეთი	ტაჯიკეთის რესპუბლიკა	დუშანბე	ტაჯიკური	რუბლი
ტოგო	ტოგოს რესპუბლიკა	ლომე	ფრანგული	აფრიკული ფრანკი
ტონგა	ტონგის სამეფო	ნუკუალოფა	ტონგა, ინგლისური	პანგა
ტრინიდადი და ტობაგო	ტრინიდადისა და ტობაგოს რესპუბლიკა	პორტ-ოვ-სპეინი	ინგლისური	ტრინიდადისა და ტობაგოს დოლარი
ტუვალუ	ტუვალუ	ფუნაფუტე	ტუვალუ, ინგლისური	ტუვალუს დოლარი, ავსტრალიური დოლარი
ტუნისი	ტუნისის რესპუბლიკა	ტუნისი	არაბული	ტუნისის დინარი
უგანდა	უგანდის რესპუბლიკა	კამპალა	ინგლისური	უგანდის შილინგი
უზბეკეთი	უზბეკეთის რესპუბლიკა	ტაშკენტი	უზბეკური	სომი
უკრაინა	უკრაინის რესპუბლიკა	კიევი	უკრაინული	გრივნა
უნგრეთი	უნგრეთის რესპუბლიკა	ბუდაპეშტი	უნგრული	ფორინტი
ურუგვაი	ურუგვაის აღმოსავლეთი რესპუბლიკა	მონტევიდეო	ესპანური	ურუგვაის პესო
ფილიპინები	ფილიპინების რესპუბლიკა	მანილა	ფილიპინური, ინგლისური	ფილიპინების პესო
ფინეთი	ფინეთის რესპუბლიკა	ჰელსინკი	ფინური, შვედური	ევრო (ფინური მარკა)
ფიჯი	ფიჯის რესპუბლიკა	სუვა	ინგლისური	ფიჯის დოლარი
ქუვეითი	ქუვეითის სახელმწიფო	ელ-ქუვეითი	არაბული	ქუვეითის დინარი

1	2	3	4	5
ყაზახეთი	ყაზახეთის რესპუბლიკა	ასთანა	ყაზახური	ტენგე
ყირგიზეთი	ყირგიზეთის რესპუბლიკა	ბიშკეკი	ყირგიზეთული	სომი
შვედეთი	შვედეთის რესპუბლიკა და ჩრდილოეთ ირლანდიის შეერთებული სამეფო	სტოკჰოლმი	შვედური	შვედური კრონა
შვეიცარია	შვეიცარიის კონფედერაცია	ბერნი	გერმანული, ფრანგული, იტალიური, რეტომანული	შვეიცარიული ფრანკი
შვეიცარია // შვედეთი	შვეიცარიის სამეფო	სტოკჰოლმი	შვედური	შვედური კრონა
შრი-ლანკა	// შვედეთის სამეფო შრი-ლანკის დემოკრატიული სოციალისტური რესპუბლიკა	კოლომბო	სინჰალური, ტამილური	შრი-ლანკის რუპია
ჩადი	ჩადის რესპუბლიკა	ნჯამენა	ფრანგული, არაბული	აფრიკული ფრანკი
ჩეხია	ჩეხიის რესპუბლიკა	პრაღა	ჩეხური	კორუნა (ჩეხური კრონა)
ჩილე	ჩილეს რესპუბლიკა	სანტიაგო	ესპანური	ჩილეს პესო
ჩინეთი	ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა	პეკინი	ჩინური (მანდარინი და სხვა ჩინური დიალექტები)	იუანი (// რენმინბი)
ჩრდილოეთი კორეა	კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა	ფხენიანი	კორეული	ვონა
დენტრალური აფრიკა	დენტრალური აფრიკის რესპუბლიკა	ბანგდ	ფრანგული	აფრიკული ფრანკი

1	2	3	4	5
ხორვატია	ხორვატიის სოციალისტური რესპუბლიკა	ზაგრები	ხორვატული	კუნა
ჯიბუტი	ჯიბუტის რესპუბლიკა	ჯიბუტი	ფრანგული, არაბული	ჯიბუტის ფრანკი
პაიტი	პაიტის რესპუბლიკა	პორტ-ო-პრენსი	პაიტური კრეოლური, ფრანგული	გურდი
პოლანდია, იხ. ნიდერლანდი				
ჰონდურასი	ჰონდურასის რესპუბლიკა	ტეგუსიგალპა	ესპანური	ლემპირა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ქურნალისტურ პრაქტიკაში

ღია ჩანაწერები და ღია სხდომები საქართველოში

საქართველოში ამჟამად არსებობს კანონი, რომელიც იძლევა იმის გარანტიას, რომ სამთავრობო ჩანაწერებისა და სამთავრობო სხდომების უმეტესობა ღია იყოს საზოგადოებისათვის.

ეს გარანტიები ჩამოთვლილია ადმინისტრაციულ კოდექსში (მესამე თავი, ინფორმაციის თავისუფლება). 28-ე მუხლში ნათქვამია: "საზოგადოებრივი ინფორმაცია ღიაა, გარდა საკანონმდებლო აქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა..."). აქ იგულისხმება მხოლოდ ორი გამონაკლისი. პირველი ეხება ეროვნულ უსაფრთხოებას, რაც იმას ნიშნავს, რომ დოკუმენტების გამოაშკარავებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას "დაგეგმილ ან განხორციელების პროცესში მყოფ სამხედრო, სადაზვერვო ან დიპლომატიურ ქმედებათა განხორციელებას და მათ მონაწილეთა ფიზიკურ უსაფრთხოებას".

მეორე გამონაკლისი ნებას რთავს პოლიციას, დაფაროს ინფორმაცია კრიმინალური დანაშაულის გამოძიების შესახებ. აქაც არსებობს გარკვეული შეზღუდვები, რომლებიც გადმოცემულია 28-ე მუხლში. დაპატიმრებისა და მოკვლევის მასალები ღიაა საზოგადოებისათვის.

42-ე მუხლი შეიცავს იმ ინფორმაციის გრძელ ნუსხას, რომელიც ვერანაირად ვერ ჩაითვლება საიდუმლოდ.

პირადი ინფორმაცია, როგორცაა სამედიცინო ჩანაწერები, შეიძლება გასაიდუმლოებული დარჩეს, თუმცა სასამართლოს მათი გამოაშკარავებაც შეუძლია.

დოკუმენტების მოთხოვნა

- შეადგინეთ წერილი უწყების იმ ოფიციალური პირის სახელზე, რომელსაც ეხება დოკუმენტების გაცემა, და აღნიშნეთ, რომ, ადმინისტრაციული კოდექსის დებულებების თანახმად, გსურთ გაეცნოთ კონკრეტულ საბუთს ან ამა თუ იმ ჩანაწერს გარკვეულ საკითხთან დაკავშირებით (წერილის ნიმუში თან ერთვის). თუ ვერ დაადგენთ, ვინ არის პასუხისმგებელი დოკუმენტის გაცემაზე, მისწერეთ ორგანიზაციის ხელმძღვანელს.

- წერილის ორი ასლი მიიტანეთ დაწესებულების ან შესაბამისი სამსახურის კანცელარიაში. ორსავე ეგზემპლარზე დაასმევინეთ ბეჭედი და მოაწერინეთ ხელი. ერთი ცალი ამ დაწესებულებას დაუტოვეთ, მეორე კი თქვენთვის შეინახეთ იმის დასადასტურებლად, რომ ამ უწყებას მიღებული აქვს თქვენი მოთხოვნა.
 - უწყება, როგორც წესი, ვალდებულია დაუყოვნებლივ გიპასუხოთ ათი დღის ვადაში, თუკი რაიმე ფიზიკური დაბრკოლება არ არსებობს (მაგ., დოკუმენტები ხელთ არა აქვთ, — შორსაა, ანდა საჭიროა მათი მოძიება და შეგროვება სხვადასხვა უწყებიდან). მოითხოვეთ ტელეფონის ნომერი, რათა მოგვიანებით შეძლოთ გადამოწმება.
 - თუ უწყება უარს განაცხადებს თქვენს მოთხოვნაზე, მან ეს წერილობით უნდა გააფორმოს ამავე ან სხვა კანონის იმ ნაწილის ციტირებით, რომელიც აძლევს მას ამ სახის ინფორმაციის დაფარვის უფლებას. უწყებამ აქვე უნდა მიგიითითოთ, სად შეგიძლიათ გაასაჩივროთ ეს გადაწყვეტილება. თუ უწყება (სამსახური) ასე არ მოიქცა, ამით მან დაარღვია კანონი.
 - საჩივრით უნდა მიმართოთ იმ პირს, რომელმაც უარი განგიცხადათ მოთხოვნის შესრულებაზე. უჩვენეთ კანონის ასლი და განუმარტეთ, თუ რატომ არის ღია ეს ჩანაწერები საზოგადოებისათვის. თქვენ შეიძლება შეაცვლევინოთ მას თავისი გადაწყვეტილება. თუ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა, მიმართეთ საჩივრების განხილვაზე პასუხისმგებელ პირს ამავე უწყებაში. თუ ამანაც არ გაჭრა, მიმართეთ უწყების ხელმძღვანელს.
 - მორიგი მარცხის შემთხვევაში მიმართეთ სასამართლოს. ეს არის საჩივრის უმარტივესი ფორმა, რომელიც იურისტის დაუხმარებლადაც თავისუფლად შეგიძლიათ შეადგინოთ.
 - შესაძლოა კვლავ დაგჭირდეთ ახალი საჩივრის შეტანა სასამართლოში.
 - თუ თქვენ მხოლოდ დოკუმენტებს ითხოვთ და არა ზარალის ანაზღაურებას, ამისათვის დაწესებულია სარეგისტრაციო გადასახადი. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის თანახმად, სასამართლოს დამთავრებამდე ფიზიკური პირი თავისუფალია ბაჟისაგან საჯარო დაწესებულებასთან ადმინისტრაციული დავის დროს.
- არავითარ შემთხვევაში არ დანებდეთ: რაც უფრო მეტი ქართველი ჟურნალისტი მოითხოვს და მიიღებს ინფორმაციას, მით უფრო ნაკლები თანამდებობის პირი გაგიწევთ წინააღმდეგობას. დოკუმენტები ხშირად უნდა მოითხოვოთ, რათა ოფიციალური პირები შეაჩვიოთ იმას, რომ უარის თქმა, უბრალოდ, შეუძლებელია.

• შეეცადეთ იყოთ კეთილგანწყობილი და თავაზიანი, მაგრამ, ამასთან, სიმტკიცეც უნდა გამოიჩინოთ. ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება საკუთარი თვალით ნახოს ეს საბუთები; ამით თქვენ, უბრალოდ, ამოწმებთ საკუთარ უფლებებს.

თუ თქვენს განმარტება დამაჯერებელი იქნება და თან შეძლებთ კანონის ციტირებასაც, ბიუროკრატთა უმეტესობა ვეღარ გეტყვით უარს სათანადო მოთხოვნაზე და მოგცემთ საჭირო დოკუმენტებს. თანდათან თქვენ შეაჩვევთ წყაროებს ისე შეასრულონ ეს პროცედურა, როგორც ყოველდღიური სამუშაო, — ისე, რომ წერილით მიმართვა აღარ დაგჭირდებათ: დოკუმენტები მოთხოვნისთანავე მარტივად გადმოგეცემათ.

ერთი პრაქტიკული რჩევაც: მთავრობა დოკუმენტების მოწოდებისათვის გადასახადს ალბათ არ მოგთხოვთ. თუ თქვენ ძალიან ბევრ საბუთს ითხოვთ, დაელაპარაკეთ ამის შესახებ სათანადო პირს და შეეცადეთ მის ან მისი მდივნის ოფისში გადახედოთ დოკუმენტებს, მონიშნოთ, რაც გჭირდებათ, და საჭირო გვერდების ასლები გადაიღოთ. ეს ხარჯებსაც შეგიმცირებთ და მათაც გაუადვილებს მუშაობას, ვინაიდან აღარ მოუხდებათ ასობით გვერდის ასლის გადაღება, რამდენადაც თქვენ ფაქტობრივ მხოლოდ ზოგიერთი მათგანი გჭირდებათ.

საზოგადოებრივი რეესტრი

ყველა სამსახური ვალდებულია ჰქონდეს დოკუმენტების საჯარო რეესტრი, რომელშიც უნდა აღირიცხებოდეს დაწესებულებაში შექმნილი ან შემოსული ყველა დოკუმენტი. საზოგადოებრივი რეესტრი უნდა გახსნილიყო 2000 წლის 1 იანვრიდან. რეესტრში აღრიცხული უნდა იყოს თვით სამართლებრივად საიდუმლოდ წოდებული დოკუმენტებიც კი. თითოეულ სააგენტოს უნდა ჰყავდეს სათანადო პირი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ამ ჩანაწერთა ხელმისაწვდომობაზე.

მუხლი ღია სხდომების შესახებ

ადმინისტრაციული კოდექსის 32-ე მუხლში ნათქვამია: "თითოეული კოლეგიური საჯარო დაწესებულება ვალდებულია ღიად და საჯაროდ წარმართოს თავისი სხდომები, გარდა ამ კოდექსის 28-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა". არსებობს მხოლოდ ზემოხსენებული გამონაკლისები, რომლებიც ეხება ეროვნულ უსაფრთხოებასა და სისხლის სამართლის დანაშაულის გამოძიებას და ისინი მოცემულია 28-ე მუხლში.

ეს მუხლი ეხება ყველა საზოგადოებრივ სამსახურს, რომელსაც ჰყავს მრჩეველთა ან მმართველთა საბჭო ერთ საზოგადოებრივ პირზე მეტი შემადგენლობით. თუ, მაგალითად, ქალაქის საკრებულოს ან ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს წევრები ხვდებიან ერთმანეთს თავიანთი სამსახურის სახელით გადაწყვეტილების მისაღებად, ეს სხდომა ღია უნდა იყოს.

საზოგადოების უმთავრესი უფლებაა იცოდეს, თუ რას აკეთებენ ოფიციალური პირები. ამას მით უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ ჟურნალისტებისათვის, რომლებიც ამ საკითხებზე მუშაობენ.

მაგრამ ჟურნალისტებმა უნდა გამოიყენონ ეს მუხლი. სხდომაზე მყოფი ყოველი ჟურნალისტი მზად უნდა იყოს იმისათვის, რომ, თუ თანამდებობის პირები აპირებენ მის დამთავრებას, წამოდგეს და მოითხოვოს ამ მუხლის დაცვა. ხშირ შემთხვევაში ეს ნიშნავს სხდომის გაგრძელებას.

სამთავრობო პირებს უფლება არა აქვთ საიდუმლო სხდომები მოაწყო. სხდომა უნდა დაინიშნოს და გამოცხადდეს ერთი კვირით ადრე. საჭიროების შემთხვევაშიც კი სხდომა ვერ იქნება დახურული საზოგადოების თანხმობის გარეშე. დახურვის მიზეზი საჯაროდ უნდა გამოცხადდეს.

თუ თანამდებობის პირები შეეცდებიან სხდომის დახურვას, ადექით და განაცხადეთ, რომ თქვენ მას არ დატოვებთ, რადგანაც მისი დახურვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებაა. თუ სხდომის დახურვა მაინც საჭირო გახდა, ეცადეთ დარბაზი დატოვოთ დაცვის თანამშრომლის თანხლებით. შემდეგ თქვენ დაწერთ სტატიას, რომელშიც აღწერთ, თუ როგორ გამოგაძევეს სხდომიდან, რომელიც საზოგადოებისათვის ღია უნდა ყოფილიყო.

თანამდებობის პირთა ფინანსური ინფორმაციის რეგისტრაცია

სახელმწიფო სამსახურში ინტერესების კონფლიქტისა და კორუფციის შესახებ კანონის მე-2 მუხლში მოცემული ნუსხის მიხედვით, ყველა ოფიციალური პირი ვალდებულია შეავსოს ფორმა, რომელიც ასახავს მის ფინანსურ მდგომარეობასა და შემოსავლებს, და ეს ფორმა შეინახება საფინანსო დეკლარაციების ბიუროში. ამ დეპარტამენტის უფროსია ნუნუ ოვსიანიკოვა.

საფინანსო დეკლარაციების ბიუროს მისამართია: ი. ჭავჭავაძის გამზ., 17ა. ტელეფონები: 25 35 01; 25 35 04.

წერილი (ნიმუში),

რომლითაც უნდა მიმართოთ იმ უწყების ხელმძღვანელს ან სხვა ოფიციალურ პირს, რომელსაც დოკუმენტების გაცემა ევალება.

1. თარიღი
2. თქვენი სახელი და გვარი
3. საინფორმაციო საშუალების სახელწოდება
4. მისამართი
5. ტელეფონი
6. ფაქსი
7. ოფიციალური პირის სახელი და გვარი
8. დაწესებულების (სამსახურის) სახელწოდება
9. მისამართი

ბატონო / ქალბატონო

გთხოვთ მოგვანოდოთ შემდეგი დოკუმენტები, რომლებიც, თანახმად საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მესამე თავისა ინფორმაციის თავისუფლების შესახებ, შეიცავს საჯარო ინფორმაციას. მაგალითად:

- ეროვნული უშიშროების საბჭოს 2000 წლის 1 იანვრიდან ჩატარებული იმ სხდომების პროტოკოლი, რომლებზედაც განიხილებოდა საბაჟო ტარიფები;
- ფინანსთა სამინისტროსა და X ბანკს შორის დადებული ხელშეკრულება მცირე ბიზნესის განვითარების პროგრამისათვის 3-მილიონიანი სესხის გაცემის თაობაზე;
- ამა და ამ წელსა და თვეში, იაპონიაში პრეზიდენტ შევარდნაძის ოფიციალური ვიზიტის დროს, მის თანმხლებ პირებზე გაწეული ხარჯების სრული და დეტალური ნუსხა;
- გიორგი შათაშვილსა და ქუთაისის რეგიონალურ ხელისუფლებას შორის დადებული ყველა ხელშეკრულება.

კანონის მე-40 მუხლის მიხედვით, თქვენ დაუყოვნებლივ უნდა მიპასუხოთ.

გამონაკლისი დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ დოკუმენტი განადგურებულია, ან – ძნელად მოსაპოვებელი (ამ შემთხვევაში გთხოვთ დაუყოვნებლივ მაცნობოთ დაგვიანების მიზეზი და ვადა).

კანონი ნათლად განმარტავს, რომ ეს ჩანაწერები ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის. თუ უარს მეტყვით ამ მოთხოვნის შესრულებაზე, კანონის თანახმად, უნდა გქონდეთ საამისო იურიდიული საფუძველი და მიმითითოთ, სად შეიძლება გავასაჩივრო თქვენი გადაწყვეტილება.

თუკი ეს დოკუმენტები ვრცელია, მადლობელი დაგრჩებით, თუ ამ მოთხოვნის შესრულების გასაადვილებლად საშუალებას მომცემთ თქვენსავე ოფისში გადავხედო მათ და ამოვარჩიო ის გვერდები, რომელთა ასლებიც დამჭირდება. ეს საქმესაც გააადვილებს და თქვენც აღარ მოგიხდებათ ბევრი ასლის გადაღება.

ველი თქვენს პასუხს (დღეს ან ხვალ).

გმადლობთ

სხდომათა საჯაროობა

იცოდეთ, თქვენ გაქვთ უფლება დაესწროთ ხელისუფლების ორგანოების სხდომებს.

კერძოდ, შემდეგი სახელისუფლებო ორგანოების სხდომებს:

- ❖ საკრებულო
- ❖ საუბნო, საოლქო და ცენტრალური საარჩევნო კომისიები
- ❖ დამოუკიდებელი მარეგულირებელი კომისიები
- ❖ მთავრობის, სამინისტროების, კოლეგიების, მრჩეველთა საბჭოების სხდომები

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით, კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომები ღიაა. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა მოქალაქეს, ნებისმიერ თქვენგანს აქვს უფლება იცოდეს, რომ გაიმართება სხდომა, და რომ შეგიძლიათ დაესწროთ მას. ყველა საკითხი უნდა განიხილებოდეს ღია საჯარო სხდომაზე, გარდა იმ ცალკეული შემთხვევებისა, როდესაც არსებობს კანონიერი საფუძველი სხდომის ან მისი ნაწილის დახურვისა. თუ საჯარო დაწესებულება მიიღებს გადაწყვეტილებას უკანონოდ დახურულ სხდომაზე, მას იურიდიული ძალა არ ექნება!

ადმინისტრაციული კოდექსი ძლიერი იარაღია თქვენს ხელში, რათა თქვენი მთავრობა ანგარიშვალდებული გახდეს თქვენ წინაშე. ეს ბროშურა აგისხნით, თუ როგორ უნდა მოიქცეთ, თუ საჯარო დაწესებულება არ დაემორჩილება კანონს.

რა არის კოლეგიური საჯარო დაწესებულება?

ეს არის ადმინისტრაციული ორგანო, აგრეთვე სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით დაფინანსებული კერძო ორგანიზაცია, რომლის ხელმძღვანელი ან სათათბირო ორგანო ერთზე მეტი პირისაგან შედგება და რომელშიც გადაწყვეტილებებს ერთზე მეტი პირი ერთობლივად იღებს ან ამზადებს (მუხლი 27). მაგალითად:

- ◆ საქართველოს მთავრობა;
- ◆ სამინისტროების სათათბირო ორგანოები – კოლეგიები;
- ◆ საკრებულოები (ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები);

- ◆ დამოუკიდებელი მარეგულირებელი კომისიები (ენერგეტიკის, კომუნიკაციებისა და სხვ.);
- ◆ საარჩევნო კომისიები (საუბნო, საოლქო, ცენტრალური);
- ◆ ანტიკორუფციული პოლიტიკის საკოორდინაციო საბჭო;
- ◆ საქართველოს იუსტიციის საბჭო.

და სხვა მრავალი.

არის თუ არა კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომები ღია?

- ◆ დიახ, არის!
- ◆ კოლეგიური საჯარო დაწესებულების წევრების ოფიციალური სხდომა, ამ დაწესებულების სახელით რაიმე გადაწყვეტილების მიღების ან მომზადების მიზნით, ღია უნდა იყოს
- ◆ მაგრამ არსებობს ზოგიერთი გამონაკლისიც: სხდომა შეიძლება დაიხუროს, თუ მასზე უნდა განიხილონ სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული საკითხები.
- ◆ კოლეგიურ საჯარო დაწესებულებაში გამართული ყველა შეხვედრა როდი ითვლება სხდომად (ასეთებია, მაგალითად, აპარატის თათბირი, პირადი შეხვედრები, რიგითი სამუშაო შეხვედრები და სხვ.).
- ◆ თუ სხდომის დღის წესრიგში შეტანილია რამდენიმე საკითხი, იგი უნდა დაიხუროს მხოლოდ სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული საკითხების განხილვის დროს. დანარჩენი საკითხების განხილვისას სხდომა ღია უნდა იყოს.

შეუძლია თუ არა კოლეგიურ საჯარო დაწესებულებას სხდომის დახურვა?

- ◆ როგორც აღინიშნა, ეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებშია შესაძლებელი, როდესაც სხდომაზე იხილავენ სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოებას მიკუთვნებულ საკითხებს.
- ◆ "კოლეგიური საჯარო დაწესებულება ვალდებულია ერთი კვირით ადრე საჯაროდ გამოაცხადოს მომავალი სხდომის, მისი ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის თაობაზე, ხოლო შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას — აგრეთვე მისი დახურვის თაობაზე" (მუხლი 34).

◆ თვით იმ კოლეგიურ საჯარო დაწესებულებასაც კი, რომლის დანიშნულებაცაა ქვეყნის თავდაცვასა და უშიშროებასთან ან დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა და გადაწყვეტა, უფლება არა აქვს მთლიანად გაასაიდუმლოს თავისი საქმიანობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დასაბუთებული არგუმენტაციის გარეშე.

ვისა აქვს უფლება დაესწროს კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომას?

◆ სხდომები ღიაა მათზე დასწრების ყველა მსურველისათვის, გარდა კანონონით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა.

◆ კოლეგიურ საჯარო დაწესებულებას არა აქვს უფლება მოითხოვოს სპეციალური მოწვევა სხდომაზე დასასწრებად.

◆ დამსწრეთა რაოდენობა შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვერ ხერხდება ყველა მსურველის დატევა. ამ შემთხვევაში უპირატესობა შეიძლება მიენიჭოთ პრესის წარმომადგენლებს ან უბრალოდ მათ, ვინც სხვებზე ადრე გამოთქვა სხდომაზე დასწრების სურვილი.

◆ კოლეგიურმა საჯარო დაწესებულებამ ყველა ღონე უნდა იხმაროს იმისათვის, რათა მაქსიმალურად დააკმაყოფილოს სხდომაზე დასწრების სურვილის მქონე რაც შეიძლება მეტი განმცხადებელი.

◆ გახსოვდეთ: თქვენ გაქვთ მხოლოდ სხდომაზე დასწრების და არა მასში მონაწილეობის უფლება.

როგორ უნდა შევიტყოთ მომავალი სხდომის შესახებ?

◆ კოლეგიური საჯარო დაწესებულება ვალდებულია ერთი კვირით ადრე საჯაროდ გამოაცხადოს მომავალი სხდომის, მისი ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის შესახებ.

◆ ამ ერთკვირიანი ვადიდან გამონაკლისს წარმოადგენს გადაუდებელი აუცილებლობა. ასეთ შემთხვევაში კოლეგიური საჯარო დაწესებულება ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოაცხადოს სხდომის გამართვის დრო, ადგილი და დღის წესრიგი (მუხლი 34).

◆ საჯარო გამოცხადება, როგორც წესი, გულისხმობს, რომ აღნიშნული ინფორმაცია უნდა გამოცხადდეს საინფორმაციო საშუალებით, ან განთავსდეს ისეთ ადგილას, სადაც ყველას თავისუფლად შეეძლება მისი გაცნობა. ჩვეულებრივ, ასეთი ადგილებია სტენდი, განცხადებათა დაფა და სხვ.

◆ ასევე, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ადმინისტრაციულმა ორგანომ დაინტერესებულ პირებს სხდომის შესახებ უნდა აცნობოს ფოსტით ან ტელეფონით.

საჯარო სხდომებთან დაკავშირებული რომელი ინფორმაციაა ჩვენთვის ღია?

თქვენ უფლება გაქვთ იცოდეთ:

◆ რა პოზიცია გამოხატა კოლეგიური საჯარო დაწესებულების თითოეულმა წევრმა სხდომის დროს;

◆ პროცედურები, ოქმები, საბოლოო და სხდომის მსვლელობის დროს მიღებული სხვა გადაწყვეტილებები;

◆ სად და რა ვადებში შეიძლება გასაჩივრდეს დახურულ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება.

როგორ მოვიქცეთ, თუ სხდომა დახურულია?

◆ თქვენ შეგიძლიათ ერთი თვის განმავლობაში სასამართლოში გაასაჩივროთ დახურულ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება.

◆ "კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ გადაუდებელი აუცილებლობისას სხდომის ჩატარების ან სხდომის დახურვის შემთხვევაში დაწესებულება ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში განმარტოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი" (მუხლი 34)..

◆ დაწესებულებამ უნდა განმარტოს, თუ სად და რა ვადებში უნდა გასაჩივრდეს დახურულ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება.

◆ გადაწყვეტილებას სხდომის დახურვის შესახებ კოლეგიური საჯარო დაწესებულება იღებს სახელობითი კენჭისყრით, რომლის შედეგებიც საჯაროა.

აქვს თუ არა კოლეგიური საჯარო დაწესებულების გადაწყვეტილებას იურიდიული ძალა, თუ იგი უკანონოდაა მიღებული დახურულ სხდომაზე?

◆ არა, არა აქვს!

◆ თუ კოლეგიური საჯარო დაწესებულება არ შეასრულებს სხდომა-თა საჯაროობის თუნდაც ერთ მოთხოვნას მაინც, ამ სხდომაზე მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება ძალადაკარგულად უნდა ჩაითვალოს.

◆ გახსოვდეთ, რომ სარჩელი გადაუდებელი აუცილებლობისას გამართული სხდომის, ასევე სხდომის დახურვის კანონიერების შესახებ სასამართლოს უნდა წარედგინოს კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის გამართვის დღიდან ერთი თვის განმავლობაში.

არსებობს თუ არა რაიმე საფასური სხდომებზე დასწრებისათვის?

◆ არა!

◆ თუ თქვენ გსურთ მოიპოვოთ ოქმი ან სხდომასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა დოკუმენტი, უნდა გადაიხადოთ მხოლოდ ასლის გადაღების საფასური.

განმარტებები სხდომათა საჯაროობის შესახებ, ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით, მოგვანოდა IRIS-მა (უწყებრივი რეფორმა და არასამთავრობო სექტორი)

ლექსიკოგრაფიული წყაროები და ნორმატიული ცნობარები

ბერძნული და რომაული საკუთარი სახელების ორთოგრაფიული
ლექსიკონი (შეადგინა კონა გიგინეშვილმა), თბ., 1985

ბიბლია, საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა, თბ., 1989

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები (რედ.
ივანე გიგინეშვილი), ნაწილი I, თბ., 1970

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები (სარედაქ-
ციო კოლეგია), ბიულეტენი №№ 1-2, თბ., 1985; № 3, თბ., 1987

თბილისი 2002, ყვითელი ფურცლები, სატელეფონო-საინფორმა-
ციო ცნობარი, თბ., 2002

ვ. თოფურია, ივ. გიგინეშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული
ლექსიკონი, თბ., I გამოც. – 1968; II გამოც. – 1998

ლათინური ხატოვანი სიტყვა-თქმანი (ქართული შესატყვისებით.
შეადგინა აკაკი ურუშაძემ), თბ., 1987

მცხეთური ხელნაწერი, გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა და-
ურთო ე. დოჩანაშვილმა, თბ., 1982-1986

საბჭოთა კავშირის გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული
ლექსიკონი (რედ. შ. აფრიდონიძე, თ. ზურაბიშვილი), თბ., 1987

საზღვარგარეთის ქვეყნების გეოგრაფიული სახელების ორთოგრა-
ფიული ლექსიკონი (რედ. ა. კობახიძე, მ. ჭაბაშვილი), თბ., 1989

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, თბ., 2001

საქართველოს სსრ გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული
ლექსიკონი (რედ. ი. აფხაზავა, ივ. გიგინეშვილი, ა. კობახიძე, დ.
უკლება, მ. ჭაბაშვილი), თბ., 1987

უცხო სიტყვათა ლექსიკონი (შეადგინა მიხეილ ჭაბაშვილმა), თბ., 1989

უცხოური პირთა სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი (რედ.
ა. კობახიძე, მ. ჭაბაშვილი), თბ., 1989

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (არნოლდ ჩიქობავას სა-
ერთო რედაქციით), I-VIII, თბ., 1950-1964

ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია ტექსტი გამოსცა და
გამოკვლევა დაურთო ივ. იმნაიშვილმა, თბ., 1979

ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, VII (რედ. შ. აფრიდონიძე), თბ., 1985

Ашукин Н. С., Ашукина М. Г., Крылатые слова, М., 1987

Баш Л.М., Боброва А.В., Вечеслова Г.Л., Кимягарова Р.Г., Семдрови Е.М., Современный словарь иностранных слов, М., 2001

Бизнес; Толковый словарь (Англо-русский; общая редакция И. М. Осадной); Originally published by Oxford University Press, М., 1998

Блэк Джон, Политика, Толковый словарь (Англо-русский), Originally published by Oxford University Press, М., 2001

Вечные истины на вечной латыни (латинские изречения, составитель С. Б. Барсов), М., 2001

Лингвистический энциклопедический словарь (отв. ред. В. Н. Ярцева), М., 1990

Овруцкий Н. О., Крылатые латинские изречения (в литературе), Киев, 1962

Современный словарь иностранных слов, М., 2001

Экономика, Толковый словарь (Русско-английский, под редакцией Айв Маклина), Originally published by Oxford University Press, М., 2000

Longman, Dictionary of American English, Longman, 2000

Longman, The Dictionary of Language and Culture, Longman, 1992

Stylebook and Libel Manual (Editor Norm Goldstein, published by The Associated Press), N.Y., 1998

The American Heritage Dictionary of the English Language, N.Y., 1979

The World Almanac and Book of Facts, World Almanac Books, N.Y., 2000.